

ბუნამ ქინაშვილი

საარაგულო
და
არაგულოები

ნიგნი მეორე

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2020

რედაქტორი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, თეიმურაზ ფანჯიკიძე

მხატვარი დიზაინერი გიორგი ზაგაშვილი

© გ. ქერაშვილი, 2020

© გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-25-865-7

რედაქტორის წინათქმა „საარაგვო და არაგველები“ (წიგნი მეორე)

წინამდებარე წიგნი მეორე ნაწილია, გაგრძელებაა, გურამ ქერაშვილის ჯერ კიდევ 2017 წელს გამოსული წიგნისა: „საარაგვო და არაგველები“. ავტორი, წარსულში ცნობილი ექიმი-ქირურგი, მედიცინის დოქტორი, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა ორგანიზატორული საქმიანობითაც, პროფესიული მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესწავლას შეუდგა და დაგვიდო მშვენიერი წიგნები: – „ხევსა და მოხევეებზე“, „საარაგვოსა და არაგველებზე“. ეს მეტად საინტერესო, შინაარსიანი და ინფორმაციებით სავსე წიგნებია, რომლებმაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია. სასიამოვნოა, რომ იგი არ ჩერდება, ერთგულად აგრძელებს არჩეულ კურსს და ქმნის ერთი მეორეზე უკეთეს წიგნებს. მკითხველს შევახსენებ, რომ მისი პირველი ნაშრომი 2012 წელს გამოვიდა. მასში საინტერესოდ არის აღწერილი ხევი, მოხევეების ცხოვრება, დანვრილებით არის გადმოცემული ამ ულამაზესი კუთხის ისტორია, ბუნება, ყოფა, კულტურა, არქიტექტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, აღწერილია ეკლესიები და სალოცავები, ციხესიმაგრეები, გზები, ცალკეული სოფლები, საგვარეულოები, გვარების გენიალოგია, მრავალი სხვა საყურადღებო მასალა.

„საარაგვო და არაგველები“ ავტორმა ორ ტომად ჩაიფიქრა: პირველში აღწერა ე. წ. „დაბალი საერისთაო“ (დუშეთიდან ანანურამდე). მეორე (წინამდებარე წიგნი), „მაღალ საერისთაოს“ ეძღვნება (ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი). პარალელურად მუშაობს მესამე წიგნზე „ფხოვი და ფხოველნი“, რომელშიც ფშავ-ხევსურეთის ისტორიას, წარსულს და თანამედროვეობას აღწერს.

ეს მომავლის საქმეა.

წინამდებარე წიგნი კი, როგორც უკვე აღვნიშნე, „მაღალ საერისთაოს“ ეძღვნება. ამჟამად მკვლევარი მიმოიხილავს ჭართლის, ხანდოს, გუდამაყრის და მთიულეთის რეგიონებს.

ნაშრომის კითხვისას გაცეცხებს თუ რაოდენ დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული ავტორს. რამდენი ენერჯია დაუხარჯავს თითოეული სოფლის ისტორიის მოძიებაზე, იქ დასახლებულ გვარებზე, მათი წარმომავლობის დადგენაზე; იმაზე თუ ვინ, საიდან, რომელი კუთხიდან არის მოსული ან წასული, რისგან წარმოდგა მათი გვარი, ადრე რა გვარს ატარებდნენ და ახლა რას. წიგნში აღწერილია ის შემთხვევებიც, თუ როგორ იბრუნებენ ადამიანები თავიანთ ძირძველ გვარებს.

დიდი სიზუსტით არის აღწერილი ეკლესიები, სალოცავები, კომპეები, მათი ზომები, მითითებულია თუ რით, რა მასალით, როგორი წყობით არის ნაგები ეს ძეგლები, ახლა რა მდგომარეობაშია...

სხვადასხვა წლების აღწერების მიხედვით, მითითებულია სოფლების მცხოვრებთა ვინაობა და რაოდენობა, ნაჩვენებია მათი ახლანდელი მდგომარეობა. მოძიებულია ის ცნობებიც, ამა თუ იმ გვარის რამდენი წარმომადგენელი ცხოვრობს ამა თუ იმ ქალაქსა თუ სოფელში, რა რაოდენობით არის წარმოდგენილი საქართველოში ეს გვარი, ვინ ყავდათ, ან ვინ ყავთ წარჩინებული ადამიანები.

ავტორი კარგად იცნობს და მიზნობრივად იყენებს ამ თემაზე ადრე გამოსულ წიგნებს, საარქივო მასალას, ეთნოგრაფიულ მონაცემებს, მხატვრულ ლიტერატურას, რაც კიდევ უფრო სასიამოვნო საკითხავს ხდის აღნიშნულ შრომას.

გურამ ქერაშვილის ეს წიგნი განსაკუთრებით საინტერესოა იქ მოხსენიებული გვარების წარმომადგენელთათვის, მაგრამ არა მარტო მათთვის. წიგნი ზოგადად ემსახურება საქართველოს ამ კუთხეების უკეთ გაცნობას და მათი დანიშნულების უკეთ გაცნობიერებას. იგი გვეხმარება საქართველოს მთლიანი ისტორიის ნათლად წარმოჩენის, გაგების და გააზრების საქმეში.

ისევე როგორც წინა ორი ნაშრომი, „საარაგვო და არაგველები“ ეს ტომიც დაწერილია ნათელი, გასაგები ენით, კარგად იკითხება და იგი სიამოვნებასთან ერთად პრაქტიკულ სარგებელსაც მოუტანს მის წამკითხველს, უკეთ გააცნობს საქართველოს მთიანეთის ამ რეგიონებს.

ჩვენ, ისლა დაგვრჩენია, რომ დიდი მადლობა ვუთხრათ ავტორს მუხლჩაუხრელი შრომისათვის, მშვენიერი წიგნის დაწერისათვის, ვუსურვოთ მალე შეეკრას წრე და დროულად მიაწოდოს მკითხველს წიგნის მესამე ნაწილი: „ფხოვი და ფხოველნი“.

*თეიმურაზ ფანჯიკიძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი*

„საანგვო ერთი დიდი სამლოცველოა ჩემთვის, სადაც ჩაუქრობლად ან-
თია სანთელი მაღალ ღმერთსა და ჩემს შოტის. ამ სანთლის შუქ-ჩრდილებში
გამოკრთებიან გარდასულ წინაპართა სახეები და უნოდ, ხუშტი შემთხედ-
ვით რაღაცას მაგრიბობინებენ. მე ცოცხალი ვარ და ხშირად ვერ ვგებულობ
ამ შემთხედვის შინაარსს. ვფიქრობ, სულ ვფიქრობ, განუზომელი ნაღველით
არის ჩემი გული საფსე, ცოცხალი ადამიანი ხომ ცოდვილია და იქნება ჩემი
ქცევით ისეთ საქმეებს ვაკეთებ, რაც აშკარად ჩრდილს აყენებს მათ საიქით
სამყოფელს. ვგრძობ, მინდა მუშაობა და რაღაცა გზას მილობავს, მინდა ეკლე-
სიური ცხოვრება და რაღაცა გზას მილობავს, ასე მგონია, პალთზე გამობმული
ცხენი ვიყვ, თოკი რომ არ უშვებს თავისუფლებისაკენ. თითქოს იანვრის ყინვე-
ბით დაწრეტილი არაგვის წყალი ვიყვ, ძლივს შესამჩნევად რომ მირაკრაკებს
ლოდებს შოტის, მე ხომ არაგვისა ყველაზე მეტად დაბეჩავება, ფერწასულობა
არ მიყვარს. არაგვი მაშინ არის არაგვი, როცა ღრიალით იკლებს არემარეს და
მე მოუთმენლად ველოდები მაგ დროს. როცა მე და არაგვი ერთნი შევიქმნებით
– მოვდივართ! მოვდივართ!!!

აღზე მსაყვედურობდნენ ხოლმე, ბოლოსდაბოლოს, როდის უნდა შეეშვა
გუდამაყრის ხეობას და ქალაქში ჩამთხვიდეთ? – ნეტა, იმდენი მაცოცხლა, რომ
რაც გუდამაყარში და არაგვის ხეობაში სიტბო, სიყვარული, კაცთმოყვარება
და ყოველივე ადამიანური და ღვთიური, ერთ ლამაზ თაიგულად შეგკრა და
მთელ საქართველოს, მთელ დედამიწას მივუძღვნა სახსოვრად და ნიშნად იმისა,
რომ – ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი“

გოდერძი ჩონელი

ՅԱՐՄԱԸՈՒ

ქართალი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეა. მთიულეთის არაგვის შუა წელზე მდებარეობს – ქართლის, ჯუღისის და სონდის ხევებს შორის.

აღმოსავლეთით – ფშავი და ხორხი ესაზღვრება. დასავლეთით – ქსნის ხეობა; ჩრდილოეთით – ხანდო; სამხრეთით, ისტორიული ბაზალეთის – სოფ. მენესო.

ხანდოსა და ქართლის საზღვარი ხამუშას ქალაზე გადის.

ქსნის ხეობის და ფშავისაგან მას – ქსან-არაგვის, გუდამაყრის და მთიულეთის არაგვის წყალგამყოფი ქედები „განჰყოფს“.

მის ქვემოთ შიდა ქართლის მთისწინა ზოლი იწყება.

ამბობენ: „ქართალი“ – „ქალათა რთულს“ (შერთულს), ქალათა შეერთების ადგილს ნიშნავსო.

ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მთიელები, დურძუკებთან ერთად, ძვ. წ. II ს-ში, კახეთის და ბაზალეთის დარბევამი მონაწილეობდნენ.

853 წელს, არაბთა დამსჯელმა რაზმმა – ბულა თურქის სარდლობით, ქართალამდეც მოაღწია.

თამარ მეფის წინააღმდეგ მიმართულ მთიელთა აჯანყების დროს, ქართლელები სამეფო ხელისუფლების გვერდით დადგნენ.

XIII-XV სს, მასზე, შაბურისძენი ბატონობდნენ.

XVI-XVII სს-ში – არაგვის ერისთავები.

იმ ოთხი ისტორიული თემიდან, რომლებიც თეთრი არაგვის ხეობაში სახლობდნენ – ხადა და ცხვატი, დროთა განმავლობაში, მთიულეთის ერთ რეგიონად ჩამოყალიბდა; ხანდო და ქართალი – ცალკე თემებად დარჩნენ.

როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, მთიულეთის შემადგენლობაში მათ გაერთიანებას, ხელი მიგრაციულმა პროცესებმა შეუშალეს:

ძველი ადგილობრივი მოსახლეობის მასიური გადინების გამო, ხანდოსა და ქართალში, მისი ადრინდელი მცხოვრებნი, ფაქტობრივად, აღარ დარჩნენ (ადგილობრივ გვარებად, დღეს, მხოლოდ ლალიაშვილები, ხუციანიძეები და მამულაშვილები ითვლებიან). მათი ნასახლარ-ნასოფლარების დაკავება – გუდამაყრიდან, მთიულეთიდან და, ძირითადად, ხევსურეთიდან ჩამოსახლებულმა მიგრანტებმა – XVI საუკუნიდან დაიწყეს. მათი უმეტესობა მთიულურ დიალექტზე არ მეტყველებდა და არც მთიულეთის საერთო სალოცავის, ლომისის, ყმები იყვნენ.

აღნიშნულის გამო ვერ მოხდა ამ რეგიონების მთიულეთის პროვინციაში გაერთიანება. პროცესი კი დაწყებული იყო (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, 2003 წ. გვ. 149).

ძველი ქართლელების საერთო სალოცავი, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქალისოფელში მდებარე კვირია უნდა ყოფილიყო.

დღეს იგი დანგრეული ეკლესიის სახით არის წარმოდგენილი და ლოცვაში „სათემო ხატად“ მოიხსენიება.

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს: ამ ხეობის სათემო ხატობა ღვთიშობლობაა. ახალწელიწადს იხდიან. მისი ნიში მაღალ მთაზეა აღმართული. სათემო დროშა „ბოურაყი“ და ხატები ქალისოფლის პატარა ეკლესიაში ინახება – დაზიანებული, ზოგი დაკერებული და შეკონინებულია.

ჭედვითი ხელოვნების და წარწერების მხრივ საყურადღებოა:

1. ღვთისმშობლის ხატი ვერცხლისა, „ოქროთი დაფერილი და ამობორცვილ ხე-

ლობით ნაჭედი, ზომა 87X56 სმ...”

2. ისეთივე ხელობის ხატი ვერცხლისა – ოქროთი დაფერილი. გამოსახულია ღვთისმშობელი, ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი. ზომა 87X56 სმ.

3. ხატი ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი; გამოსახულია მოციქული (თომა?); არ-შიაზე ასომთავრული წარწერით: – „ქრისტე, შეინყაღე სოფელი მეხისი და ქემო-შორი“.

აქვეა დაცული წმ. გიორგის და მთავარანგელოზთა (მიქელ-გაბრიელის) ვერცხ-ლის (ოქროთი დაფერილი) მაღალი ხელობის ხატები. მათი არშიები შემკულია ასომ-თავრული წარწერებით (ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 152-153).

საერთო საჭართლო დღეობაში მონაწილეობას არ იღებდნენ ჯუღისის ხეობაში მდებარე სოფლების: – დოლასქედის, ვაშლობის, საქერეს და ჯუღისის მცხოვრებნი. ისინი, XIX ს-ში, მეზობელი კუთხეებიდან არიან მოსულნი და ყველა სათემო-სახატო ვალს, თავიანთ თავდაპირველ საცხოვრისში იხდიდნენ.

*

ჭართლელი მთიელები უძველესი დროიდან ურთიერთობდნენ ქსნის ხეობის, ხან-დოს, გუდამაყარის, მთიულეთის და ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობასთან – მათი ხეო-ბების დამაკავშირებელი გზებით და ბილიკებით:

ჭართლის ყელად ნოდებული გადასასვლელით – ჭალისოფელი უკავშირდებოდა ქსნის ხეობის ციხისოფელს;

ვაშლიანას გადასასვლელით სოფ. დგნალი – სოფ. საფერშეთს;

სოფ. მენესო – ციხისოფელს.

მეტად მნიშვნელოვანი იყო დოლასქედიდან ხორხში და საქერედან ცხვედიათ-ში გარდამავალი გზები; განსაკუთრებით კი, საქერის გადასასვლელი, რომლითაც ჭართალი – ფშავს უკავშირდებოდა.

მენესო

ეს სოფელი ჭართლის სამხრეთი საზღვარი იყო ისტორიულ ბაზალეთთან.

„ძეგლის დების“ უკიდურესი სამხრეთი საზღვარიც სოფ. მენესო გახლდათ.

XVIII ს-ში ნასოფლარად იქცა.

მოგვიანებით ააღორძინეს – მთიულეთიდან ჩამოსახლებულმა მიგრანტებმა.

1873 წელს – ჭიკაძეები, ბუჩუკურები და ნარიმანიძეები სახლობდნენ.

ანანურსა და მენესოს შორის მდებარე ორი დასახლებული პუნქტი, პავლეურთ-კარი და ციხისძირი, 1774 წლის აღწერით, ჭართლის სოფლებად არ სახელდება. 1781 წელს კი – ავენისთან, ანანურთან და ჟინვალთან ერთად – არაგვის საერისთაოს ბარის სოფლებშია მოქცეული.

*

ჭართალი – მენესოს ზემოთ, საქართველოს სამხედრო გზის ორივე მხარეს ლო-კალიზდება.

მარჯვნივ, მდ. ჯულისის (ვაშლობის) ხეობაში მდებარე სოფლებია: – დოლასქედი, ჯულისი, ვაშლობი და საქერე. მარცხნივ – ქართლის და სონდისხევის ხეობებში – სონდა, ზენუბანი, ჩიტაურები, ქალისოფელი და მუგუდა; უფრო ზემოთ, საქართველოს სამხედრო გზაზე – ბუჩანთკარია განთავსებული.

1774 წელს ქართლის თემში 4 სოფელია მოხსენიებული: – სარეკთუბანი (ჩიტაურები), სადაც 11 კომლი სახლობდა (ჩიტაურების – 3; ბულარაულების – 2; გიგაურების – 4; ხუციანიძეებისა და ტუსისშვილების 1-1); ზენუბანი (11 კომლი); კოლოტა (15 კომლი); მუგუდა (13 კომლი).

XIV-XVI სს-ში, უმძიმესი სოციალური მდგომარეობის გამო, ქართალი ერთ-ერთ გავერანებულ და მოსახლეობისგან დაცლილ მხარეს წარმოადგენდა. ხალხმრავლობა, იქ, არც XVIII ს-ის ბოლოს იქნებოდა, მაგრამ, 1774 წლისათვის, სოფლების ზემოაღნიშნული ჩამონათვალი, მაინც არასრულია; ჯულისის ხეობის დასახლებული პუნქტები კი – საერთოდ გამორჩენილი.

1886 წლის აღწერის თანახმად, ქართლის სასოფლო საზოგადოებაში გაერთიანებული იყო შემდეგი სოფლები: – ვაშლობი (23 კომლი); დალასქედი (44 კომლი); ჯულისი (26 კომლი); მუგუდა (33 კომლი); ხუციანი (15 კომლი); ქართალი (40 კომლი).

1929 წელს, დოლასქედში, სახლობდა 57 კომლი; ვაშლობში – 29; ზენუბანში – 31; მუგუდა-ბუჩანთკარში – 49; სონდაში – 24; ჩიტაურში – 21; ქალის სოფელში (ქართალში) – 33.

სონდა

სოფელი ქართლის ქედის სამხრეთით, პატარა მდინარის ხეობაში მდებარეობს.

1886 წელს, იქ, 15 კომლი სახლობდა.

1926 წელს – 24 კომლი აღწერეს; 71 მამაკაცი და 71 ქალი, სულ 142 სული, ძირითადი გვარები – გოგოშვილი და ხუციანიძე იყო.

დღეს მხოლოდ ხუციანიძეები მკვიდრობენ.

უფრო ადრე მათ ქალისოფელში უცხოვრიათ.

*

მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. მენესოსთან გამყოფ ქედზე, გვიანდელი შუა საუკუნეების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, ზურგიანი კოშკი, საცხოვრებელი ნაგებობა და გალავანი.

ეკლესია (6,2X5,2 მ.) ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში დგას. ძლიერ დაზიანებულია. მოგვიანებით, დასავლეთის მხრიდან მასზე ზურგიანი კოშკი მიუდგამთ, სამხრეთიდან – ვიწრო საცხოვრებელი ნაგებობა.

ექვსსართულიანი კოშკი ზემოთ თანდათან ვიწროვდება; ზურგით გალავანშია ჩართული.

წრიული გალავანი შემორჩენილია მთელ პერიმეტრზე. მის სამხრეთ ნაწილში ჩართულია მოზრდილი (12X6,5 მ.), ოთხკუთხა საცხოვრებელი ნაგებობა, რომლის სამხრეთის და დასავლეთის კედლები – გალავნის ნაწილს წარმოადგენს.

ზენუბანი (ჩიტაურები)

ყოფილი სარეკთუბანის თავზე მდებარე ეს დასახლება, ადრე, ჩიტაურების უბნად ითვლებოდა.

1774 წელს, იქ, გიგაურების – 9; ჭიკაიძეების და ჩიტიძეების 1-1 სახლობდა.

1926 წლის აღწერით, 31 კომლი დარეგისტრირდა; 88 მამაკაცი და 97 ქალი, სულ 185 სული, ძირითადი გვარი – ჯიქური (ძირად გიგაური) იყო.

„ჩიტაურები“, ამავე წელს, ცალკე სოფლად აღწერეს. 21 კომლი აღირიცხა – 64 მამაკაცი და 61 ქალი, სულ 125 სული; ძირითადი გვარი – ჩიტაური იყო.

ორივე დასახლება, უფრო ადრე, ერთი სახელწოდებით – ზენუბნად მოიხსენიებოდა და საკმაოდ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტს წარმოადგენდა. ისტორიულ წყაროებში XIV ს-დან ჩანს, როგორც ერწო-თიანეთის საეპისკოპოსოს საკათალიკოსო სოფელი. მასზე გამავალი სამიმოსვლო გზებიდან – ერთი, დიდგორისკენ მიემართებოდა, მეორე ნიჩბის-კავთურის გამყოფ ქედზე გადადიოდა.

სოფლის მიმდებარედ, XVIII ს-ის I ნახევარში, დიდი შეტაკება მომხდარა ოსებსა და მთიულებს შორის.

იმ ადგილს „სისხლის ტბას“ ეძახიან.

ზენუბანშია განთავსებული გიგაურების გვარის საერთო საჭარტლო სალოცავი – დედალვთიშობელი. მათ წინაპრებს იგი ხევსურეთიდან მოუბრძანებიათ.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთის წვერზე მდებარე სამების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსი – VIII-IX და გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. მის შემადგენლობაში შედის: – სამების ეკლესია, მცირე ეკლესია, კოშკი, სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ნაგებობა და გალავანი.

დიდი ეკლესია (8,2X7,5 მ.) VIII-IX სს თარიღდება; ნაგებია კირის ხსნარზე ნაწყობი დიდი ზომის ნატეხი ქვით. საკმაოდ დაზიანებულია. გვიანდელ შუა საუკუნეებში მასზე, დასავლეთის მხრიდან, მცირე ეკლესია (6X3,9 მ.) მიუდგამთ.

მისი მცირე ნაწილია შემორჩენილი.

ორივე სალოცავისათვის, მოგვიანებით, ერთიანი, ვიწრო და დაბალი სათავსო მიუშენებიათ.

ხუთნახნაგა კოშკი სამების ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან დგას. განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია ნატეხი ქვით.

შემორჩენილი აქვს ორი სართული.

გალავნის გარეთ, კედლიდან 1 მ-ზე, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცული, სამი სწორკუთხა ბურჯი მოჩანს.

ჭალისოფელი ლალისაშვილები და ხუციანიძენი

სოფელი ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, მდ. ჭართლისხევის ნაპირას, ზ.დ. 1400 მ-ზე.

ზოგიერთ დოკუმენტში სოფელ ქართალად არის მოხსენიებული.

მის ერთ უბანს ხუციანთკარს (ხუციანს) ეძახდნენ.

1873 წლის აღწერით, იქ, ხუციანთკარის 10 კომლი სახლობდა.

1774 წელს ხუციანთკარის ერთი დიდი კომლი სარეკთუბანში იყო აღწერილი.

1926 წელს, ქალისოფელში დარეგისტრირდა 33 კომლი – 85 მამაკაცი და 110 ქალი, სულ 195 სული, ძირითადი გვარი – გუდაშვილი იყო.

ეთნოგრაფიული ცნობებით, აღნიშნული სოფლის ძირძველი მცხოვრებნი ლაღიაშვილები და ხუციანთკარი არიან; იმდენად ძველი, რომ ხევსურეთიდან ჩასახლებულ გიგაურებს იქ დახვედრიან.

ამ ორ დამხვედურ გვარს შორის მტრობა ყოფილა.

მერე, ლეკებს ამონყვევითა ხუციანთკარი.

გადმოცემის თანახმად, „ჩიტაურთ ვაჟები გამოკიდებიან მარბიელთ. ნაძარცვი წაურთმევთ და ხუციანთ ორსული რძალიც დაუხსნიათ“.

იმ ქალმა შობაო – ხუციანთკარა გვარის გამგრძელებელი.

ის ვაჟიც ჩიტაურებმა გაზარდეს.

მოღერებულმა ჭაბუკმა შემთხვევით მოკლა, მის გვართან, „ადრითვე“, მტრობაში მყოფი ლაღიაშვილების კაცი...

ჩიტაურებმა დამნაშავე წმინდა სამების სალოცავს, შეაფარეს და ლაღიაშვილთა გვარის უხუცესებს ამცნეს:

– გადანყვევთილება თქვენ მიიღეთო.

მეორე ვერსიის მიხედვით, ჩიტაურთა მოთხოვნა კატეგორიული ყოფილა:

– „სალოცავში შეფარებულ ბაღს რომ თბილმა პურმა, ან ცივმა წყალმა აწყინოს, თქვენი ბრალი იქნება და გიგაურების მტერმოურეველ გვართან გექნებათ საქმეო“.

ლაღიაშვილებმა მკვლელი შეინყაღეს.

იმ დღიდან ეს ორი გვარი დამოყვრდა.

დღესაც, ერთმანეთში ქალს არ ათხოვებენ.

არც გიგაურები და ლაღიაშვილები ქორწინდებიან ერთმანეთზე. მათ ნათელმირონი აკავშირებთ.

XVII ს-ის შუა წლებში, ლაღიაშვილები ქართლიდან ქსნის ხეობის სოფ. ალევში გადასახლდნენ, სადაც ლუნაშვილების გვარს მისცეს დასაბამი (ამიტომ არ ჩანან 1774 წელს აღწერაში).

მათი გადასახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა.

XVIII ს-ის ალევში ლუნაშვილების 4 კომლია აღწერილი.

ყარმაზანაშვილები და შიუკაშვილებიც ძირად ლაღიაშვილები არიან (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარების ისტორია“, ტ. I, გვ. 165-171).

არიან ოსი ლაღიაშვილებიც.

ეს გვარი ფერეიდანშიც მოიხსენიება.

1996 წელს, საქართველოში 1552 ლაღიაშვილი სახლობდა.

*

ხუციანთკარა და ლაღიაშვილების საგვარეულო სალოცავი ქალისოფლის „წმ. სანებაა“.

სოფელში გვიანდელი შუა საუკუნეებს „ტაშტის“ ეკლესია დგას (7,8X4,7 მ.). ნაგე-

ბია ნატეხი ქვით. აღმოსავლეთით და დასავლეთით – თითო სარკმელი აქვს. იატაკზე აგურია მოგებული.

სახურავის კეხის დასავლეთ კიდეში დადგმული აგურის სამრეკლო უფრო გვიანდელია.

სოფლის დასავლეთით (3 კმ-ზე), ხევის მარჯვენა ნაპირზე მდგარი „ბაურაყის“ ეკლესია IX-X სს თარიღდება. დარბაზულია (5,5X4,7 მ.); ნაგებია ფორმამიცემული ნატეხი ქვის სწორხაზოვანი რიგებით. საკმაოდ დაზიანებულია. დასავლეთის და სამხრეთის ფასადების მნიშვნელოვან ნაწილს – ფერდობიდან ჩამოზვავებული მინა ფარავს. სამხრეთის ფასადზე შემორჩენილია, კედლიდან შვერილი ქვებით გამოყვანილი, თარო, რომელზეც მინაშენის კამარა იყო დაყრდნობილი.

ჭალისოფლის მიმდებარედ კიდევე რამდენიმე საკულტო ნაგებობაა:

ე.წ. კარატეს ჯვარის შემადგენლობაში შედის: – დარბაზი, საქვაბე, საზარე, სასანთლე და „დროშათ საბრძანი“.

„დარბაზი“ – ფიქალით ნაშენი ნაგებობაა. სამი სხვადასხვა დანიშნულების სათავსისგან შედგება. გადახურულია თუნუქის ორფერდა სახურავით. კეხზე მცირე ზომის ლითონის გუმბათი ადგას.

საქვაბე – ფიქალით მშრალად ნაგები, წაგრძელებული ფორმის შენობაა. შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. სათავსში თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ჭურჭელი. გარედან, შენობის კედლების გასწვრივ, ქვის სკამებია მოწყობილი. გადახურულია თუნუქის ორფერდა სახურავით. ჩრდილოეთიდან – ფიქალით ნაგები, ორი პატარა კოშკისებრი ნაგებობა აკრავს: – ლითონის გუმბათიანი საზარე და „დროშათ საბრძანი“.

დასავლეთით, ასეთივე ზომის ნახევრად დანგრეული სასანთლეა (დ. ჯინჭარაძე, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

იახსრის ჯვარის შემადგენლობაში შედის: – დარბაზი, საქვაბე, საზარე და თამარის კოშკი.

დარბაზი ფიქალით ნაშენი, ოთხკუთხედი ნაგებობაა, რომელიც ორი სხვადასხვა დანიშნულების სათავსისგან შედგება. შუაში კერაა მოწყობილი; მის ირგვლივ ქვის სკამებია. კედლებში დატანებულია თახჩები.

საქვაბე – ასევე ფიქლის მშრალი წყობით ნაგები ოთხკუთხედი შენობაა. შიგნით აღმართულია ბოძი, რომელსაც ბრტყელი, ბანიანი გადახურვა ეყრდნობა. იქვე კერაა მოწყობილი. კედლების გასწვრივ განთავსებულია ხის სკამები.

საქვაბის სამხრეთით, საზარე დგას – ფიქლით ნაგები და საფეხუროვანი სახურავით გადახურული. ოთხკუთხა თამარის კოშკი – მთის ფერდობიდან გადმოგვყურებს.

შუბნურის წმ. გიორგის ჯვარის შემადგენლობაშია – სალუდე, დარბაზი და საზარე.

სალუდე – ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები შენობაა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ლუდის მოსახარში ლუმელია. აღმოსავლეთის კედლის მთელ სიგრძეზე – სიპი ქვის სკამებია მოწყობილი.

სალუდის უკან მდგარი დარბაზიც – ნატეხი ქვის მშრალი წყობით არის ნაგები. გრძივი კედლების მთელ სიგრძეზე – ქვის სკამები აქვს მოწყობილი. ჩრდილოეთის კედელში გაჭრილი კარი – საკოდეში, პატარა ბნელ სათავსოში გადის.

საზარე – რიყის ქვით ნაგებ სამ სვეტს წარმოადგენს – გადახურულია ორფერდა სახურავით.

მუგუდა

XVII-XVIII სს მუგუდაზე გადიოდა ქსნის ხეობის და მთიულეთის დამაკავშირებელი გზა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღნიშნული სოფლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

XVIII ს-ის 50-იან წლებში, იქ, დიდი შეტაკება მოხდა ქართლ-კახეთის სამეფო ლაშქარსა და ლეკთა რაზმს შორის.

ქართველებმა მტერი დაამარცხეს, მაგრამ სოფელი ძლიერ დაზარალდა.

1774 წლის აღწერით, მუგუდაში, გიგაურების 12 და სვანიძის – 1 კომლი სახლობდა. უფრო ადრე კი, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – კოტორაშვილებს, ციხელაშვილებს და ხარებაშვილებს (ძირად გიგაურებს) უცხოვრიათ. 1873 წლის შემდეგ ისინი ბუჩაანთკარში გადასახლდნენ.

1873 წელს, ამავე სოფელში, გიგაურების – 7, ციხელაშვილების – 5, ხარებაშვილების – 4 და კოტორაშვილების 3 კომლი აღწერეს (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 236).

1886 წელს, მუგუდაში 32 კომლი აღირიცხა (ციხელაშვილების – 7, კოტორაშვილების – 6, გიგაურების – 12, ხარებაშვილების – 5 და ჩოხელების 2), სულ – 120 მამაკაცი და 110 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1813).

მუგუდასა და ბუჩაანთკარში ერთად, 1926 წლის აღწერით – 49 კომლი დარეგისტრირდა; 127 მამაკაცი და 125 ქალი, სულ 252 სული, ძირითადი გვარები – სუმბათაშვილი და გიგაური იყო.

მუგუდას მოსახლეობა, საქართველოს სამხედრო გზის ზემოთ მდებარე ფერდობზე, სადაც ადრე მათი სახნავი მიწები იყო, სოფ. ხამუშა დააფუძნეს.

ძველ სამოსახლოში ორი-სამი კომლი დარჩა, დანარჩენები ხამუშას ჩამოსახლდნენ.

სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია.

მისგან აღმოსავლეთით (0,5 კმ-ზე), მდ. ხადისწყლის მარჯვენა ნაპირას მდებარე მინდორზე, კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია (5,5X4,7-ზე მ.) დგას. განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. ძლიერ დაზიანებულია. კედლები მხოლოდ 2 მ-ის სიმაღლეზე აქვს შემორჩენილი. გადახურვის ქვაზე, გარედან, ამოკვეთილია ნახევარწრიული ტიმპანი, რომლის შუაშიც ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული.

სამხრეთით (0,8 კმ-ზე), მაღალ მთაზე მდებარე ზურგიანი კოშკი, თითქმის, მთლიანად დანგრეულია. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. შემორჩენილი აქვს აღმოსავლეთის სწორი კედელი (სიმ. 6 მ.) და ჩრდილოეთის კედლის მცირე ნაწილი.

ჩრდილო-აღმოსავლეთით (0,5 კმ-ზე), განვითარებული შუა საუკუნეების ყოვლანმინდის ეკლესია დგას (5,4X4 მ.). ნაგებია ტლანქად დამუშავებული ქვით. ძლიერ დაზიანებულია. ჩამოშლილი აქვს გადახურვა და კედლების საპირე წყობა. მთლიანად დანგრეულია სამხრეთით მდებარე გვიანდელი მინაშენი.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით (0,4 კმ-ზე) მდებარე ტყიან გორაზე, შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაში

შედის: – ეკლესია, კოშკი, გაურკვეველი ნაგებობის ნანგრევები და გალავანი.

ეკლესია (8X3,5 მ) დარბაზულია – გალავნით შემოფარგლული ეზოს (დაახ. 300 კვ.მ-ის) ცენტრში დგას. ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი. ძლიერ დაზიანებულია. აფსიდის სამხრეთით მოხატულობის ფრაგმენტებია შემორჩენილი. სამხრეთიდან – მოკლე მინაშენი ეკვრის, რომელიც მთლიანად დანგრეულია.

ზურგიანი კოშკი – გალავნის დასავლეთ ნაწილშია ჩართული. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სართული.

გალავანის ჩრდილოეთით, საისრეებით აღჭურვილი ვიწრო შესასვლელია მოწყობილი.

ბუჩანთკარი

სოფელი არაგვის ხეობის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ფასანაურის ქვემოთ (8 კმ-ზე).

ადრე – კოლოტა ერქვა. დღეს, ამ სახელს ბუჩანთკარის ცენტრში მდებარე შემალღებულ ადგილს უწოდებენ.

ძირითადად, გიგაურებით იყო დასახლებული.

ახალი სახელწოდება XIX-XX სს მიჯნაზე მიიღო.

1774 წელს – გიგაურების 9; ფოცხვერასშვილის, გვრიტიძის, დავითურის, სეთურიძის, ნაზლაიძის და მამულაიძის – თითო-თითო კომლი სახლობდა.

სოფლის აღმოსავლეთით (400 მ-ზე), მშრალი ხევის ორივე მხარეს მოწყობილ ტერასებზე – ძველი ნამოსახლარია, რომელიც XIX ს განეკუთვნება.

ადრე, იქ, ბუჩაშვილებს (ძირად გიგაურებს) უცხოვრიათ. 1873 წლიდან, მუგუდელმა კოტორაშვილებმა, ციხელაშვილებმა და ხარებაშვილებმა (ასევე ძირად გიგაურებმა) დაიწყეს დასახლება. ბუჩაშვილები, დუშეთის მახლობლად გადასახლდნენ და სოფ. ბუჩაანი დააფუძნეს.

მათი საგვარეულო სალოცავი, ქართალში მდებარე, „მთავარანგელოზი წმინდა გიორგია“.

სოფლის „შემოგარენი“ საკმაოდ მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით:

აღმოსავლეთით (1 კმ-ზე), მთის ციცაბო კალთაზე, გვიანდელი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (6,4X4,5 მ.) დგას. ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვის ირეგულარული წყობით. ძლიერ დაზიანებულია. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ფერდობშია შეჭრილი.

ჩრდილოეთით (0,2 კმ-ზე), მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირას, მკვეთრად დაქანებულ კლდოვან ფერდობზე მდგარი ეკლესია (8,4X6 მ.) – X ს განეკუთვნება. მოზრდილი ფორმის ფიქლით და კლდის ნატეხი ქვით არის ნაგები. აღმოსავლეთით რელიეფშია შეჭრილი. ძლიერ დაზიანებულია. აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელი აქვს, რომელიც ძალიან მაღლაა „ატანილი“ (კონქის ფარგლებშია მოქცეული). ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ჩრდილოეთის მხრიდან ვიწრო მინაშენი

ეკვრის, რომელიც მიწით და ნანგრევებით არის დაფარული.

სოფლიდან სამხრეთით (არაგვის მარცხენა მხარეს), ტყით დაფარული მაღალი მთის წვერზე – მზენვერის წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, ორი სწორკუთხა ნაგებობა და ერთმანეთზე მიშენებული სამი სხვადასხვა ზომის სადგომი.

კომპლექსის მთავარ ნაგებობას, IX-X სს წმინდა გიორგის ეკლესიას, ერთიანი, ვიწრო გარშემოსავლელი ეკვრის (13,3X12 მ.).

სალოცავის მხატვრობა XII-XIII სს განეკუთვნება:

„საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია ვედრების რთული რედაქცია. აფსიდის ქვემოთა რეგისტრში გამოსახულია რვა წმინდა მამის ფრონტალური ფიგურა, რომელთა შორის განთავსებულია ანთებულსანთლებიანი ორი შანდალი.

დანარჩენ სამ კედელზე ფრაგმენტულად შემორჩენილი მოხატულობა ორ რეგისტრადაა წარმოდგენილი:

სამხრეთის კედლის ზედა რეგისტრის დასავლეთ ნაწილში – მაცხოვრის იერუსალიმში შესვლაა გამოსახული; ქვედა რეგისტრის აღმოსავლეთ ნაწილში – ნათლისღება; დასავლეთში – ფერისცვალება.

დასავლეთის კედლის ზედა რეგისტრის სამხრეთ ნაწილში – ლაზარეს აღდგინება; ჩრდილოეთში – მირქმა; ამავე კედლის ქვედა რეგისტრის სამხრეთ ნაწილში – წმინდა გიორგის ციური კურთხევა; ჩრდილოეთ ნაწილში – სულიწმინდის მოფენა.

ჩრდილოეთის კედლის ქვედა რეგისტრის დასავლეთ ნაწილში – ღვთისმშობლის მიძინება; აღმოსავლეთ ნაწილში წარმოდგენილია საერო პირი, რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს (აღბათ მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, რომელიც „შიდა მთიულეთს“ ფლობდა, 1191-1205/8 წ.წ.).

პილასტრებზე – ცალკე მდგომი ფიგურების ფრაგმენტებია.

საკურთხეველში და კედლებზე მოხატულობის ქვემოთა საზღვარი გამოყოფილია ფართო დეკორატიული ზოლით, რომლის ქვემოთ, იატაკის დონემდე, კედლის სიბრტყეთა დარჩენილი ნაწილები – დაფარულია ტეხილი ხაზებით შედგენილი პანელით.

ფერთა გამაში ჭარბობს წითელი, ცისფერი და ფორთოხლისფერი – კამკაშა, ნათელი ტონები. სახეთა დამუშავებაში გამოყენებულია ვარდისფერი, რომელიც მოდელირებულია მომწვანო ტონებით.

ზოგიერთ კომპოზიციაზე შემორჩენილია (შავი საღებავით შესრულებული) ასომთავრული წარწერა. ორზე (მირქმა და ღვთისმშობლის მიძინება) – წარწერები ნუსხურია, რომლებშიც ასომთავრული გრაფემებია ჩართული“ (თ. დვალი, კ. წერეთელი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2008 წ.).

ბუჩაანთკარის ჩრდილო-დასავლეთით (2 კმ-ზე) მდგარი „ჩრდილის ეკლესია“, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია (8,5X5,6 მ.). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: – ჩამოქცეული აქვს კამარა და კონქი; მონგრეულია კედლების ზემოთა ნაწილები. დასავლეთიდან გვიანდელი მინაშენი ეკვრის, რომელიც ასევე დანგრეულია.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალი მთის წვერზე, მთიულეთიდან ფშავში გადასასვლელ გზაზე, „მთავართას“ ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაშია: – წმ. გიორგის ეკლესია, რამდენიმე საცხოვრე-

ბელი და სამეურნეო დანიშნულების შენობა.

ძძლავრი გალავნით შემოვლებულ ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობები ორ ჯგუფად არის განლაგებული:

ერთში, ეზოს შუაგულში მდებარე ეკლესია და მასზე მიდგმული შენობებია; მეორეში, ეზოს ჩრდილო-დასავლეთით მდგარი ორსართულიანი საცხოვრებელი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ოროთახიანი ნაგებობა ეკვრის.

კომპლექსი, თითქმის, ნანგრევებად არის ქცეული.

სოფლის ჩრდილოეთით (200 მ-ზე), ტყიან ფერდობზე მდგარი მერეს (მერის) ციხე, განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ვახტანგ გორგასალის მიერ არის აგებული.

ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად, „ვილაც მერის“ კუთვნილება იყო.

„მისი პატრონი შესაძლებელია არტანუჯიდან ყოფილიყო შემოხიზნული, სადაც მერის მონასტერი არსებობდა“ (ს. მაკალათია).

ციხის მიმდებარე ტოპონიმებზე დაყრდნობით, გ. ხორნაული ვარაუდობს, რომ მისი სახელწოდება – ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვიდან, „მერედან“, მოდის და, მისი ნათესაობითი ბრუნვის – ქალის სახელთან შემთხვევითი დამთხვევის გამო მოხდა – მისი სახელდების ტრანსფორმაცია.

გადმოცემის თანახმად, იქ, თავდაპირველად, მხოლოდ ზურგიანი კოშკი მდგარა. მერე, XVIII ს-ის II ნახევარში, ბარიდან ამოსულ ერთ-ერთ ფეოდალს, ჯერ კოშკის ქვემოთ მდებარე ფერდობის ნაწილი შემოუზღუდავს – მაღალი გალავნით, მოგვიანებით კი, მთელი ხეობა ხელთ უგდია და ადგილობრივ მოსახლეობაზე გაბატონებულა.

მთიელები ვერ შეგუებიან ფეოდალის თვითნებობას და ხევსურების დახმარებით – განუდევნიათ იგი.

მას შემდეგ, მერეს ციხე – ჭართლის და ვაშლობის თემების დაცვას ემსახურებოდა.

ამჟამად შემორჩენილია მისი ზურგიანი კოშკი, მცირე სამლოცველო, რამდენიმე ნაგებობის ნაშთი და გალავანი.

კოშკი (10,5X8 მ.) – რვასართულიანია (სიმ. 19 მ.), ნატეხი ქვით ნაგები; სწორი კედლით ხეობისკენ არის მიმართული.

სამლოცველო (8 კვ.მ.) – კოშკს აღმოსავლეთიდან ეკვრის. ფორმით სამკუთხედს წააგავს. კოშკსა და მასზე მიშენებულ გალავანს შორის არის მოქცეული.

გიგაურები

„თბილისიდან ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე, ფშავის ხეობას ორწყალთან რომ ავცდებით, იქ სადაც დათვისის წყალი არაგვს უერთდება, მივადგებით ხეობიდან ოდნავ შემალლებულ პატარა მინდორს, რომელსაც დღესაც „გიგაურთ ველს“ ეძახიან; ადრე იქ სახნავ-სათესი მიწები იყო; კარგა ხანია გაყამირდა; ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარს უკავია გზისძირობა.“

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ერთ დროს იქ გიგაურების ძლიერი გვარი იდგა. მათ ნასახლარზე ჯერ ბაცალიგოდან გადმოსული გორელაური დასახლებულა, შემდეგ არაბულები.

„ორივე ეს გვარი შემდგომში დიდი ამბით ხვდებოდა მამა-პაპათა სალოცავში დღეობებზე მისულ გიგაურებს: ხეობის ბოლოს, ველზე ეგებებოდნენ საგანგებოდ ნადუღარი ლუდითა და თაფლით სავსე ჯამით. ასე გრძელდებოდა მანამ გიგაურებმა იქ სიარული არ მიატოვეს. ისინი დაახლოებით ოთხასი წლის წინ აიყარნენ, მინდორს კი, დღესაც გიგაურების სახელი შემორჩა. ამ ადგილას, სადაც „ადრე დროშათ საბრძანისი და მცირე სალოცავი ნიში იდგა, გამოდიოდნენ თავადი მთავარანგელოზის ჯვრის ყმები, აღზევებული გველეთელ-დათვისელი გიგაურები და გზას უკეტავდნენ ფშაველ-ხევსურთ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1992 წ. გვ. 53).

ხალხური მეხსიერების თანახმად, ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ შერისხული გიგაურების ნასოფლარები (დათვისი, გველეთი და მონამო) ბაცალიგოდან ჩამოსახლებულმა არაბულეებმა დაიკავეს. სოფ. წინაკარში კი – გიგაურების აყრის შემდეგ, გიორგიწმინდელი ძმები, გოგოჭურები, ჩამოსახლდნენ – მიგრის თაოსნობით. მისგან წარმოსდგა მიგრიაულების გვარი და სოფელი მიგრიაულთა (ირ. გოგოლაური, ძირითადი გზამკვლევი – „ძირხატი“, „პირიმზე“ №2).

გველეთელი გიგაურები – სამხარაულთა თემ-საგვარეულოს მოპირდაპირედ სახლობდნენ. მათ მომიჯნეთ კი, ქისტეთიდან ლტოლვილი სანაგის ჩამომავლობა დამკვიდრდა – მანამდე დაუსახლებელ ადგილას, გუდელას (დღევანდელი ბარისახოს) ადგილსამყოფელში.

ს. მაკალათიას ცნობით, „გიგაურთ წინაპარი“ ზვიადური იყო.

როგორც პოეტი გიორგი გიგაური გვამცნობს: – ხევსურეთში სამი ძმა ყოფილა: – გიგა, თეთრა და ნონკა; გიგამ – გიგაურების გვარი აწარმოა და სოფელ ბლოში დასახლდა; თეთრა – სოფელ ჭიმლაში, ხოლო ნონკა, რომელმაც ნონკოლაურების გვარი აწარმოა, საცხოვრებლად ფშავის ხეობაში გადავიდა.

განსხვავებული ვერსიის თანახმად, ოთხი ხევსური ძმიდან (გიგა, თეთრა, ზვიადი და ნონკა) – გიგაურების წინაპარი, გიგა – ბლოში დასახლდა; ზვიადურების წინაპარი, ზვიადი – არდოტში; ნონკოლაურების წინაპარი, ნონკა – ფშავის სოფ. მუქოში; თეთრამ საცხოვრებლად სოფ. ჭიმლა აირჩია და მისგან თეთრაულების გვარი წარმოსდგა.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, „ჭართლელი გიგაურები ხევსურეთიდან გადასახლებას ზურაბ არაგვის ერისთავს უკავშირებენ. ასეთივე გადმოცემები დასტურდება ხევსურეთში, რომელთა მიხედვით, მათი ერთ-ერთი წინაპარი, ვინმე გაგა გიგაური, ზურაბ არაგვის ერისთავს ეხმარებოდა ხევსურეთის დამორჩილებაში. ზურაბის მარცხს მოჰყვა, გაგა გიგაურისა და მისი გვარის წარმომადგენელთა ჭართალში გადასახლება. რა თქმა უნდა, დათვისელ და გველეთელ გიგაურებს სხვა არჩევანი აღარ ჰქონდათ: – თუ არ გადასახლდებოდნენ, ისინი ხევსურული თემებისგან მოიკვეთებოდნენ“.

ციტირებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ და ირ. გოგოლაურის, ალბათ, უფრო საფუძვლიანი ვერსიით, გიგაურები ხევსურეთიდან თემის სასჯელს არ გამოქცევინან, პირიქით – ბუჩუკურების, სამხარაულების და სხვათა მსგავსად – ისინიც მსხვერპლნი გახდნენ ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობებისა.

ამას გიგაურების მიერ მეფე ერეკლე II-ის ძის, გიორგი ბატონიშვილისადმი წარდგენილი დოკუმენტიც ადასტურებს:

„ყმაც თქვენი ვართ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმთავითვე დათვის-გველეთი და წინკარი (ეხლანდელი მიგრიულთა) ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ აგვეყარა, ის მამული იქაც გაოხრდა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ფშავში გაიზარდა. ჯერ ღმერთსა ვფიცავ და მერე თქვენ მზესა, რომ იმ თავით ამ თავამდინ ამ ობოლთან განუყრელნი გახლავართ. მამულიც, ხატიც ყველა საერთო გვაქვს. დღეს ადგილი ნათხოვრათა გვაქვს. ყმა თქვენი ვარ, ისევ ჩემს სამკვიდრო მამულს უნდა მოვეჭიდო. ფშავნი სულ იმისაკენ არიან, ხადილასაც ამათ თქვენი მზე აფიცეთ, თუ რამ არ შემიფიცავს, ესენი მოგახსენებენ“ (1794 წ. 21 სექტემბერი).

წარმოდგენილი არზა დასტურია იმისა, რომ გიგაურები ფშავიდან თანამოდმეთა სასჯელს კი არ გამოექცნენ, ისინიც – ზურაბმა „აყარა“.

ზურაბის მიერ გიგაურების აყრა-გადასახლების ამბავს ვალ. ითონიშვილიც ეჭვქვეშ აყენებს და მათ თავისი ნებით გადასახლებულებად მიიჩნევს.

აღნიშნული, ირ. გოგოლაურის აზრით, ბლოდან ჩამოსახლებულ გიგაურთა მიმართ – სწორი ვარაუდია, დანარჩენი გიგაურების მიმართ კი – არა. სოფ. ბლო გიგაურებით ზურაბ ერისთავის ლაშქრობების შემდეგ (და შედეგად) დასახლდა. იქ რომ გიგაურები მისულები და არა აბორიგენები არიან, ამას ა. შანიძეც ადასტურებს (ირ. გოგოლაური, „ხევსურეთში მდგომ გიგაურთა და სხვა გვართა შესახებ“, „პირიმზე“ №6).

გიგაურთ გვარი ისტორიულ წყაროებში პირველად 1391 წელს მოიხსენიება – მეფე ალექსანდრეს მიერ სვეტიცხოვლისადმი მიცემულ წყალობის წიგნში.

XVIII ს-ში ისინი უკვე ქართლის მკვიდრნი არიან და, იქ, 1774 წელს აღწერილ ოთხივე სოფელში სახლობენ: – სარეკთუბანში 4 კომლი; ზენუბანში და კოლოტას 9-9; მუგუდაში – 12; სულ 34 კომლი (275 სული).

ამავე პერიოდში, ზემოაღნიშნულ სოფლებში მკვიდრობენ ისეთი გვარებიც, რომლებიც ძირად გიგაურები არიან და თავს მათ განაყრებად მიიჩნევენ. კერძოდ: – ჩიტაურები და ბულალაურები; ძირად გიგაურობას ამბობენ, სოფ. ზენუბანში მცხოვრები ჯიქურებიც; გიგაურებიდან მოდიან – ციხელაშვილები, შალვაშვილები, ხარებაშვილები, გუდაშვილები, გოგიშვილები, კოტორაშვილები, პაპიაშვილები და სხვ.

ხევსურეთიდან ქართალში გადმოსახლებულ ერთ გიგაურს, გადმოცემის თანახმად, 9 ვაჟი შესძენია და თითოეულს – სხვადასხვა გვარისათვის მიუცია დასაბამი.

ზოგი ეთნოგრაფიული ცნობა ეჭვქვეშ აყენებს რამდენიმე გვარის გიგაურობას: – კოტორაშვილებს – მაღაროსკარიდან მოსულებადაც მიიჩნევენ; მავანი, გიგაურებად არ თვლის – მამულაშვილებს, რომლებიც ქსნის ხეობიდან არიან მოსულები, მაგრამ, უფრო ადრე, მათი წინაპარი ქართლიდან ყოფილა იქ გადასახლებული.

ერთი ვერსიის თანახმად: – ქართლელი გიგაურები სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები არიან და, მოგვიანებით, ღვთისმშობლის ხატში შემდგარან ერთ გვარზე.

ერთმანეთისთვის ძმობა შეუფიცავთ და გიგაურებად დაწერილან.

„ნაფიცრობით არიანო ისინი ძმურად გაფიცულნი“.

„ყოფილა ფიცი და ვისაც ის გაუტეხია, მოუყვანიებიათ ხარი და დაუკვლევინებიათ.“

„ეგ ხეები ყოფილან მოწმადა, როცა მუგუდა-ბუჩანთკარს, ქალისოფელს, ჩიტაურთას, ზენუბანსა და სონდას – ხმალზე დაუფიცნია.“

„თავმოჭრილიც იმას ვიძახით და თავმოუჭრელიცა რო ჩვენ ერთურთის ქალ-“

ნაქვერვალნი რძალი არ გვეკუთვნის“.

*

გიგაურების ძირხატი ლაშარის ჯვარია, იგივე მუხის (ბერმუხის) გიორგის (ხმელ-გორაზე დაბრძანებულის) სალოცავი.

ბლოელი გიგაურების სათემო სალოცავია – მთავარანგელოზი.

ჭართლელი გიგაურებისა – დედალვთიშობელი.

მიგრაციული პროცესების დროს, მათ თან მიჰქონდათ როგორც სათემო, ისე სატომო (ლაშარის) სალოცავის ნიშები.

ლაშარობას, ფშავშიც დადიოდნენ სალოცავად.

გადმოცემის თანახმად, გიგაურების ერთ-ერთი წინაპარი, ლაშა გიორგის (ლაშარის ჯვარის დამფუძნებლის) უერთგულესი მსახური ყოფილა.

მიცვალებული მეფის კუბოს მან, თურმე, საკუთარი ხანჯალი დააბჯინა, წამოეცვა და ზედ დააკვდა თავის პატრონს.

ეს „ფაქტი“ განსაკუთრებით ავალდებულებსო გიგაურებს – ლაშარის ყმობას.

*

ცნობილი ფაქტია, რომ საგვარეულო ხატობის დროს, ჭართლელი გიგაურები – „სამღვთო გამოსაღებს“ ე.წ. „საგიგაუროს“ – ჭართლიდან მცხეთამდე მცხოვრებ გიგაურებში აგროვებდნენ.

ეს ადათი ერთგვარად ჰკრავდა გიგაურთა ძველ თემს, გიგაურთა დიდ გვარს და მისგან შტონაყარ ათეულობით საგვარეულოს – სოციალურ ერთობას უნარჩუნებდა. (რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ. გვ. 46-49).

*

გიგაურები და გიგაურყოფილნი, დღეს, მთელ საქართველოში ცხოვრობენ.

საინტერესო ისტორია აქვს რამდენიმე მათ შტონაყარ გვარს:

გადმოცემის თანახმად, შალვაშვილების სოფელს მტერი დასცემია: – „სახლები დაუნვათ; შიგ ხალხიც მოჰყოლია... ერთ დედაკაცს კი გაუსწრია, მაგრამ აკვანი დამრჩალა შინ... იმ სახლში რო მტერი შესულა, ბელადს თავისი ნათლული ამოუცნია – მისივე ხელით დაკეთებული, ჭერიანი და ჭოჭიანი ქალმებით – რომლებიც აკვანზე ეკიდა. ნათლია გადაფარებია, თურმე, ნათლულს, მაგრამ ლეკს დაუსწრია და ხანჯალი თვალში უტაკებია ბაღლისთვის...“

ლეკთა ბელადი დაღესტანში გადახვენილი ქართველი ყოფილა. „ნათლიდედა მოუნახავს და შეწუხებულს უთქვამს: – ბაღლი გადავარჩინე, მაგრამ თვალის ამოთხრა დამასწრესო“...

„იმ ბაღლს ქვივნებია შალვაი.“

მთხრობელის თანახმად: – „იმაზე მოვდივართ და იმიტომ დაგვექვივნა ჩვენ შალვაშვილები. ისე გორად გიგაურები და ძირად ხევსურები ვართ“.

*

როგორც ჭალისოფელში, „გუდაანთ ფერდობზე“, მცხოვრები გუდაშვილები გვამც-

ნობენ – გიგაურთ გვარის სამი ხევსური ძმა წამოსულა სოფ. ბლოდან ქართალში. ერთი მუგუდას დასახლებულა, მეორე – „ჩიტაურებს“, მესამე – ქალისოფელში. მერე, ერთად შეკრებილან და „უთქომთ“:

- ჩვენაც ხო გვი აქ ხატები, წავიდეთ ჩვენ ადგილში (ბლოს) და წამავიტანოთო;
- ვინ წამავიტანებსო?
- დავიპარათავო!

წასულან და დაუპარავთ. ერთი გუდა ხატებით გაუვსიათ და წამოუღიათ.

„რიგრიგობით მააქვთ, თურმე, ის გუდა სამ ძმას.“

„ჩვენი (გუდაშვილების) პაპა, რია კაცი ყოფილა, იმას რო მიერგება – გუდა, თურმე, კოჭებზე სცემს. ვინაც შეხვდება, იძახიან: – ეს კაცი გუდას ხელაო და დაუძახეს გუდას შვილი.“

„იმ გიგაურ ძმაზე მოვდივართო გუდაშვილები“.

*

გ. ხორნაულის მთხრობელი, ბესო გიგაური, სიჯანაშვილების (ძირად გიგაურების) გვართან დაკავშირებით შემდეგს გვამცნობს: –

„ჩვენ მოსულები ვართ ბაკურხევიდანა, სიჯანანიდანა. წინათ სიჯანაშვილობაზე ვინერებოდით. სიჯანაი ქვივნებულა ჩვენ წინაპარსა...“ („მთები და სახელები“, 1983 წ. გვ. 148).

*

ქართლელი გიგაურების ერთი მამაშვილობა დედაგვარს დასცილებია, „ცალკე გასულა“, და გოგიშვილებად (გოგიას შვილებად) დაწერილან.

იმ გოგიას ბევრი საგმირო საქმე ჰქონია ჩადენილი.

*

დღეს გიგაურების 50-მდე შტონაყარ გვარს ითვლიან.

მათ შორის არიან: –

ქსნის ხეობელი ცინარიძეები; თიანელი მეჭიაურები; ფშაველი წონკოლაურები და ანთაურები; მესტუმრეები, ხუციშვილები, ბაბულაშვილები, ჯღლანტიაშვილები, ქადაგიშვილები, მაზარაშვილები; გაბრიელაშვილები, თათარაშვილები, ჭოხურები, ჩაჩაურები...

ძირად ქართლელი გიგაურები არიან: – ფერხულები, ეთვალისელი ჩანადირები, ღანიაშვილები და მელინკაურები; მისაქციელელი მახარაშვილები; არღუნელი მერაბიშვილები;

ადრე გიგაურები ყოფილან ახალგორელი გათენაშვილები და არაგვისპირელი თათიკიშვილები;

გიგაურთა შტონაყარია ყარსიმაშვილების გვარი;

ძირად გიგაურები არიან არაგვისპირელი ჯიქურაულები (ადრე, ჯიქურები).

გიგაურებიდან მოდის არღუნელი ჯანგირაშვილების ნაწილი (ზოგი მათგანი პავლეურიდან გადმოსახლებული პეტრიაშვილის შთამომავალია).

სოფ. ქადაგიანებში მცხოვრები ქადაგიძეებიც – ქართლიდან გადმოსახლებული გიგაურები არიან.

გიგაურები ყოფილან დუშელი პირმისაშვილები; ზემო ბულაჩაურში მოსახლე კავთელიშვილები; სოფ. ყვავილში მცხოვრები სალირაშვილები; ქსოვრისელი ლოხიშვილები და ნილკნელი ლაშაურები.

სოფ. იკოთში მცხოვრები გიგაურების განაყრები არიან თორელაშვილები, მანი-აშვილები, მამამთავრიშვილები, როსტეფანიშვილები, გიგნიაშვილები, ჩიტაშვილები... ძირად გიგაურები არიან ფრიდონაშვილებიც;

გიგაურები ყოფილან ნანიაშვილები (ზემო აშში ისინი საგურამოდან მისულან).

ორივე ეს გვარი „საგიგაუროს“ იხდიდა.

საგიგაუროს იხდიდნენ ვეძათხევში მცხოვრები ქაფიაშვილები და ქაისხეველი ნამგალაურებიც.

*

XVIII–XIX სს მიჯნაზე გიგაურები („ჩეკიენი“) – ხევშიც დასახლდნენ. მისვლისას, გვარი დაუფარავთ და ჩეკიაშვილებად დანერილან.

1831, 1860, 1886 წ.წ. აღწერებით სტეფანწმინდაში მოხსენებული ჩეკიაშვილები – მოხევე გიგაურების წინაპრები არიან.

საკუთარი გვარი მათ მოგვიანებით აღიდგინეს...

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, გიგაურთ კაცები – წარმოსადგენი, ტანიან-ჯანიანი და ძლიერნი ყოფილან.

მათი ჩამომავალი იყო გოლიათი – გიორგი სააკაძე.

მწერალ გ. შატბერაშვილის ცნობით, სააკაძეობა მან მაშინ დაირქვა, როცა უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული (თხზულებანი, ტ. IV, გვ. 15, 1975 წ.).

ალბათ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ეთნოგრაფები თვლიან, რომ: – ხევსურეთიდან XVII საუკუნეში აყრილი გიგაურების ნოსტე-ახალციხე-კასპის რაიონში ჩასახლება, შემთხვევითი არ იყო – ისინი თავიანთ ბარელ თანამოძმეებთან დასახლდნენ.

გოლიათური აღნაგობის ყოფილა გიგა გიგაურიც. გადმოცემის თანახმად, მას „კისერში სამჯერ განასკვული – ვერძის რქასავით დაგრეხილი უღვაში და შვიდმტკაველიანი ცელი“ ჰქონდა; მთავარანგელოზის ჯვრის ხევისბერი, თემის უფროსი და მთელ ფხოვეში განთქმული პიროვნება იყო; ვაჟკაცობაში, კაც-შუაკაცობაში, მთიბელ-მამკალში ტოლს არავის უდებდა; შიშის ზარს სცემდა არაგვის ხეობას; ბოლოჯამს, ისე გათავმეტდა და აღზევდა, რომ არაგვის ხეობის ბატონ-პატრონობა მოინდომა.

„ბლოელ ყოფილა გიგაი,
უსაურ მეომარია,
ხმლითა სჭერია ადგილი,
მტრისგან სდგომია ძალია...“

გიგაურებთან ძმად შეფიცული ქისტი სანაგის შთამომავლების, სამხარაულების გვარის და გიგა გიგაურის – გუდელა-გველეთის მიდამოებში მეზობლობა-მეგობრობაზე გვამცნობს – ფშაველი ქალის „ხმით ნატირალი“:

„მემრ წაედ, გიგას დეეკითხეო, ახოს სანაგის მემიჯნესაო,
წაიქცნენ რიგნი ახოჩიგაო, სანაგის სანაგმ დაიძინაო,
დროშათ ქვე ვინალ აგვიბემდაო, ხმალას წითლითა ატლასისთაო,
ლაშქართ ქვე ვინალ შაგვიყრიდაო, გიგაურ-სამხარაულისთაო,
მუხრან ქვე ვინალ დაღბელრევდაო, მინდორსა სისხლით შეღებულსაო?“

„ნატირალის“ თანახმად, გიგა გიგაური – ახოში (ბარისახოში) მცხოვრები სანაგის მემიჯნე (მეზობელი) ყოფილა. ცნობილ ვაჟკაცს – სანაგის შვილ სანაგს კი, გიგაურების და სამხარაულების ლაშქრით – მუხრანი „დაუბეგრავს“.

ფხოველთაგან მუხრანის დალაშქვრა, XVI ს-ის 60-იან წლებში მოხდა. თუ ამ ლაშქრობაში სამხარაულები და გიგაურები, მართლაც, მონაწილეობდნენ – მაშინ უკვე საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო მათი თემი.

XVII საუკუნის სახალხო გმირი, ბერდია მამუკაური (გიგაური), სოფ. ბლოში სახლობდა. სახელი მან, „თავის მოკლია ხმლით“ – არაგვის ერისთავების და მათი მოურავის, შიოლა ლუდუშაურის, წინააღმდეგ ბრძოლით გაითქვა:

„საკარგემო დადგეს ხევსურთა: შიოლას ვინ სცემს ფარზედა?
– შიოლას ბლოელ ბერდიამ შამუარ მარჯვენაზედა;
მოკლიამ გაიპრიალა, შუქნ გადიყარნეს მთაზედა;
მოკლიამ ჩამააცვითა, სისხლი განითდა ტანზედა,
შიოლა განითლებული განირა ხევის წყალზედა...“

იმ „შვიდ ხევსურს“ შორის, რომლებიც მეფე ერეკლეს ასპინძის ბრძოლაში ახლდნენ – ერთ-ერთი, ბლოელი გოლიათი – აბა ბატურას ძე გიგაური (ბიტურათ აბა, ბიტურაული) იყო. შვიდივე საარაკო სიქველით და შემართებით იბრძოდა. იბრძოდნენ საკუთარ მიწაზე, საკუთარი ცის ქვეშ, საკუთარი ქვეყნის დასახსნელად (ლ. სანიკიძე).

1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც თბილისის თავზე უკვე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებდა – დარიალის ხეობაში ჩასაფრებული ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი, წმინდა გიორგის 4 საბრძოლო ორდენის კავალერის, ნიკო გიგაურის, მეთაურობით – ჯერ კიდევ თავგანწირვით ებრძოდა ჩრდილოეთიდან მომხდურ წითელ არმიას. საბრძოლო პოზიციები მათ მხოლოდ მაშინ დათმეს, როცა გაიგეს, რომ თბილისში ყველაფერი დამთავრდა.

გიგაურთ გვარის სხვა ბევრმა წარმომადგენელმაც დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი (გიგო) გიგაური – 165 სამეცნიერო ნაშრომის, 12 მონოგრაფიის და 3 სახელმძღვანელოს ავტორია; მუშაობდა საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ. მისი ბიოგრაფია შესულია აშშ-ს ბიოგრაფიის ინსტიტუტისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოჩენილ პიროვნებათა ცნობარში.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვლადიმერი (ვოვა) გიგაური – მოღვაწეობდა მოს-

კოვში. იყო კლინიკური და ექსპერიმენტალური ქირურგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური განყოფილების ხელმძღვანელი. მინიჭებული ჰქონდა რუსეთის ფედერაციის დამსახურებული გამომგონებლის ნობელი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დავით გიგაური საქართველოს სატყეო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პოეტი გიორგი გიგაური – ვაჟა-ფშაველას და შალვა დადიანის პრემიების ლაურეატი გახლდათ.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, გივი (გიგო) გიგაური – მრავალმხრივი შემოქმედი იყო (კინომხატვრობა, თეატრალურ-დეკორაციული, მონუმენტური და გამოყენებითი ხელოვნება, ნიგნის გრაფიკა). აქტიურად მოღვაწეობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“: – გაკეთებული აქვს „მაგდანას ლურჯას“ კოსტუმების მხატვრობა (კანის, 1956 წ. და ედინბურგის 1957 წ. ფესტივალების ოქროს პრიზი); დამდგმელი მხატვარი იყო ფილმებისა: „მაია ნყნეთელი“, „დღე პირველი დღე უკანასკნელი“, „მინა, რომელზეც ჩვენ ვდგავართ“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „მეზობლები“, „განთიადი“, „როცა აყვავდა ნუში“, „საფეხური“, „გასეირნება თბილისში“, „მგლის ლეკვები“; „მშობლიურო ჩემო მინავ, ანუ „რაიკომის მდივანი“, „რომანის ბოლო თვე“, „დონ-კიხოტი“ (სამივე ზ. მეძმარიაშვილთან ერთად); „ჩაკლული სული“, „ენკი-ბენკი“ და სხვ.

მისმა ბევრმა ფილმმა მოიპოვა საყოველთაო აღიარება და მაღალი ჯილდო:

„ბაში-აჩუკი“ (ოქროს მედალი ახალგაზრდობის და სტუდენტთა მოსკოვის 1956 წ. ფესტივალზე);

„სხვისი შვილები“ (პრიზი საუკეთესო სახვითი გაფორმებისათვის, ლონდონი, 1960 წ.);

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (პირველი ხარისხის დიპლომი ბრატისლავაში, 1964 წ.);

„ქორწილი“ – (პრიზი ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების 1964 წლის ფესტივალზე);

„ქოლგა“ („ოქროს დრაკონი“, 1965 წ.)...

მრავალმხრივი შემოქმედი იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თსსა-ს მინა-კერამიკის კათედრის გამგე, პროფესორი, თეიმურაზ (თენგიზ) გიგაური (ქანდაკება, კერამიკა, გრაფიკა, ქედურობა, მხატვრული მინა).

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში შექმნა მან ვახტანგ გორგასალის ცნობილი ქანდაკება, რომელიც თავისი მანერით და სტილიზებული ფორმით, საუკეთესოთა შორისაც გამორჩეული იყო, 1958 წელს გამართულ კონკურსზე – მეტეხის ხიდთან დასადგმელ ნამუშევართა შორის (დაჯილდოვდა ჟიურის წამახალისებელი პრემიით).

ამას მოყვა – „იკაროსი“, „ხევსური“...

ქედურობაში: – „ირემი და მზე“, „ძირს იარალი“, „გამარჯვება“, „თეთრი ქარავანი“, „საქართველო“, „ვაჟა-ფშაველა“, „ჯვარი“, „ჩემი წინაპრები“ და სხვ.

გივი (გიგო) გიგაურთან ერთად, თანაავტორია თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „300 არაგველის“ ქედური პანოსი „არაგველები“.

დოლასქედი

XIX-XX სს მიჯნაზე, მდ. ჯულისის (ვაშლობის) ხეობაში სულ 4 სოფელი (დოლასქედი, ჯულისი, ვაშლობი და საქერე) არსებობდა. ოთხივე მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებული გვარებით იყო დასახლებული.

სოფლის სახელწოდება მისი ადრინდელი მდებარეობიდან – იმ ქედიდან მოდის, რომელიც თავისი ფორმით – ურქებო, დოლა ვერძის თავს წააგავს.

1873 წელს, იგი ჯულისის ხეობის ერთადერთი სოფელი იყო, სადაც მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულ გვარებთან ერთად (ქავთარაძეების – 3, ჩოხელების – 4, აფციაურების – 3 და სიჯანაშვილების – 5 კომლი) – ძირძველი ქართლელებიც სახლობდნენ (მამულაშვილების – 2, გიგაურების – 3 და გოგიაშვილების 4 კომლი).

1886 წლის აღწერით, დოლასქედში, 42 კომლი სახლობდა (ჩოხელების – 7; ქავთარაძეების და აფციაურების 4-4; მალიულოვების – 6; სიდონაშვილების – 10; გიგაურების – 5; გოგიაშვილების – 5 და ნადიბაიძეების – 1 კომლი); სულ – 150 მამაკაცი და 142 ქალი (სცსსა, ფ. 254; III, დოკ. 1800).

1926 წელს – 57 კომლი დარეგისტრირდა; 158 მამაკაცი და 144 ქალი, სულ 302 სული, ძირითადი გვარები – ნიკლაური და ჩოხელი იყო.

დოლასქედელთა საგვარეულო სალოცავები – „ადგილის დედა“, „წმინდა გიორგი“ და „წვერის ანგელოზია“.

ჯულისსა და დოლასქედს შორის მდებარე ფშარაოს საყდარი (რომელიც, დღეს, დაშლილი ეკლესიის სახით არის შემორჩენილი) – ორივე სოფლის საერთო სალოცავს წარმოადგენს.

ჯულისი

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, „ჯულისში“ XIX ს-ის შუა წლებში, პირველად სოფ. არახვეთიდან წამოსული ბურდულები დასახლდნენ.

მათ პირველმოსახლეობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ სოფლის საუკეთესო ადგილები უკავიათ.

მოგვიანებით, მათ, ამავე სოფელში, მარბიელ ტომებთან ბრძოლაში დასახმარებლად – ჩოხელები და აფციაურები თვითონ მიიყვანეს.

1873 წელს, იქ, ბურდულების – 7; აფციაურების – 9; ჩოხელების – 3 და ჭიკაიძეების – 1 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით, 25 კომლი დარეგისტრირდა, 79 მამაკაცი და 73 ქალი, სულ 152 სული, ძირითადი გვარები უკვე – აფციაური და ნიკლაური იყო.

სოფლის მიმდებარედ, მაღალი მთის თხემზე მდგარი ზურგიანი კოშკი, განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. მის სიახლოვეს, მიჯრით განლაგებული, რამდენიმე სწორკუთხა ნაგებობის ნაშთია; უფრო სამხრეთით კი, დაახ. 10-12 მ-ზე, ხელოვნური თხრილი და

რამდენიმე ხელოვნური ბორცვი.

ამავე მხარეს (სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით), დაახ. 1 კმ-ზე, მაღალი მთის წვერზე მდებარე შარაოს წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსი – შუა საუკუნეებით თარიღდება. მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, ორი ზურგიანი კოშკი, რალაც გაურკვეველი ნაგებობის ნაშთი და გალავანი.

ეკლესია დარბაზულია. სამხრეთის და დასავლეთის ფასადების მთელ სიგრძეზე გვიანდელი მინაშენი გასდევს. ნაგებია კლდის ნატეხი ქვით. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი. ძლიერ დაზიანებულია.

გალავანი აგებულია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. მის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში ჩართულია თითო ზურგიანი კოშკი.

ჯულისის აღმოსავლეთით (0,5 კმ-ზე) მდგარი კვირაცხოვლის ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. თითქმის მთლიანად დანგრეულია. ნანგრევებში მოქცეულ რამდენიმე ქვაზე სადა ლილვია გამოყვანილი.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით (დაახ. 0,5 კმ-ზე) მდებარე წმ. გიორგის ეკლესია გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დარბაზულია (6,3X4,7 მ.). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით.

ძლიერ დაზიანებულია.

*

ჯულისის ხეობის სიღრმეში მდებარე სოფლებში – ვაშლობსა და საქერეში, ძირითადად, ქავთარაძეები სახლობდნენ. მოგვიანებით, ბარში (ბოდავში, საგურამოსა და ბულაჩაურში) გადმოსახლდნენ (რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ. გვ. 21).

1873 წლის აღწერით, ვაშლობში, ქავთარაძეელების – 14; ნარიმანიძეების – 1; კედელაშვილების და კობაიძეების 2-2 კომლი სახლობდა.

1926 წელს – 29 კომლი დარეგისტრირდა, 111 მამაკაცი და 96 ქალი, სულ 207 სული, ძირითადი გვარი – ქავთარაძე იყო.

ბაგრატი

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ანანურს ზეით ერთვის არაგვს დასავლეთიდან ქართლის ხევი. მის ჩრდილოთ არს მთიულთკარი, სიმაგრე მტკიცე. მის ზეით ნასახლევი მეფეთა და ხანდოს ხევი, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგვს დასავლეთიდან“.

ხანდოს ხევის სათავედ მკვლევარი ლომისის მთას მიიჩნევს. ამავე კალთებიდან იღებს სათავეს სოდევე-მეჯღიაურთას წყალი, რომელიც სოფელ წინამხართან უერთდება ხანდოსწყალს. ამ ორი ხევის ფარგლებში, რომლებიც ერთმანეთს – ბოჩეთისა და კვირიას ქედებით ემიჯნება, მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი კუთხე – ხანდო.

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს. შედის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, სახელდობრ, არაგვის ხეობის შემადგენლობაში, როგორც ერთ-ერთი ხევი, ან თემი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი რატომღაც მიჩნეულია მთიულეთის შემადგენელ ნაწილად. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ „მთიანეთთან“ „მთიულეთის“ გაიგივება, ან თვით მთიულეთის ლოკალიზაციის უზუსტობა. ხანდოსთან ერთად მთიულეთის შემადგენლობაში აქცევენ ქართალს და გუდამაყარს, მაშინ როდესაც – ორივე ეს კუთხე დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ (ვახტანგ ითონიშვილი, „არაგვი და არაგველები“).

მეზობელი კუთხეებისგან ხანდო გამიჯნულია მთებით, რომლებიც მის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენენ. მთიულეთის და ცხრაზმისგან მას „მზღვარის“: – ხანდოსწყლის და მდინარე ჩაბარუხის – მდ. არაგვის და მდ. ქსნის წყალგამყოფი ქედები. ქართლის ხევისგან „განჰყოფს“ სოდევე-მეჯღიაურთას წყალი და მის პარალელურად აღმართული ქედი – ნარუანას, ასხრეპილის, ჩირდილის, ტირიფას და ლომისის მთებით.

ჩრდილოეთიდან ხანდოს ესაზღვრება მთიულეთი, დასავლეთით ცხრაზმა, სამხრეთით ქართალი, მისი აღმოსავლეთი საზღვარი სოფ. ბანცურამდე და ცხვედიანის ხევამდე აღწევს.

უკიდურესი სამხრეთის მიჯნა – ხამუშას ქალაა.

*

როგორც ჟამთაღმწერელი გვამცნობს:

ქართლის და ხანდოს საზღვარზე – მონღოლთათვის ჩაუხერგავთ გზა იქაურ მთიელებს.

ბრძოლა უთანასწორო იყო და მტერთა სიმრავლემ თავისი გაიტანა.

ორიოდე მთიელი ტყვედ ჩავარდა.

დამხვდურთა თავგანწირვით მოხიბლულ მონღოლთა სარდალს მათთვის უკითხავს:

ვინა ხართო? ან რატომ იბრძვითო – ასე თავგამეტებით?!

ჩვენ კი ვიცით, რაისთვისაც ვიბრძვით! მაგრამ თქვენ აქ რა გინდათო – ყოფილა მოურიდებელი პასუხი. გულმა გული და ღონემ ღონე უმალ შეიცნო. „ლომმა მონღოლმა, გამირობისა და ვაჟკაცობის უებრო მცოდნემ“ – თავისუფლება არგუნა „უშიშო“ რაინდებს.

*

საისტორიო ცნობების თანახმად, XVI-XVII სს ხანდოზე არაგვის ერისთავები ბატონობდნენ.

მათ „მმართველობას საფუძვლად აღმამფოთებელი საწყისი ჰქონდა. საწყისი შიდა დაპირისპირებისა და სისხლიანი ომებისა, რამაც მთელი მხარე მეფესთან ერთიანობას მოსწყვიტა და დაუძღურებამდე მიიყვანა. დესპოტური ძალაუფლების ქვეშ დამკვიდრდა ნუგზარ ერისთავის დინასტია, მემკვიდრეობით მიღებული სამინელებებით, სისხლისღვრით, გარყვნილებით, ღალატით, ფიცის გატეხით“ (პლ. იოსელიანი).

ასეთი შემზარავი სინამდვილის მსხვერპლი გახდა ოთხი ძმა ქვენიფნეველი (ქსნის ერისთავების სახლიდან), რომელებიც, 1545 წელს, ხანდოში დახოცეს (ქრონიკები, II, გვ. 20).

*

1774 წლის აღწერით, ხანდოში 6 სოფელი დაფიქსირდა: – უკანამხარი (ნათობიძეების – 15 და ლაზუაძეების – 6 კომლი); ჯუხარანთკარი (ჯუხარიძეების – 5 და დავითურების – 2 კომლი); ვეშაგურთკარი (ვეშაგურების 8 კომლი); წინციხე, იგივე წინამხარი (ზურაბაძეების – 2, სამხარაულების – 7, ქავთარაძეების – 1 კომლი); სოდევე (ჯანიაურების – 4, ნაგტენაურების – 2, გვრიტიძეების – 4, მელიაურების – 3 და ახალაურების – 1 კომლი); ჯირაურთკარი, იგივე მეჯილაურები (გივიძეების – 2, გვრიტიძეების – 4, გოთიაურების 5 და ფსიტიძეების – 1 კომლი).

1831 წელს ხანდოს 9 სოფელში 88 კომლი სახლობდა, სულ 642 სული;

1860 წელს – 10 სოფელში აღირიცხა – 120 კომლი (700 სული);

1873 წელს – 10 სოფელში 127 კომლი დარეგისტრირდა (910 სული);

1886 წლის კომლობრივი სიების მიხედვით, ხანდოს ხევი – ვეშაგურთკარის სასოფლო საზოგადოებაშია აღწერილი:

ბანცურში დაფიქსირდა 12 კომლი; დავითურთკარში – 9; ვეშაგურთკარში – 12; ჯირაურთკარში – 29; ჯუხარანთკარში (ჯუხარანი) – 6; ქურციკიანში – 11; ლაზვიანში (ლანჯულანთკარში) – 9; მნათობიანში – 20; სოდევეში – 19; ხანდოს წინამხარში – 37.

1926 წლის აღწერით, ხანდოში, 7 სოფელი აღრიცხეს:

ბანცურში – 15 კომლი, დავითურნში – 10, ვეშაგურნში – 14, მეჯილაურში – 31, ნათობიანში – 36, სოდევეში – 16, ხანდოს წინამხარში – 34.

დღევანდელი მონაცემებით, იქ, რვა დასახლებული პუნქტი სახელდება: – წინამხარი, უკანამხარი, ვეშაგურები, დავითურები, მეჯილაურები, სოდევე, ნითლიანი და ბანცური.

უკანასკნელი ორი სოფელი უფრო გვიანდელი წარმონაქმნია.

არაგვის და ხანდოს ხევის შეერთების ამ ზონაში, მოსახლეობა – მოგვიანებით, ხანდოს სხვა სოფლებიდან ჩამოსახლდა.

*

ხანდოს ყველა სოფელს თავისი საგვარეულო და სათემო სალოცავი აქვს.

ზოგიერთ სოფელში რამდენიმე გვარს ჰქონდა საერთო სალოცავი:

ყოფილ ჯუხარაანთკარში მდებარე წვერის ანგელოზი – გვრიტიშვილების და ჯუხარაშვილების სალოცავია;

„წმინდა სანება“ – ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილების.

წინამხარში მცხოვრები ზურაბაშვილები, მელიქიშვილები და ვეშაგურები – „მთავარანგელოზში“ ლოცულობენ.

აღნიშნული სალოცავი – „ხანდოს კარის გასაღებად“ მოიხსენიება.

მთელი სახანდოს საერთო სალოცავს – მეჯილაურების „ყოლანწმინდა“ წარმოადგენს.

ყველა გვარის ბავშვს მშობლები ჯერ სოფლის სალოცავში „გარევედნენ“, მერე – სათემოში. დეკანოზები ჯერ თემის სალოცავს მოიხსენიებენ, მერე – სასოფლოსას.

ჯუხარაანთკარი (ჯუხარაანი)

ასეთი ტოპონიმი დღეს აღარ არსებობს.

დიდი ალბათობით, დღევანდელი დავითურებია.

უკანამხარის გვერდით სერზე ყოფილა გაშენებული.

წვერის ანგელოზი ეწოდება იმ ადგილს – სალოცავის მიხედვით.

შემორჩენილია პატარა ნასოფლარი, სადაც ჯუხარაშვილების ხუთიოდე კომლს უცხოვრია.

ისინი „თანდათან გაიკრიფნენ“ და მთელი სოფელი გაუკაცრიელდა.

1774 წელს – ჯუხარაშვილების – 5 და დავითურების 2 კომლი სახლობდა;

1831 წლის აღწერით: – ჯუხარაანთკარში 4 კომლი აღირიცხა; დავითურთკარში – 9;

1873 წელს, ჯუხარაანთკარში, ჯუხარაშვილების 3 კომლია დარეგისტრირებული.

გადმოცემის თანახმად, წვერის ანგელოზის სალოცავში დაბრძანებული ხატი, გუდამაყრის სოფელ ათნოხიდან მოუპარავთ ჯუხარაშვილებს:

„აქაური მწყემსი ასულა მალლა ხატში, გუდით ჩამოუტანია ვერცხლის ჯვარი და თავის სოფელში დაუბრძანებია.

გუდამაყრელნი იარაღასხმულნი წამოსულან მის დასაბრუნებლად.

ჯუხარაშვილები და გვრიტიშვილები დახვდომიან ერთად.

მომხდურებს გაუწევიათ გამტაცებლებზე, მაგრამ ხატს არ მიუშვია ისინი ერთმანეთთან.

შერიგებულან ღვთის ნებით; გადაუხდიათ სამხთო და გათავებულა მტრობა.“

მას შემდეგ, ორივე მხარე წვერისანგელოზობას ურთიერთშეთანხმებით აღნიშნავს.

დავითურთკარი დავითურები და ქაშიაშვილები

სოფლის თავში ძველი დასახლების ნანგრევებია შემორჩენილი – ციხისა და სახლების ნაშალი.

ამბობენ, რომ ქვევრებიც მდგარა – მტრის შემოსევის დროს, წყლის შესანახად. იმ ადგილს „ძველ ციხიქედს“ ეძახიან.

ვახტანგ ითონიშვილის ცნობით, ძველი „ნაციხვარი“ ადგილის სახელწოდება – სახარე ქედია, სლოცავისა – „სამბთო მალალი“.

სოფელს მერისწყალი და საღინოხევი ჩამოუდის.

„მეტისმეტი გვერდა ადგილია. გაგიკვირდება – როგორ ცხოვრობდნენ აქა. სხვა სოფლებს ხანდოში არა უშავს – დავითურებთან შედარებით ვაკედ არიან“.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დავითურების წინაპარი ხანდოში ქართლიდან, სოფ. სამთავისიდან, მოსულა.

„ძმები ყოფილან: – დავითი და ამილახვარი“.

დავითზე მოდიანო დავითურები.

1831 და 1886 წლების აღწერებით, დავითურთკარში, დავითურების 9-9 კომლი სახლობდა (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1799).

1926 წელს დარეგისტრირდა 10 კომლი, 25 მამაკაცი და 32 ქალი, სულ 57 სული, ძირითადი გვარი – დავითური იყო.

დროთა განმავლობაში, დავითურების გვარს რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – ირემანი, სიხანნი, ჭალარაანი (იგივე ფილიპაანი), ნინიკაანი, მოსიკაანი, შატიანი და ბატარკაციანი (იგივე უკანამხარში მცხოვრები ჩუხურიანი) და სხვ.

მათი ნაწილი, მოგვიანებით, ქსნის ხეობაში, სოფ. უკაბანში (დღევანდელ შიუკაბანში) გადასახლდა.

შიუკაშვილები – დავითურების მოდემისანი არიან – სახლიკაცობენ მათთან. ისინი სისტემატურად დადიოდნენ ხანდოში, მათ ადრინდელ სალოცავში, რომელსაც „ციხის თორმენამის“ სახელით მოიხსენიებენ და სადაც მთელი სახანდლოს დღესასწაული იმართება (თორმონამობა, თორმენამეობა, მთავარმონამეობა, ყოლანმინდა).

დავითურების გვარი დუშეთის რაიონის სოფ. იორში პატრონობდა „თორმონამის“ სალოცავს კუთვნილ ვენახს. ხატის ეს ქონება, მოგვიანებით, მათ – იქ გადასახლებულ ყოფილ მოგვარეებს – ქაშიაშვილებს ჩააბარეს: –

„ეს მამულები ხატისაა და მის დღეობაში კულუხი უნდა ზიდოთო“.

ქაშიაშვილები დიდხანს ეზიდებოდნენ კულუხს, მაგრამ, გასაბჭოების შემდეგ, როცა აღნიშნული მამულები ჩამოართვეს, აღარ მიჰქონდათ.

განაწყენებულმა დავითურებმა ყოფილი მოგვარეები დანყველეს და „თორმენამეში“ დარისხების სამანი ჩაუდგეს: – „აღარც ღვინო გვინდა მაგათი, აღარც მამულები და აღარც ის ხალხიო“. „ხატში მეტრის სიგრძის ქვა ჩასვეს და მთელმა სოფელმა თითო მუჭა მიწა მიაყარა“.

ამის შემდეგ, გადმოცემის თანახმად, ქაშიაშვილები, თურმე, „ველარ გამრავლდნენ.“

მერე, მთელი მათი საგვარეულო ასულა დავითურებში და მუხლებზე დამდგრებს

უთხოვიათ: – „ჩამოგვაცილეთ ეგ სასჯელი, კიდევაც მოვალთ და საკლავსაც მოვიყვანთო.“

„მიუტანიათ წერაქვი: – ჯერ ერთმა კაცმა ამოქეჯა, თურმე, ცოტა მინა, მერე – მეორემ, მესამემ და ბოლოს, იგი ყველამ გაირიგა; სამანი რო კარგად დაჩნდა – თოკი მოაბეს და ერთობლივი ძალით ამოიღეს...“ კურატიც დაკლეს და ჭედილაც.

ქაშიაშვილებმა წყევლა მოიხსნეს.

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით“ (2008 წ.) – ციხის მთავარმონამის კომპლექსი სოფლის ძველ, მიტოვებულ ნაწილში მდებარეობს, მდ. ხანდოსხევის ერთ-ერთი განშტოების შუა წელზე – კლდოვან, კონცხისმაგვარ მასივზე. განეკუთვნება განვითარებულ და გვიანდელ შუა საუკუნეებს. მის შემადგენლობაში შედის: – ზურგიანი კოშკი, სალოცავი, ჭურჭლის შესანახი ოთახი, დარბაზი, ორსართულიანი კოშკი და ნანგრევებად ქცეული რამდენიმე საცხოვრებელი ნაგებობა.

სხვადასხვა პერიოდის და დანიშნულების შენობები, ვინრო ტერიტორიაზე, ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ არის განლაგებული.

ზურგიანი კოშკი ჩრდილოეთით დგას, შვიდსართულიანია (სიმ. 15 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მინაშენები ეკვრის. მისგან 7 მ-ზე, ნანგრევებად ქცეული სამლოცველოა; მის ჩრდილოეთ კედელთან, მინაში, ორი ქვევრია ჩაფლული. დასავლეთის კედელთან, მთელ სიგრძეზე, ქვის გრძელი მაგიდა და სკამებია მოწყობილი.

კომპლექსის სამხრეთ კიდეში, ორი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი გამობერილგვერდებიანი, ტრაპეციული ფორმის კოშკი.

მისგან აღმოსავლეთით, ორიოდ მეტრზე, საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთებია.

ვეშაგურთკარი, სოფ. ბანცური და ვეშაგურები

ვეშაგურთკარი სოფ. წინამხარსა და უკანამხარს შორის მდებარეობს, მდ. ბალანთხევის (ხანდოსხევის) მარცხენა ნაპირზე.

აქედან ქსნის ხეობაში ორი გზა მიდის:

ერთი, კუდეთის და სოდევეს მთებიდან – სოფ. მახიარეთში მიემართება; მეორე – უკანამხარიდან, მზორეს გავლით, მთაზე გადადის და უკანუბანში ჩადის.

სოფლის ბოლოს მდებარე ტერიტორიის ერთ ნაწილს „საფიცარნი“ ეწოდება. იგი სათემო ბჭობა-განსჯის ადგილს წარმოადგენდა; თემის კაცები დამნაშავეებსაც ასამართლებდნენ.

გადმოცემის თანახმად, იქ, სამი კაცი ჩაუქვავებიათ.

1774 წლის აღწერით, ვეშაგურთკარში, ვეშაგურების 8 კომლი სახლობდა.

მოგვიანებით, მათი ნაწილი, ხანდოს მეორე სოფელში, ბანცურში, გადასახლდა, სადაც, 1831 წელს, ვეშაგურების 8 კომლი აღირიცხა; ვეშაგურთკარში – 14.

1873 წელს, ვეშაგურთკარში, ვეშაგურების 15 კომლი აღწერეს.

1886 წელს – 20 (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, ნ. II, დოკ. 1794).

1926 წლის აღწერით, აღნიშნულ სოფელში, 14 კომლი დარეგისტრირდა; 33 მა-

მაკაცი და 38 ქალი, სულ 71 სული.

ერთი ვერსიის თანახმად, ვეშაგურების წინაპარი ქისტი (თუ ინგუში) ყოფილა; მესისხლეობის გამო გადახვენილა ხევსურეთში – იქაც კაცი მოუკლავს და ამის შემდეგ შეხიზნულა ხანდოს ხევში.

საამანათოდ (სახიზრად) განკუთვნილ ადგილზე მიუციათ დასახლების უფლება.

„ამანათს შაგური რქმევია“. მისგან მოდისო ვეშაგურების გვარი.

მეორე ვერსიის თანახმად:

ვეშაგურები ძირძველი არაბულები არიან. მათი წინაპარი გადახვენილა ქისტეთში; იქიდან ხევსურეთის სოფ. უკანახოში დაბრუნებულან და ბოლოს, ხანდოში მოსულან:

– „გამორიდებული, გამოქცეული ხალხი იყო და შუა თემში (ვეშაგურთკარში) დაასახლეს“.

მესამე ვერსიის მიხედვით: – ვეშაგურები არაბულების განაყრები არიან და სამ ძმაზე „მოდთან“, ანუ, სამ მამაშვილობად არიან დაყოფილები:

ყველაზე ადრე ბალაანი (იგივე მჭედლიანი) გამოყოფილან;

მეორე განშტოებად სახელდება ხიზანიანი, რომელსაც გამოეყო როგორც ვეშაგურებში მცხოვრები, ისე იქედან ბანცურსა და ნითლიანთკარში გადასახლებული მამაშვილობები: – ანდრიანი, ბერიანი, სოსიანი, თანდილიანი, მჭედლიანი, პავლიანი, ფაცხვერიანი და (მისგან გამოყოფილი) მიხაანი;

მესამე შტო – „მახიტანი“ და მისი განაყრები არიან: – ნანაძიანი, გოგოლიანი, ბალიკიანი, გივინაანი და გამახარიანი (ჭიჭოლიანი).

მახიტაშვილების წინაპარი (მახიტა) ქსნის ხეობიდან მოსულა, ვეშაგურებს ჩასიძე-ბია და ამის შემდეგ წარმომდგარა მათი გვარი.

გ. არაბულის ცნობით: – ვეშაგურები ჩუჩაყურთა შტოს არაბულების თინიბექი-ანთ განაყრები არიან.

როგორც გვარის უხუცესები გვამცნობენ, ვეშაგურთკარში დამკვიდრების შემდეგ, „ჯიმშერ ბატონმა“ (ალბათ ჩოლოყაშვილმა, რომელიც არაგვის ერისთავი იყო 1743-1756 წ.წ.), რაღაც დამსახურებისათვის – ვეშაგურებს „ბანცურში გაუღირა ხელი და იქაც დააყენა“.

1831 წელს, ახალ სამოსახლოში, მათი 8 კომლი სახლობდა.

მანამდე, იქ, ბანცურები ცხოვრობდნენ (ერთი ვერსიის თანახმად, ძირად არაბულე-ბი).

XVIII ს-ის განმავლობაში ისინი ქაისხევში გადასახლდნენ და სოფ. ბანცურთკარი დააფუძნეს.

ხანდოში მიტოვებული მათი ნასოფლარი, ვეშაგურებმა ძველი სახელწოდებით აღადგინეს და თვითონ დასახლდნენ.

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს, ბანცურებიდან ქაისხევში გადასახლებული ბანცურების ადრინდელი გვარი, ისევე როგორც ქაისხეველი სინჯარაძეებისა და გრემისხეველი ხევსურიშვილებისა – ჭინჭარაულია.

1873 წელს, ბანცურში, ვეშაგურების 10 კომლი მკვიდრობდა;

1886 წელს – 12 (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, ნ. II, დოკ. 1794).

1926 წლის აღწერით 15 კომლი დარეგისტრირდა, 48 მამაკაცი და 42 ქალი, სულ 90 სული. ძირითადი გვარი – ვეშაგური იყო.

*

ვეშაგურები ხანდოს თემის მთავარი სალოცავის, „მთავარანგელოზის“ ყმები არიან.

ცალკე საგვარო სალოცავი არა აქვთ.

ამბობენ, რომ „მთავარანგელოზისადმი“ მათ ყმობას, მის სიახლოვეს ცხოვრება განაპირობებს.

ხანდოს წინამხარი (წინაცხე) სამხარაულები, მელიქიშვილები, ოქრუაშვილები და ზურაბაშვილები

სოფელი ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, ზ.დ. 1240 მ-ზე. ადრე, მდ. ხანდოსხევის მარცხენა ნაპირას ყოფილა განთავსებული – მაღლა სერზე, სადაც მთავარანგელოზის ეკლესია და ზურგიანი კოშკი დგას.

დღეს იქ ძველი ნასოფლარი და ნაკალოვრებია შემორჩენილი.

დროთა განმავლობაში, მოსახლეობამ ქვემოთ ჩამოსახლება დაიწყო. სოფელი ჯერ ორ უბნად – ზემო და ქვემო დასახლებად გაიყო, მერე, ორ დამოუკიდებელ, ერთმანეთისგან საკმაოდ დაცილებულ საცხოვრისად – ზემო და ქვემო წინამხარად ჩამოყალიბდა.

ქვემო წინამხარის მიდამოები – ტყით ადრე ისე ყოფილა დაფარული, რომ „თავისუფალი ადგილი არ მოინახებოდა“ (ვახტანგ ითონიშვილი).

ეს დასახლება, მოგვიანებით, ორ უბნად გაიყო: – ხანდოს წყლის მარჯვენა მხარეს უნაგრისხევი (იგივე ჩირდილა და წიფლნარი) ეწოდა, მარცხენას – ნადირაანი (იგივე მზორე და მუხნარი).

1774 წლის აღწერით, სოფ. წინამხარი – წინა ცხედ არის მოხსენიებული. სამხარაულების – 7, ზურაბაძეების – 2 და ქავთარაძის 1 კომლი სახლობდა.

მელიქიშვილები აღწერით არ ჩანან, მაგრამ, დიდი ალბათობით, სამხარაული მათი ადრინდელი გვარი უნდა იყოს.

1831 წელს, წინამხარში, სამხარაულ-მელიქიშვილების 12; სოფ. დუმაცხოდან გადმოსახლებული ნიკლაურების 2 და ერთიც, მეჯილაურებიდან მოსული მოთიაშვილის კომლი სახლობს (სცსსა, ფ. 254, დოკ. 1245).

შემდგომ აღწერებში სამხარაულები აღარ ჩანან. დიდი ალბათობით, მელიქიშვილის გვარი აქვთ უკვე მიღებული.

1860 წელს, წინამხარში, მელიქიშვილების 17 კომლია დარეგისტრირებული.

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სამხარაულებს თავდაპირველი საცხოვრისი ფშავია. უფრო მოგვიანებით კი, ლიქოკის ხეობაში უცხოვრიათ – აკუმოსა და კიმში – უძილაურების და ბულალაურების მეზობლად.

იმ ავადხსენებელი ახალი წლის დილას, როცა ზურაბ არაგვის ერისთავმა ლიქოკის ხეობა ააოხრა – მხოლოდ სამხარაულთა სოფელი (აკუმო) ვერ დაიპყრო. ისინი

ქედნისლას ციხეში მდგარან; თავგამეტებით უომიათ და, როგორც ხალხური ლექსი გვამცნობს – დიდი ზარალით უკუუქცევიათ არაგვის ბატონი:

„მოგდიეს ვან-ხევამდინა, მშვილდი მოგჭეხდეს რქიანი,
მოგდევედეს, მოგანუხებდეს, ხმალნი მოგწკეპდეს ფხიანი...“

ამ მარცხის შემდგომ, „გაბუდაყებული“ არაგვის ბატონი, მზაკვრულად დაესხა თავს სალოცავად (კოპალეს) მიმავალ სამხარაულებს. აჭელი ლიქოკელები დაეხმარნენ მეზობლებს – მაგრამ ზურაბმა „იმარჯვა“: –

უმონყალოდ „ხოცა“ თანამემამულენი.

ამის შემდეგ, სამხარაულები „აიყარნენ, ადგილი ლიქოკელებს მისცეს“ და ხევსურეთიდან წავიდნენ.

მათი ნაწილი ხანდოში დასახლდა, მოგვიანებით, მელიქიშვილის გვარზე გადავიდა და, დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამაშვილობად დაიყო: – ბაბრიანი, თომასანი, გზირიანი, ნადირიანი (იგივე ჩაჩქანაანი), ჯამარიანი, ხულიანი, ობლიანი, გაგაიანი...

სამხარაულების სათემო სალოცავი კოპალა იყო, სატომო – ლაშარის ჯვარი.

*

1831 წლის აღწერით, წინამხარში, 50-მდე კომლი სახლობდა: სამი – ზურაბაშვილების იყო, ათიოდე – ოქრუაშვილების; დანარჩენი, ანუ, აბსოლუტური უმრავლესობა – მელიქიშვილების.

როგორც ვახტანგ ითონიშვილი გვამცნობს: – მათ საერთო დასახლებას უნაგირისხევს უწოდებდნენ. ერთი გვარის ხალხი ერთმანეთთან მჭიდროდ სახლობდა. ყველაზე დიდი უბანი მელიქიშვილების იყო. მათ გვერდით ზურაბაშვილები ცხოვრობდნენ; უფრო ქვემოთ – ოქრუაშვილები.

*

ოქრუაშვილების სახლი, მალლა, მდინარის მარცხენა მხარეს მდებარე ტყიან ფერდობზე მდგარა.

ამ უბანს ერქვა – „შვილდოეთი“.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ოქრუაშვილების გვარს, მოგვიანებით, „ლეგანთ“ მამაშვილობა გამოეყო, რომელიც ახალ სამოსახლოში – ე.წ. „ლეგანთ“ უბანში დასახლდა.

საარქივო დოკუმენტებით დგინდება, რომ ქვემო წინამხარში ჩამოსახლებულმა ოქრუაშვილებმა, XX საუკუნის 30-იან წლებში – მელიქიშვილობა გაიგვარეს: – ერთ-ერთ მათგანს ხევსურეთში კაცი მოუკლავს და შურისძიების თავიდან აცილების მიზნით მიუღიათ ეს გადანყვეტილება.

*

ზემო წინამხარში ზურაბაძეები სახლობდნენ.

მოგვიანებით, ზურაბაშვილებად დაენერნენ.

მათი ოჯახები არ გაყრილა. ყველას ზურაბაანად მოიხსენიებენ.

ხანდოში ფშავიდან არიანო მისულები.

1886 წელს მათი კომლების რაოდენობამ 11-ს მიაღწია.
რამდენიმე მათგანი შირაქში წავიდა საცხოვრებლად.

*

1926 წლის აღწერით, ხანდოს წინამხარში 34 კომლი სახლობდა, 88 მამაკაცი და 78 ქალი, სულ 166 სული; ძირითადი გვარი – მელიქიშვილი იყო.

მათი სალოცავი მთავარანგელოზია; იქ იხდიან საგვარეულო ხატობას.

ეკლესიის მშენებლობას თამარ მეფეს უკავშირებენ.

ს. მაკალათიას ცნობით, იგი – მაღალ გორაკზე აღმართული და მთიულური ტიპის სამსართულიან კოშკზე მიდგმული – ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა. შიგ დროშა ასვენია. მის ჯვარზე არსებული 1897 წლის წარწერით მოხსენებულია შემწირველი – ვინმე მელიქოვი.

მთავარანგელოზი ხანდოს წინამხრის, ვეშაგურების და უკანამხარის საერთო სალოცავია.

ადრე, თურმე, სამი კარიბჭე ჰქონდა:

უკანა (ჩრდილოეთის) კარი – მელიქიშვილების და ზურაბაშვილების ყოფილა. ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ისინი ერთმანეთში ქალს არ ათხოვებდნენ.

სამხრეთის კარი – ოქრუაშვილებს ეკუთვნოდა;

დასავლეთისა – ვეშაგურების.

სალოცავად „ყველა თავის კარებზე მიდიოდა და ყველას თავისი დეკანოზი ხვდებოდა“.

იქ წყდებოდა საერო საქმეებიც.

უკანამხარი მნათობიშვილები, ლაზვიაშვილები და ქურციკაშვილები

სოფელი, თავდაპირველად, ხანდოს ხევის სათავეში, მართალქედის და ჯუხარათ მთების კალთებზე მდებარეობდა.

ნასოფლარი, ამჟამად, ნანგრევებით არის მოფენილი. შემორჩენილია როგორც ქვის მშრალი წყობით, ისე ქვიტკირით ნაგები საცხოვრებლების (მათ შორის ციხესახლების), კოშკების და საკულტო ნაგებობათა ნაშთები.

მთელი სოფელი გალავნის შიგნით ყოფილა მოქცეული.

ორი სასმელი წყალი ჰქონდათ შიგნით (თიხის მილებით) შეყვანილი.

თითოეული მათგანის სიგრძე 1,5 კმ-ს აღწევდა.

ერთი, სახლთუკანას მთიდან მოედინებოდა და მის სახელს ატარებდა; მეორე, ჩუხურიანთ ტყიდან იყო გამოყვანილი და პატარა წყალთწყაროს ეძახდნენ (ვახტ. ითონიშვილი).

დროთა განმავლობაში, აღნიშნული ციხესოფლიდან, ხალხმა ქვემოთ ჩამოსახლება დაიწყო და ბოლოს, სამივე იქ დამკვიდრებული გვარი (მნათობიშვილები, ლაზვიაშვილები და ქურციკაშვილები), ცალ-ცალკე უბნებად დასახლდა.

1774 წლის აღწერით, უკანამხარში, მნათობიშვილების – 15 და ლაზვიაშვილების – 6

კომლი სახლობდა (ქურციკაშვილები ჯერ არ ჩანან).

ნათობიძეები იგივე მნათობიშვილები (ნათობიშვილები და საკრამულები ბეჟანიშვილები) არიან; ლაზუაძეები – ლაზვიაშვილები.

1831 წლის აღწერით, უკანამხარის მნათობიანთ უბანი, სადაც მნათობიეების ექვსი კომლი სახლობდა, დამოუკიდებელ სოფლად, მნათობიანად, არის მოხსენიებული (სცსსა, აღწ. I, ფ. 254, დოკ. 1245).

1873 წელს, იქ უკვე, მნათობიშვილების 12 კომლი სახლობდა;

1886 წელს – 20; 72 მამაკაცი და 50 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1813).

1926 წლის აღწერით, „მნათობიანში“ (?!, ალბათ, მთლიანად უკანამხარში – ?) – 36 კომლია აღრიცხული, 88 მამაკაცი და 83 ქალი, სულ 171 სული, ძირითადი გვარი – ლაზვიაშვილი (!!!) იყო.

ერთი გადმოცემის თანახმად, მნათობიშვილების წინაპარი ხევსური ყოფილა; იქ კაცი მოუკლავს, მოსისხლებს გამოქცევია და ხანდომი მოსულა.

განსხვავებული ვერსიით, „მნათობიშვილი – სხვაგნადან მოსული კი არა, უკანამხარის მკვიდრი გვარია და მათი რამდენიმე ოჯახი აქედან არის – წილკანში, წეროვანში, ბოდორნაში, ციხისძირსა და ზემოქედში წასული.“

ამ ვერსიას ამყარებენ იმითაც, რომ – ძველ უკანამხარში, ლაზვიაშვილების და ქურციკაშვილების ნასახლარები არ ჩანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით“ (2008 წ.), უკანამხარის ცენტრში, ი. მნათობიშვილის – ორსართულიანი, ნატეხი ქვით ნაგები საცხოვრებელი სახლი დგას – არქიტექტურული ძეგლი, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მნათობიშვილების გვარს, დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – ჭიჭკაანი, დათუკაანი, თათარიანი, პოჭჩაანი, ჩუხურიანი, პაპუჩაანი, ბეროკაანი, ბეჟანიანი...

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში სულ 315 მნათობიშვილი ცხოვრობს: თბილისში – 105; დუშეთში – 78; მცხეთაში – 66 („გვარ-სახელები საქართველოში“, 1997 წ.).

*

აღ. რობაქიძის ვარაუდით, ქურციკაშვილები მნათობიშვილების განაყრები არიან (მთიულური კომობა, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. III, გვ. 68-69, 1971 წ.).

ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ისინი, ხანდომი, შედარებით გვიან ჩნდებიან.

1774-1831 წ.წ., უკანამხარში, ნათობიძეების კომლთა რაოდენობა – მკვეთრად (15-დან 6-მდე) მცირდება. გამორიცხული არ არის, რომ, ამ პერიოდში, მათ მართლაც გამოეყო ქურციკაშვილების კომლთა გარკვეული რაოდენობა.

1831 წლის აღწერით, ქურციკიანში (ანუ უკანამხარის ქურციკიანთ უბანში) – ქურციკაშვილების 4 კომლია აღრიცხული;

1860 წელს – 9.

მათი განაყარი მამაშვილობებია: – სახლიანი და გივიანი.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში სულ 317 ქურციკაშვილი ცხოვრობს: თელავში – 170, ახმეტაში – 54, თბილისში – 39 („გვარ-სახელები

საქართველოში“, 1997 წ.).

*

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ლაზვიაშვილების ძირი გვარი, ნარიმანიძეა. მათი წინაპარი სონჩო-ყოჟონის ხეობიდან არის ხანდოში მოსული.

1831 წლის აღწერით, უკანამხარის ლაზვიანთ უბანი – სადაც ლაზვიაშვილების 10 კომლი სახლობდა, დამოუკიდებელ სოფლად – ლაზვიანად, არის მოხსენიებული.

1860 წელს, იქ, ლაზვიაშვილების 8 კომლი სახლობდა (სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 227).

1873 წელს – 7.

მათი განაყარი მამაშვილობებია: – ბაჭკაანი, ოთარაანი, მუსტარაანი, პეტრიანი, ფაცხვერიანი...

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში სულ 220 ლაზვიაშვილი ცხოვრობს: დუშეთში – 86, თბილისში – 55; თელავში – 26 („გვარ-სახელები საქართველოში“, 1997 წ.).

*

უკანამხარში მცხოვრებ სამივე გვარს, როგორც სოფლის უხუცესები გვამცნობენ, ნათესაური ურთიერთობები ჰქონდათ და ერთმანეთში ქალს არ ათხოვებდნენ.

*

სოფლის განაპირას მდგარი, გეგმით კვადრატული კოშკი (6X6 მ.) – XVII ს-ით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. IV სართულის ზემოთ, ოთხივე მხარეს, მოაჯირით შემოსაზღვრული საბრძოლო ბანი ჰქონია.

ვახტანგ ითონიშვილის ცნობით, უკანამხარის წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ათენგენას ეძახიან, ადრინდელი სამოსახლოს მიტოვების შემდეგ აუგიათ. ხალხური მეხსიერების თანახმად, ის ერთადერთი სალოცავი იყო ხანდოში, რომელსაც მღვდელი ემსახურებოდა. „მის წილდებულად ითვლებოდნენ მხოლოდ უკანამხარის მცხოვრებნი, როგორც წმინდა გიორგის ხატის ყმანი“ („არაგვი და არაგველები“).

ათენგენობა მათი საგვარეულო ხატობაა და ზვარაკსაც საერთო ხარჯით ყიდულობენ.

ს. მაკალათიას ცნობით, სალოცავში, რამდენიმე საყურადღებო რელიქვიაა დაბრძანებული:

1. ხატი ვერცხლისა, ზომით 81X54 სმ. რომელზეც წმინდა გიორგის თავთან – მზე და მთვარეა გამოსახული;

2. ორი ხატი ვერცხლისა, ზომით 81X55 სმ.

სამივე ხატზე ასომთავრული წარწერებია („მთიულეთი“, გვ. 154-155).

სოდვეე ჯანიაშვილები, გვრიტიშვილები და ახალაშვილები

ხანდოს თემისგან შედარებით იზოლირებულია სოდვეე-მეჯილაურების ხევი, რომელიც მისგან ბოჩეთის და კვირიას ქედებით არის გამიჯნული.

სამიმოსვლო გზებით იგი – ქსნის ხეობას, ჭართალს და უკანამხარს უკავშირდება: ქსნის გზა – გლუვში ადის, ქსნის ყელს გადაივლის და კვერიათისკენ მიემართება; ჭართლის გზა – ელიის ქედით და ხამუშას გავლით – სოფ. მუგუდაში გადადის; ხურსის გზა – ბოჩეთი-პავლიანთკარის გავლით – უკანამხარში მიდის.

ხეობაში ორი სოფელია – სოდვეე და მეჯილაურები.

მთავარანგელოზის ქედზე, რომელიც სოდვეეს ხევსა და მდ. სამალღებოს ნყალს შუა მდებარეობს, სამი კოშკის ნანგრევია შემორჩენილი, ე.წ. „ნაციხვარები“.

ძველი სოდვეე, მის მიმდებარედ (ე.წ. „ორბეგის“) ტერიტორიაზე ყოფილა განთავსებული.

დღეს იქ, მხოლოდ აკლდამებია შემორჩენილი.

1774 წლის აღწერით, სოდვეეში, 14 კომლი სახლობდა: – ჯანიაურების და გვრიტიძეების 4-4; მეღიაურების – 3; ნაგტენაურების – 2 და ახალაურების ერთი კომლი.

1873 წელს – ჯანიაშვილების 10, ახალაშვილების – 2 და ნაგტენაშვილების – 3 კომლი აღირიცხა.

1886 წელს აღწერეს: – ჯანიაშვილების – 10, ახალაშვილების – 4, გვრიტიშვილების – 1 და ნაგტენაშვილების – 5 კომლი; სულ 54 მამაკაცი და 49 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1816).

1926 წელს, ამავე სოფელში, 16 კომლი დარეგისტრირდა; 61 მამაკაცი და 54 ქალი, სულ 115 სული, ძირითადი გვარები – გვრიტიშვილი და ჯანიაშვილი იყო.

*

ხალხური მეხსიერების თანახმად, ჯანიაშვილები და მოთიაშვილები საერთო მოდგმისანი არიან და ორ ძმაზე – ჯანიაზე და მოთიაზე მოდიან (ვახტ. ითონიშვილი).

სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბედან არიან მოსულელები.

ხანდოში, პირველად, თურმე, ჯანია დასახლდა: – „ლეკიანობის დროს, თავისი ბატონი წამოუყვანია და აქ შეუფარებიათ თავი“.

ეს ადგილი, მოგვიანებით, სადავო გამხდარა – ქსნის და არაგვის ერისთავებს შორის.

ჯანიასთვის, როგორც ძლიერი კაცისთვის, არაგვის ბატონს – ქსნის ერისთავთან „ჩიკრიკობა“ (შიკრიკად ყოფნა) დაუვალეებია.

„ქსნის ყელში“, მაშინ, იქაური ფეოდალის ყარაულები მდგარან და უნებართვოდ არავის ატარებდნენ.

საკუთარი შესაძლებლობის დასამტკიცებლად, „ჩიკრიკი“ მესაზღვრეთა ჩაძინებას დაელოდა, მერე, „მათ თოფებს ჩახმახები ახსნა“ და მეზობელ ერისთავთან თავდაჯერებული გამოცხადდა:

ჩახმახები წინ დაულაგა და გუჯარი გადასცა.

ქსნის ბატონი უკმაყოფილო დარჩა.

შიკრიკის საქციელი იუკადრისა და საპასუხო წერილთან ერთად, მკვლევებიც გამოაყოლა.

ერთი მათგანი – „ჩიკრიკმა“, წელზე გადაჭრა – ხმალდახმალ ბრძოლაში.

დანარჩენები უკუიქცნენ.

ქსნის ერისთავმა ამის შემდეგ, ექვსი მკვლელი კიდეც მიაყენა მის კარებს.

სოდევეს, მაშინ, თურმე, მუგუდელი (ჭართლელი) გოლიათები სტუმრობდნენ – „ლონიერი კაცები, უსინათლონი (ბატონის ურჩობისათვის ჰქონიათ თვალები დათხრილი). სამი ძმანი ყოფილან – გვარად ციხელაშვილები“.

ისინი დადგნენ – „ჩიკრიკის“ გვერდით.

ექვსივე მკვლელი სამმა დევკაცმა მხრებქვეშ შემოიყენა და ერთმანეთს შემოსტყორცნა...

*

გადმოცემის თანახმად, შიკრიკს მხოლოდ ერთადერთი ვაჟი შემორჩა – მამისიმედი.

მის შვილებს – აბრამი და სიმონი „ჰქვივნებიათ“.

როგორც ვახტანგ ითონიშვილი გვამცნობს, 1831 წლის საეკლესიო წიგნში იკითხება ვინმე აბრამ მამისიმედის ძე ჯანიაშვილი.

ჩიკრიკიანთ კომლიდან მოდის: – მათიანის, ანდრიანის, აბრამიანის და ნასყიდაანთ მამაშვილობა.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, მათი ადრინდელი გვარი – ჩიკრიკიშვილია.

ჯანიაშვილების უფრო ადრინდელი განაყრები არიან: – მიხაბაანი, ბეჟანაანი და ზარძიანი.

მათივე მოდის „მელიანთა“ შტო, რომელიც 1774 წლის აღწერით, მელიაურების 3 კომლის სახით არის წარმომადგენილი.

*

გვრიტიშვილები ხანდოს ორ სოფელში – სოდოვესა და მეჯილაურთაში, სახლობდნენ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მათი წინაპარი თუშეთიდან მოსულა და ჯერ, მეჯილაურთკარში დასახლებულა.

დროთა განმავლობაში, მათ რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – სეხნიანი, ბერიანი, ნადირანი, კაციანი, დეკანოზიანი...

1774 წელს, ზემოაღნიშნულ ორივე სოფელში, გვრიტიშვილების 4-4 კომლი სახლობდა – გვრიტიძის გვარით.

„საგვაროდ“ მხოლოდ 10 დღის საქერეები ჰქონიათ. მათი გამოყენება დასწრებაზე ყოფილა დამოკიდებული და მოგვარეთა ნაწილი – ქსნის ხეობაში, სოფ. იკოთში, წასულა საცხოვრებლად.

1774 წელს, იქ უკვე, გვრიტიშვილების 4 კომლი სახლობდა.

გვარის მიგრაციის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის რ. თოფჩიშვილის მთხრობელი:

„ზემო ბულაჩაურში გვრიტიშვილები 9-10 კომლი ვართ. ხანდოს ეძახიან, ფასან-

აურის მარჯვეა, იქიდანა ვართ ქართლზე წასული. როცა რუსი შემოვიდა, სამხედრო გზს მშენებლობაზე დიდი ბეგარა ყოფილა... ამის გამო აყრილან და ქართლზე წასულან... გადასახლებულან სოფელ დრეში (ქვემო ქართლი). მერე, დრედან წამოსულან აქ... ღარისწყალში 1872 წელს ვართ ჩამოსულები. ჩვენი გვარის სალოცავი ხანდოშია – წვერის ანგელოზი. ქსანზე რომ არიან, სოფელ იკოთში, ისინიც ხანდოდან არიან წასულები – ადგილის სივინროვის გამო... ისინიც ხანდოში მოდიან ხოლმე სალოცავად. არიან კიდევ გვრიტიშვილები მანგლისში, ზემო ქედში. ეგრე გამიგია წინაპრებისგან – თუშეთიდან ვართ გამოქცეულებიო. ლამაზი კაცი ყოფილა წინაპარი – გვრიტი, გვრიტიო და დაერქვა გვრიტიშვილი. ღარისწყალში იკოთიდან გადმოსული გვრიტიშვილებიც არიან (5 კომლი). მახსოვს მაგათი გადმოსახლება 1911-1912 წ.წ.“ („საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის,“ 2002 წ. გვ. 32).

გვარის უხუცესების ცნობით, ქსნისხეობელი გვრიტიშვილები კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დადიოდნენ სალოცავად – უკანამხარის წვერის ანგელოზში. ამ სალოცავის მთავარი ხატი – ჯუხარაშვილების და გვრიტიშვილების წინაპრებმა საერთო ძალით არ დაანებეს ათნოხელებს და მისი ყმები გახდნენ;

ისინი, დღესაც, ერთად იხდიდნენ წვერის ანგელოზობას და ერთმანეთში არც ქალს ათხოვებდნენ.

*

1774 წლის აღწერით, სოდევეში, ახალაურების 1 კომლი სახლობდა;

1873 წელს ახალაშვილების – 2 კომლი;

შემდგომში, ახალაურ-ახალაშვილები გვრიტიშვილების გვარში გაერთიანდნენ და 1886 წელს, უკვე ახლად მიღებული გვართ – გვრიტიშვილით, არიან ჩაწერილები.

*

1774 წელს, სოდევეში, ნაგტენაურების 3 კომლი აღირიცხა;

1831 წელს ნაგტენაშვილების – 4 კომლი;

1860 წელს – 9; 1873 წელს – 3; 1886 წელს – 5.

არავინ იცის, როდის, ან სად წავიდნენ.

ჯირაურთკარი (მეჯილაურთკარი, მეჯილაური) მოთიაშვილები

სოფელი გაშენებული ადრე, „მაღლა ქედზე“ ყოფილა, რომელსაც ვერკეთილი ეწოდება.

დღეს, იქ, მხოლოდ ნასახლარები და ნაცხრებია შემორჩენილი.

ძველად, სამი ეკლესიაც მდგარა, რომელსაც, ლეკიანობის შიშით, სათოფურები ჰქონდა „დაკეთებული“.

დროთა განმავლობაში, ხალხი სოდევეს მეზობლად ჩამოსახლდა – მდინარის პირას.

1774 წელს, ჯირაურთკარში, გივიძეების – 2, გვრიტიძეების – 4; გოთიაურების – 5 და ფსიტიძეების – 1 კომლი სახლობდა.

დგინდება, რომ: გოთიაური (იგივე მოთიაური) და მოთიაშვილი – ერთი და იგივე გვარია;

ჯანიაშვილები და მოთიაშვილები ორ ძმაზე – ჯანიაზე და მოთიაზე მოდიან;

სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბედან არიან მოსულები;

მათი საერთო სალოცავია წმინდა სანება.

ამ ხატის დეკანოზი ერთ-ერთი ამ გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

მოთიაშვილების წინაპარს „ჭქვივნებია მოთია“.

მისი შთამომავლები სოფ. სოდევეშიც სახლობენ, მაგრამ, მეჯილაურთაში, უფრო ადრე დასახლებულან და დამკვიდრებულან.

მათი განაყარი მამაშვილობებია: – ჟიჟაანი, ოქრუანი, ბერაანი, ფსიტიანი, არსენაანი...

ფსიტიძეები და გივიძეები, მოგვიანებით, მოთიაშვილებს შეეკედლებიან და მათი გვარი მიიღეს.

1873 წელს, ჯირაურთკარში, მხოლოდ გვრიტიშვილები და მოთიაშვილები სახლობდნენ (12-12 კომლი).

1886 წელს სოფელი – ჯელაურთკარად სახელდება. ს. მაკალათია ჯელაურთკარად მოიხსენიებს.

1926 წლის აღწერით, მეჯილაურში, 31 კომლი აღირიცხა, 80 მამაკაცი და 86 ქალი, სულ 176 სული, ძირითადი გვარები – მოთიაშვილი და გვრიტიშვილი იყო.

*

სახანდოს მთავარი (საერთო) სალოცავი – სოფ. მეჯილაურთაში მდებარე „ყოვლანწმინდა“.

„იქ, ღვინის სამი დიდი ქვევრი მდგარა.“

„ბარში ჰქონიათ ვენახი და კულუხი მოჰქონებიათ იქიდან.“

„აღდგომას, ხანდოს შვიდი სოფლის ყველა ხალხი აქ მოდიოდა და ერთად სვამდა“.

ხანდოს და სოდევის ხევების შესართავთან მდგარი ეკლესია და კოშკი, „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით (2008 წ.) – X-XI სს განეკუთვნება. ეკლესია დარბაზულია (6,9X5 მ.), ნაგებია საშუალო და მოზრდილი ზომის ქვის ფილებით. ძლიერ დაზიანებულია. მისი ორივე სარკმელი, გარედან, მარტივი სათაურით ყოფილა მორთული. აღმოსავლეთის სარკმლის სათაური კი, რომელზეც რელიეფური ჯვარია დადგმული, ამჟამად, ეკლესიასთან ახლოს, მთის თხემზე მდებარე ნიშთან არის გადატანილი. დასავლეთის სარკმლის სათაურიდან მხოლოდ კვალი შეიმჩნევა. თალის ორივე მხარეს თითო რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. სამხრეთის ფასადზე, შესასვლელის თალს, ირგვლივ, გლუვი რელიეფური ზოლი ევლება.

კოშკი გეგმით კვადრატულია (5,7X5,7 მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილზეა მიშენებული. მისი მხოლოდ ქვედა, ყრუკედლებიანი სართულია შემორჩენილი.

მეჯილაურთკარის ჩრდილოეთით, ტყით დაბურულ მთაზე მდგარი წმ. გიორგის ეკლესია IX-X სს განეკუთვნება. დარბაზულია (11,5X7,5 მ.). ნაგებია კარგად და-

მუშავებული მოზრდილი ქვით. გადახურვა და კედლების ზედა ნაწილი დანგრეულია. მოგვიანებით, სამხრეთის კედლის ნახევარზე, მცირე ზომის მინაშენი მიუდგამთ, რომელიც კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა.

სოფლის ჩრდილოეთით მდებარე მთის თხემზე – ლომისის ხატია. გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. გეგმით სწორკუთხაა (4,9X4,4 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია.

ნითლიანთკარი და ხამუშა

სოფ. ნითლიანთკარის ადგილას, ადრე, ხანდოელთა საერთო მამულები იყო; მისი ყველა სოფელი ხნავდა. ეს ტერიტორიები სადავო ყოფილა – მთიულებსა და ხანდოელთ შორის.

მოდავეებს, ბოლოს, ხატი მოუბრძანებიათ და ნითლიანთკარიდან 300 მეტრის დაშორებით, „ცხვედაითის წყლის ჩამოყოლებით, სამანი ჩაუდგამთ“.

ეს რიყის ქვები გამხდარა მთიულებით და ხანდოს სათემო მინების საზღვარი.

ხალხს ამ ადგილზე დასახლების რამდენიმე მცდელობა ჰქონდა.

ორი – წარუმატებელი აღმოჩნდა. ახალმოსახლენი ციებით დაიხოცნენ.

დღევანდელი სოფელი, მესამე მცდელობით დაფუძნდა – XX საუკუნის დასაწყისში:

პირველი ვანო გვრიტიშვილი დასახლებულა – მეჯილაურთაგან;

მეორე, პავლე ვეშაგური – ვეშაგურებიდან;

მესამე, ალექსი ჯანიაშვილი – სოდევედან;

მეოთხე, მათე მოთიაშვილი – მეჯილაურთაგან;

მეხუთე, პავლე ჯუხარაშვილი – ჯუხარაანთკარიდან;

მეექვსე, თეკლე ბიბილაშვილი – ბიბილაანთკარიდან;

მეშვიდე, პავლე მნათობიშვილი – უკანამხარიდან.

*

ხანდოს თემს საკუთრება იყო „ხამუშაც“ – ზაფხულობით მათი საქონლის სადგომი სამეურნეო ბაზა.

ამ „ნაბინავნარ-ნასახლარებს“ და კოშკის ნანგრევებს – „ნაყორვანს“ ეძახიან.

ადრე, იქ, ქვის ყორე-ნაგებობები მდგარა და მეჯილაურთელი გვრიტიშვილები სახლობდნენ (7-8 კომლი).

„არაგვზე რო მტერი შემოვიდოდა – დამხვდურებმა ხამუშას ციხეში იცოდნენ ჩასაფრება“.

„გზას იცავდა ეს ციხე“.

„მარბიელი თუ ამოივლიდა, იქ მაგრდებოდა ხალხი და იქიდან ეომებოდა მტერს.“

„აქ აყრევიანებდნენ ტყვეებს“.

მაგარი იყო – ხამუშას ციხე.

*

ხალხური მეხსიერების თანახმად, ხანდოს ძველთაძველ მკვიდრს, პატარკაც ზურაბაშვილს, ხეობიდან ურჯულთა განდევნით უსახელებია თავი. მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულა იგი, დღევანდელი სამხედრო გზის მიმდებარე წყაროსთან, რომელსაც გამარჯვების წყალსაც ეძახიან.

ბევრმა ხანდოსხვეველმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი:

სამაგალითო ვაჟკაცი ყოფილა – შავნია ზურაბაშვილი.

გიორგი ზურაბაშვილის სახელი მისი საოცარი შრომისუნარით შემორჩა ხალხურ მეხსიერებას.

წლების განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მსახურობდა – ვიცე-პოლკოვნიკი, გივი (გია) ზურაბაშვილი.

იუსტიციის უფროსი მრჩეველი, პოლკოვნიკი, აპოლონ ჯანიაშვილი – რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსი იყო.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვაჟკაცი, პოლიციის პოლკოვნიკი, გურამ ჯანიაშვილი – საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, დაცვის სამსახურს და სახელმწიფო უშიშროების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მანანა მნათობიშვილი – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია აკრობატიკაში; მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი და ორგზის ვერცხლის პრიზიორი; ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი და ორგზის ვერცხლის პრიზიორი; მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი; საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი.

მურთაზ მნათობიშვილი: – საქართველოს მრავალგზის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნიჩბოსნობაში; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე; თბილისის „რაინდთა სკოლის“ დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი – წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საარაგოსთვის თავდადებული კაცი – ცნობილი პედაგოგი, რამდენიმე კარგი სახელმძღვანელოს ავტორი, ლევან მნათობიშვილი, მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და თავის დიდ ცოდნას მის კეთილდღეობას ახმარს.

თბილისის დინამოს ისტატ კალათბურთელთა გუნდის შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა – გიორგი ნათობიძე.

შალვა მნათობიშვილი – საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია მძლეოსნობაში.

ნიკოლოზ ნათობიძე – აღმოსავლური ორთაბრძოლების ამერიკული კენპო კარატის ოსტატი, 3-კიუს მფლობელი; საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და თასის მფლობელია.

ძირად ხანდოსხვეველი გახლდათ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავით გვრიტიშვილი. ორ ათეულ წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი; საქ. კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე; რამდენიმე მონოგრაფიის და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ელენორა დავითის ასული გვრიტიშვილი – თბილისის გერჰარდტ ჰაუპტმანის საზოგადოების პრეზიდენტი – 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 8 მონოგრაფიის და 30-ზე მეტი მოთხრობის ავტორი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლუიზა დავითის ასული გვრიტიშვილი – ლექციებს კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი.

სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, სიმონ გვრიტიშვილი – 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია.

სამაგალითო პიროვნება და ცნობილი დასტაქარი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ილარიონ (ლარიკო) გვრიტიშვილი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის საქმიანობაში.

პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, შოთა გვრიტიშვილი, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა; ჭირსა და ლხინში თანამემამულეთა გვერდით დადგა და თავისი კუთხისთვის სასიკეთო საქმეების კეთება წამოიწყო.

ომარ და ჯუდე მელიქიშვილები, სხვა თანასოფლელებთან ერთად, რესტავრაციას უკეთებენ ხანდოს მთავარანგელოზის ეკლესიას.

ძირად ხანდოსხვევლ ივანე მელიქიშვილს, 1947 წელს, საქართველოში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ՅԱՆՎԱՐԻ

„გუდამაყრის ხეობაზე შავი არაგვი მოდის.
მღვრიე, როგორც კაცის გულ-გონებაში ჩაკარგული ავი ფიქრი,
მინის გულ-ღვიძლიდან მოხეთქილი დარდი,
ჯოჯოხეთიდან სამზეოზე გამოქცეული შავჩოხიანი შავი მაყარი.
მორბის და თითქოს ფეხზე ადგომას ლამობს.
წყლის დასალევად ჩამოსულან მთები:
ჩაჭრილად, ოზანო, სადედაბრო, სალალო,
ჩამოსულან და დამსხდარან,
ელოდებიან არაგვის დანმინდებას.
ის კი არ წყნარდება,
მიერეკება ღორღიან ქალას“

გოდერძი ჩოხელი.

გუდამაყარი შავი არაგვის ხეობაში მდებარეობს. აღმოსავლეთიდან ფშავ-ხევ-სურეთი ესაზღვრება, დასავლეთიდან მთიულეთი, ჩრდილოეთიდან ხევი, სამხრეთიდან – ხანდო, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ქართალი.

ვახუშტის მიხედვით, ხევისაგან მას კავკასიონის მთავარი ქედი „განყოფს“; ხევ-სურეთისგან – „კავკასიიდან ჩამოსული სამხრეთად მთა ამას და გუდამაყარს შორისი“, ფშავის და ქართლისგან „მზღვრის“ – გუდამაყრის, ფშავის და ხევსურეთის არაგვების აუზის წყალგამყოფი ქედი.

გუდამაყრის და ხანდოს საზღვარი ცხვედიათის წყლის ჩამოყოლებაზე გადის. მისი უკიდურესი ისტორიული სამხრეთი საზღვარი – შავი და თეთრი არაგვების შესაყარს არ სცილდება.

ცხვედიათის ხევი, ადრე – გუდამაყრის, ხოლო სოფ. წითლიანთკარი და ბანცური – ხანდოს სათემო ტერიტორიას წარმოადგენდა. აღნიშნულის შესაბამისად, გუდამაყრის უშუალო მეზობლად, სამხრეთით ითვლებოდა სახანდოო.

ხანდოს ხევის – „ზეით ერთვის ხევი გუდამაყრისა არაგუს ჩრდილოდამ; გამისდის კავკასს გუდამაყარსა, ხევსა და ძურძუკს შორისა და არს გუდამაყრის ხეობა მაგარი. მოსავლით ვითარცა სხუა მთის ალაგნი და უფროს მნირი. კაცნი და ქალნი მზგავსნი მთიულთა, ხელოსანნი, მშვილდთმოქმედნი, აკეთაბენ რქისაგანა მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“.

შავი არაგვი – ჭაუხის მთის მასივის დასავლეთი კალთიდან, კერძოდ, ნარიანის მთიდან გამოდის და, სათავიდან სოფელ დუმაცხომდე, ბურსაჭირის ხევად მოიხსენიება. აღნიშნული მთიდან იგი ორ ტოტად მოედინება და ბოსლის ხევის შეერთებამდე – სხვადასხვა გვერდით ხევებს იკრეფს (მინდვრის ხევის, სფურის ხევის, ნარღვევის ხევის, რექიას ხევის, გაგახათის ხევის, ქაქიანთ ხევის, ცირასევის ხევის, ბუცნახევის, ბურ-ჟაულთხევის და საგველე მზორეს ხევის).

ბურსაჭილის წყლის სათავის პალეოზური ჯიშები – შავი ქვაქვიშებისგან შედგება. ისინი ადვილად იშლებიან და წყალს მოშავო ელფერს აძლევენ (განსაკუთრებით, რექიას ხევი). ამიტომ უწოდებენ მდინარეს შავ არაგვს.

ბოსლის ხევი სათავეს აფშოლელეს და ლაცხევის მთებზე იღებს. იერთებს: საირმ-

ეს, ქოლოჭვის, სადათვიას, საბატკენეს, ოზანოს, მაშალითის, არყოფის, კაინჩხის ხე-
ვებს და სოფ. დუმაცხოსთან უერთდება ბურსაჭირის წყალს.

*

გუდამაყარი პირველად VII ს-ის სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაშია მოხსენიებული.
კუთხის სახელწოდება, გადმოცემის თანახმად, „გუდასთან“ და „მაყართან“ არის
დაკავშირებული. მთხრობელები განსხვავებულ ამბებს ყვებიან. ერთი ვერსიის თანახ-
მად, მაყარს ქორწილში დარჩენია გუდა და მისთვის მიუძახებიან: – „გუდა, მაყარო!“
ლეონტი მროველის ცნობით (XI ს.), წმ. ნინომ, წობენში, სხვა მთიელებთან ერ-
თად, გუდამაყრელებსაც უქადაგა ქრისტიანობა.

ფეოდალური ხანის გუდამაყარზე არაგვის ერისთავები ბატონობდნენ.

აქაური მთიელები, სხვა არაგველების გვერდით, გამირულად იბრძოდნენ კრწანისის
ომში.

*

გუდამაყრის ქედზე გადიოდა, გვიანდელი ხანის, ქართლ-კახეთის სამეფოთა საზ-
ღვარი.

საქართველოს სამხედრო გზის გარდა, თავის მომიჯნე კუთხეებს გუდამაყარი
უკავშირდება ხეობებში არსებული ბილიკებით და გადასასვლელებით.

ხევსურეთთან ურთიერთობა ფხიჭურისა და ჭაუხის გადასასვლელებით ხორ-
ციელდება.

მთიულეთის მიმართულებით ფუნქციონირებდა ოზანოს (ბოსლევია – ხევშას) და
ნაბაკარის (ანთოხი – სალაჯურის) გადასასვლელები.

ფხიჭურის უღელტეხილი – გუდამაყრის ქედზეა, მდინარე საკერპის სათავეში,
ზ.დ. 2653 მ-ზე. მდ. ბაკურხევის აუზს, იგი მდ. ბურჩუკურთას (ხევსურეთის არაგვის
მარჯვენა შენაკადის) ხეობასთან აკავშირებს.

ჭაუხის უღელტეხილი – კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ჭაუხის და სა-
დუციას მთებს შორის მდებარეობს, ზ.დ. 2347 მ-ზე.

სოფ. ბურსაჭირიდან ბილიკი გადადის კარკუჩაში.

ხევთან – გუდამაყარს საირმეს ბილიკებიც აკავშირებს. განსაკუთრებული მნიშვნ-
ელობა კი, ე.წ. ქვენამთის (ბურსაჭირის, 3145 მ. ზ.დ.) გადასასვლელს ჰქონდა, რომ-
ლითაც – ფასანაური, გუდამაყრის ხეობის გავლით, სტეფანწმინდას უკავშირდებოდა.

აღნიშნული ტრასის მშენებლობა მთავარმართებელმა ციციანოვმა 1836 წელს
დაიწყო. განიხილებოდა, როგორც საქართველოს სამხედრო გზის საუღელტეხილო
მონაკვეთის მთავარი მიმართულება. აგებდნენ ყაზარმებს, ჰოსპიტალს, მგზავრთა
სადგურებს... ახალი ტრასა გვერდს უვლიდა კაიშაურების და კობის ურთულეს მონ-
აკვეთებს, შედარებით მოკლეც იყო – მაგრამ, აქაც, თავი გაუთვალისწინებელმა სირ-
თულებმა იჩინა.

სერიოზული ასანონ-დასანონი გახდა ჯვრის უღელტეხილის და ქვენამთის მიმარ-
თულების ღირსება-ნაკლოვანებანი.

1847 წელს, მთავარმართებელმა ვორონცოვმა დაიწუნა გუდამაყრის ხეობით გზის
გაყვანის პროექტი და მშენებლობა ჯვრის უღელტეხილზე განაახლა.

ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლებელია, აღნიშნული ხეობის

ქართული სოფლების გვერდის ავლაც ყოფილიყო. ისინი რუსებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ. დიდველის მიმართულებით კი დისლოცირებული იყო მათი ერთგული მოკავშირის – ოსების სოფლები.

*

1774 წელს გუდამაყრის ხეობაში აღირიცხა 16 სოფელი: დუმაცხო – (14 კომლი); ანთოხი – 19; ჩოხი – 8; ჩიბაური (ჩაბალაური) – 10; ლიდა (ლიდენი) – 3; ხოზა – 4; საუხი (ცუცქუნაურთა) – 2; ჭალისსოფელი – 6; გამხი (გამსი) – 8; გოგონაურთა (დღევანდელი დიდებაანი) – 8 კომლი; კიტოხი – 6; მაქართა – 16; წინამხარი – 4; ფხაეთი (ფახვიჯი) – 10; ჭოჭოხი – 5; ლუთხუმი (ლუთხუბი) – 14 კომლი.

1781 წლის აღწერაში გუდამაყრის სამი სოფელი მოხვდა: – ფხაეთი, ჭოჭოხი და წინამხარი.

1886 წელს გუდამაყარი დიდებაანთკარის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა. აღირიცხა შემდეგი სოფლები: ანთოხი (7 კომლი), ბაკურთხევი (49), ბაკურთხევის წყალი (25), ბოსელი (6), ბახანი (10), გამსი (15), დიდებაანთკარი (გოგონაურთკარი, 15), დიხჩო (22), დუმაცხო (31), ზანდუკი (16), კიტოხი (9), ლუთხუბი (31), მაქართა (21), ფახვიჯო (19), ხოზა (7), გუდამაყრის წინამხარი (11), ცხვედიანი (22), ცუცქუნაური (6), ჩაბაურთა (5), ჭიმშე (9), ჩოხი (15), ჭოჭოხი (6).

1926 წელს – გუდამაყარი ფასანაურის თემში გააერთიანეს. მის შემადგენლობაში შევიდა: ანთოხი (9 კომლი), ბახანი (პატაშური, 16 კომლი), ბაკურთხევი (საკერპო და გორული – 30), ბოსელი (9), ბურსაჭილი (16), გამსი (21), დიხჩო (32), დიდებაანი (12), დუმაცხო (19), ზანდუკი (21), კიტოხი (6), ლუთხუბი (55), მაქართა (30), საჩალის ჭალა (13), სიჯანაანი და თოთიაურთკარი (25), ფახვიჯა (12), ჭიმში-თორელანი (13), ჩიბაურნი (7), ჩოხი (15), ცუცქუნაური (6), ცხვედიანი (33), წინამხარი (11), ჭოჭოხი (3), ხოზა (5 კომლი).

დგინდება, რომ წარმოდგენილი ყველა აღწერის მონაცემები ხარვეზიანია: – გამორჩენილია ცალკეული სოფლები; მათი სახელწოდებები განსხვავებულია და, ზოგჯერ, ერთმანეთს არ თანხვდება.

*

გუდამაყარში დღეს მცხოვრები ყველა გვარი, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად – მოსულია.

აბორიგენები დიდი ხნის წინათ გადასახლდნენ.

„ადრინდელი მოსახლეობის საერთო სალოცავი (სოფ. გამსში მდებარე) – საბურთველოს წმინდა გიორგი უნდა ყოფილიყო“ (რ. თოფჩიშვილი).

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, ის ფაქტიც, რომ საერთო გუდამაყრული თავყრილობები საბურთველში იმართებოდა.

დღეს, გუდამაყრელი ბექაურ-ნიკლაურების საერთო სალოცავი – „პირიმზე ფუძის ანგელოზია“; ჩოხელებისა – „ჩოხის წმინდა გიორგი“.

ბახანი (პატაშური)

ფასანაურიდან კიტოხის მიმართულებით გუდამაყრის პირველი სოფელია. მთიულეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს; გუდამაყრის არაგვის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ. 1440 მ-ზე.

პატაშურები, ნიკლაურები და ქავთარაძეები სახლობენ.

1926 წლის აღწერით 16 კომლი დარეგისტრირდა; 57 მამაკაცი და 37 ქალი, სულ 94 სული; ძირითადი გვარები – ნიკლაური და პატაშური იყო.

სოფლის მიმდებარედ ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლი, ე.წ. დევის პინა (თასი), რომელიც ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. იგი შირიმის კვადრატული ფილაა (0,6X0,6 მ. სიმაღ. 0,25 მ.), რომელსაც ცენტრში ოთხკუთხა ღრმული (0,2X0,2 მ. სიღრმე 0,18 მ) აქვს ამოკვეთილი.

ს. მაკალათიას ცნობით, მისი ნატეხები, ფასანაურიდან 8 კმ-ზე, „ზედ ძველ სამხედრო გზაზე ეყარა.“ იქვე იყო ძველ ნაგებობათა ნანგრევები; „მინიდან მოსჩანდნენ ყუთისებური ქვის აკლდამები.“

ლეგენდის თანახმად, იქ, დევებს უცხოვრიათ. ამ ქვის „ჭურჭლით“ უსვამთ წყალი.

ეთნოგრაფების აზრით, ასეთი პინები, ტაძრებთან ახლოს არსებობდა და მასში, ხატობისას, მწველ ძროხებს წველიდნენ – რელიგიურ კულტთან დაკავშირებით.

გუდამაყარში ნაპოვნი „დევის პინა“, მოგვიანებით, ფასანაურის რესტორნის ეზოში გადაიტანეს. იქ იყო დაცული.

ბახანზე გამავალი გზის პატარა მონაკვეთს, ღარის წყლიდან გოგორის კლდემდე – სილალის გზას ეძახდნენ.

ადრე იქ, სახიფათო, ძნელად გასასვლელი ბილიკი ყოფილა; კაცი თუ მშვიდობით გაივლიდა – გაიხარებდა და გალალდებოდა.

ამიტომ შეურქმევიათ ეს სახელი.

გუდამაყრის წინამხარი

შავი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ზ.დ. 1300 მ-ზე.

1774 წელს აფციაურების 4 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით 11 კომლი აღრიცხეს; 34 მამაკაცი და 39 ქალი; სულ 73 სული; ძირითადი გვარი – აფციაური იყო.

სოფლის ერთ უბანს „მაზიტანს“ ეძახიან. პირველი, იქ, მაზიტა აფციაური ჩამოსახლებულა – დუმაცხოდან. დღეს, მისი შთამომავლები ცხოვრობენ.

ხადისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე ფერდობზე IX-X სს მთავარანგელოზთა ეკლესია და კოშკი დგას.

ეკლესია დარბაზულია (10,9X6,8 მ.). ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია. ინტერიერში შემორჩენილი აქვს – ფრესკული მხატვრობის ორი ფენის და ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. ჩრდილოეთის კედელთან, ხის მაღალი (5 მ. სიმაღლის), ორნამენტებით მოხატული ჯვარი დგას.

კომპი ეკლესიის თანადროულია. ნაგებია ნატეხი ქვით. სწორი მხარე მდინარისკენ აქვს მიქცეული. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ოთხი სართული.

სოფლის ჩრდილოეთით, მაღალი მთის თხემზე, „ქოჩორთ წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესიაა (5,2X3,3 მ.). შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. მისგან ათიოდე მეტრზე, გაურკვეველი ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი.

მთის ციცაბო კალთაზე მდგარი კვირიას ეკლესია, გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვით.

სოფლის სამხრეთით, მაღალი მთის წვერზე მდებარე აძივნის დარბაზული ეკლესია (7,3X4,9 მ.) XIII-XIV სს თარიღდება. მიდგმულია – ნანგრევებად ქცეული ზურგიანი კომპის კედელზე, რომელიც ეკლესიის სამხრეთი ფასადის ნახევარს ფარავს. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი. ძლიერ დაზიანებულია.

მის აღმოსავლეთით მდებარე ფერდობზე, შემორჩენილია რამდენიმე გაურკვეველი ნაგებობის ნაშთი.

მაქართა და თლოშიაურ-თოთიაურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, თოთიაურების წინა გვარი, – თლოშიაურია. 1774 წელს, მაქართას, თლოშიაურების 16 კომლი სახლობდა; 1873 წელს – 17; 87 მამაკაცი და 84 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 236). 1886 წელს – თოთიაურების 21 კომლი აღირიცხა; 102 მამაკაცი და 116 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1811).

1926 წლის აღწერით დარეგისტრირდა 30 კომლი; 102 მამაკაცი და 113 ქალი, სულ 215 სული, ძირითადი გვარი – ნიკლაური იყო.

სოფლის ჩრდილოეთით, „დიდებათ მიწად“ წოდებულ ადგილას – VIII-VI სს სამაროვანი აღმოჩნდა. გამოვლენილი ინვენტარი (თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, ბრინჯაოს სპირალური ბეჭედი, საკიდი, ფირფიტოვანი სარტყლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ირმის ქანდაკებები და სხვ.) – დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება.

მაქართის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარი ზურგიანი კომპი, VIII-X სს თარიღდება. ნაგებია ლოდების მშრალი წყობით. ოთხსართულიანია (სიმ. 12,3 მ.). დასავლეთიდან, გვიანდელი შუა საუკუნეების გალავანი ეკვრის.

ლუთხუბი (ლუთხუმი) და ანთაურები

გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, სოფლის თანამოსახელე მდინარის ხეობაში – ზ.დ. 1440 მ-ზე.

1774 წელს თლოშიაურების – 8; აფციაურების – 5 და ანთაურების – 1 კომლი სახლობდა.

1926 წელს 55 კომლი აღრიცხეს, 188 მამაკაცი და 183 ქალი, სულ 371 სული; ძირითადი გვარები – ნიკლაური და აფციაური იყო.

ვ. ბარდაველიძის ცნობით, ლუთხუმში მოსახლე ნიკლაურების ადრინდელი გვარი – ფშავეური წარმომავლობის წითელაურია. ისინი ლაშარის ჯვრის და გოგოლაურთ წმინდა გიორგის ხატში დადიოდნენ სალოცავად.

რ. თოფჩიშვილის მიხედვით, ლუთხუმელ ნიკლაურებში სამი მამაშვილობა გამოიყოფა. მათგან, მხოლოდ ერთი – „თანგულანი“ არიან ძირად ფშაველები (რომელთა ადრინდელი გვარიც წითელაური იყო). ისინი, მესისხლეობის გამო, ამანათად მოსულან და ადგილობრივი ნიკლაურების გვარი მიუღიათ. „დანარჩენი ორი მამაშვილობა („თორელანი“ და „ბოლონანი“ – ნამდვილ ნიკლაურობას ამბობენ.“

თორელა და ბოლონა – სოფ. ზანდუკიდან გადმოსახლებულან („ქართული გვარსახელების ისტორიიდან“, ნ. I, გვ. 134, 2003 წ.).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ლუთხუმში დასახლებულა აგრეთვე, არხოტში (სოფ. ამლაში) დაობლებული ერთი ბიჭი, რომელიც იქიდან ნიკლაურის გვარის კაცს წამოუყვანია.

ანთაურები – კანალხევიდან არიან მოსულები.

მათი წინაპარი – ანთა, გვარად გიგაური ყოფილა და ხევსურეთის სოფელ ბლოდან მისულა კანალხევში.

1774 წელს, ლუთხუმში, ანთაურების 1 კომლი სახლობდა.

ათენგენობას – ისინი ბლოში დადიოდნენ სალოცავად.

სოფლის ზედა უბანში მდგარი ღვთისმშობლის ეკლესია (12,9X7,1 მ.) XIX ს-ის II ნახევარში აუგია ადგილობრივ მოსახლეობას. გვიანდელი შუა საუკუნეების ეკლესიაზეა მიდგმული. ნაგებია ნატეხი ქვით. კარ-სარკმელთა ღიობები თანაბარი ზომის კვადრებითაა გამოყვანილი. დასავლეთის ფასადზე, სარკმლის ზემოთ, გამოსახულია რელიეფური ჯვარი. აღმოსავლეთის ფასადზე, ფრონტონში, კონქის ზედა სივრცის გასანიავებლად, დატოვებულია მცირე ზომის ღიობი. სახურავის დასავლეთ კიდეში, ოთხსვეტიანი სამრეკლოს კვალია შემორჩენილი.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღალი მთის წვერზე, ფშაველთა და გუდამაყრელთა საერთო სალოცავი, წმინდა გიორგის ხატია („ფშარაველი“, „ფშარაო“), რომელიც ბაზალეთიდან მოუბრძანებია ადგილობრივ მრევლს.

დეკანოზები მას ასე მოიხსენიებენ:

– „გაუმარჯოს ფშარაველს, მთას ლალსა წვერის ყარაულსა, თავის ძმათა და ყმათა ზედამხედველსა, ჩვენის ბატონ-პატრონის შამნახავსა“.

ლეგენდის თანახმად: – სოფ. ლუთხუმის და დიხჩოს ხატებს თურმე დევები მტრობდნენ. შეუწუხებიათ ისინი. მერე, ორივე სოფლის ხატი ძმად გაფიცულა, მხარი მიუციათ ერთმანეთისთვის, ფშარაველის მთის მწვერვალებზე გამაგრებულან და დევებს, იქ, ველარაფერი დაუკლიათ.

დისჩო

გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, „მაღლა გორაზე“, შავი არაგვის მარცხენა მხარეს – ზ.დ. 1120 მ-ზე.

ამბობენ, „შვიდჯერ ნაოხარი ადგილიაო“.

ადრე ვინ სახლობდა – არ იციან! – „მერვე დასახლება ნიკლაურების ყოფილა“.

1926 წლის აღწერით 32 კომლი აღირიცხა, 83 მამაკაცი და 97 ქალი; სულ 180 სული; ძირითადი გვარი – ნიკლაური იყო.

სოფლის გაღმა მდებარე ერთ ფერდობს „ბენუნანს“ ეძახიან.

„წინათ სახარავნო რქმევია“.

გ. ხორნაულის ცნობით, „ხადეულ ხევსურს, ბენუნას, კაცი შემოჰკვდომია. გამოქცეულა იქიდან და დიხროელთ შემოჰკედლებია.

„სახარავნე ადგილას დაუყენებიათ – მეხარავნედ.“

აქაც კაცი შემოჰკვდომია – ათილაი. გამოზდგომიან მოსაკლავად, მაგრამ, როგორღაც, შეურიგებიათ იმ პირობით, რომ, ყოველ წელს, თითო ქობი არაყი უნდა მიეტანა „პირიმზეში“ – ათილას შასანდობრად.

„გასულა და გაღმა დასახლებულა.“

პირობა, 1933 წლამდე სრულდებოდა.

მერე, თურმე ბენუნას შთამომავლები გამრავლდნენ და, „გაღმა, აქაურების ხარებს აღარ უშვებდნენ.“

„შაყრილა სოფელი და მათი ამონყვეტა განუზრახავთ.“

გაუსწრიათ, გაქცეულან და ფშავში წასულან.

დიხროელებს დაუნვიათ იმათი სახლ-კარი.

*

სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ქედზე, მაღანელის დარბაზული (4X3 მ.) ეკლესია დგას. განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს მხოლოდ 1 მ. სიმაღლის კედლები.

სოფლის ამავე მხარეს, წმ. გიორგის ნიშია, სადაც, გადმოცემის თანახმად, კახეთიდან მობრძანებული ხატი ასვენია. ნიში – ოთხკუთხა (0,8X0,7 მ.), ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაშენი – მასიური ნაგებობაა (სიმ 1,5 მ.). მის სიახლოვეს საზარეა (0,8X0,8 მ.), რომელზეც რამდენიმე ზარი ჰკიდია; ზოგიერთ მათგანზე შემომწირველის სახელია ამოკვეთილი.

დისჩოს მიმდებარე მთაზე, ბილიკის პირას, წყარო გამოდის, „დედუფლის წყალს“ ეძახიან. გადმოცემის თანახმად: – „გომენრელებს გაუტაცნია გუდამაყრელთა პატარძალი. მდევარი ამ წყაროსთან დასწევია; ატეხილა სროლა; ერთი ტყვია დედუფალს მაჰხვედრია და მამკვდარა“...

*

1942 წლის 8 აგვისტოს, ჰიტლერული გარმანიის სამხედრო ტრიბუნალმა – მის თანამებრძოლებთან ერთად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ლირსეულ არაგველს,

სოფ. დიხჩოს მკვირდს, სიმონ ნიკლაურს.

ვერც თავისუფლების დაპირებამ, ვერც მუქარამ და წამებამ ვერ გატეხა მათი ვაჟკაცური სული

„უდრეკ იყო“ – დიხჩოელი კაპიტანი.

კიტოხი, თორელანი და ზანდუკი

კიტოხი – დღევანდელი გუდამაყრის საკრებულოს ცენტრია.

ბეჯაურების გვარი სახლობს.

1774 წელს – მათი 6 კომლი აღირიცხა.

1886 წელს – 9; 25 მამაკაცი და 27 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1805).

1926 წლის აღწერით 6 კომლი დარეგისტრირდა; 17 მამაკაცი და 18 ქალი, სულ 35 სული, ძირითადი გვარი – ბეჯაური იყო.

სოფელში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალია: – რკინის ორმეტრიან კვარცხლბეკზე აღმართული, რკინისავე, 6 მ. სიმაღლის ობელისკი – შემდეგი წარწერით: – „დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ სამამულო ომის ფრონტებზე სამშობლოს ღირსებისათვის და გამარჯვების ბრძოლებში“.

1983 წელს, მშობლიურ კიტოხში დაუდგეს ძეგლი, რუსეთში მოღვაწე ცნობილ კონსტრუქტორსა და გამომგონებელს, ვლადიმერ ბეჯაურს.

*

„კიტოხს გაღმა“, მდ. ბაკურხევის და შავი არაგვის შესართავთან, სოფ. თორელანია (თორელაანებია) განთავსებული.

მისი სახელწოდება მამაკაცის საკუთარ სახელს, თორელას, უკავშირდება.

უფრო ადრე ამ სოფელს ჭიმშა ერქვა.

1926 წელს – ჭიმშა-თორელანში, 13 კომლი აღირიცხეს; 31 მამაკაცი და 31 ქალი, სულ 62 სული, ძირითადი გვარი – ბეჯაური იყო.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, იქ მოსახლე ბეჯაურების ადრინდელი გვარი ხითათიშაურია („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, წ. I, გვ. 131, 2003 წ.).

*

ზანდუკი – შავი არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობს.

ადრე, „ნათიანი“ ერქვა.

„ლიქოკელი ნათია ყოფილა იქ გათხოვილი – ჭკვიანი და ჭკუასაკითხავი ქალი“. მისი სახელის მიხედვით მიიღო სოფელმა ძველი სახელდება.

ზანდუკს, ანუ, სოფლის ახალ სახელწოდებას, ადგილობრივი მკვიდრნი – იქ, ძვირფასეულობით სავსე სათავსის აღმოჩენას უკავშირებენ.

სოფელი სამ უბნად არის დაყოფილი. 1926 წლის აღწერით, 21 კომლი სახლობდა, 62 მამაკაცი და 64 ქალი, სულ 126 სული, ძირითადი გვარები – ნიკლაური და ბეჯაური იყო.

გავრცელებული აზრი იმის შესახებ, თითქოს, ზანდუკი – ზანდუკელთა გვარის თავდაპირველი საცხოვრისია – ეჭვს იწვევს და იოანე ბატონიშვილის „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერასთან“ – თანხვედრაში ვერ მოდის (იხ. „საარაგვო და არაგველები“, ნიგნი I, ზანდუკელები, გვ. 278).

დიდებაანი და დიდებაშვილები

სოფელი მთიულეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, ზ.დ. 1420 მ-ზე.

1926 წლის აღწერით 12 კომლი სახლობდა, 39 მამაკაცი და 55 ქალი, სულ 94 სული, ძირითადი გვარი – ბექაური იყო.

დიდებაშვილები და ბექაურები ერთი მამიდან მოდიან.

ცნობილ ვაჟკაცს, დიდება ბექაურს უკავშირდება სოფლისა და გვარის ახალი სახელდება.

გადმოცემის თანახმად, მისი შთამომავლები ისე გამრავლებულან, რომ, სადილობისას, 30-40 ჯამი მარტო ხმლიანი მამაკაცებისთვის იდგმებოდა.

ბექაურების ახალი გვარი, დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამაშვილობად დაიყო: – დათვიანი, ლომიანი, ბაინდურანი, მამისნარიანი, მღვდლიანი...

მოგვიანებით, ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდნენ.

ძველ ფუძეზე დარჩენილთა ნაწილი – ბექაურობას ვერ შეეღია, ნაწილი – დიდებაშვილად დაენერა.

გვარის უზუცესების ცნობით, ყველაზე გამორჩეული ვაჟკაცი იყო – იმედო, ანუ, შარია (იგივე შარუნა) ბექაური, რომელსაც საბიძაშვილოს წინამძღოლობა და მტერ-მოყვარესთან ანგარიშსწორება აუღია თავის თავზე.

მისი ბიძაშვილი იყო ცნობილი ფალავანი, ხადა ბექაური (დიდებაშვილი).

გამსი (გამხი)

მთიულეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთასთან, გუდამაყრის არაგვის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს – ზ.დ. 1440 მ-ზე.

1774 წელს ბექაურების – 7 და ბერშელის 1 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით 21 კომლი დარეგისტრირდა; 73 მამაკაცი და 81 ქალი, სულ 154 სული; ძირითადი გვარი – ბექაური იყო.

თავადპირველად, ორ უბნად ყოფილა დასახლებული.

სოფ. ფახვიჯიდან იგრიანულების ჩამოსახლების შემდეგ (რომლებიც ქალაზე დასახლდნენ), მესამე უბანი გაჩნდა, „ჭალივერნის“ – ანუ, „ჭალელებს“ სახელწოდებით.

სოფლის ბოლოს მდებარე ვაკეს „საბურთველოს“ უწოდებენ.

ადრე იქ, ცხენბურთს თამაშობდნენ.

მოგვიანებით, ხატის – „საბურთველოს წმინდა გიორგის“, საკუთრება გახდა.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ, ხევისურების ჩამოსახლებაში, გუდამაყრის ადრინდელი მოსახლეობის საერთო სალოცავი – საბურთველოს წმინდა გიორგი იყო.

„საერთო გუდამაყრული თავყრილობები იქ იმართებოდა„.

სხვა ხატობების დროსაც კი, გუდამაყრელი მლოცველები „ჯერ საბურთველში გაივლიდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ, გაჩერდებოდნენ, სანთლებს აანთებდნენ, შეეხვეწებოდნენ და მერე წავიდოდნენ სხვა სალოცავში (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. 1, გვ. 140, 2003 წ.).

ჩოხელების და ბექაურ-ნიკლაურების ჩამოსახლების შემდეგ, გუდამაყრელთა საერთო სალოცავი „პირიმზე ფუძის ანგელოზი“ და „ჩოხის წმინდა გიორგი“ გახდა. ორივე, სოფ. დუმაცხოს და ჩოხის ქალაზე, ერთმანეთის გვერდით მდებარეობს.

ჩოხის სალოცავში დაცულ ხატს, მრეველი „სათემო ჯვარს“ უწოდებს. გადმოცემის თანახმად, იგი „საბურთველის წმინდა გიორგის“ საკუთრება იყო და მოგვიანებით გადააბრძანეს ამავე წმინდანის სახელობის ჩოხის ეკლესიაში.

დეკანოზები ასე ილოცებიან: –

„საბურთველის წმინდა გიორგის გაუმარჯოს – სათემო საიმედოსო“.

როგორც ვ. ბარდაველიძე გვამცნობს (1945 წ.), საბურთველოს ბოვრაცი „პირიმზეში“ ინახებოდა. სალოცავს „თავისი ხატი და კიდევ ერთი „სათემო ხატი“ ჰქონდა – რომელსაც, გიორგობას, „გამსის მინდორზე მდებარე, ე.წ. „საბურთველში“ მიაბრძანებდნენ ხოლმე.“

*

გამსში მცხოვრები ბექაურების გვარი, დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამამკვილობად დაიყო: – შარვანიანი, ობლიანი, ბაიანი, თამაზიანი, მამუკიანი (იგივე ბაჩომიანი), თურქიანი...

რ. თოფჩიშვილის ცნობით, მათი ნაწილი, „ადრე, გორზამაშვილები ყოფილან. მარტყოფიდან არიან მოსულეები. ბექაურებად იმიტომ დაენერნენ რომ, სადაც ბექაურნი ცხოვრობდნენ, იმ სოფელში დასახლდნენ. ესლა, 9-10 კომლი იქნებიან“ (რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან ნ. 1, გვ. 131, 2003 წ.).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდგარი ზურგიანი კოშკი განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია მშრალად – ლოდებით; შემორჩენილი აქვს მხოლოდ 1,5 მ. სიმაღლის კედლები. მისგან დასავლეთით, 60-70 მ-ზე, ძველი ნასოფლარი ფიქსირდება.

ჩობალაურნი (ჩიბაური, ჩობალაურები)

ჩოხიდან ორიოდ კილომეტრზე მდებარეობს; შავი არაგვის მარცხენა მხარეს – ფასანაურიდან მე-15 კმ-ზე.

იქით და აქეთ კლდის ხეობები ჩამოუდის.

1774 წელს – ჩობალაურების 10 კომლი სახლობდა.

მოგვიანებით, ისინი ნიკლაურის გვარზე გადავიდნენ.

1926 წლის აღწერით 7 კომლი დარეგისტრირდა, 19 მამაკაცი და 18 ქალი, სულ 37 სული; ძირითადი გვარი ნიკლაური იყო.

ბარში ჩამოსახლებულმა ჩობალაურებმა, გუდამაყრელებისგან განსხვავებით, საკუთარი გვარი შეინარჩუნეს და, კასპის რაიონში, სოფ. ჩობოლაურიც დააფუძნეს (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, გვ. 133, 2003 წ.).

ლიდა

როგორც გოდერძი ჩოხელი გვამცნობს, ჩობოლაურიდან ერთი კილომეტრის დაშორებით იყო სოფელი ლიდა, სადაც ლიდაურები (ლიდენი) სახლობდნენ.

1774 წლის აღწერით, იქ თლოშიაურების (თოთიაურების) 3 კომლი სახლობდა.

ხოზა

შავი არაგვის მარცხენა მხარეს, სოფ. ჩობალაურების მიმდებარე ფერდობზე იყო განთავსებული.

დღეს ნასოფლარად არის ქცეული.

გოდერძი ჩოხელის ცნობით („ადამიანის სევდა“), იქ, ხოზელებს და ასპანიანთ გვარის ხალხს უცხოვრია.

1774 წლის აღწერით ჩოხელების – 3 და ნიკლაურების 1 კომლი სახლობდა.

1873 წელს – თლოშიაურების 1 კომლი. ისინი, მოგვიანებით, ნიკლაურის გვარზე გადავიდნენ (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, გვ. 134, 2003 წ.).

1926 წელს, ხოზაში, 5 კომლი აღწერეს, 15 მამაკაცი და 24 ქალი, სულ 39 სული; ძირითადი გვარები – ბექაური და ნიკლაური იყო.

საუხი (ცუცქუნაურთა)

ხოზადან 1,5 კმ-ზე მდებარეობს.

ზემო გამსიდან ჩამოსახლებული ცუცქუნაურები სახლობენ (ძირად ბექაურები).

1774 წელს – ცუცქუნაურების 2 კომლია აღწერილი.

1873 წელს, ისინი ბექაურის გვარს დაუბრუნდნენ. აღირიცხა მათი 5 კომლი. ამავე წელს, გუდამაყრიდან ერწოს სოფ. თრანში გადასახლებული მათი ბიძაშვილები კი, ისევ ცუცქუნაურის გვარს ატარებდნენ (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, 2003 წ.).

1926 წელს, ცუცქუნაურთაში, 6 კომლი დარეგისტრირდა, 11 მამაკაცი და 16 ქალი, სულ 27 სული; ძირითადი გვარი – ბექაური იყო.

ჩოხი და ჩოხელნი

სოფელი მთიულეთ-ფშავის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ბურ-საჭირის და ბოსლის ხეების შესართავთან – ზ.დ. 1760 მ-ზე.

ორ უბნად არის გაყოფილი.

სოფლის ბოლოს მოსახლეობის მამულებია; თავზე – კლდიანი ტყეები.

„ძველი ჩოხი დაბლობშია. გარშემო მთებია. წამოყუდებული მთები – რო თვალს ვერ აუწვდენ. აქეთ მთაზე ძველი ჩოხია, მეორე მხარეს კიდე – ათნოხი, მესამე მთაზე სოფელი – დუმაცხო. ისეა, თითქოს ეხლა მოსწყდება და ჩამოვარდება იქიდანო ათნოხი“ (გოდერძი ჩოხელი).

1774 წელს, ჩოხში – ჩოხელების 8 კომლი სახლობდა;

1926 წელს – 15 კომლი დარეგისტრირდა, 46 მამაკაცი და 51 ქალი, სულ 97 სული; ძირითადი გვარი – ჩოხელი იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ჩოხელებს და აფციაურების ნაწილს – ქისტისა და სურთის წინაპარი ჰყოლია, გვარად თავაური. ორ იქაურ ძმას (აფის და ჩალის) სამშობლოში კაცი შემოკვდომია, მესისხლეობას გამოქცევით და გუდამაყარში შეხიზნულან (ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930 წ. გვ. 79).

აფისგან აფციაურები წარმომდგარან, ჩალისგან – ჩოხელები.

დღემდე, ძმათაშვილებად მიიჩნევენ ისინი თავს და ერთმანეთში ქალს არ ათხოვებენ.

გადმოცემის თანახმად, მათი საცხოვრისი – შატილის მიმდებარედ, ანატორის ჩრდილოეთით, ჯალაბაურებთან და სივსაურებთან ახლოს, მითხოს ხეობის (ჩეჩნეთი) მომიჯნავედ ყოფილა – იქიდან წამოსულან გუდამაყარში.

გვარის უხუცესების ცნობით, ჩოხელთა გვარში ოთხი დიდი მამაშვილობა გამოიყოფა: – შულლიანი, გამიხარდიანი, შიოზაურები და ხახიანი.

შულლიანი ძირად ოსები ყოფილან – ბალთადან;

შიოზაურები ქისტები – ჯარიახიდან;

ხახიანი და გამიხარდიანი – ხევსურები.

ოთხივე მამაშვილობა გუდამაყარში მოსულად ითვლება.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, მეორე, მესამე და მეოთხე შტო, შედარებით გვიან არის მოსული („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. 1, გვ. 132, 2003 წ.).

ერთად თავმოყრის შემდეგ, ზემოაღნიშნული მამაშვილობები – ძმად გაფიცულან და საერთო, ჩოხელის გვარი მიუღიათ.

როგორც გოდერძი ჩოხელი გვამცნობს: –

„ჩოხის თემი გუდამაყარში მთავარ თემად ითვლებოდა. მათთან ინახებოდა სათემო ხატი, რომელსაც, ჭირიანობის დროს, ხეობაში ჩამოატარებდნენ ხოლმე, სწეულეობა რომ გასულიყო იქიდან“.

ჩოხელებმა გუდამაყარში სალოცავად ადგილობრივი ხატი – (შემდგომში) „ჩოხის წმინდა გიორგი“ დაიდგინეს. მისი პირველი ყმანი, „თათრები“ ყოფილან“, მეორენი – „განაყარნი გამხდარან“, „მესამენი – ჩოხელნი“. ძველთა-ძველი და ძლიერი სალოცავია. „თუ შეენირობდნენ“, სხვა ადგილობრივი გვარებიც ეყმობოდნენ ხოლმე – თვით „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ ყმებიც კი, ნიკლაურები და ბექაურები. „ეს მაშინ

ხდებოდა, თუ ჩოხის წმინდა გიორგის ხატი მათ „დაამიზეზებდა“.

როცა ხევსურეთიდან გადმოსულმა ნიკლაურ-ბექაურებმა, თავიანთი საგვარეულო ხატის – „ახოს პირიმზის“ თაყვანისცემა გუდამაყარშიც დაანესეს – ამ ახალმა სალოცავმა თანდათან გადაიბირა, შემოიკრიბა, შემოიმტკიცა და თითქმის, მთლიანად გაანიკლაურა – მთელი გუდამაყარის მოსახლეობა.

ყველა – ჩოხელების გარდა!

აფციაურებმაც არ მიიღეს ნიკლაურობა, მაგრამ პირიმზეს შეეფიცნენ.

*

ჩოხელთა ძირითადი საცხოვრისი გუდამაყარია (ჩოხი, თოთიაურები, საჩალისჭალა...). დროთა განმავლობაში, მათ – „სიფრო უწევარის და ქალი უთხოვარის“ პრივილეგია მოიპოვეს (რაც წვეულებებზე დაუპატიჟებლად მისვლის უფლებას და ქალის თხოვაზე უარის არ თქმას ითვალისწინებდა). მოგვიანებით, მთიულეთშიც დააფუძნეს საგვარეული სოფელი (ჩოხელნი). იქაც სცადეს ასეთი ტრადიციის დამკვიდრება, მაგრამ ჭიკაიძეები არ შეეპუნენ.

ჩოხელებისგან მოდის გუდამაყრელი (არა ფშავეური წარმომავლობის) ხახაშვილების შტო.

გადმოცემის თანახმად, ისინი ალექსანდრე ბატონიშვილის შთამომავლები არიან. მათი წინაპარი ხახა ჩოხელი ყოფილა.

მის შემდგომ დაწერილან ხახაშვილებად.

დღეს – ერწოში სახლობენ.

ძირად ჩოხელები არიან – კეკიშვილებიც.

ომარანთ და გამცველელაანთ მამაშვილობის ჩოხელები, რამდენიმე აღწერაში ომარაშვილებად და გამცველაშვილებად ჩაენერნენ, მაგრამ, მოგვიანებით, ისევ აღიდგინეს ჩოხელობა.

1774 წლის აღწერით, მთიულეთის სოფელ ჩოხელნში, ჩოხელთა უკვე ხუთი კომლი სახლობდა.

*

ჩოხელთა გვარს მამა-პაპური პრინციპები, მოთხოვნები და თავისებურებანი გააჩნია. ისინი თვლიან, რომ:

– „ჩოხელს არ ელალატების!“ „მოლალატეს ხატი გაუმიზეზდება და პასუხს მოსთხოვს“.

„ჩოხელი ქვრივს არ შეირთავს, არც სხვათა ქვრივის გათხოვებაში ჩაერევა, ვერც მათი ქვრივები გათხოვდებიან.“

„ჩოხელი მიცვალებულს არ დაიტირებას“, მათი „ხატი ამას ვერ იხდენს!“

სატირალში შავი ტანსაცმელით არ მივა – „ხატს ეწყინება!“.

„შვილს – გიორგის არ დაარქმევს; წმინდა გიორგი მათი სალოცავია და იმიტომ!“

ჩოხელი – „ღორის ხორცს არ ჭამს, არც ღორს იყოლიებს, რადგან უწმინდურია და ხატი ვერ იხდენს!“ (ა. ნაზლაიძის მოწოდებული ინფორმაცია).

*

ჩოხელთა გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი:

„აკლდამები დაივსო“ ბერა ჩოხელს „ნახოცი მტრისგნ“: – „მალიდან სცნობენ ყორნები თოფის ხმას ბერაისასა, ჩამოდიან და სისხლსა სმენ, მზეს ფიცვენ ბერაისასა“ – გვამცნობს ხალხური ლექსი.

მეამბოხე მთის იმ თავკაცებს შორის, რომლებიც 1804 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, ციციანოვმა თავისთან დაიბარა – პეტრე ჩოხელიც იყო.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, განსაკუთრებით ისახელა თავი, ცნობილმა მთისკაცმა, გვარდიის პოლკოვნიკმა – ივანე ჩოხელმა.

მთელი თავისი არსებით იყო მოჯაჭვული ამ კუთხესთან გოდერძი ჩოხელი: –

„ეს საოცარი კაცი ისე ცხოვრობდა ამ შეშლილ და უზნეო სამყაროში, ისე ისხლტდა მის გარშემო გამეფებულ ჭუჭყსა და სიბინძურეს, თითქოს, პატარა უფლისწულივით, სხვა პლანეტიდან ყოფილიყო ჩამოფრენილი... ეს უნესიერესი, უპატიოსნესი, კრისტალივით წმინდა და მზის სხივივით ნათელი ადამიანი, თავის დროზე, ვერ შევიფერეთ და ვერ დავაფასეთ“ (რ. ბალანჩივაძე, „ლიტერატურული საქართველო“, 08.06.2018).

ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავკაცობდა ფასანაურის საუბნო საავადმყოფოს, მშობლიურ კუთხეზე ამაგდარი ქალბატონი, ნინა ჩოხელი.

ივანე ჩოხელი – ჩოხის კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარე იყო.

ძირად გუდამაყრელები იყვნენ:

საკოლმეურნეო მოძრაობის ცნობილი ორგანიზატორი, 1932-48 წ.წ-ში, სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე – კობა ჩოხელი.

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ელენე ჩოხელი.

სახელგანთქმული ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ჩემპიონი – გივი ჩოხელი.

საქ. კპ თიანეთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, არნოლდ ჩოხელი.

ძირად გუდამაყრელები არიან:

უნიჭიერესი საესტრადო მომღერალი, საქართველოში პირველი ჯაზ-ორკესტრის სოლისტი – გიული ჩოხელი.

მსოფლიო ჩემპიონი და ათგზის პრიზიორი სამბოში – არჩილ ჩოხელი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, გიზო ჩოხელი.

ბოსელი

ჩოხიდან ხელმარცხნივ მდებარეობს.

ადრე, „დუმაცხოვლებს, იქ ბოსლები ჰქონიათ“. მოგვიანებით კი – დასახლდნენ კიდეც.

პირველად, ხევსურეთიდან მოსული ბუბუნაურები დასახლებულან.

1774 წელს, იქ, მათი ოთხი კომლი აღირიცხა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, XIX ს-ის ბოლოს, ისინი ნიკლაურის გვარზე გადავიდნენ.

1926 წლის აღწერით, ბოსელში, 9 კომლი აღირიცხა, 24 მამაკაცი და 24 ქალი, სულ 48 სული; ძირითადი გვარი ნიკლაური იყო.

დუმაცხოში უცხოვრიათ ჭოჭოლაურებსაც. მოგვიანებით, მათაც ნიკლაურის გვარი მიიღეს (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, გვ. 133, 2003 წ.).

სოფლის სამხრეთით, მდ. კანჩხევის და ბოსლისწყლის შესართავთან, ე.წ. „ციხის გორაზე“ – ზურგიანი კოშკი დგას. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. შემორჩენილი აქვს 2 მ. სიმაღლის კედლები.

ათნოხი

ჩოხი და ათნოხი ერთმანეთის მოპირდაპირე მთებზე, არაგვის ქალიდან ერთნაირ სიმაღლეზეა განთავსებული.

ათნოხი – შავი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ზ.დ. 1600 მ-ზე.

1774 წელს, იქ – აფციაურების 15, თამნიაურების – 3 და კობაიძეების 1 კომლი სახლობდა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, აქაური თამნიაურები, მოგვიანებით, ნიკლაურის გვარზე გადავიდნენ. ცხვედიათში გადასახლებული მათი ბიძაშვილები კი, 1886-1910 წ.წ-ში, ისევ თამნიაურის გვარს ატარებდნენ. მერე, ათნოხელი სახლიკაცების მსგავსად, მათაც ნიკლაურის გვარი მიიღეს (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, გვ. 133, 2003 წ.).

ხევსურეთიდან – გუდამაყარში ამანათად მოსული შალვა თამნიაური – ნიკლაურის გვარზე იმიტომ გადავიდა, რომ – „ისინი გუდამაყარში ბევრნი იყვნენ“.

1926 წლის აღწერით, ათნოხში, 9 კომლი აღირიცხა, 35 მამაკაცი და 40 ქალი, სულ 75 სული; ძირითადი გვარები – ნიკლაური და აფციაური იყო.

სოფლის მიმდებარედ, ძველი ნასოფლარია, რომელსაც „არყოფს“ ეძახიან (გ. ხორნაული).

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით, ათნოხში, XIX-XX სს მიჯნაზე აგებული, არქიტექტურული ძეგლი – ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები – ლენჯანთ აფციაურების ორსართულიანი სახლი დგას.

სოფლის ჩრდილოეთით მდგარი კარის ანგელოზის ეკლესია (5,6X3,2 მ.) – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით და შირიმით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი აქვს 0,6 მ. სიმაღლის კედლები.

დასახლების მიმდებარე ერთ ფერდობზე – „ავსაჯანის წყარო“ გამოდის. ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ეს ადგილი, ხევიდან მოსული ავსაჯანიშვილების კუთვნილება ყოფილა.

დუმაცხო და აფციაურები

სოფელი – ბურსაჭირის და ბოსლის ხევების შესაყარში, მთიულეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს – ზ.დ. 1560 მ-ზე.

1774 წელს აფციაურების – 5; ბუბუნაურების – 4 და ხარხელაურების – 6 კომლი სახლობდა.

1886 წელს – აფციაურების 14 და ხარხელაურების – 18; სულ 32 კომლი, 106 მამაკაცი და 108 ქალი (სცსსა ფ. 254; აღწ. III, დოკ. 1799, გვ. 22).

1926 წლის აღწერით, 19 კომლი დარეგისტრირდა, 62 მამაკაცი და 84 ქალი, სულ 146 სული; ძირითადი გვარები ნიკლაური და აფციაური იყო.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩოხელების და აფციაურების ნაწილის საერთო წინაპარი – ორი ძმა ყოფილა (აფი და ჩალი). აფისგან აფციაურები წარმომდგარან, ჩალისგან – ჩოხელები. ისინი მესისხლეობის გამო გადმოიხვეწნენ გუდამაყარში და, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, იქ დახვდნენ – უფრო მოგვიანებით მოსულ ბექაურ-ნიკლაურებს.

გვარის უზუცესების ცნობით, აფციაურები ჯერ დუმაცხოში დასახლდნენ; მერე გადავიდნენ ათნოხში, ლუთხუბს, ცხვედიანს, წინამხარსა, ჯულისსა და ზანდუკში.

1774 წლის აღწერით, დუმაცხოსა და ლუთხუბში მათი 5-5 კომლი სახლობდა; ათნოხში – 15; წინამხარში – 4.

მათი ნაწილი, შატილიდან მოსისხლეს გამორიდებული ჯალაბაურებიდან მოდის. ისინი სამი ძმანი ყოფილან:

ერთი, გუდამაყარში მისულა და აფციაურის გვარი მიუღია.

მის შთამომავლებს ჯალაბაურთ აფციაურებად მოიხსენიებენ.

მეორე ძმა (მისრია) – უკანა ფშავში დასახლდა.

მისი შთამომავლები მისრიაშვილებად ეწერებიან. ანუ, ფშაველი მისრიაშვილები იგივე ხევსური ჯალაბაურები არიან (ალ ნაზლაიძე, „აფციაურთა გვარი“, 2010 წ. გვ. 4).

მესამე ძმა (დავითი), თიანეთში, ივრის ხეობაში, დასახლდა.

მისგან იქაური დავითაშვილები წარმოსდგნენ.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ზემოაღნიშნული სამი ძმის ერთ-ერთი შთამომავალი, მოგვიანებით, ისევ შატილში, ძველ ნამოსახლარზე დაბრუნდა.

მისი შთამომავლები ჭინჭარაულებად დაეწერნენ და ჯალაბაურთ ჭინჭარაულებად მოიხსენიებენ.

აფციაურებს – ათნოხში შეჰყედლებია გორისციხელი „მტრიანი კაცი“ – მოხევე ავსაჯანიშვილი. იგი დამხვდურთა გვარში შეფიცულა და აფციაურობა მიუღია.

მის შთამომავლებს ავსაჯანიანთ აფციაურებად მოიხსენიებენ.

აღნიშნულის თანახმად, გუდამაყარელი აფციაურების გვარ-სახელის ქვეშ, სამი სხვადასხვა გვარმოდენილობის ხალხია გაერთიანებული: – ნამდვილი აფციაურები, ანუ, აფის შთამომავლები, ხევსური ჯალაბაურები და მოხევე ავსაჯანიშვილები.

*

დროთა განმავლობაში, გუდამაყარელ აფციაურებს რამდენიმე მამაშვილობა გამო-

ეყო: – ივანიანი, ბასილიანი, ასპანიანი, ბუბუნაურნი, მამუკიანი და სხვ.

საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა მთიდან მათი ჩამოსახლების და შტონაყარი გვარების წარმოქმნის პროცესი.

კასპში და ქსნის ხეობაში (სოფ. ქურთა) მცხოვრები ჯაბაურები – ძირად გუდამაყრიდან მისული ჯალაბაურთ აფციაურები არიან.

ქურთაში მათ – თავიანთი სალოცავის, დუმაცხოს სამღთო მაღალის ნიშიც დააბრძანეს.

ქსნის ხეობაში მცხოვრები ჯაბანაშვილებიც აფციაურები ყოფილან.

სოფ. ნახიდში, ქურთასა და ლეხურას ხეობის სოფ. ქოლოთში სახლობენ გუდამაყრელი აფციაურების კიდევ ერთი განშტოების – ფსუტურების წარმომადგენლები.

სოფ. მეჯვრისხევში მცხოვრები ფსიტიძეები ქალისოფლიდან არიან გადასახლებულნი. მათი აფციაური წინაპარი კი, ქართალში, გუდამაყრიდან მისულა. ფსუტური და ფსიტიძე ერთი და იგივე გვარსახელის ორი ფორმაა (ალ. ნაზლაიძე).

მეჯვრისხევში – სოფ. ქოლოთიდან ჩამოსახლებული სარაულების გვარის აფციაური წინაპარი – გუდამაყრიდან, ჯერ სოფ. კარალეთში გადასახლებულა, მერე, ბარის სიცხე ვერ აუტანია და, მდ. ლეხურას სათავეებში, სოფ. ქოლოთაში დამკვიდრებულა – სადაც მისი ბიძაშვილები, ძირად აფციაური-ფსუტურები სახლობდნენ.

იქიდან ჩამოსახლდნენ სარაულები მეჯვრისხევში.

ძირად აფციაურები არიან მეჯვრისხევში მცხოვრები ხარხელები (ხარხალა აფციურის შთამომავლები) და ქსნის ხეობის სოფ. გეზვერეთში მცხოვრები შულღიაშვილები.

აფციაურობა ახსოვთ დუშეთის რაიონის სოფლებში: – ქაისხევში, ტონჩაში და იორში მცხოვრებ გაგელიძეებს.

ერწოელი ჯავარაშვილების ძირი გვარიც აფციაურია.

არსებობს აზრი, გუდამაყრელი აფციაურების და მოხვეე ბაზალთა შესაძლო ნათესაობის შესახებ (რ. თოფჩიშვილი).

*

აფციაურთა საგვარეულო სალოცავებია – დუმაცხოს საღმთო მაღალი, ზეგარდის წმინდა გიორგი და წვერის ანგელოზი.

ზეგარდის წმ. გიორგის ნიში სოფ. დუმაცხოს ჩრდილო-დასავლეთით (1,5 კმ-ზე), მდებარეობს, შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. ძლიერ დაზიანებულია. ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, იგი, ლაკთახველ ქარჩაიძეს აუგია – აფციაურების დაკვეთით.

მის შთამომავლობას მრევლი სამარადისო პატივს მიაგებს.

ქარჩაიძეთა საკლავი პირველად იკვლება. დეკანოზებიც განსაკუთრებული პატივისცემით ამწყალობლებენ მათ.

სალოცავის პირველი დეკანოზი აფციაურების ასპანიანთ მამაშვილობიდან ყოფილა.

საყმოს დღესაც ახსოვს ლეგენდარული ფოცხვერა, რომელიც მხარზე დროშაგადადებული „ფრენა-ფრენით“ ეშვებოდა ხოლმე სამღვთო მაღალის მწვერვალიდან.

ზეგარდობა აგვისტოს თვეში იმართება:

სათემო ხატს და დროშას დეკანოზები დუმაცხოს წმ. გიორგის ეკლესიიდან გამოასვენებენ და „სამღვთო მაღალის წვერზე ადიან. წინ მეზარეები მიუძღვით. ორ ფუთიან ზარებს ისინი მხრებით ეზიდებიან და როგორც ს. მაკალათია გვამცნობს, ამას ნებაყოფლობით აკეთებენ, იმის რწმენით, რომ ხატი მათი მწყალობელი იქნება.

სამღვთო მაღალზე მლოცველები ორი დღე-ღამე რჩებიან; მერე, დუმაცხოს ეკლესიაში ბრუნდებიან; შემდეგ, იმავე წესით, „ათნოხის წვერზე“ მდებარე, ამავე სალოცავის ნიშთან ადიან. იქაც ღამეს ათევენ და სოფელში ბრუნდებიან.

მომდევნო დღეს, დუმაცხოს ეკლესიიდან ხატებს კიდევ ერთხელ გამოასვენებენ; მღვდელი პარაკლისს გადაიხდის და ისევ სამღვთო მაღალის წვერზე ადიან. მლოცველები იქ მოიყრიან თავს. დეკანოზი საკლავს შესწირავს და საყმოს დაამწყალობლებს.

ჩხუბი და აყალმაყალი გამორიცხულია, „ხატი იწყენს“.

რიტუალის დამთავრებამდე, ნიშის მახლობლად მდებარე დიდ ლოდს მლოცველები გადააბრუნებენ და მის ქვეშ დატანებულ რკინის ფულებს, დეკანოზი ხატის სასარგებლოდ აკრეფს. მერე, ამავე ადგილს, დროშის წვერით ჯვარულად დაღარავს და, ახლად გაკეთებულ კვალში, უშვილონი – თავის ფულს ჩაყრიან.

დეკანოზი, თითოეული მათგანის „შვილით განაწილიანებას“ შესთხოვს მამა ზეციერს.

დასტურები ზარებს რეკენ.

ხალხი „ამინს“ შეენევა.

დუმაცხოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით (600 მ-ზე) შუა საუკუნეებს დროინდელი ნასოფლარია, სადაც, მოგვიანებით, ზეგარდის სალოცავის საქვაბე დაუდგამთ.

ნასოფლარის ნაშთები ტერასულად არის განლაგებული.

შეიმჩნევა ციხე-სახლების, ერთი მოზრდილი დარბაზის და ზურგიანი კოშკის ნანგრევები.

*

აფციაურთა გვარი 1732 წელს მოიხსენიება, არაგვის საერისთაოს მთის მოხელეთა მიერ – ოთარ ამილახვრის შვილისადმი მიცემულ პირობის წიგნში.

საბუთის შედგენაში მონაწილეობა მიუღია გუადამაყრის ნაცვალს, პაპი აფციაურს.

ბევრს მეტყველებს, XVIII ს-ის 70-იან წლებში, აფციაურთა გვარის მიერ ლეონ ბატონიშვილისადმი მიმართული თავდებობის წიგნი. იასე აფციაურის დანაშაული არ ჩანს, მაგრამ თვალშისაცემია, მთელი გვარის დარაზმულობა მის დასახმარებლად:

შეყრილან გუადამაყარელი აფციაურები და ერთი დამნაშავე „სახლიკაცის“ პასუხისმგებლობა – მთელ საგვარეულოს თავის თავზე აუღია.

„ასე იყო, როცა გვარი გვარობდა“ (ალ. ნაზლაიძე).

არაგვის ერისთავების ზეობის პერიოდში, განსაკუთრებული პრივილეგიები მოიპოვა ჯალაბაურთა აფციაურების მამაშვილობამ. ხალხურ მეხსიერებას შემორჩა – ჯალაბა, შიო, გივი და პაპი აფციაურების სახელი. მათ გუადამაყრის ნაცვალის თანამდებობა ეჭირათ (სხვადასხვა დროს).

ალბათ, ამ სამოხელეო პასუხისმგებლობის გამო, ზურაბ არაგვის ერისთავის ფშავ-ხევსურეთში ლაშქრობისას, აფციაურები მოძალადე ფეოდალის გვერდით იდგნენ.

ფხოველთ დიდხანს შემორჩათ ეს წყენა.

აფციაურებიც დიდხანს ერიდებოდნენ ლაშარის გორის სიახლოვეს გავლას...

ცოტა მოგვიანებით კი, ისინი კვლავ მეზობელი თანამემამულეების გვერდით დადგნენ. აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ბახტრიონის (1669 წ.), ისე კრწანისის ომში (1795 წ.).

სამასი არაგველის მთავარი მედროშეც – ნინია აფციაური იყო.

ლეკებთან ბრძოლებში უსახელებია თავი პაპი აფციაურს.

მისი გმირობის ამბავი ხალხურმა მთქმელებმა გალექეს.

მეფე ერეკლეს, თურმე, აზნაურობაც აღუთქვამს მისთვის.

განსაცვიფრებელი მოგონებებია შემორჩენილი არქიმანდრიტ პართენ აფციაურზე – მის ნიჭიერებასა და მაღლზე. შინაგანი ნათელი, რომელსაც იგი, თურმე, მისდა უნებურად ასხივებდა – ანდამატივით იზიდავდა მრევლს.

ღირსეულ არაგველთა შორის წარმოჩინდნენ:

მოფარიკავე ვლადიმერ (ვოვა) აფციაური – საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი; მსოფლიო ჩემპიონი (1982 წელს); ორგზის მსოფლიოს მესამე პრიზიორი; 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

ლელა აფციაური, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის – სპორტის მენეჯმენტისა და ისტორიის კათედრის გამგე; საქართველოს ოლიმპიური აკადემიის რექტორი. საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. 6 სახელმძღვანელოს და 65 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, თამარ აფციაური;

აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ალექსანდრე აფციაური;

არქიტექტურის დოქტორი, ვაჟა აფციაური;

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთში, დავით აფციაური.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, რუსუდან აფციაური.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში სულ 5083 აფციაური ცხოვრობს: თბილისში – 1954; დუშეთში – 600; თეთრინყაროში – 591 („გვარ-სახელები საქართველოში“, 1997 წ.).

ბურსაჭირი

გუდამაყრის და ხევის გამყოფი ქედის ძირში, ქვენამთის უღელტეხილის მახლობლად მდებარეობს.

ადგილობრივები „ბურსაჭილს“ ეძახიან.

„ერთი მთის იქით ბაკურხევია, მეორე მთის იქით – ჯუთა. ორივე სოფელში ხევსურები ცხოვრობენ. ამ ორ მთას შორის არის ბურსაჭირი და გუდამაყრელები ცხოვრობენ. ჯუთელებისა და ბაკურხეველების გზა ბურსაჭირზე გადის. ეს ორი ხევსურული სოფელი ერთერთს არის დამოყვრებული, ერთიმეორეში ათხოვებენ ქალებს.“

„წამოვა მაყრიონი ჯუთიდან, გადმოივლის ქვენამთას და ჩამოვა ბურსაჭირს. აქ

დაისვენებენ, მგზავრის ანგელოზს გაადიდებენ და ბაკურხევისკენ გადავლენ ქიდაქის მთაზე.“

„ბურსაჭირელები ბანებზე გადმოდგებიან და უყურებენ, იმათთვის გასართობი სანახაობა ხევსურების გამოჩენა არის. სხვა სოფელი ახლო-მახლო არ იბადება. მიმყუდროვე-ბულნი არიან ბურსაჭირელები, მონყენილობის ჟამს გაჰყურებენ ქიდაქსა და ქვენამთას. კვირა არ გაივლის, ერთი ხევსური მაინც არ გამოჩნდეს“ (გოდერძი ჩოხელი).

1926 წლის აღწერით ბურსაჭირში 16 კომლი სახლობდა, 46 მამაკაცი და 43 ქალი, სულ 89 სული, ძირითადი გვარი – ნიკლაური იყო.

სოფლის ქვემოთ მდებარე ქალაზე, ხევის ორივე მხარეს, წყარო გამოდის – „თამარის წყალს“ და „გიორგის წყალს“ ეძახიან.

და-ძმას დაუღვია ეს წყლები და ლეგენდის თანახმად, ორივე ერთ დღეს დაღუპულა.

„თქვენამც დაშრებით, წყარონი, მარიანობის თვეშიო“ – დაუნყევლია გამწარებულ დედას და „მას მერე, მარიამობის თვე რო მოატანს, ორივე წყარო შრება“...

ბექაურები

გუდამაყარი, ძირითადად, ოთხი გვარით არის დასახლებული (ბექაური, ნიკლაური, აფციაური და ჩოხელი).

„ოთხივე გუდამაყარში მოსულობას ამბობს“.

ადრე იქ მოსახლე გუდამაყრელების ნაფუძნარზე არიან დამკვიდრებულნი.

ნიკლაურები და ბექაურები ხევსურეთიდან მოსულან.

ერთი ანდრეზის თანახმად, „მათი გვარის მიმცემი – ნიქვაი და ბექაი“ – „ძმანი ყოფილან“. ხასიათით ვერ შეწყობიან ერთმანეთს და (გუდამაყარში გადასახლების შემდეგ) – გაყრილან.

„ბექაი ბექაურად დარჩენილა, ნიკვაი – ნიკლაურად“.

მეორე თქმულების მიხედვით, ბექას წინაპრებს, სოფ. უკანაახოს რამდენიმე უბანში (აჭეხა, არყნი, ლიფოდა, ხიჯალი, ხელაურთა) ჰქონდათ სამოსახლო. მათი ადრინდელი გვარი „ალარავის ახსოვს“. იციან, რომ ისინი უცხო ტომის ხალხმა ამონყვიტა. გადარჩენილა მხოლოდ მათი გუდამაყრელი ორსული რძალი, რომელიც მამის სახლში (გუდამაყარში) დაბრუნებულა და იქ შესძენია – ბექაი.

მისგან იწყებაო ბექაურთა გვარი.

ამავე თქმულების თანახმად, როცა ბექას შთამომავლები დავაჟკაცდნენ, წინაპარების ნაფუძნარზე, უკანაახოში, დაბრუნდნენ საცხოვრებლად.

სწორედ ამ პერიოდში, ნიკლაურების ერთი მამაშვილობა როშკადან უკანაახოში გადმოსახლდა.

ბექაი და ნიკვაი ერთმანეთს იქ შეხვდნენ და ძმებად გაიფიცნენ...

როცა ბექაურები, უკანაახოში, მომრავლდნენ – მცირე მიწის გამო, თუ მეტი უსაფრთხოების მიზნით, ისევ დედუღეთში (გუდამაყარში) დაიწყეს ჩამოსახლება.

ბოლო, შარვანიანთ ბექაურების შტო წამოსულა.

მანამდე, ისინი ხვდებოდნენ და მასპინძლობდნენ – ძველ ფუძეზე სალოცავად

მისულ „ბიძაის შვილებს“.

ხევსურეთიდან წამობრძანებული მათი საგვარეულო ხატის – „ახოს პირიმზის“ თაყვანისცემა, ბექაურების და ნიკლაურების წინაპრებმა, ახალ სამოსახლოშიც (გუ-დამაყარშიც) დაანესეს – ძველი ფუძის (ძველი სამოსახლოს) ანგელოზის სახელდება დაუმატეს და დღეს, გაერთიანებული სახელწოდებით: – პირიმზე ფუძის ანგელოზად მოიხსენიებენ.

დროთა განმავლობაში, ბექაურების გვარს რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – თორელანი, ხადანი, დიდებაანი, შარვანიანი, მიქაანი, ბაიანი, ობლიანი, ცუცქუნაურნი... ბექაურები არიან – აფთარაანი, გულოიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი და სხვ.

მათმა ნაწილმა, მოგვიანებით, მამის სახელები გაიგვარა. ზოგი – ბექაურიშვილებად, ხადას შვილებად, თორელას შვილებად, მიქას შვილებად და დიდებას შვილებად დაენერა.

კიტოხში ხადაანთ ბექაურები სახლობენ; დიდებაანს – დიდებაანი; გამსში: – ობლიანი, ბაიანი, მამუკიანი (იგივე ბაჩომიანი), გიაანი (იგივე თამაზიანი), შარვანიანი და თურქიანი; თორელაანს – ჭალივერში მცხოვრები ბექაურები (თორელაანი); ცუცქუნაურთას – ზემო გამსიდან გადმოსახლებულნი და ა.შ.

„გულოიათ“ ბექაურების რამდენიმე ოჯახი გულიაშვილების გვარზე გადავიდა.

ხადაანთ განაყრები არიან სოფ. ბიბილაანში მცხოვრები ბიბილაურ-ბიბილაშვილები.

ბიბილა ბექაურის კომლი კიტოხიდან ჯერ მთიულეთში (ბიბილაანში) წასულა, მერე, ქაისხევის სოფ. ველთაურებში; მაგრამ იმ ადგილსაც ვერ შეგუებია და, 1871 წელს, ისევ უკან, ბიბილაანში, დაბრუნებულან.

1926 წლის აღწერით, აღნიშნულ სოფელში, მათი 10 კომლი სახლობდა, 33 მამაკაცი და 31 ქალი, სულ 64 სული; ძირითადი გვარი – ბიბილაშვილი იყო.

თურქიანთ ბექაურების შტო, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ამანათად არის მოსული.

თორელანში მცხოვრები ბექაურების ადრინდელი გვარი ხითათიშაურია.

გამსში მოსახლე ბექაურების ერთი ნაწილი, სოფ. მარტყოფიდან მოსული – ყოფილი გორზამაშვილები არიან.

გრემისხევის მახლობლად, სოფ. ქედლოში დასახლდა – გამსიდან მოსისხლეს გამორიდეებული ბექაურის ერთი ოჯახი, რომელიც თაბორიდის გვარზე გადავიდა.

1873 წელს, იქ, თაბორიძეების 6 კომლი სახლობდა.

ძირად ბექაურები არიან ბაქაქურები – ბაქარ ბექაურის შთამომავლები. ისინიც მოსისხლეს გამორიდეებიან – გამსიდან. ჯერ, ანანურის მახლობლად უცხოვრიათ; მერე, ბაქარის შთამომავლის, გაბიდას შვილები, როგორც 1804 წლის აჯანყების მონაწილენი, იძულებულნი გამხდარან, ამ ადგილსაც გასცლოდნენ და, 1814 წლიდან, ოძისის მიმდებარედ, სოფ. ჭაშაში დასახლებულან.

იქ მიუღიათ ბაქაქურის გვარი და დაუფუძნებიათ სოფ. ბაქაქურები.

„ბექაურობას ამბობს“, ახმეტის რაიონში მცხოვრები მარუქაშვილების ერთი ნაწილიც.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, კიტოხში მცხოვრები ბექაურის ერთი დაობლებული ბიჭი – მარუქაშვილების უშვილო ოჯახს უშვილებია და თავის გვარზე

დაუნერია.

*

ბექაურთა შორის გამოირჩევიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები.

ამ გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი: რუსეთში მოღვაწე ცნობილი კონსტრუქტორი და გამომგონებელი, ვლადიმერ ბექაური – კიტოხში დაიბადა. ცხოვრობდა ხაშურში. მოღვაწეობდა პეტერბურგში. მნიშვნელოვანი გამოგონებები ჰქონდა – ბგერითი სიგნალებით მართვასთან დაკავშირებით. შექმნა რადიოტალღებით მართვადი, სამხედრო დანიშნულების აპარატები, განსაკუთრებული ფუგასები, რადიოს საშუალებით მართული კატარღები. იყო განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს („ოსტეხბიუროს“) დამაარსებელი და ხელმძღვანელი. სარგებლობდა ლენინის პირადი მანდატით, რომელიც მას უდიდეს უფლებამოსილებას ანიჭებდა.

საკუთარი სახსრებით ააშენა ხაშურში ოთხსართულიანი საავადმყოფო. მის შესასვლელთან დამაგრებული ბარელიეფი გვამცნობს, რომ იგი, 1934-1936 წლებში, აშენდა ვლადიმერ ივანეს ძე ბექაურის გამოგონებებზე გაცემული ჰონორარით.

1983 წელს, ძეგლი დაუდგეს მშობლიურ კიტოხში.

გამსში დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პიროვნება, სოციალისტური შრომის გმირი, ეკონომიკის დოქტორი, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი – ალექსი სიმონის ძე ბექაური. სხვადასხვა დროს მუშაობდა – ყაზბეგის, დუშეთის, თეთრი წყაროს და გარდაბნის რაიკომების პირველ მდივნად, „სამტრესტის“ მმართველად, იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

ძირად გუდამაყრელია – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, ნიკოლოზ ბექაური.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ვახტანგ ბექაური.

ცნობილი საგზაო ინჟინერი, 72 რაციონალური წინადადების ავტორი, ალექსი ადამის ძე ბექაური.

მფრინავი ეკიპაჟის მეთაური, ვლადიმერ ბექაური, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის ბრძოლებში. განსაკუთრებით საშიშ რეისებს ასრულებდა აფხაზეთის ომში.

პოლკოვნიკი, თამაზ ბექაური, ამჟამად, გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატია; მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისთვის ბრძოლებში.

საჩალისჭალა

გუდამაყარის მთავარი გზა, სოფ. კიტოხთან, ორად განშტოვდება: მარჯვენა – სინჯანანის, თოთიაურების და ბაკურხევის გავლით, ხევსურეთისკენ მიემართება. მარცხენა – ზანდუკის, დიდებანის, გამსის და ჩაბალაურის მიმართულებით, ჩოხში

მიდის.

ხევსურეთის მიმართულებას გამოეყოფა სოფლის შარა, რომელიც საჩალისჭალის და ფახვიჯისკენ მიემართება.

საჩალისჭალაში ძველი „ნაგზევი“ შემორჩენილი, რომელსაც „ზურაბის ნაშარალს“ ეძახიან.

გადმოცემის თანახმად, „ზურაბ ერისთავის ჯარს გაუყვანია“.

„ეს ადგილი, ადრე, გაუტეხავი ყოფილა და ჩალასავით ბალახი მდგარა“. აქედან წარმოსდგაო სოფლის სახელწოდება.

1926 წელს, იქ, 13 კომლი სახლობდა, 35 მამაკაცი და 33 ქალი, სულ 68 სული; ძირითადი გვარები – ნიკლაური და ჩოხელი იყო.

„ჩოხელების წინაპარს გაუტეხია საცხოვრებლად ეს ადგილი“.

მდ. ბაკურხევის და საჩალისწყალის შესართავთან, ტყით დაფარულ პატარა მთაზე, ბზიანის წმ. გიორგის ხატია (8X6 მ.) განთავსებული. ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

თითქმის მთლიანად დანგრეულია.

მის ირგვლივ შემორჩენილია გალავნის და რამდენიმე ნაგებობის კვალი.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. საჩალისხევის მარცხენა ნაპირზე, გვიანდელი შუა საუკუნეების წმ. კვირიკეს ეკლესიის კომპლექსი მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, ოთხკუთხა კოშკი და გალავანი.

ეკლესია ნაგებია ფიქალით; კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი. ძლიერ დაზიანებულია.

ერთსართულიანი კოშკი და დაბალი გალავანი – ნატეხი ქვით არის ნაგები.

ფახვიჯი (ფხაეთი)

იგრიაულთა საცხოვრისი იყო.

1774 წელს – მათი 10 კომლი სახლობდა; 1781 წელს – 8; 1873 წელს – 12.

XX ს-ში ეს გვარი აღარ ჩანს. ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, ნიკლაურის გვარზე გადავიდნენ.

1926 წლის აღწერით, აღნიშნულ სოფელში, 12 კომლი დარეგისტრირდა, 42 მამაკაცი და 42 ქალი, სულ 84 სული; ძირითადი გვარი ნიკლაური იყო.

ფახვიჯის ერთ უბანს, სადაც ჭინჭარაულ აბას უცხოვრია – „აბიანს ეძახდნენ“.

მისი შთამომავლებიც ნიკლაურის გვარზე გადასულან.

სოფლის მიმდებარე მთის წვერზე, მდ. ბაკურხევის მარჯვენა მხარეს, ე.წ. „მახვილოს ციხე“ დგას. განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. სხვადასხვა დონეზე განლაგებული და ერთმანეთზე მიდგმული, ოთხი ნაგებობისგან შედგება. ძლიერ დაზიანებულია.

სიჯანანი (სიჯანანები)

მდ. ბაკურხევის ხეობაში მდებარე ეს სოფელი, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მექობაურების, თოთიაურების და სიჯანანის (სიჯანაშვილების, ძირად გიგაურების) უბნებად იყოფოდა.

1926 წელს – სიჯანანი და თოთიაურთკარი ერთად აღწერეს. 25 კომლი დარეგისტრირდა; 67 მამაკაცი და 82 ქალი, სულ 149 სული; ძირითადი გვარები – ნიკლაური და ჩოხელი იყო.

სოფლის მიმდებარედ მდგარი, გვიანდელი შუა საუკუნეების „ჭეჭყეთის ხატი“ (5X4,6 მ.), ძლიერ დაზიანებულია.

თოთიაურნი

ეთნოგრაფიული ცნობებით, თოთიაურების, იდუკაშვილების და ფარეშიშვილების თავდაპირველი გვარი – ჭინჭარაულია.

ერთი მამიდან მოდიან.

ძმებმა: – თოთიამ, იდუკამ და ფარეშამ დაუდეს საფუძველი.

თოთიაურების წინა გვარი, როგორც უკვე აღვნიშნე, თლოშიაური ყოფილა.

1774 წელს – გუდამაყრის სამ სოფელში სახლობდნენ: – ლიდას (ლიდენს) – 3 კომლი; მაქართას – 16 კომლი, ლუთხუმს – 8.

1873 წელს, ზანდუკში, თლოშიაურების 10 კომლი აღირიცხა, დიხროს – 19, ხოზაში – 1.

1926 წლის აღწერის თანახმად, თოთიაურთკარის ძირითადი გვარები – ნიკლაური და ჩოხელი იყო.

სოფლის მიმდებარე ფერდობზე, ძველი დასახლების ნაშთებია შემორჩენილი. თარიღდება შუა საუკუნეებით.

მისგან აღმოსავლეთით (100 მ-ზე), კოშკის ნანგრევებია.

სამხრეთ-დასავლეთით მდგარი, შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (4,7X3 მ.) – ძლიერ დაზიანებულია.

ჭოჭოხი

თოთიაურთკარის მიმდებარე სოფელი იყო.

1774 წელს, ჩოხელების 5 კომლი სახლობდა;

1781 წელს – 6, მაგრამ ჩანერილები იყვნენ, როგორც ვაჟიკას შვილები, იმედას შვილები, მამისიმედას შვილები, კაცას შვილები და ბალიჩას შვილები.

ყველა მათგანი 1774 წელს აღწერილი კომლების მამაშვილობა იყო.

მამის სახელები ჰქონდათ გაგვარებული.

1926 წელს – 3 კომლი დარეგისტრირდა, 5 მამაკაცი და 5 ქალი; ძირითადი გვარები – ნიკლაური და ჩოხელი იყო.

ბაკურხევი

გუდამაყრის ხეობის ერთ-ერთი დიდი სოფელია.

ძირითადად, ხევსურებით, სოფ. ბაცალიგოდან გადმოსახლებული ფიცხელაურებით არის დასახლებული.

1886 წელს, იქ, ფიცხელაურების – 26, ველთაურების – 3; ბიჩნიგაურების, ბექაურების, ჭინჭარაულების თითო-თითო – სულ 32 კომლი სახლობდა; 70 მამაკაცი და 63 ქალი (სცსსა, ფ. 254; აღწ. III, დოკ. 1792).

1926 წლის აღწერით – 30 კომლი დარეგისტრირდა, 53 მამაკაცი და 64 ქალი, სულ 117 სული; ძირითადი გვარები – ფიცხელაური და ველთაური იყო.

სოფელი ორ უბნად იყოფა – გორულის (გორულას) და საკერპოს სახელწოდებით.

მის დაფუძნებას სახელგანთქმულ მეომარს – პეტრე ბაკურს და მის შთამომავლებს უკავშირებენ (ივ. ჩოხელი, „პირიმზე“ №5).

მათ აუგიათ ბაკურის ციხეც და ორი დიდი მიწისქვეშა სანგარი: – ერთი, სოფ. სიჯანანთ მალლა ფერდობზე; მეორე, სოფ. ჭოჭოხს გაღმა – სათოფიას გორზე.

ლეგენდის თანახმად: – საკერპოში, „წინავ – დევებს, კერპებს, უცხოვრიათ. სოფლის თავზე არსებულ ვაკეზე იმათი ნახორხრალები. ახოობას საახოო გორზე (საჩალისჭალაში) დადენილა მლოცავი, რადგან საკერპოზე კერპებს არ უშვიათ.

იქ ცუდი სავალი ყოფილა; ხალხი და ცხენები კლდეზე ცვიოდნენ.

წამოსულა ფუძის ანგელოზი: – ეგენი ჩემ ყმათ სტანჯავენო – დარეგია ლახთითა და ამაუნყვეტია. სამი მაუკლავ. მეოთხე გაჰქცევი; გამოზდგომია და სამიოთხოს ხევზე დასწევია – იქავ მაუკლავ.

მათ ამოსახოცად ფუძის ანგელოზი მარტოკა ჩამოსულა.

მთაზე, მისი მოძმე ანგელოზები დამრჩალან – კოპალე და პირქუში.

რო დაუგვიანია, წამოსულან ისინიცა.

ცარცელთ გორ რო ჩამოსულან, მისულა ფუძის ანგელოზიც.

დამსხდარან და პური უჭამიათ.

ეხლა, იმ ადგილას დროშას აბრძანებენ...

მას მერე, ხალხი, ახოობას, საკერპოზე დადის“.

ბაკურხევის დასავლეთით, კანჩხის მთის წვერზე მდებარე დარბაზული ეკლესია (4,8X3,2 მ.) ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით და შირიმით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი აქვს ნალისებრი აფსიდის ნაწილი და დასავლეთის (0,6-0,8 მ. სიმაღლის) კედელი. ნანგრევებში აღმოჩნდა: შირიმის ქვის – საკურთხევლის წინა ჯავრის სწორკუთხალრმულოვანი პოსტამენტი.

ეკლესიის გალავნიდან მხოლოდ კედლების კვალია შემორჩენილი.

ბაკურხევიდან გზა, ფხიტურის უღელტეხილით, ხევსურეთში გადადის. გადასასვლელის ყელში „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ ნიშია, რომელსაც თავზე ქვის დიდი

ჯვარი ადგას.

გუდამაყრიდან მიმავალი მლოცველები პირველად ამ ადგილიდან „ჰკიდებენ თვალს – ახოს პირიმზეს საბრძანებელ ნიშს.“

ნიკლაურები

ერთი ვერსიის მიხედვით, ნიკლაურების თავდაპირველი საცხოვრისი ფშავია.

იქ, შუაფხოს მიმდებარედ, მაშარაში, უცხოვრიათ.

მდიდარი, ძლიერი და ხალხმრავალი კომლი ყოფილა. მერე, „ხატი გამიზეზებიათ“ და მათი 11 მამაკაცი ერთ დღეს დაღუპულა.

გადარჩენილა მხოლოდ პატარა იმედა და დედამისი.

წასულან და ხევსურეთის სოფელ ღელისვაკეში დასახლებულან.

იმ დროს, რომკაში, არავინ სახლობდა.

„ხევსურთ საჯოგე“ და „ქისტების სამზირი“ იყო – სადაც „ხალხს ხოცდნენ“.

იმედა მალე დაკაცდა და სამი ვაჟკაცის მამა გახდა. ისინი აღუდგნენ წინ ქისტებს თარემს, მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინეს და რომკაში ცხოვრების უფლება – საკარგემოდ მოიპოვეს.

ერთი ძმა, მერე, ამაში გადასახლდა; მეორე – უკანაახოში; მესამე – რომკაში დარჩა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, რომკას და ქმოსტ-ღელისვაკეში მდგარ სხვადასხვა წარმოშობის მცხოვრებთ (ჩურთაულებს, კალაურებს, სინდაურებს და სხვ.), თანდათან, ორი გვარი მიუღიათ: რომკოვნებს – ნიკლაური; ქმოსტელ-ღელისვაკელებს – ბურდული (ბურდვიაული, ველთაური).

მეორე ანდრეზის მიხედვით, ნიკლაურების ფაფარენელი (როშკელი) წინაპარი, გვარად თურმანიძე, ადრე, ჟინვალთან „მდგარა“.

მას კახელი თავადები (ჭავჭავაძეები) მტრობდნენ.

ამის გამო გახიზნულა ხევსურეთში.

„თურმან ვარ ფაფარენელი, კითხვა რად გინდათ გორისა, ხორხი დავნვი და მაღარო, ჟინვან ჯავრი მაქ ორისა – თიანეთ ჭავჭავაძისა – გაუმადლარის ღორისა...“ მუქარით გვამცნობს იგი – ხალხური ლექსით.

მესამე ვერსიის მიხედვით, ნიკლაურების წინაპარი – ახმეტელი შანას შვილი (შანაშვილი) ყოფილა – გავლენიანი, მდიდარი, დიდი მამულების და მრავალი ცხვარძროხის პატრონი.

ჭავჭავაძეებთან უთანხმოების გამო, მისი ერთ-ერთი შთამომავალი, სახელად ბასილი, იძულებული გამხდარა, ცოლით და სამი ვაჟით, უკანა ფშავის სოფ. მაშარაში გახიზნულიყო, სადაც, ზაფხულობით „დაუდიოდა საქონელი“.

იქაც ვერ უგრძენიათ თავი უსაფრთხოდ და ხევსურეთში გადაკარგულან.

ბასილის შვილებს ლეკებთან ბრძოლებში უსახელებიათ თავი; რომკის ტერიტორია საკარგემოდ მიუღიათ და ფაფანერას დამკვიდრებულან.

შანას შვილთა შთამომავლები, შემდგომში, პაპის სახელისგან წინარმოებ გვარზე – ბასილაურზე გადასულან.

უფრო მოგვიანებით კი, თვითონ ამ გვარის შიგნით გამოიკვეთა, მათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნიკვას (ნიკლაურების პატრონიმის), ძლიერი შტო, რომელიც სამ მამაშვილობად დაიყო: –

ერთი – გაღმა რომკაში დასახლდა;

მეორე – არხოტის სოფ. ამლაში;

მესამე – ბუდე ხევსურეთის ჩირდილის ხევში (სოფ. ჭუკანაახოში).

ასე დაედო სათავე ნამდვილი ნიკლაურების სამ შტოს: – „როშკონს“, „ამლიონს“ და „უკანაახოელთას“.

*

გადმოცემის თანახმად, არხოტში, თავდაპირველად, ფაფარენელი თურმანის შვილი – ბერდი ნიკლაური დასახლდა.

მან დაუდო სათავე ბერდიშვილთა მრავალრიცხოვან და სახელოვან მამაშვილობას.

ამლაში, მაშინ, მისი ძირძველი მკვიდრნი: – ჭოლიკაურები (გატუსვლიანი), უთრუგანი (შულლიანი), ახალანი, ჩინგლანი (ბახალაურები), ქარჩანი (თუშეთიდან მოსული კიკიძეები) და სხვ. სახლობდნენ.

მოგვიანებით, ჭოლიკაურები ნიკლურთა გვარზე გადავიდნენ.

ამავე გვარზე შემდგარან – თუშეთიდან მოსული ბახალაურები და მთიული ქარჩაიძეები.

ამლელი ნიკლაურებიდან წარმოსდგნენ, მათთან გაერთიანდნენ და დღეს ნიკლაურის გვარს (მთლიანად, ან ნაწილობრივ) ატარებენ – შემდეგი მამაშვილობები: ბერდიშვილნი, გაგანი, ნისლაურნი, ბაიანი, აბაისძენი, ჩაჩაურნი, გიორგანი, ბახანი, ჭოლიკაურნი, უთურგანი (შულლიანი), მარაისძენი, ქარჩანი, ძმაურნი, ჩინგლანი (ბახალაურები), ბასილანი და სხვ.

კაი ყმობა მოუდის ამლელი ნიკლაურების უთურგათ მამაშვილობას.

მათი წინაპარიც გასძლოლია არხოტივებს – გაზვიადებულ თათხელიონთა წინააღმდეგ საბრძოლველად (თ. ოჩიაური).

*

როშკელ ნიკლაურებს რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – ქირციანი, გადალახულანი, გურიანი, ჯოყოლიკანი, კიბალაურნი და სხვ.

მათ საერთო ჯვარისყმობა აკავშირებთ ქმოსტელ ბურდულებთან.

სხვა გვარის მათთან „შედგომის“ ფაქტი არ დასტურდება.

არხოტელი და უკანაახოელი ნიკლაურების ზოგი შტო ნამდვილია, ზოგიც – ნიკლაურობაზე შემდგარ-შეფიცული.

გვარის უხუცესების ცნობით, რომელი ნიკლაურები გორშელმელ არაბულებს დახმარებდნენ – ქისტებთან ბრძოლაში.

„მას აქეთ, ყოველ ათანგენობას, გორშელმელთა მთავარ სალოცავში, ბაცალიგოს პირქუშის ჯვარში, საკარგემო ლუდი დუღს ნიკლაურების სადღეგრძელოდ“ (ალ. ნაზულაიძე).

ცნობილია ისიც, რომ რომკელმა ნიკლაურებმა შეიფარეს, თავიანთ მამულში დასახლეს და ქალიც მიათხოვეს, მათთან შემოხიზნულ – ხორნაულთ წინაპარს.

მათი შთამომავლები დღემდე დადიან დედუღეთში სალოცავად.

*

ალ. ნაზლაიძის ცნობით, „უკანახოელი ნიკლაურები მთლიანად გუდამაყარში გადაიკრიფნენ“. მათი საცხოვრისია: – მაქართა, სიჯანანი, ფახვიჯი, საჩალისჭალა, ზანდუკი, დიხჩო, ლუთხუბი.

ერთი ანდრეზის თანახმად, ამ კუთხის ორი ძირითადი გვარის – ნიკლაურის და ბექაურის წინაპრები („ნიკვაი და ბექაი“) – უკანახოში ძმად გაიფიცნენ.

მერე, ხასიათით ვერ შეწყობიან ერთმანეთს და გაყრილან.

„ძალი გაუკვეთიათ“.

„ბექაი ბექაურად დარჩენილა, ნიკვაი – ნიკლაურად“.

„მას შემდეგ, მათ შორის ქალის გათხოვებაც მოდენილა, მაგრამ ორივე, საერთო ხატის – პირიმზე ფუძის ანგელოზის ყმებად დარჩენილან“.

*

თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც ნიკლაურების შტონაყარი გვარების წარმოქმნის, ისე მათთან დანათესავების და გვარზე შედგომის პროცესი.

დროთა განმავლობაში, მათ რამდენიმე ათეული მამაშვილობა გამოეყო: – ლომიანი, შივიანი, ლევიანი, ბუდლუნაანი, ბერიძიანი, ბანანუნიაანი, ვაზდეგიაანი, ჭაიანი, დათვენი, ლეგუშიანი, ბენინიანი, ლერენიანი, ციფანი, ხიზანიანი, ჩამილიანი, აბენი, ჯანგირანი, თორელანი, მერაბიანი, ბოლონანი, თანგულანი, მარტიანი, ალექსიანი, თამნიაურნი, ხარხერაულნი, ბუბუნაურნი და სხვ.

სხვადასხვა დროს, ნიკლაურებს გამოეყვნენ: – გუდამაყრელი ბექაურები, მთიული გვიანიშვილები, ქარჩოხელი ქანაშვილები და ნიპტაურები; ცხრაზმელი ბაშარულები; ერწო-თიანელი ჯანგირაშვილები და ბასილაურები; ატენისხეველი თოფჩიშვილები; ორბეთელი ხელაშვილები; ლაგოდესელი ნიკლაშვილები და სხვ. (ალ. ნაზლაიძე).

გუდამაყრელი ნიკლაურების დიდი ნაწილი – მთიულეთში, ხევში, ქსნის ხეობაში, თრიალეთის მთებში და ბარად ჩამოსახლდა.

მთიული ნიკლაურების მამაშვილობებია: – ლომიანი, თლამნიაურნი, ბუბულაურნი, ნატიანი, ვაიდაგიანი და კოტორიანი (ს. მაკალათია).

ძირად ნიკლაური პაპუკაშვილების წინაპარი, XVIII ს-ის დასაწყისში, გუდამაყრიდან ბაზალეთის სოფ. ბაგაში გადასახლდა.

1781 წელს, ტონჩა-გრემისხევში, მათი ორი კომლია მოხსენიებული: 1. პაპუკაშვილი ბერი და ივანე; 2. პაპუკაშვილი გიორგი და დემეტრე.

1873 წელს, გრემისხევში უკვე პაპუკაშვილების 10 კომლი სახლობდა.

ამავე წელს, გრემისხევის სოფ. ქედელობაში – ბექაურიშვილების 3 და დიდებამშვილების 1 კომლია მოხსენიებული.

ისინი გუდამაყრის სოფელ ლუთხუბიდან მისულან, სადაც, ადრე, ნიკლაურის გვარს ატარებდნენ.

არიან – ნიკლაური-ნიპტაურები; ნიკლაური-თამარაულები; ნიკლაური-ახალაშვილები და ნიკლაური-ბასილაშვილებიც.

*

ერთი ანდრეზის მიხედვით, ხევსურეთიდან ხევში – ამლელი ნიკლაურები გადასახლდნენ.

მეორე ვერსიის თანახმად, მოხვევე ნიკლაურები გუდამაყრიდან (უკანაახოელთა შტოდან) არიან მისულები.

1774 წლის აღწერით, ხევის სოფ. ქურთაში (ხურთისში), მათი ორი კომლი სახლობდა:

1. ნიკლაუროვი თაზის შვილი პაპა, ივანე, ვაზდაგა, პაპი და მამუკა;
2. ნიკლაუროვი მჭედლის შვილი ბერი.

XIX ს-ის ხევის რამდენიმე აღწერაში ნიკლაურების გვარი აღარ ჩანს, მაგრამ დგინდება, რომ იქ მოხსენიებული ბაკაძეები, ბაკვაშვილები და ბაკუაშვილები იგივე ნიკლაურები არიან; მამის სახელები აქვთ გაგვარებული და, შემდგომში, ისევ ნიკლაურის გვარს უბრუნდებიან.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ხურთისელი ნიკლაურები, შემდგომში, ბარში გადასახლდნენ და მათი ნაწილი ატაშვილის გვარზე დაენერა. როგორც მისი ერთი მთხრობელი გვამცნობს:

„ატაშვილები ძირად ვართ მოხვევები. პაპის პაპა წამოსულა იქიდან. კაცი შემოკვდომია. ნიკლაურები ვყოფილვართ და რომ არ ეპოვათ, ატაშვილად დაწერილა. ხევში ჩვენი სოფელი ხურთისია...“

1886 წელს, საგურამოს სოფ. ბოკონინში, 3 კომლი (ხიზანი) ატაშვილი მკვიდრობდა.

ხურთისელ ნიკლაურებს მოხვევები „გუგუტიეთ“ სახელით მოიხსენიებენ.

1781 წელს, სოფ. ცდოს, მოხსენიებულია „გუგუტას შვილი გიორგი, ბიჭა და ზაქარია. ამავე წელს ტყარშეტში სახელდება „გუგუტიეთ“ განაყარი, „ცდოელი გუგუტას შვილი გაზა“.

მისი შთამომავლები, XIX ს-ის ყველა აღწერაში, გუგუტიშვილებად არიან მოხსენიებულნი.

1774 წელს, გერგეტში აღირიცხა „ნიკლოური ცანცუკას შვილი ხოტა“.

ამავე სოფელშია მოხსენიებული – „ეგუაშვილი ჭოჭა, ბერი და გიორგი“.

ისინი გერგეტელი ნიკლაურების ერთ-ერთი მამაშვილობის, „ეგუენის“, წინაპრები არიან.

1774 წელს, სიონში სახლობდა „ნიკლოური ნიკლოურის შვილი შაშვა“.

მისი განაყრები, ამავე სოფელში, გოთიაურის გვარით იყვნენ ჩაწერილები („გოთიაური თამაზას შვილი გაია, იასე, გიორგი და პაპუა“).

მოხვევები მათ „გოთიეთ ეძახიან“.

ძირად ნიკლაურები არიან.

1831 წელს – გოთიშვილებად ჩაენერნენ; 1886 წელს – ნიკლაურებად.

„ცდოველი ნიკლაურები“, 1774-1781 წ.წ. ჩოფნიაშვილებად არიან აღწერილნი (ჩოფნიას შვილი პატარკაცი, ჩოფნიას შვილი ნანე და ბიძია).

XIX ს-ში ისინი ნიკლაურის გვარს იბრუნებენ.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, „ცდოველი ნიკლაურები“ გუდამაყრიდან არიან მისულები და მერე, სხვადასხვა დროს, იქიდან წასულან: – სიონში, ტყარშეტში, გერგეტსა და ხურთისში.

„როფანენი“ – მოხვევ ნიკლაურების ერთ-ერთი დიდი მამაშვილობაა, რომელიც „სურხავეთ“ განაყოფთან ერთად, გუდამაყრის „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ ყმები არიან.

ამავე მკვლევარის ცნობით, ცდოველი ნიკლაურების კიდევ ერთი დანაყოფი, „ბუჩუნენი“ – „შემოსახლებული შტო იყო“ (რ. თოფჩიშვილი, „მოხეური გვარსახელები“, 1998 წ. გვ. 9-10).

*

საკუთარი შტონაყარი გვარების წარმოქმნის პარალელურად, ნიკლაურებს – ბევრი სხვა გვარის ხალხი შეეკედლა, შეეფიცა და რიტუალური ადათ-წესების დაცვით მიიღო ახალი გვარი.

აღნიშნულის გამო, დღევანდელი მათი რამდენიმე მამაშვილობა განიკლაურებულია, ანუ მათთან ხელოვნური დანათესავების გზით არის შეკრული. მათ შორის არიან – როგორც ახლობელი, ისე შორეული ნათესავები და სულ სხვა მოდგმისანიც. ყველას საერთო გვარი აკავშირებს, ნათესაობენ, მეზობლობენ, მეგობრობენ – საერთო სალოცავის ყმები არიან.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ნიკლაურთა გვარზე გადასულან – სოფ. ჩობალაურსა და ბახანში მცხოვრები ჩობალაურები, ფახვიჯელი იგრიანულები, ათნოხელი თამნიაურები; დიხჩოში, ლუთხუბში, მაქართასა და ზანდუკში მცხოვრები თლოშიაურები; ხევსურეთიდან დუმაცხოში მოსული – ხარხელაურები და ბუბუნაურები.

მათ მოიხსენიებენ, როგორც – ჩობალაურთ, თამნიაურთ, ბუბუნაურთ და ხარხელაურთ ნიკლაურებს.

გოდერძი ჩოხელის ცნობით: –

„ბუბუნაურების წინაპარი მოსისხლეებს გამოექცა ხევსურეთიდან და ბურსაჭირში დასახლდა ნაყორთ ქედზე. ამ ქედზე როდესღაც ალბათ დიდი სოფელი იყო. უზარმაზარი ლოდებით ნაშენები კედლები მოწმობდნენ ამას, დროთასვლაში ჩაქცეული დაჩანაყვრებული კედლები.“

„გადმოვიდა ხევსურეთიდან ბუბუნაურის წინაპარი და ამ ჩანაყვრებულ გორაზე დასახლდა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა შავი არაგვის ხეობა. ახლო-მახლო არცერთი გუდამაყრელი სოფელი არ ჩანდა. შავი არაგვი იყო ჯულურა ბუბუნაურის ოჯახის მეზობელი. მისი ხმა იყო მათთვის ამ ცადაზიდული მთებით შემოღობილ პირველყოფილ მდუმარებაში ერთადერთი ხმისგამცემი. ათასში ერთხელ ყორნები თუ ჩამაყრანტალბდნენ და მერე ისინიც ჩაიწყვეტდნენ ხმას.“

„ნაყორთ ქედზე გამხვივდნენ და გამრავლდნენ ბუბუნაურები. კაცებმა თან-თან ქვემოთ იწყეს არაგვის ხეობაზე ჩასვლა და იქ გუდამაყრულ სოფლებში მოკეთებები გაიჩინეს.“

„ვაჟკაცები იყვნენ ბუბუნაურთ წინაპრები და ზოგი ომში დაიღუპა მეფის დაძახილზე, ზოგი წინაპართა სისხლის ძახილმა ხევსურეთში გადაიტყუა და იქ ან მოსისხლეს შეაკვდა, ან კიდევ ზამთრობით სანადიროდ წასულს ჭიუხებში გზა დაეხნა და ჩაყინულ ქარაფებში გადაჩეხილმა ბოლომდე აღარ ჩაიყოლა სული.“

„თანდათან ასე უიღბლოდ დაილივნენ, ყუაზე მიდგა იმათი გვარი. ბოლოს დარჩა მხოლოდ მარტიაი, სხვები ყველა უძიროდ შეაშრა მინას და არცერთი მათგანი

ლოგინზე არ მომკვდარა, თვითონ ჯულურა ბუბუნაურიც კი, რომელმაც პირველმა დაანთო ცეცხლი ამ ჩანაყვრებულ ნამოსახლარში“.

დღეს, ბუბუნაურები გუდამაყარში აღარ ჩანან. მხოლოდ მათმა მიგრანტებმა შეინარჩუნეს თავდაპირველი გვარი.

1873 წლის აღწერით, ხორხის ხეობის სოფ. სონდისველაში, ბოსელიდან წასული 2 კომლი ბუბუნაური სახლობდა.

*

რ. თოფჩიშვილის ცნობით, სოფ. დუმაცხოსა და ბურსაჭირში მცხოვრები ნიკლაურები, ძირად ფშავიდან მიგრირებული ხარხელაურები არიან. ისინი, იქ, დიდი ხნის წინათ დასახლდნენ. თავიანთი სალოცავიც ჰქონდათ – „ხარხელაურთ კვირია“ – მაგრამ, დღეს, აღარც ამ გვარის ხალხია გუდამაყარში შემორჩენილი (ნიკლაურობაზე გადავიდნენ). მხოლოდ – ხორხში, ერნოსა და შირაქში მიგრირებულმა ხარხელაურებმა შეინარჩუნეს საკუთარი გვარი („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“, ნ. I, გვ. 132, 2003 წ.).

1865 წელს, გუდამაყრიდან ხორხში ნიკლაურების 5 კომლი გადასახლდა.

1873 წელს, იქ, ხარხელაურების 3 კომლია დარეგისტრირებული.

*

გვარის უხუცესების ცნობით, ბარში ჩამოსახლებული თამნიაურების, ბუბუნაურების, ხარხელაურების და ჩობალაურების დიდი ნაწილი, ამჟამად, საკუთარ გვარს დაბრუნდა.

ვინც მთაში დარჩა – ნიკლაურობა დაიტოვეს.

*

როგორც უკვე აღვნიშნე, უკანახოდან გუდამაყარში გადმოსახლებულმა ბექაურ-ნიკლაურებმა, თან მოიყოლეს თავიანთი ძლიერი ხატი – „ციდან სინათლის სვეტად ჩამოსული“ „ახოს პირიმზე“ – მითრას კულტის უძველესი ღვთაება, რომელიც „გიორგი ოქროსმშვილდიანის“ სახელითაც მოიხსენიება. მისი თავყვანისცემა ახალ სამოსახლოშიც დაანესეს. თავიანთი ძველი ფუძის (ძველი სამოსახლოს) ანგელოზის სახელდება დაამატეს და გაერთიანებული სახელწოდებით: – პირიმზე ფუძის ანგელოზად მოიხსენიებენ.

სალოცავი სოფ. ჩოხის მიმდებარე ფერდობზეა განთავსებული. იქ, სადაც ბოსლის და ბურსაჭილის წყლები ერთდებიან.

როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს: თვითონ პირიმზის ხატი – ჯვარია, ვერცხლით მოჭედული – მასზე წმინდა გიორგია გამოსახული. მხედრული წარწერა აქვს, რომელიც 1707 წლით თარიღდება; მოიხსენიება: – სახლთუხუცესი იასონ ერისთვისშვილი და არაგვის ერისთავი თეიმურაზი.

„ფუძის ანგელოზობა“ („პირიმზობა“) – დიდძალ მლოცველს იზიდავს.

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს: – როცა დეკანოზები ეკლესიიდან ხატს გამოსავენებენ, სნეულები სალოცავის კართან პირქვე წვებიან. უხუცესი დეკანოზი დროშას აიღებს, სათანადო რიტუალს ჩაატარებს, ხატს ლუდში ამოავლებს და მის ნაბანს ავადმყოფებს შეასმევს.

ამის შემდეგ, პირიმზის ხატი და დროშებით, მლოცველები უკანაახოსკენ მიემართებიან – ხატის ძირითად საბრძანისში (საჩილის მთაზე).

მსვლელობა პირიმზის მოედნიდან იწყება. დეკანოზი სათემო დროშას წინ გაიძლოლებს და – მრევლი, ფხიტურის უღელტეხილის გავლით, ჩირდილის ხეობისკენ გაუყვება.

ხატობა და ღამისთევა სამი დღე-ღამე გრძელდება.

რამდენიმე წლის წინათ, უკანაახოში, სხვა გუდამაყრელი მლოცველებიც დადიოდნენ, მაგრამ ჩხუბში იქაური კაცი მოუკლავთ და შურისძიების შიშით, ვეღარ მიდიან. ამჟამად, მხოლოდ ბექაურები და ნიკლაურები გადადიან, მაგრამ, იქაურებთან, ჩხუბი და უსიამოვნება მათაც მოსდით (ს. მაკალათია)...

*

დროთა განმავლობაში, ნიკლაურების გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი. მათ შორის გამოირჩევიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები.

განთქმული ფალავანი ყოფილა აწყურისა და ასპინძის ბრძოლების მონაწილე, გუდამაყრელი – გაგა ნიკლაური.

პოლკოვნიკი შალვა ნიკლაური – ქართული დივიზიის ლეგენდარული მეთაური იყო II მსოფლიო ომში.

შესანიშნავმა პოეტმა და კრიტიკოსმა, მამუკა ნიკლაურმა, ერისკაცობითაც ისახელა თავი. მის მიერ კოლაუ ნადირაძის (მაშინ აკრძალული) ლექსის, „ოცდახუთი თებერვალის“ გასაჯაროებამ – სერიოზული ბიძგი მისცა საქართველოში დისიდენტური მოძრაობის აღმავლობას. ასეთი გაბედული ნაბიჯი მას – თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა.

გამორჩეულად კარგი პოეტია, ცნობილი საბავშვო მწერალი და მთარგმნელი, მრავალი ლიტერატურული პრემიის და პრიზის მფლობელი – მარიამ ნიკლაური.

ზვიად ნიკლაური ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია.

ასოცირებული პროფესორები არიან: – ნინო და მარიამ ნიკლაურები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და პარლამენტის ორი მონწევის დეპუტატია მირიან ნიკლაური.

ავსტრიაში მცხოვრები ქართველი პოლიტოლოგი, ნინი ნიკლაური, ამ ქვეყნის ლიბერალური პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

წარმატებული მენეჯერია თიბისი ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, დავით ნიკლაური.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოს ერთ-ერთი პირველი ქართველი მემანქანე-ინსტრუქტორი, სოციალისტური შრომის გმირი (1943 წ.), საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მონწევის დეპუტატი – ანდრია ნიკლაური, დაჯილდოვებული იყო მაშინდელი უმაღლესი ხარისხის 5 ორდენით.

თბილისის ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს.

სამი ვაჟკაცის მამა გახლდათ.

ერთი მათგანი, ილია ნიკლაური, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარი.

მის შესახებ ლეგენდებს ყვებიან.

1937 წლის სახელმწიფო ტერორის პერიოდში, იგი, საკუთარი სიცოცხლის ფასად ეხმარებოდა რეპრესირებულთა ოჯახებს.

მიხეილ ჯავახიშვილის შთამომავლებს დღესაც ახსოვთ მისი თანადგომა.

ლეგენდებით არის მოსილი მისი მეუღლის, ქ-ნ, ალექსანდრა ნაკაშიძის ცხოვრებაც.

როგორც სვეტლანა ალილუევა გვამცნობს (იხ. მისი „20 წერილი მეგობარს“), ი. სტალინმა (მეუღლის თვითმკვლელობის შემდეგ), მოისურვა, რომ მის მცირეწლოვან შვილებს – ქართველი ქალის აღმზრდელობითი გავლენაც ჰქონოდათ.

ლ. ბერიამ, აღნიშნული მიზნით შეარჩია, საკუთარი მეუღლის ნათესავი – ილია ნიკლაურის მეუღლე, ქ-ნი, ალექსანდრა (შურა) ნაკაშიძე.

მის შესახებ თბილი სიტყვები მაქვს მოსმენილი, საკმაოდ სიტყვაძუნწ სერგო ბერიასგან, მისი უახლოესი ნათესავის, პროფ. თემურ მახათაძის ოჯახში.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც უკვე საყოველთაოდ ცნობილია, მთელი მისი გარემოცვა რეპრესირებული იქნა.

საფრთხის წინაშე დადგა ნიკლაურების ოჯახიც. განსაკუთრებით კი, ამ პერიოდში უკვე თბილისში მცხოვრები, ქ-ნი ალექსანდრა.

როგორც მისი ვაჟისგან, ანდრო ნიკლაურისგან, ვიცი – მათთვის ამ უმძიმეს დღეებში, მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოფრინდა ვასილ სტალინი. აეროდრომ-დან პირდაპირ მათი სახლისკენ გამოემართა და რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის თვალწინ – დემონსტრაციულად მოეფერა თავის აღმზრდელს – ანუ გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნა იგი.

ვერ გეტყვით, რა აღმზრდელობითი გავლენა იქონია ქ-მა შურამ სვეტლანა ალილუევაზე.

იმის თქმა კი დაბეჯითებით შემიძლია, რომ საკუთარი ქალ-ვაჟი სამაგალითონი აღზარდა.

შეუძლებელი იყო ბ-ნი ანდროს დელიკატურობის – მისი ნათელი, უანგარო საქციელის, მისი დიდსულოვნების არ დანახვა.

ურთულეს პერიოდში თავკაცობდა რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს.

გმირულად ებრძოდა განუკურნებელ სენს...

წავიდა და ხალხის სიყვარული გაიყოლა.

მთიუნჯეთი

მთიულეთის ტერიტორია თეთრი არაგვის ხეობას მოიცავს. ჩრდილოეთით ესაზღვრება: – ხევი, დვალეთი და თრუსო; აღმოსავლეთით – ფშავ-ხევსურეთი და გუდამაყარი; დასავლეთის მხრიდან, ცხრაზმა-ხანდოს ქედით – ქსნის ხეობასთან არის გამიჯნული. სამხრეთის საზღვრად მთიულთკარი მოიაზრებოდა. ამჟამად, მიჯნად მიიჩნევა – თეთრი და შავი არაგვის „შესაყარი ალაგი“, ან, ფასანაურის ზემოთ, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელი – ქავთარანი.

შორეულ წარსულში, მთიულეთს მხოლოდ ცხვაატის თემს უწოდებდნენ; XIII ს-ში – ხადა-ცხვაატს; მოგვიანებით, ხანდოსაც მთიულეთად მიიჩნევდნენ. ხშირად მთიულეთად მოიხსენიებდნენ გუდამაყარსაც.

რეგიონის საზღვრების, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის და მატერიალურ-კულტურული ძეგლების შესახებ, საინტერესო ცნობებს გვანვდის ვახუშტი ბატონიშვილი:

„გუდამაყრის ხევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩრდილოს შუა, არს მთიულეთი. ამ მთიულეთსა და კსანის-ხევს განჰყოფს ცხრაზმასა ხანდოს ლომისის მთა. გუდამაყრის-ხევს ზეით, სამხდლდამ, მოერთვის არაგუს ამირთ-ხევი. კვალად მოერთვის სამხრიდამვე ჩოხელთ-ხევი. ამის ზეით მოერთვის არაგვს ცეცხლისჯვარიდამ ხარხელთ-ხევი. ამის ზეით არს ნალვარევი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულობა დიდი. მის ზეით მოერთვის არაგვს ლუდოს-ხევი. ამის ზეით არს მონასტერი ყოვლადწმინდისა და აწ უქმი და ეს ხევი გამოსდინა ლომისის მთას. მონასტრის სამხრით, მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმინდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე), უგუნბათო. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჭვრეტს სამხრით კსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყვავილნარი, კალთათა ტყიანი. ხოლო ლუდოს-ხევის ჩრდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ხადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ხევსა შინა. ხოლო ციკარას აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქვეით იყოფა ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარხელის ზეით და ქვეით ჩრდილოდამ.

ჩრდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ხევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არ არს აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი. არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივინროვის გამო.. ჰავით არს ფრიად კეთილი და შევნიერი, წყარო-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზი და ფრინველნი გემოიანნი, პურ ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჰაეროვანნი, მხნენი და მებრძოლნი, ერთგულნი, ბრიყ-უსაქციელონი, საჭურველთ-მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყონი. ქალნიცა მშვენიერნი, არამედ უგბილათ მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქლად, და ასხედს მას ქვასა სიბრტყეზედ ხშირად მუნუკთაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი მბრჭყვინავი ფრიად, ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატოსნება მათ შინა ესე“.

ბატონიშვილი სამჯერ მოიხსენიებს ანანურს. სამივე შემთხვევაში იგი ვენახ-ხილიანი და უვენახო-უხილო რაიონების მიჯნად სახელდება. მთად და ბარად გაყოფა კი,

„სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამოკიდებული: სანამდი-საც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საიდანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზიდან მოყოლებული, უკვე მთად იყო მიჩნეული“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ნ. II, ტფ. 1934, გვ. 289).

ადრეული ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ხადელები, ცხავატელნი, დვალები და მოხევენი – „ზემო მთიულები“ არიან; „ქვემო მთიულების“ სახელწოდების ქვეშ კი, ხანდოელები და ქართლელები მოიაზრებიან: – „ქართალი და ხანდო ბარია. ნამდვილი მთა ფასანაურის ზეითობაა. იქაური ხალხია ზეითელები. ქართალს და ხანდოელებს – ქვეითებს გვეძახიან. ჩვენ ქოითი ხალხი ვართ“.

ნათქვამს ვახტანგ ითონიშვილიც ადასტურებს: –

„ქვემო მთიულთა რიცხვს მიეკუთვნებიან ხანდოელნი და ქართლელები... მაღალი მთიანეთის მკვიდრნი არიან – გუდამაყრელები, მთიულები (ხადელ-ცხავატელნი) და მოხევეები...“ მთისა და ბარის მიჯნად მკვლევარი ანანურს მიაჩნევს: – „ანანურის ზეითობას უწოდებენ მთას“.

„მთიულეთის შედარებით მაღალმთიანი, ზემო ნაწილი – თავმთიულეთადაც იწოდებოდა, შედარებით დაბალი – ბოლო მთიულეთად“.

რაც ეხება მთიულთკარს (სადაც 1781 წლის აღწერით, ბიბილაშვილები, ქავთარას შვილები, შალვას შვილები და ჯიქურაულები სახლობდნენ) – ვახტანგ ითონიშვილის ლოგიკური მსჯელობით – ფასანაურის სამხრეთით, მთიულეთ-გუდამაყრის არაგვთა შესაყარის ქვემოთ, დაახლოებით მესამე კილომეტრზე მდებარეობდა და, მეტი ალბათობით, წარმოადგენდა არა საზღვარს (მთიულეთში შემავალ კარს), არამედ მთიულებით დასახლებულ სოფელს, რომელიც შეიძლება, მთიულეთის შემადგენლობაში არც იყო („არაგვი და არაგველები, თბ. 1989 წ.).

ადრინდელი მთიულეთის 25 სოფელს ვახუშტი ბატონიშვილი ორ ტერიტორიარულ ერთეულად აჯგუფებს, რომლებსაც „სასახლედ“ და „მთიულეთად“ მოიხსენიებს.

„მთიულეთის“ შემადგენლობაში გაერთიანებულია 13 სოფელი: 1. ქისტური, 2. ფეჭური, 3. ამირთსოფელი, 4. ნახიდი, 5. ჩოხელი, 6. ხარხეთი, 7. ცეცხლისჯვარი, 8. ნაღვარევი, 9. არახვეთი, 10. ბურდული, 11. მლეთა, 12. ლუდა, 13. ხადა.

„სასახლეში“ მოხსენიებს 12 სოფელს: 1. სასახლის სოფელი, 2. ცხაოტი, 3. ვეთხ-ანი, 4. ჩოხელი, 5. ერენდისძე, 6. ნადიბაიძე, 7. რორო, 8. კოზანიძე, 9. ხევშა, 10. ჩოქური, 11. სორიანი, 12. მკერვალი.

ეთნოგრაფიული ცნობების გათვალისწინებით, ჩამონათვალი აშკარად ნაკლებია.

შედარებით დეტალურ ინფორმაციას ვღებულობთ – არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერიდან, სადაც მთიულეთის 43 სოფელი თემების მიხედვითაა დაჯგუფებული:

ხადას თემში გაერთიანებულია: ბეგოთკარი (11 კომლი), ბენიანთკარი (6), ზაქათკარი (11), მლეთი (21), იუხო (14), კაიშაურთკარი (7), მილურე (6), მიდელაურთკარი (7), როსტიანთკარი (2), სვიანანთკარი (4), სეთურთკარი (14), ქვემო მლეთი (11), ქოროლო (5), შარუმინთკარი (5), ციხიანთკარი (4), ნკერე (8), ჯალუმანთკარი (5 კომლი).

გარემემოს თემში მოქცეულია: არახვეთი (14 კომლი), გვიდაქე (10), დათვიანთკარი (11), ლაკათხევი (14), ჟოჟონი (11), რორო (10), სეფე (2), ჩონჩო (20 კომლი).

მრევლის თემში სახელდება: ბეჟიანთკარი (9 კომლი), გოგნაური (18), მანასეური

(9), ნადიბაიძიანთ კარი (7), სალაჯური (6), ყველანთკარი (5), ჩოქური (6), ხარხეთი (9 კომლი).

ცხაოტის თემში მოხსენიებულია: ამირთკარი (16 კომლი), ბატატიანთკარი (3), კობიანთკარი (9), ქავთურთკარი (16), ჩადისციხე (4), ჩირიკი (16), ძმიანთკარი (3), ნიფორი (6), ჭიკანთკარი (15), ხევშა (21 კომლი).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მთიულეთის სამხრეთი საზღვარი სოფ. ქავთურთკარს არ სცილდება; უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო პუნქტს კი, სოფ. წკერე წარმოადგენს. მთიულეთის შემადგენლობაში არ მოიაზრება – გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი.

1781 წლის აღწერა (წინა), 1774 წლის აღწერასთან შედარებით – უფრო ნაკლებია. თემები დაყოფილი აღარ არის და 43 სოფლის ნაცვლად, მხოლოდ 23 სოფელია მოხსენიებული (წკერე, მილურე, ბენიანთკარი, ბეგოთკარი, ქოროლო, მიდელანთკარი, იუხო, სვიანანთკარი, ციხიანთკარი, შარუმანთკარი, ზაქათკარი, კაიშაურთკარი, ჯალუმანთკარი, სეთურთკარი, ქვემო მლეთე, ძმიანთკარი, ბატატიანთკარი, ჭიკანთკარი, ამირთკარი, ჩადის ციხე, ხევშა, ნიფორი და ქავთურთკარი).

1886 წლის მონაცემებით, ხადა-ცხავატის ტერიტორია – კაიშაურების, მლეთის და ნადიბაიძიანთკარის სასოფლო საზოგადოებად არის დაყოფილი. აღრიცხულია 63 სოფელი.

კაიშაურების საზოგადოებაში შედის: – ბექათკარი (16 კომლი), ბენიანი (7), გამური (4), ჯალუმიანი (12), ზაქათკარი (21), იუხო (11), კაიშაური (35), ქოროლო (4), ქუმლის ციხე (14), მილურა (18), მიდელაური (10), როსტიანი (4), სვიანიანი (7), სეთურთკარი (22), ციხიანი (8), წკერო (15), შარუმიანი (9 კომლი).

მლეთის სასოფლო საზოგადოებაში სახელდება: – განისი (11 კომლი), მიქეთი (10), ქვემო მლეთა (34), ზემო მლეთა (52), ურმის სოფელი (გაღმო სოფელი – 10), ხატის სოფელი (14), ერეთო (20 კომლი).

ნადიბაიძიანთკარის სასოფლო საზოგადოებაში გაერთიანებულია: – აზაურთკარი (10 კომლი), ამირთკარი (25), არახვეთი (49), ბატატიანი (2), ბოთიანი (1), ბახანი (6), ბექიანი (7), ბედონი (რორო – 18), გვიდაქი (24), გოგნაური (20), ძმიანთკარი (7), ჟიჟიანი (11), ჟოჟონი (18), ზამთრეული (4), ყველიანი (8), ქვიშეთი (5), ქიმბარიანი და მოხნეული (33), კობათკარი (15), ყორბეული (13), ლაკათხევი (19), მონასეული (11), მულურიანი (ქავთურთა – 15), ნადიბაიძიანთკარი (22), ფასანაური (24), პატაშური (პატაშურთკარი) (12), პეტრიანი (6), სალაჯური (13), სეფე (24), ხორხეთი (12), ხევშა (15), ნიფორი (9), ჩაბარუხი (8), ხადისხევი (ციხე, 13), ჭიკათკარი (20), ზემო ჩირიკი (16), ქვემო ჩირიკი (25), ჩოქურთკარი (8), ჩოხელთკარი (5), შონჩო (ჩონჩო – 19 კომლი).

1926 წელს – ჭართლის, ხანდოს, გუდამაყრის და მთიულეთის მოსახლეობის აღწერა ორ (მლეთის და ფასანაურის) თემად მოხდა.

მლეთის თემში 35 სოფელი აღირიცხა, ფასანაურის თემში – 52 (სადაც მთიულეთის 13 სოფელთან ერთად, შეყვანილი იქნა – ჭართლის, ხანდოს და გუდამაყრის სოფლები).

მლეთის თემში აღირიცხა: – არახვეთი (45 კომლი); ბეგოთკარი – 10; ბენიანთკარი – 6; გვიდაქე – 24; გოგნაური – 19; გომურნი – 2; ზაქათკარი – 18; იუხო – 11; კაიშაური – 10; ლაგაძიანი – 10; ლაკათხევი – 24; მანასეური – 16; მიდელაური – 4; ზემო მლეთი – 55; ქვემო მლეთი – 35; მულურო – 20; ნადიბაიძიანთკარი – 23; ჟოჟონი – 17;

როსტიანი – 5; სალაჯური – 14; სეთურთკარი – 26; სეფე-ნალვარევი – 31; სვიანანი – 3; ქვეშეთი – 7; ქიმბარაანი – 18; ქოროლო – 6; ყველაანი – 10; შარუმიანი – 7; შონჩო – 19; ჩოხელთკარი – 12; ციხიანი – 4; წკერე – 18; ხარხეთი – 14; ჯღამიანი – 10 კომლი.

ფასანაურის თემში დარეგისტრირდა მთიულეთის შემდეგი სოფლები: – ამირთკარი (30 კომლი); ზემო ჩირიკი – 20; ფასანაური – 119; ქავთარაანი – 28; ზემო ჩირიკი – 23; ჩაბარუხი – 5; ჩადის ციხე – 19; ძმიან-წინკობანი – 15; წიფორ-ჭიჭიანი – 24; ჭიკათკარი – 14; ხევშა – 19 კომლი.

სტატისტიკური აღწერების და ეთნოგრაფიული კვლევების შედეგებით, მთიულეთის რეგიონში, 1989 წელს, ვახტანგ ითონიშვილმა (არაგვის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით) დააზუსტა – შემდეგი სოფლების და ნასოფლარების არსებობა: – დაბა ფასანაური, ჩაბარუხი, ქოჩორიანი, ქავთარაანი, ჩადის ციხე, წიფორი (ჭიჭიანთან ერთად), ქვემო ამირნი, ზემო ამირნი, ხევშა (პატაშურთან ერთად), ბატატიანი, ჭიკაანი, ძმიანი, წინკობანი, ქვემო ჩირიკი, ზემო ჩირიკი, ჩოხელნი, ბექიანი, მანასეური, ხარხეთი, ჩოკურთკარი (ბუასკარი), სალაჯური, გოგნაური, დარძულნი, ბოთიანი, გორთამიანი, ნადიბაანი, ყორბლეული, ზამთარეული, ყველაანი, გვიდაქე, დათვიანთკარი, სეფე, ლაკათხევი, უშარნი, ნალვარევი, ქიმბარაანი (ლაგაზიანი, გ.ქ.), ქვეშეთი, ჟოჟონი, შონჩო (სონჩო, ჩონჩო), რორო (ზემო ბედონი), არახვეთი, ქვემო ბედონი, ციხიანი, სვიანანი, როსტიანი, შარმიანი, მიდელაურები, ბენიანთკარი, ბეგონი, იუხო (გომურნისთან ერთად), მულერე, წკერე, ქვემო მლეთა, ზემო მლეთა, გაგასძენი, სეთურთკარი, ჯღამიანი, კაიშაურები, ზაქათკარი, ქუმლისციხე, სოყურიანი, გუდაური, მიქეთი, წინა განისა, უკანა განისა, ფიგოლიანი, ხატის სოფელი (ლუდა), ურმის სოფელი, ერეთო („არაგვი და არაგველები“, თბ. 1989 წ.).

ხადას თემი

ხადას ხეობა სოფ. ქვეშეთის მიმდებარედ იწყება. მისი სიგრძე 15 კმ-ს აღწევს.

საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილია.

მასზე გადიოდა დარიალის ძველთა-ძველი გზა, რომლის განუმეორებელი სილამაზეც მრავალი კლასიკოსის მიერაა აღწერილი.

„ყოველი მხრიდან მიუვალი მთები, მწვანე სუროთი მოფარდაგებული მონითალო კლდეები...“

„ზემოთ, თოვლის ოქროსფერი ფოჩი“...

„ქვემოთ, არაგვი გადახვევია უსახელო მდინარეს – შავი, დაბურული ხეობიდან ყვირილით გამოვარდნილს, რომელიც, ვერცხლის ზოლივით განოლილი – გველის ქერცლებივით ბზინავს...“

„აქეთ, შავად მომზირალი ღრმა ხეობაა, იქით, თოვლიანი ნაოჭებით დაღარული, მუქი ლურჯი მწვერვალები, რომლებსაც – ცის ტატნობზე მკრთალად აზიდულთ – ჯერ კიდევ შემორჩენიათ – დაისის უკანასკნელი ციაგი...“

„ვარსკვლავთა ხოლმები, შორეული ცის გუმბათზე – საუცხოო არშიებად იხლართებოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ...“

„აღმოსავლეთის ფერმკრთალი ციაგი, მუქლილისფერ ტატნობზე იშლებოდა და თან-

დათან ანათებდა უმანკო თოვლით დაფარულ მთის ფერდობებს...”

„ავად შემოგვეყურებდნენ პირქუში, იდუმალებით მოსილი უფსკრულები; კლდეთა ნაპრალებზე მოცოცავდა – გველივით დახვეული და დაკლაკნილი ნისლი, რომელიც, თითქოს, დღის მოახლოებას გრძნობდა და – მისი ეშინოდა...“

„ცასა და მიწაზე ისეთი სიმშვიდე იყო, როგორც მორწმუნის გულში – დილის ლოცვისას“... (მ. ლერმონტოვი).

ქვეშეთთან, საქართველოს ძველი სამხედრო გზა – ლუდას ხევის და ხადას ხევის მიმართულებით განშტოვდებოდა.

თითქმის დასაწყისშივე, ორად იყოფოდა ხადას ხეობისკენ მიმავალი გზაც:

ერთი (დიდველის მიმართულება) – კაიშაურებს, სეთურებს, ქუმლისციხის, გუდაურის, ჯვართვაკეს და ჯვართაყელს გავლით – სტეფანწმინდისკენ მიემართებოდა.

მეორე (შარუმინის, მიდელაურების და ქოროლოს მიმართულებით) – ჯვრის უღელტეხილის ზემოთ (დაახ. 200-250 მ-ზე), საკობის და საძელე მთების ფერდობებზე, ისე გადიოდა რომ ჯვართვაკეს და ჯვართაყელს არ გაივლიდა.

აღნიშნული მიმართულების მეორე განშტოება – ქოროლოდან, „წვერციხის“ და ფიცარას ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე გავლით, წკერეს თავზე მდებარე კვირაცხოვლის კომპლექსამდე აღწევდა და მილიონას გადასასვლელით, კობში ჩადიოდა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ხადას ხევის გადამკვეთი ერთი მოზრდილი ბილიკიც. იგი მდინარის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა, მერე, სოფ. მიდელაურების მოპირდაპირე ფერდობით, მის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა – გაივლიდა ხადისკარის მინდორს, ბეგოსს, ბენიანს და წკერეში ადიოდა.

ამბობენ, რომ „ხადა“ – მთას (მთიან ადგილს) ნიშნავს.

მისი უფრო ძველი სახელწოდება – წილკანი (წინკარი) უნდა ყოფილიყო.

ისტორიულად თეთრი არაგვის სათავეები ეჭირა.

მის სამხრეთით ცხავატის თემი იყო განთავსებული.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ლუდოს-ხევის ჩრდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ხადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ხევისა შინა. ხოლო ციკარას აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქვეით იყოფა ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარხელის ზეით და ქვეით ჩრდილოდამ“.

ავტორის მიერ მოხსენიებული ციკარას წყალი – ეჭვგარეშეა, რომ დღევანდელი ხადას-წყალია. დაბა ხადას არსებობა კი, სოფ. წკერეს სამხრეთით, ბენიანთ ვაკეზე, უნდა ვივარაუდოთ; იმ ვრცელ მინდორზე, რომელსაც ხეობის შუაგული ადგილი უჭირავს. ადგილობრივი მოსახლეობა მას ხადას კარს უწოდებს. ამავე ვაკეზეა ხადელების სათემო სალოცავი – „მთავარმონამე“.

ხადა – ნეოლითის ეპოქიდან ყოფილა დასახლებული. დიდველზე მიკვლეულია ადრე-ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ძვ. წ. III ათეწლეულით თარიღდება. ნაპოვნია გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების შემცველი განძიც, მათ შორის საკმაოდ ფასეული – ბრინჯაოს კოლხური ცული.

რეგიონის ძველი საზღვრების დასაზუსტებლად, საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ: – „ლუდოს-ხევის ჩრდილოთ, არაგუს გაღმა, არს დაბა ხადა... მის ჩრდილოთ კი, ციკარა...“

ყამთაღმწერელიც გვანვდის საინტერესო ცნობას: – როცა მონღოლები „გარდამოდგეს ხადას, ხოლო მეფე ციკარეს იყო“.

„ორივე შემთხვევაში ერთად ფიგურირებენ „ხადა“ და „ციკარე“ სახელდებული ტერიტორიული ერთეულები, რომელთაგან უფრო ჩრდილოეთით ლოკალიზდება „ციკარე“. ამ

საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების და ჩვენს მიერ შესწავლილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შეჯერება, ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული „ციკარე“ (ან ციკარა) ძველად ხადის ხევის (ანუ გაღმა ხადის) ზოგად სახელწოდებას წარმოადგენდა, რომელიც ბოლოს ერთი სოფლის – ნკერეს სახელწოდებაში შემოინახა“ (ვახტანგ ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ. 1989 წ.).

„დღეს ციკარეს სახელი შესაძლოა დაცული იყოს სოფ. ნკერეს სახელწოდებაში“ – 1971 წელს ივარაუდა ჯ. გვასალიამ („მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“, 1971 წ.).

წარმოდგენილი ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობების შეჯერებით, შეიძლება ითქვას, რომ ხადა – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ტერიტორიას მოიცავდა. ზოგჯერ მის შემადგენლობაში იყო ლუდა – ლაკათხევიც; ი. გიულდენშტედტის თანახმად, ხადას თემს ეკუთვნოდა სოფ. შონჩოც.

ბევრს მეტყველებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ: –

„ციკარა არს ადგილი კლდოვანი და 60-კოშკოვანი.“

მთიულეები იქ 80-მდე კოშკს ითვლიან. მათი განმარტებით, „60 – გაღმა ხადაშია, 20 – გამოღმა მხარეს“.

ციხეთა ასეთი სიმრავლის გამო – „ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო“.

მის „60 კოშკოვან სიმაგრეში“ არაერთხელ „შემდგარან“, უცხოელ დამპყრობთაგან შევიწროებული, ქართველი მეფეები.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დიდველიც მეფეთა თავშესაფარი იყო:

– ჯერ აქ დადგებოდნენ და, თუ თათარი აქამდეც მოაღწევდა, გაღმა გადიოდნენ – რადგანაც ის უფრო მიუვალი და „ძრიალია“.

„ძეგლის დება“ (1334-1335 წ.წ.), ამ მომცრო ტერიტორიაზე, ორი ციხისთავის მსახურებას ითვალისწინებს.

ერთი, სავარაუდოდ, ბენიანთ ვაკეზე უნდა „მჯდარიყო“ – „ხადის კარზე“, მეორე – დიდველზე.

*

ციხე-კოშკების ასეთ სიმრავლესთან ერთად, მთიულეთში, ქვის – ორი დიდი საბადოს არსებობაც დასტურდება: – „საკოხეს“ და „დიდველის ძირის“.

„სათალი, ცეცხლგამძლე მთიულური კოხის ქვის ოთხი სახეობაა ცნობილი“ (ლურჯი, ყვითელი, წითელი და შავი).

„მოყვითალო ფერის – ფიცხი, მაგარი, სათალი კლდის ქვა – „დიდველის ძირის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ხადას ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლები ამ „კარიერებში“ მოჭრილი მრავალფეროვანი ქვებით არის ნაგები.

*

1774 წლის აღწერით ხადას თემში 17 სოფელი დარეგისტრირდა: 1. ზემო მლეთა (სულ 24 კომლი: – ნაზლაიძეების 12, ბუთხუზების 9, ბურდულების და გაგაძეების 1-1, ხიზანი 1); 2. ქვემო მლეთა (ბურდულების 11 კომლი); 3. სეთურთკარი (სეთურიძეების 15 კომლი); 4. ჯალმანთ კარი (ჯალუმძიძეების 5 კომლი); 5. კაიშაურთ კარი (კაიშაურების 7 კომლი); 6. ნკერე (სულ 9 კომლი: – ჯარმიზაულების 2, მაგანაურების 6, ნარაიძეების 1.); 7. მიღურე (სულ 6 კომლი: -ყუთუყაურების და წამალაიძეების 2-2, ჯაბიაურების და ავნაიძეების 1-1.); 8. ბენიანთკარი (ბენიაიძეების 5 და წამალაიძის 1 კომლი); 9. ბეგოთკარი (ყარაულების 6 და ბეგოიძეების 4 კომლი); 10. იუხო (სულ 13 კომლი: – ქვიციურების 6, ძაველურების 3, ილიაურების 2, გომურების და სვანაიძეების 1-1); 11. როსტიანთ კარი (როსტიანთ ხოსროს შვილის

2 კომლი); 12. ქოროლო (წამალიძეების 5 კომლი); 13. მიდელაურთ კარი (მიდელაურების 5 და ბუქურების 2 კომლი); 14. სვიანანთ კარი (სვიანაძეების 4 კომლი); 15. ციხიანთ კარი (ციხიაურების 4 კომლი); 16. შარუმანთ კარი (შარუმიძეების 4 და ძეკაურის 1 კომლი); 17. ზაქათკარი (სულ 12 კომლი: – ზაქაძეების 10, სუნტიძეების და მურღულუბის 1-1).

*

ხეობის მთავარი სათემო სალოცავი – მთავარმონამე („მთორმონამე“, „მთორმენამე“), სოფ. ბეგოთკარსა და ბენიანს შორის მდებარეობს.

მის მშენებლობას თამარ მეფეს მიაწერენ.

ასეთი აზრი, 1908 წელს აგებული ეკლესიის შესახებ, გვაფიქრებინებს იმას, რომ, დღევანდელი სალოცავის ადგილას, ადრე, უფრო ძველი ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ხატობას – „ხადიჯრობას“ ეძახიან.

დეკანოზობა ბენიაძეებს „მოუდით“.

*

ხადა-ცხავატის თემი მრავალი ქართველის მონამეა.

ისტორიულად, ქართლის სპასპეტს ექვემდებარებოდა.

VIII-XI სს-ში კახეთის სამთავროს ან სამეფოს შემადგენლობაში იყო.

IX ს-ის 50-იან წლებში, ცხავატამდე მისული არაბთა ლაშქარი (ბულა თურქის სარდლობით) – მთიულეებმა უკუაქციეს.

მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს, თამარ მეფის მიერ მონყობილ ლაშქრობაშიც – განდგომილი ფხოველების და დიდოელების დასამორჩილებლად.

ხადა – აჯანყებულთა წინააღმდეგ მიმართული საომარი მოქმედების პლაცდარმი იყო.

*

ციკარე მოხსენიებულია მონღოლთა წინააღმდეგ მიმართულ მეფე დავით VIII-ს (1293-1311 წ.წ.) ერთ-ერთ ბრძოლაშიც:

„ვითარ ცნა ხუტლუბულამ მეფისა ციკარეს დგომა, განყო ლაშქარი, და რომელიმე წარავლინა ცხავატით გზასა, რათა ეგრეთ შევლონ ციკარს (ციკარეს), რომელი ესე შეუძლებელ იყო. მაშინ ქუემო შესრულთა ლაშქართა შევლეს გზა და განვიდეს ცხავატს. ვითარ ცან მეფემან, წარავლინა მცირედნი ლაშქარნი და იქმნა ომი ძლიერი. მოსწყდა თათარი ურიცხვი, რამეთუ შემოსრულ იყვნეს ვინროსა გზასა კაცი მეომე ვითარ ხუთასი, რომელნი ვერლარა გამოესწრნეს გზისა სივინროვისაგან. შეიპყრეს ხუთასივე: რომელნიმე მოკლეს და რომელნი დარჩეს, მოჰგუარეს მეფესა. ხოლო სხვანი ილტვოდეს და სპანი მეფისანი გამოვიდეს ხადის თავსა, გორასა რასმე, რომელ არს ციკარეს პირისპირ და იქმნა ომი ძლიერი... იხილა სიმაგრე ქუეყნისა ხუტულბულამ და ცან, რომელ არა ეგების შესვლა ციკარეს; აიყარა ლამით გზისა ლომის თავისასა“...

დავით VIII-ს წინააღმდეგ მონღოლთა გვერდით იბრძოდა ქსნის ერისთავი, შალვა ქვენიფნეველი.

განრისხებულმა მეფემ ხადელ-ცხავატელთა და დვალთა დახმარებით ააოხრა ქსნის საერისთაო.

ქვენიფნეველმა მონღოლთა დახმარებით მოარბია მთიულეთი.

მარტო ხადაში, ერთი კვირის განმავლობაში აიღო და დააქცია 25 ციხე: – „დადგა ხადას და ესოდენ ძლიერად ჰბრძოდა, რომელ ერთსა დღესა აიღო ცხრაი ციხე და დაარღვია... ერთსა კვირასა დაარღვია ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგვსა“.

XIV ს-ის დასაწყისში, ხადას ტერიტორიის ნაწილი (თეთრი არაგვის მარჯვენა სანაპირო

– ლუდადან ხანდომდე), ვახტანგ III-მ (1298-1299 ან 1302-1308 წ.წ.) – ქსნის ერისთავ შალვა ქვენიფნეველს უწყალობა. ამ გადაწყვეტილებამ მთიულეთი ქსნისა და არაგვის ერისთავთა საომარ ასპარეზად აქცია.

XIV ს-ის ბოლოდან, მთიულეთის მთელ ტერიტორიას (1743 წლამდე), არაგვის ერისთავები აკონტროლებდნენ.

ხადა-ცხავატი მუდმივად საქართველოს სამეფო ხელისუფლების ყურადღების ცენტრში იყო.

დღეს, იქ, კატასტროფული სიტუაციაა.

მთა ცარიელდება. უამრავი ნასოფლარი გაჩნდა. მთიელები თავიანთ მინა-წყალს ტოვებენ.

ან როგორ იცხოვრონ?!

ასეთია მათი მწარე, ცხოვრებისეული კითხვა.

ბედონი და ბედოიძეები

სოფელ ქვეშეთთან, იქ, სადაც პატარა მდინარე, ხადა, არაგვს უერთდება – 1861 წლამდე, მდებარეობდა საქართველოს ძველი სამხედრო გზის საუღელტეხილო (ქვეშეთი-ხადას) მონაკვეთის საწყისი პუნქტი.

არაგვზე გადებული ხიდი – გზა მდინარის მეორე ნაპირზე გადადიოდა; მერე, გველივით მიიკლანებოდა – კაიშურების ველზე აღმავალ ციცაბო აღმართზე, რომლის ყველაზე ძნელი, 1 კმ. სიგრძის მონაკვეთი, მის დასაწყისში იყო. იქიდან, 4 კმ. სიგრძის აღმართის ავლას – ურემი ერთ დღეს ანდომებდა.

მდინარის კალაპოტი, ამ ადგილას იმდენად ვიწროა, კლდეები ისე ახლოსაა მასთან, რომ გზისთვის ადგილი ძლივს რჩება.

ხიდის ცოტა ზემოთ – სოფ. ქვემო ბედონია, სადაც, დღეს, ზედა სოფლებიდან ჩამოსახლებული ხადელები სახლობენ.

მის მოპირდაპირე მხარეს, მდ. ხადისწყალის მარცხენა ნაპირას, მაღლა პლატოზე იყო განთავსებული სოფ. ზემო ბედონი (იგივე რორო), სადაც ბედოიძეებს, წამალაიძეებს და ზაქაიძეებს უცხოვრიათ. დღეს ნასოფლარია. ნანგრევებად არის ქცეული, მიტოვებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

ადრე, მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა.

ამაზე – დანგრეული კოშკები და ეკლესიის არსებობა მიუთითებს.

1774 წელს, იქ – ბედოიძეების 10 კომლი სახლობდა.

1886 წელს, ბედონში, აღირიცხა ბედოიძეების 17 კომლი, 57 მამაკაცი და 49 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, ნ. II, დოკ. 1794).

1926 წელს, აღწერეს 19 კომლი, 38 მამაკაცი და 51 ქალი, სულ 89 სული; ძირითადი გვარი – ბედოიძე იყო.

გვარის უხუცესების ცნობით, „ნალორეველი ბექიშვილი, ბედოთელი ბედოიძე და უშართელი უშარიძე – თავ-თავადი გვარებია. გაყოფის დროინდელი წინაპრების – ბექას, ბედოს და უშარას ძმობა სწამთ – მაგრამ დედა გვარი არ ახსოვთ“. სამივე გვარი ერთადაა ქირსა თუ ლხინში: – „ქორწილში ძღვნითა და შესანირაავით მონაწილეობენ; მკვდარზე წვერს იყენებენ“.

როგორც ირ. გოგოლაური გვამცნობს: – ნადიბაიძეების, უშარიძეების, ბედოიძეების და ბექიშვილების ძირგვარი – გაბიდაურია, ძირხატი – ლაშარის ჯვარი, „მაგრამ ფშავში სალოცავად აღარ დაიარებიან... გადატანილ ნიშებს ლოცულობენ (ძირითადად, სოფელ ნადიბათას).“

როროს ნასახლართან მდგარი, კვადრატული (5X5 მ.) კოშკი, XIII ს-ით თარიღდება. ნაგებია კარგად გათლილი ქვით. შემორჩენილი აქვს მხოლოდ პირველი სართულის კედლები (დაახ. 1-1,6 მ-ის სიმაღლეზე).

მის აღმოსავლეთით მდგარი ზურგიანი კოშკი X-XI სს განეკუთვნება. ნახევარწრიული მოხაზულობის ზურგი – მთისკენ აქვს მიმართული, ფასადი – ხევისკენ. მისი ქვედა სართულის ერთი კედელი, მოგვიანებით, აღუდგენიათ და დღეს, სამლოცველოდ არის ქცეული.

ნასოფლარიდან ცოტა მოშორებით, მაღალი მთის მოვაკებაზე – ძველი სასაფლაოს გვერდით მდგარი ყველანმინდის და კვირაცხოვლის სახელობის, „აზიდული პროპორციების მქონე დარბაზული ეკლესია (7,4X5,2 მ.), ფიქალის ორფერდა სახურავით და მაღალი კეხით – უჩვეულო სილუეტს ქმნის და შორიდანვე იქცევის მნახველის ყურადღებას“ (ჯ. გვასალია და სხვ. „ხადის ხეობა“, 1983 წ.). თარიღდება IX-X სს. აგებულია საშუალო ზომის თლილი ქვით. ნყოფა რეგულარული აქვს. ალაგ-ალაგ ეტყობა შელესილობის კვალი. ეკლესიის სახურავს მაღალი კეხი გასდევს, რომელიც თავისებურ იერს აძლევს. აღმოსავლეთით, მას ქვაში გამოკვეთილი მცირე ზომის ქანდაკება ადგას (ჯვარი – სიცოცხლის ხე).

სალოცავის მინაშენის კარის არქიტრაჟზე კაუჭებიანი ნარბია ამოკვეთილი. ფრონტონს, წვერზე – ვერძის ქანდაკება ადგას.

ეკლესიის სამხრეთით, ფიქალით ნაგებ გვიანდელ კვარცხლბეკზე, დადგმულია ქვის ჯვარი, რომელზეც, დაბალი რელიეფით, რომბში ჩასმული, მზის სიმბოლური გამოსახულებაა.

იქვეა, რამდენიმე დანგრეული აკლდამა.

ნასოფლარის სასაფლაოზე, გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე ნაგებობის და კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი.

*

ავთ. სილაგაძისა და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში სულ 556 ბედოიძე ცხოვრობს: თბილისში – 187; თეთრიწყაროში – 90; კასპში – 64.

ისინი სახლობენ აგრეთვე კახეთში, ანანურში, მცხეთაში, ასპინძასა და ადიგენში... ნასულები არიან სტავროპოლის მხარესა და ვლადიკავკაზში.

ბედოიძეთა შორის არიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები.

ხალხურ მესხიერებას შემორჩა, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეწირული (მთიულეთის 1804 წლის აჯანყების მონაწილე) – ნინია და ემნა ბედოიძეების, ანუ, როგორც დეკანოიზები ლოცვაში მოიხსენიებენ - „ციხის ქონგურიდან ცაში გაფრენილი ძმების“ სახელი.

ისინი სამარადჟამოდ დაიმკვიდრდნენ ღირსეულ არაგველთა შორის.

ქობთციხე

ბედონის ზემოთ, ერთი გზა დიდველისკენ მიემართება, მეორე (ხელმარჯვნივ) – ქობთციხის მიმართულებით.

ხადასწყლის და არაგვის შესართავიდან 1 კმ-ს ზემოთ, ჭალის თავზე, საკმაოდ ვიწრო ყელი იქმნება, სადაც გამვლელის ყურადღებას იპყრობს რუხ კლდეში ჩაშენებული ქვითკირის კედელი.

მაღალი, ვერტიკალური მთის ძირი, ამ ადგილას, კლდის შიგნით იყო შენეული. ქვაბულის

წინ, გვიანფეოდალურ ხანაში, თითქმის, 30 მ. სიგრძის ქვითკირის კედელი აუგიათ და ეს ვინრობი, დიდი ოსტატობით გამოუყენებიათ – საჭიროების შემთხვევაში, გზის ჩასაკეტად.

ამ ორიგინალურ – სამსართულიან თავდაცვით ნაგებობას (სათოფეებით და სალოდეებით) – „ქობთციხეს“ ეძახიან.

შიგნით, კლდეში გამოთლილი მაგიდა დგას, რომელზეც ჯამებია ამოკვეთილი.

ადგილობრივი მკვიდრნი ამ ციხე-სიმაგრეს ალ. ყაზბეგის პერსონაჟთან აკავშირებენ და „ელგუჯას გამოქვაბულად“ მოიხსენიებენ – „მზალო რომ მოიტაცა, აქ შეაფარესო თავი.“

ზაქათკარი და ზაქაიძენი

ქობთციხიდან, ცოტა ზემოთ, კლდის თავზე, ცაში გამოკიდულივით მოჩანს სოფ. ზაქათკარი (ზაქანი).

1774 წელს, იქ, ზაქაიძეების 10 – სუნტიძეების და მურღულის თითო-თითო კომლი სახლობდა.

ზაქაიძე პაპა ციხისთავად არის მოხსენიებული.

ადრე, „სუნტიძეების“ და „მურღულთა“ დასახლებები – სოფ. „ზაქანის“ ცალ-ცალკე უბნები ყოფილა.

ზოგჯერ, მათ დამოუკიდებელ სოფლებად მოიხსენიებდნენ.

მურღულების წინაპარი, რ. თოფჩიშვილის ცნობით, ხადაში, სამეგრელოდან არის მოსული.

ზაქათკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მინდორს, არყის ხეების ზოლი ჰკვეთს, რომელიც ხევის პირამდე ჩადის. მათ ჩრდილში ძველი ციხის ნანგრევებია შემალული. გამვლელს ძნელად თუ მოხვდება თვალში. ამ ადგილს – ციხისველს ეძახიან.

გადმოცემის თანახმად, იქ, კოტორაულებს საცხოვრისი ყოფილა.

1926 წელს, ზაქათ-კარში, 18 კომლი აღწერეს, 56 მამაკაცი და 48 ქალი, სულ 104 სული; ძირითადი გვარი ზაქაიძე იყო.

ერთი გადმოცემის მიხედვით, „ზაქათ“ წინაპრებს, ქისტეთში უცხოვრიათ, არმხის მახლობლად.

„იმ ადგილს რქმევია ხანდა“.

ზაქას შვილებს (ყარას, ყატუყას და ბრაის) იქაურობა მესისხლეობის გამო დაუტოვებიათ. წამოსულან და მთიულეთში მაშინ მოსულან, როცა ქსნელები და არაგველები ლომისის ტაძარს აგებდნენ.

მშენებლებს სათაღე ლოდის დადება გასჭირვებიათ და „ბრაის დაუდგამს“ იგი კარის თავზე.

მერე, ზაქას და მის შვილებს – ლომისისთვის ძვირფასი ჯაჭვის პერანგიც შეუწირავთ, მისი ყმები გამხდარან და ამის შემდეგ მიუღია თემს გადაწყვეტილება: – სადაც მოისურვებენ, იქ დასახლდნენო.

ბრაის – ზაქანის ადგილი აურჩევია;

ყატუყას – მულურე (სადაც მისი შთამომავალი ყუთუყაურები სახლობდნენ);

ყარაი – ბეგოთკარში დასახლებულა და ყარაულთა გვარისთვის მიუცია დასაბამი.

გადმოცემის თანახმად, ლომისის ეკლესიის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის, აღნიშნული სალოცავის კარი, ზაქაიძეების გარეშე – არ იღებოდა.

განსხვავებული ვერსიის თანახმად, მთიული ზაქაიძეები და მოხევე ზაგაშვილები – საერთო წარმომავლობის და ძირად ხევსურები არიან.

მოსისხლე ყოფილა თრუსოს ხეობიდან ხევის სოფელ ცდოში გადასახლებული, ხევსური

– ზაქა ზაგაშვილი; ქისტები უხოცავს და მასუკან გადახვენილა მთიულეთში.

ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია შენდებოდაო მაშინ – ქსნისა და არაგვის თავდამყურე.

ზაქას და მის შვილებს მოოქროვილი ჯაჭვის პერანგი შეუწირავს ეკლესიის მშენებლობისთვის.

ამის სანაცვლოდ მოიპოვესო, დიდველზე დასახლების უფლება.

მოხვევთა ცნობით, ზაქაიძე-ზაგაშვილ-ზაგაკოვების წინაპარი სამი ძმა ხევსურეთიდან მესისხლეობის გამო წამოსულა. ორი მათგანი – ხევში (სოფ. ცდოს) დასახლებულა, ერთი – თრუსოს ხეობაში (სოფ. მნას).

მოგვიანებით, თრუსოში მცხოვრები ზაგაშვილების ნაწილიც, ხევში ჩამოსახლდა, მაგრამ, დიდი ხნის განმავლობაში, კვლავ მამა-პაპის საცხოვრისში (სოფ. მნას), დადიოდნენ სალოცავად, სადაც ოსები, როგორც ამ სოფლის პირველმკვიდრებსა და ადგილობრივ სალოცავთა ყმებს – დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ.

განსხვავებული ვერსიის თანახმად, თრუსოდან წამოსული ზაგაშვილები, ხევში, თავდაპირველად, სოფ. გველეთში დასახლდნენ.

„ქისტებს ამოუნყვეტიათ ისინი“.

გადარჩენილა მხოლოდ მათი „ხადასხეობელი“ ორსული რძალი, რომელიც მთიულეთში, მამის სახლში ყოფილა წასული.

იქ შესძენია ტყუპი ვაჟი.

ისინი „დედიძმითას დაზრდილან და უკვე მოღერებულნი, გველეთში წამოსულან შურის საძიებლად“.

სოფ. ცდოსთან, გამოქვაბულში შეუფარებიათ თავი.

ერთი მათგანი გველეთისკენ დასაზვერად წასულა.

ქისტებს მწყემსად მიუღიათ იგი და „იქავ დარჩენილა ღამის გასათევად“.

შუალამისას ამდგარა, მოსისხლეები ამოუნყვეტია და მათი ყურები ძმისთვის მიუტანია – საბუთად.

ამაზე მოსვლიათ ჩხუბი – უჩემოდ მტერი რატომ დახოცეო და ძმა, რომელსაც შურისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია – „დედიძმითას დაბრუნებულა“.

ანდრეზის მიხედვით, ეს ძმები არიან – „ცდოველი“ ზაგაშვილების და ხადელი ზაქაიძეების მამები. მათი უფრო ადრე განაყრები კი, თრუსოს ხეობის სოფელ ოქროყანაში მცხოვრები, ამჟამად გაოსებული, ზაგაკოვები.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, სოფ. წკერეში მცხოვრები ზაქაიძეები, ადრე, ძაგნიძის, ძაგანაშვილის და ძაგანაურის გვარს ატარებდნენ.

ჩნდება ეჭვი, რომ ეს გვარი ზაგაშვილის რუსულ-ქართული ტრანსკრიფციის სახეცვლილებაა.

მით უმეტეს, რომ ხევიდან არიან მიგრირებულები.

იქ კი, ძაგნიძე-ძაგანაშვილ-ძაგანაურების გვარი საერთოდ არ ფიქსირდება.

*

ზაქაიძეების გვარს, დროთა განმავლობაში, რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – ყუთუყაურნი, ყარაულნი, ძაგანაურნი; წკერელი – გივიანი და კაციანი; ბეგოთკარელი – ბაზიანი და გაჩაღდიანი...

მათი შთამომავლები სახლობენ შიდა ქართლში, ალგეთ-თრიალეთსა და ერწო-თიანეთში – კახეთსა და შირაქის ველზე, ვლადიკავკაზში და სტავროპოლის მხარეში.

ზაქაიძეებს, ბევრი „სხვა ხალხიც შეეკედლა და შემოეყარა“ (ჯაბიაურნი, ჯარმიზაულნი...). გვარის უხუცესების ცნობით, მათთან ახლობლობა მოსდგამთ ხადელ შარმაიძეებსა და თიანელ – შარმაიშვილებს.

*

ხადას ნაცვალეები და ციხისთავები ყოფილან ზაქაიძენი.

„რასაც იტყვის ზაქაო, დაიჯერებს ხადაო“ – ერთ-ერთ მათგანზე გვამცნობს ხალხური ლექსი.

ციხისთაობა პრესტიჟული, გასამხედროებული მოხელეობა იყო.

ხალხურ მეხსიერებას შემორჩა ცნობილი ციხისთავების – ბეჟან და დიმიტრი ზაქაიძეების სახელი.

ბეჟანის შთამომავლობა – ციხისთავნიანთა სახელდებას ატარებს.

მათი დასახლების მიმდებარედ შემორჩენილ ერთ-ერთ „ნაციხვარს“ – „ციხისთავიანთად“ მოიხსენიებენ.

გერგეტის სულთა მატიანეში (XV ს.) მოხსენიებულია ნაცვალი ინდო ზაქაძე.

„ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის სადიდებად ზაქაიძეთა გვარის მეომრები ქუდზე კაცად გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარცხენე მიმსვლელ-მცემელთა სადროშოში“, ბაგრატიონ მუხრან-ბატონის დროშის ქვეშ (ალ. ნაზლაიძე).

*

ზაქაიძეთა საგვარეულო სალოცავები ზაქათკარის წმინდა გიორგი და ადგილის დედაა.

სოფლის განაპირას, გალავნით შემოზღუდულ სასაფლაოს ტერიტორიაზე, პატარა, სადა – წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დგას. გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. შეიცავს, ერთმანეთისგან მოკლე ქრონოლოგიური ინტერვალით დაშორებულ, ორ სამშენებლო ფენას.

აღმოსავლეთის ნახევარი – ადრინდელია, დასავლეთისა – გვიანდელი.

სამრეკლო და უზარმაზარი ლოდებით ნაგები ზურგიანი კოშკი, ნანგრევებად არის ქცეული.

მეორე კოშკი ხევს გასცქერის. სიმაღლე 4 მეტრამდე აქვს შემორჩენილი. მდინარის მხრიდან, ბუნებრივი ბაქანის შესამაგრებელი კედელი ჰქონია, რომელიც, ერთმანეთის პარალელურად განლაგებულ, სათავსოთა ნანგრევებს უკავშირდება.

ზღუდის დასავლეთით, დიდი მინისქვემა აკლდამაა.

კოშკი და მისი ორი მეტრი სისქის ზღუდის კედელი რუხი ფერის დიდი ლოდებით არის ნაგები. კარგად დამუშავებული და მოსწორებული ზედაპირის მქონე, უმეტესად კვადრატული ფორმის ქვები, მტკიცე და რეგულარულ წყობას ქმნიან.

წარმოდგენილი ციხე-სიმაგრე, ხადას ხეობაში შემორჩენილი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია.

შარმიანი (შარუმიანი)

ქობთციხის ზემოთ, ხადას ხეობა, თანდათან ფართოვდება. ჩიტის ბუდეებით ჩნდება აქა-იქ მიმოფანტული პატარა სოფლები.

იშვიათად შეხვდებით ხეებს.

ყველგან კოშკები მოჩანს.

ძველი ბრძოლების უტყვი მონმენი – სხვადასხვა პროპორციის და სიმაღლის კოშკები.

შარმიანი ნასოფლარად არის ქცეული.

1774 წელს, იქ, შარუმიძეების 4 და ძეკაურის 1 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით, 7 კომლი დარეგისტრირდა, 25 მამაკაცი და 28 ქალი, სულ 53 სული; ძირითადი გვარი შარმაიძე იყო.

ნასოფლარის განაპირა ფერდობზე, დიდი მუხის ძირში მდგარი „ცეცხლისჯვრის“ ეკლესია (6X4 მ.) X ს-ით თარიღდება. სამხრეთიდან – თანადროული, ორსართულიანი მინაშენი ეკვრის. ორივე ნაგებობა მუქი ღვინისფერი თლილი ქვის კვადრებით არის ნაგები. ძლიერ დაზიანებულია. საკურთხევლის აღმოსავლეთით ერთადერთი სარკმელია. მის მარჯვნივ, მარტივი ჯვარია ჩაკვეთილი; ქვემოთ, სწორკუთხა ტრაპეზი დგას.

ს. მაკალათიას ცნობით, „ცეცხლისჯვრობას“, აქ, ორი სოფელი – ციხიანი და შარუმიანი დღესასწაულობს. ხატს – საქონლისა და ოჯახის ცეცხლისგან დაცვას ევედრებიან.

მიდელაური

ხადას ხეობის ამ სოფელში, 1774 წელს, მიდელაურების 5 და ბუქურების 2 კომლი სახლობდა.

1781 წელს 4 კომლი მიდელაური და ერთი კომლი ბუქური.

1860 წელს – მიდელაურების 7 კომლი აღრიცხეს (სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 227).

1873 წელს – 6 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 236).

1926 წლის აღწერით 4 კომლი დარეგისტრირდა, 8 მამაკაცი და 9 ქალი, სულ 17 სული; ძირითადი გვარი მიდელაური იყო.

ამჟამად, მიტოვებული ნასოფლარია.

ჯერ კიდევ ფეხზე დგას დარბაზული ეკლესია (5,7X3,6 მ.). თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით. ძლიერ დაზიანებულია.

სალოცავის მიმდებარედ მდგარი ზურგიანი კოშკი, ე.წ. მიდელაურების ციხე, X-XI სს განეკუთვნება. ნაგებია დიდი ზომის, ერთმანეთს კარგად მორგებული, ზედაპირმოსწორებული ლოდებით (ზოგიერთი მათგანის სიგრძე 2 მ-ს აღწევს). შემორჩენილია 6 მ-ის სიმაღლეზე.

სამხრეთის კედელის ერთ ქვაზე (მიწიდან 2,5 მ. სიმაღლეზე), დაბალი რელიეფით, ორი ადამიანის სქემატური გამოსახულებაა – მზისა და მთვარის სიმბოლოები, რომლებიც ერთმანეთს მშვილდისებრი რკალით უკავშირდება.

ამავე ქვაზე სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

*

ქართული სპორტის ისტორიას შემორჩა ცნობილი ფალავანის, ვანო მიდელაურის („ქორელის“) სახელი. ბეჭდაუდებელმა ვაჟკაცმა თავი უცხოეთშიც ისახელა. ბოლოს, თეირანში, შაჰის განთქმული ფალავანი დაამარცხა, მაგრამ ეს წარმატება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. „შეურაცხყოფილმა“ ირანელმა „სპორტსმენმა“, თანამზრახველებთან ერთად, ჩვენი ფალავანი მუხანათურად მოკლა.

რევანში ვერ შედგა.

თბილისის ერთ-ერთი ქუჩა, დღეს, ვანო მიდელაურის სახელს ატარებს.

ციხიანი

მიდელაურების ქედს გაღმა მდებარე ხადას თემის კიდევ ერთი ნასოფლარია – ხადას-წყლის მარჯვენა ნაპირას, ზ.დ 1800 მ-ზე.

1774 წელს, იქ, ციხიანურების 4 კომლი სახლობდა.

სამი მათგანის სახელზე მსახურია დარეგისტრირებული, რაც მათი სამეფო ჯარში სამსახურის და უპირატესი სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელია.

1926 წელს, ციხიანში, 4 კომლი აღრიცხა: – 12 მამაკაცი და 13 ქალი, სულ 25 სული; ძირითადი გვარი ციხიშვილი იყო.

ნასოფლარის განაპირას მდგარი დარბაზული ეკლესია (4,7X3,7 მ.) XVI-XVII სს განეკუთვნება. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელში სწორკუთხა ნიში აქვს. სამხრეთის კედელში სათოფურებია მოწყობილი. თითო სათოფურია დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებშიც.

აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის ზემოთ, მცირე ზომის ჯვარია გამოსახული.

ქოროლო

მთიულეთის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ზ.დ. 1800 მ-ზე.

1774 წლის აღწერით, იქ, წამალაიძეების 5 კომლი სახლობდა.

1781 წელს – 3;

1886 წელს, აღნიშნული გვარის 4 კომლი აღრიცხა, 25 მამაკაცი და 22 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1807).

1926 წლის აღწერით, 6 კომლი დარეგისტრირდა, 19 მამაკაცი და 27 ქალი, სულ 46 სული; ძირითადი გვარი – წამალაიძე იყო.

ქოროლოზე გადიოდა დარიალის ძველთა-ძველი გზა.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საგზაო კომუნიკაციის დაცვა და მტრის შემოსევების დროს, ბარის მოსახლეობის შეხიზვნა, აქაური მთიელებისათვის – სამეფო კარის მიერ დაწესებული ვალდებულება იყო.

ხადას, როგორც „სახასო ქვეყანას“, ადრინდელ შუა საუკუნეებში, მეფის მოხელეები განაგებდნენ.

ქოროლო მათ საგამგებლო ადგილი იყო.

1756 წლიდან, ქოროლო მღეთის სამოურავოს ცენტრი გახდა, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე იარსება.

*

სოფლის სამხრეთით, ცაცხვებითა და ფიჭვებით დაბურული მაღალი მთის ფერდობზე, კლდოვანი ქარაფის პირას, ხადას ხეობის უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლი, ქოროლოს ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, ზურგიანი კოშკი, მცირე სამლოცველო და ნანგრევებად ქცეული რამდენიმე ნაგებობა.

„დედახვთიშობელის“ სახელობის (10,8X7,6 მ.) ეკლესია – X-XI სს მიჯნაზეა აგებული. გამოირჩევა შიდა სივრცის სრულიად განსხვავებული გადაწყვეტით. ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით. კონსტრუქციული ნაწილები თლილი ქვებით არის გამოყვანილი. ინტერიერი

განათებულია შვიდი თაღოვანი სარკმელით: – სამი აღმოსავლეთითაა, თითო – სამხრეთით და ჩრდილოეთით; ორი დასავლეთით.

აღმოსავლეთის ფასადზე: – ცენტრალური და სამხრეთით მდებარე სარკმელი, ორნამენტებით არის მორთული:

ცენტრალური სარკმლის რელიეფურ ნარბზე – ჯვარია დადგმული; სამხრეთით მდებარე სარკმელის ზემოთ, ჩაკვეთილია ნახევარწრიული თალი, რომელსაც ჰორიზონტალური გადაწყვეტილებები აქვს.

სამხრეთის ფასადზე არსებულ კარის არქიტრაჟზე, მრავალპროფილიანი თალით შემოსაზღვრულ არეში, რელიეფური ჯვარია გამოსახული. კარის მარჯვნივ მდებარე სარკმელი – ერთ მთლიან ქვაშია გამოკვეთილი. მის თავზე, სანახევროდაა შემორჩენილი რელიეფური ჯვარი.

ჩრდილოეთის ფასადზე – სარკმელი რელიეფური თალით არის დაგვირგვინებული. ლავგარდნის შუა ნაწილში, რომელიც ასევე თაღებით არის შემკული, რამდენიმე ჯვარია გამოსახული.

ყველაზე შემკულია დასავლეთის ფასადი: – ლავგარდნის შემადგენელი 12 ფილა მორთულია ეკლესიის მშენებლობის ამსახველი რელიეფური სცენებით, რომლებიც, თაროსა და ლილვს შორის მოქცეულ, ფართო არეზეა გამოსახული.

ლავგარდნის კეხის ქვაზე ღვთისმშობლის ფიგურაა. მის ორივე მხარეს – ცალკეული სცენები: – ხარბშებმული მარხილით ტვირთის გადაზიდვა; დუღაბის შემზადება-გადატანა; ქვის თლა; ლოდების ზურგით ზიდვა; ქალების მიერ საგზლის მოტანა და, ბოლოს, მოსასხამიანი ქტიტორის გამოსახულება, ეკლესიის მოდელით ხელში (რომელსაც ღვთისმშობელს უძღვნის).

ამავე ფასადზე, ჩრდილოეთით მდებარე სარკმელის თავზე, ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა. ანალოგიური წარწერაა ლავგარდნის ჩრდილოეთი ფერდის ქვაზეც.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ორივე ეს არტეფაქტი XII ს-ით თარიღდება. შესაბამისად, ეკლესიის თანადროული არ არის და მისი აგების შემდეგ არის გაკეთებული.

ს. მაკალათიას ცნობით:

„დედახვთიშობელის“ ეკლესიის გალავანში, ქოროლო-მიდელაურების სასაფლაო იყო, სადაც ხალარჯობას (სულიწმინდის მოფენას) დღესასწაულობდნენ.

მისი ხეივანი წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა.

ფიჩხის აკრეფასაც ვერ ბედავდნენ – ხატი დაგვამიზეზებსო.

ამავე ეკლესიის სამალავში აღმოჩენილი, სპილოს ძვლის (XI ს-ის) ღვთისმშობლის ხატი (ჯვარი მაცხოვარის გამოსახულებით) და ქედური ფირფიტები – საქ. სახ. მუზეუმში ინახება (თ. დვალი).

წარმოდგენილი კომპლექსის ნაგებობებიდან – ყველაზე ადრეული, ეკლესიის სამხრეთით მდგარი ზურგიანი კოშკი, X საუკუნეს განეკუთვნება. ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. საკმაოდ დაზიანებულია. შემორჩენილი აქვს ორი სართული. ფასადით ხეობისკენ არის მიმართული, ზურგით ჩართულია ზღუდის კედელში, რომელიც სამხრეთით ფერდობზე ეშვება და საერო ნაგებობას უკავშირდება.

კოშკის კარის არქიტრაჟზე განთავსებულია ასომთავრული წარწერა: – „ქრისტე შეიწყალე ქრთე“.

კოშკს და ეკლესიას შორის დატოვებული ვიწრო გასასვლელი, აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრიდან, კედლებით არის შემოზღუდული.

კაპიტელი, ბურჯი და ბაზისია იქ ჩასმული.

კაპიტელზე – ერთმანეთის მიჯრით, სამი ქტიტორის რელიეფური გამოსახულებაა. ერთ მათგანს ხელში ეკლესიის გეგმის გამოსახულებიანი სწორკუთხა ფილა უჭირავს.

ბურჯი (სიმ. 1,2 მ.) ოთხნახნაგაა. მის ოთხივე კუთხეს – თითო ლილვი აუყვება. ერთ-ერთ

ნახნაგზე – გრძელსამოსიანი ფიგურაა გამოსახული, მაღალი, სწორზედაპირიანი ქუდით.

*

„ხვთიშობლის“ ეკლესიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდგარი პატარა (4,8X2,2 მ.) სამლოცველო, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით.

ზურგიანი კოშკის სამხრეთით მდებარე ფერდობზე, შემორჩენილია – ტრაპეციული (12,1X7,8 მ.) ფორმის საერო ნაგებობის – გვიანდელი საუკუნეების პატარა სამლოცველოს და აკლდამის ნაშთები.

*

ქოროლოდან სამხრეთ-დასავლეთით, მაღალ ქედზე, ხადას ხეობის უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო ნაგებობა – ცეცხლისჯვრის ხუროთმოძღვრული კომპლექსია განთავსებული.

განსაკუთრებით გამორჩეული სტრატეგიული მდებარეობა აქვს: დასავლეთით – ჯვრის უღელტეხილს გაჰყურებს, აღმოსავლეთით – ხადას ხეობას.

მის შემადგენლობაში შედის, ერთმანეთთან მიჯრით განლაგებული – ეკლესია, ზურგიანი კოშკი და საცხოვრებელი ნაგებობა.

სალოცავი (6,8X5მ.) IX-X სს განეკუთვნება. დარბაზულია. სამხრეთიდან სწორკუთხა მინაშენი ეკვრის. ნაგებია ტლანქად დამუშავებული ნატეხი ქვით და მოყვითალო ფერის კირხსნარით. ძლიერ დაზიანებულია. ინტერიერი შელესილი აქვს. კედლებზე შემორჩენილია XVI-XVII სს მოხატულობის ფრაგმენტები. აღმოსავლეთის სარკმელის თავზე გამოყვანილია ნახევარწრიული სადა წარბი. სამხრეთის კედელში სწორკუთხა კარია, რომლის ზედანის ქვაზე რელიეფური, კაუჭებიანი წარბი და შიგ ჩასმული ბოლოებგაშლილი ჯვარია ამოკვეთილი.

კომპოზიცია მაღალი ოსტატობით არის შესრულებული.

მინაშენი ეკლესიის თანადროულია. შესასვლელი ტალანიდან აქვს. აღმოსავლეთის ფასადზე – სარკმელს ამკობს რელიეფური წარბი. კარის არქიტრავის ქვაზე, სადა ლილვით, ცრუ ტიმპანია მოსაზღვრული. მასზე ბოლოებგაშლილი ჯვარია ჩაკვეთილი.

ზურგიანი კოშკი (5,5X4 მ.) მინაშენს – დასავლეთიდან ეკვრის. კომპლექსის ნაგებობათა შორის ყველაზე უკეთ არის შემონახული. განეკუთვნება X-XI სს. ექვსსართულიანია (სიმ. 14 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ზემოთ თანდათან ვიწროვდება და, როგორც პ. ზაქარაია გვამცნობს: - „მეტად ორიგინალურია. ჩვენს მიერ ნანახ რამდენიმე ათეულ ზურგიან კოშკში მას ანალოგი არ გააჩნია. ძირი 4X5 მ-ია, წვერი – 2X4 მ. ასეთი წვრილი და მაღალი კოშკი სხვა არ გვინახავს. პირველი სართული მაღალია. მას მხოლოდ კარი აქვს; ზედა სამს – თითო პატარა სარკმელი. მეხუთე სართულზეც ასეთივე სარკმელია, მის ქვემოთ, მოზრდილი ხვრელები. მეექვსე სართულის სამ მხარეს – ღია თალებია, ზურგისკენ – ყრუ კედელი. ფანჩატურის მაღალ ღიადებს 120 სმ. სიმაღლის ხის მოაჯირი ჰქონდა. არც ასეთი ფანჩატური გვინახავს. მას გამოიყენებდნენ როგორც მზვერავის დასაყენებლად, ისე თავდაცვის მიზნით“.

„კოშკის შიდა სიგანე 70-90 სმ-ს შორის მერყეობს, სიგრძე 200-230 სმ-ია. ასეთი ვიწრო ნაგებობის საცხოვრებლად გამოყენება – შეუძლებელია. მის ამგებს, ალბათ, ასეთი მიზანი არც ჰქონდა“.

კოშკს და მის მინაშენს, სამხრეთიდან, ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა აქვს მიდგმული.

თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით.

როგორც ჩანს, კომპლექსი თანდათან, რამდენიმე ეტაპად ააგეს. ჯერ ეკლესია და საცხოვრებელი აუშენებიათ, მერე – კოშკი; უფრო მოგვიანებით, ორსართულიანი სათავსო.

აღნიშნულის მიუხედავად, იგი ერთიან, განუყოფელ ქმნილებას წარმოადგენს.

„მისი სილუეტი – შესანიშნავად ტანწყობილი მაღალი და წვრილი კომპიტი, ორგანულად არის ჩანერილი გარემოში. შორს, დასავლეთით, თვალისმომჭრელი სილამაზის თოვლიანი მთების – ჯიხაურის, საფსიტის, ეროვანის, შვიდი ძმის და წითელი მთის მწვერვალები მოჩანს. აღმოსავლეთით, ხადას ხეობაა ხელისგულივით გადაშლილი; სამხრეთით – კაიშაურების ველი და საქართველოს სამხედრო გზა“ (ჯ. გვასალია და სხვ. „ხადის ხეობა“, 1983 წ.).

მულურე და ნამალაიძეები

სოფელი, ქოროლოს ზემოთ, მდინარის იმავე ნაპირზე მდებარეობს.

1774 წელს, იქ, ყუთუყაურების და ნამალაიძეების 2-2; ჯაბიაურის და ავნაიძის კი – თითო-თითო კომლი სახლობდა.

1926 წელს – 20 კომლი დარეგისტრირდა, 42 მამაკაცი და 54 ქალი, სულ 96 სული; ძირითადი გვარი ნამალაიძე იყო.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ქოროლო-მულურეში მცხოვრები ყუთუყაურები და ავნაიძები, მოგვიანებით, ნამალაიძეების გვარში შევიდნენ და, დღეს, მათ მამაშვილობებად ითვლებიან. ნამალაიძეთა გვარი მიუღიათ ქოროლოში მცხოვრებ მახატიშვილებსაც.

ძველთაგან ახლობლობა მოსდგამთ ნამალაიძეებსა და ჯალუმშიძეებს (იხ. „ჯალუმშიანი“).

ითვლება, რომ ნამალაიძე – ადგილობრივი, მთიულური წარმომავლობის გვარია. დროთა განმავლობაში, მათ რამდენიმე მამაშვილობა გამოიყო (ყაზბეგიანი, მახარობლიანი, ბიანი, ყატყვიანი, ჯაბიანი).

ავ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, 1997 წელს, საქართველოში სულ 480 ნამალაიძე ცხოვრობდა: თბილისში – 162, დუშეთში – 108, ყაზბეგში – 53.

მულურეს სიახლოვეს მეტ-ნაკლებად დაზიანებული ორი კომპი და პატარა სამლოცველოა შემორჩენილი.

ფიცარას ქედზე მდგარი წვერციხის ნანგრევის ნანვეტებული სილუეტი – შორიდან კლდის ქიმს წააგავს. იქ მისვლა მხოლოდ „საკახის ფერდის“ გავლითაა შესაძლებელი, ძნელად სავალი ბილიკებით.

აღნიშნული ქედის სამხრეთ კალთაზე სამი კომპი დგას: – ორციხე, მაგარციხე და ციხის ანგელოზი.

ორციხე – შედარებით მცირე ზომის ზურგიანი კომპია. განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია მოგრძო ფორმის ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს სამი სართული (სიმ. 11,2 მ.). კარის ღიობი – მუქი ღვინისფერი თლილი ქვით არის გამოყვანილი. ზღუდეზე ჩაკვეთილია პატარა, ბოლოებგაშლილი ჯვარი.

მსგავსი მასალით და კედლის წყობით ნაგები, ხუთსართულიანი კომპი – ე.წ. მაგარციხე – IX-X სს განეკუთვნება. კარ-სარკმლთა ღიობები მონითალო თლილი ქვით აქვს გამოყვანილი. კარის არქიტრავზე ამოკვეთილია მარტივი ჯვარი.

„ციხისანგელოზად“ წოდებული ზურგიანი კომპი დიდხვევის პირას დგას. გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ხალხური მეხსიერების თანახმად, ლეკიანობის დროს, თავშესაფარად იყენებდნენ.

წკერე

სოფელი მთიულეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, ხადასწყლის მარჯვენა ნაპირას – ზ.დ. 1880 მ-ზე.

როგორც ლეგენდა გვამცნობს, „მეზობელი ტომები აქედან ბალებს იტაცებდნენ და კალოზე ლენდნენ“:

„არაგვის თავსა კლდეშია
სისხლის წყარონი დიანო,
არც როდის დაშრებიანო,
არც როდის დანმდებიანო“...

სევდიანად მოსთქვამს ხალხური მთქმელი.

გადმოცემის თანახმად, თავდაპირველად აქ, სამი გვარი დასახლებულა: – დაგანიძეები, ნარაიძეები და ჯერმიზაშვილები.

„აკლდამები თავთავადი ჰქონიათ“.

1774 წელს, ჯარმიზაულის – 2; მაგანაურის (დაგანაურის) – 6 და ნარაიძის – 1 კომლი აღწერეს.

1781 წელს: – ჯერმიზას შვილის 4, დაგანის შვილის 5, ჯოყოლას შვილის 1 და ნარაიძის 1 კომლი.

1886 წლის აღწერით – ზაქაიძეების 15 კომლი დარეგისტრირდა; 56 მამაკაცი და 35 ქალი (სცსსა, ფ. 254; აღწ. III, დოკ. 1824).

1926 წელს აღირიცხა 18 კომლი, 56 მამაკაცი და 66 ქალი, სულ 122 სული; ძირითადი გვარი ზაქაიძე იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნე, წკერეში მცხოვრები ზაქაიძეები, ადრე დაგანიძის (დაგანაშვილის, დაგანაურის) გვარს ატარებდნენ და ხევიდან არიან მიგრირებულები.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ძირად ხადელი დაგანიძე-დაგანაურები არიან, ამჟამად, საგურამოს სოფ. ჯილაურასა და ზაქაროში მცხოვრები დაგანაშვილები.

წკერეს ცენტრში ორი საგვარეულო კოშკი დგას:

უკეთესად არის შენახული „ნარაიძეების ციხე“. XVII საუკუნეს განეკუთვნება. ოთხსართულიანია. გეგმით კვადრატული (4,4X4,4 მ.). ნაგებია კლდის ნატეხი ქვით. ყველა სართულზე სათოფურები აქვს. მაღლა სალოდეებია მოწყობილი. კარის არქიტრაფზე, გარედან, ხელის მტევნის სქემატური გამოსახულებაა. ციხის შიგნით, მიწაში, სასმელი წყლის შესანახი დიდი ქვევრი ყოფილა ჩაკირული.

მეორე კოშკისგან მხოლოდ ორი სართულია შემორჩენილი. ადრე მას, „ხუციანთ ციხედ“ მოიხსენიებდნენ, მერე, „ზაქათ კუთვნილება გამხდარა“.

ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. თარიღდება XVII ს-ით.

წარმოდგენილი კოშკების მიმდებარედ, ყველანაშინდას დარბაზული ეკლესია (5X4 მ.) დგას. განეკუთვნება XVIII საუკუნეს.

ძლიერ დაზიანებულია.

წკერეს ჩრდილოეთით (2,5 კმ-ზე), მთის თხემზე მდგარი დარბაზული ეკლესია (4X3,8 მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ფიქალის მშრალი წყობით. შემორჩენილი აქვს 2,5 მ. სიმაღლის კედლები. მისგან რამდენიმე მეტრზე, გაურკვეველი ნაგებობის ნანგრევია შემორჩენილი.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი მთის წვერზე (იმ გზის მიმდებარედ, რომლი-

თაც, მილიონას გადასასვლელით, მთიულეთი სოფ. კობს უკავშირდებოდა) – კვირაცხოვლის ხუროთმოძღვრული კომპლექსია განთავსებული. განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. მის შემადგენლობაშია: – ეკლესია, ზურგიანი კოშკი და მათი დამაკავშირებელი გალავანი.

კომპლექსთან მისვლა, მხოლოდ ციცაბო ფერდის ავლით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან არის შესაძლებელი.

ეკლესია (4,9X4,1 მ.), გალავნის დასავლეთ კედელშია ჩართული. დარბაზულია. ნაგებია რუხი ფერის კლდის ქვით. კუთხეებში, კარ-სარკმელთა საპირეებსა და ლავგარდანისათვის – მონითალო თლილი ქვაა გამოყენებული. ჩრდილოეთის და სამხრეთის ფასადებზე ჯვრების სქემატური გამოსახულებებია.

გადახურულია ფიქალის ორფერდა სახურავით. ძლიერ დაზიანებულია.

ეკლესიის სიახლოვეს მდგარი ზურგიანი კოშკისგან, მხოლოდ ორი სართულია შემორჩენილი.

კომპლექსის თავდაპირველი სახე შეცვლილია, მაგრამ შენარჩუნებული აქვს, რელიეფთან შერწყმის არაჩვეულებრივი მომხიბვლელია.

როსტიანი და როსტიაშვილები

ქვემო ბედონიდან ქოროლოსკენ მიმავალ გზას, სოფ. შარმიანამდე, გამოეყოფა ფართო ბილიკი, რომელიც მდ. ხადასწყლის მარცხენა ნაპირზე გადადის და სოფლების – ბეგოთკარის და ბენიანის გავლით, წკერემდე აღწევს.

ბილიკი ძველი წისქვილების ნანგრევებთან ჩაივლის, მდინარეს თანდათან შორდება და აღმაცერი ხეულებით, ზემოთ მიემართება. ერთ-ერთ მოსახვევთან (ზეგანამდე), ხეებში ჩაფლული კოხტა სოფელი იყო, სადაც როსტიაშვილები (ძირად ნარიმანიძეები) ცხოვრობდნენ.

დღეს ნასოფლარად არის ქცეული.

ხშირად მას, მიმდებარე სვიანაანთ ნასახლართან ერთად, სვიანა-როსტიანად მოიხსენიებენ.

1774 წელს, იქ, როსტიანთ ხოსროს შვილების 2 კომლი სახლობდა.

1886 წელს – ნარიმანიძეების 4 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1816).

1926 წლის აღწერით 5 კომლი დარეგისტრირდა: 8 მამაკაცი და 13 ქალი, სულ 21 სული; ძირითადი გვარი როსტიაშვილი იყო.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, როსტიანი – სონჩოელი ნარიმანიძეების განაყრები არიან და 1873 წლის აღწერითაც, ისევ ძველი გვარით – ნარიმანიძედ იყვნენ როსტიანთკარში ჩანერილები (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. № 257).

სოფელში, ოდესღაც, მდგარი მაგარი ციხიდან, დღეს – საძირკველიც აღარ არის შემორჩენილი.

ნასოფლარის მიმდებარედ, მდ. ხადისწყლის ნაპირზე, ნაპოვნია სამფენიანი ნამოსახლარი, რომელიც ძვ. წ. IV-II ათასწლეულს განეკუთვნება.

გამოვლენილი ინვენტარი დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული.

სოფლის ჩრდილოეთით (2-2,5 კმ-ზე), ხევისპირა ბორცვთან მდგარი, თავმორღვეული კოშკი, ე.წ. თევდორეს ხატი, ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია მოზრდილი ზომის, უხეშად დამუშავებული ლოდებით. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ქვედა, მასიური ნაწილი (2-3 მ.).

მოგვიანებით, კოშკის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ, იქაურობა წმინდა ადგილად შეურა-

ცხავთ და ხატის სახელი მიუნიჭებიათ.

თევდორობას გაზაფხულზე დღესასწაულობდნენ და შინაური პირუტყვის მფარველობას შესთხოვდნენ მამაზეციერს.

სვიანაანი, „ქალაქეთი“ და სვიანაიძეები

როსტიანის მიმდებარე მთის ფერდობზე სვიანაიძეების ნასოფლარია – ჭინჭარმოდებუ-
ლი, გაუკაცურებული სოფელი, ოთხიოდე მიტოვებული სახლის ნანგრევებით.

ადრე, ტერასულად ყოფილა მთის კალთაზე შეფენილი.

1774 წელს, იქ, სვიანაიძეების 4 კომლი სახლობდა.

1781 წელს მამის სახელები ჰქონდათ გაგვარებული: – მჭედლის შვილებად, ათილას და შალუხას შვილებად იყვნენ ჩანერილები.

1926 წლის აღწერით 3 კომლი დარეგისტრირდა, 6 მამაკაცი და 9 ქალი, სულ 15 სული; ძირითადი გვარი – სვიანაიძე იყო.

ფშავიდან არიან მოსულები.

მათი თავდაპირველი გვარი გაბიდაური ყოფილა.

ბიძაშვილობენ – ნადიბაიძეებთან, უშარაიძე-უშურაულებთან და ბედოიძეებთან.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), სოფელში მდგარა გვიანდელი შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლი – სვიანაიძეების საცხოვრებელი კომპლექსი. მის შემადგენლობაში შედიოდა: ციხე-სახლი, ზურგიანი კოშკი და დამხმარე ნაგებობა. ციხე-სახლი ტრაპეციული ფორმის (13,9X8,7 მ.) იყო, სამსართულიანი; ნატეხი ქვით ნაგები. კედლების სიმაღლე 9,5 მ-ს აღწევდა. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეზე ზურგიანი კოშკი ჰქონდა მიდგმული.

„სვიანაანი კოშკი“, რომელიც ნასოფლარის აღმოსავლეთით, დამრეც ფერდობზე დგას – მაღალი, დახვენილი პროპორციების მქონე ექვსსართულიანი ნაგებობაა. ნარჩევი, კვადრატული ფორმის ქვით არის ნაგები.

*

სოფლის მაღლა ქედზე მდებარე ერთ ადგილას, რომელსაც „ქალაქეთს“ ეძახდნენ, მეტ-
ნაკლებად შემორჩენილი ორი კოშკი და ეკლესიაა.

ოთხკუთხა კოშკი მთლიანად დანგრეულია.

ზურგიანი – სამი სართულის დონეზეა შემორჩენილი.

ეკლესია სვიანაიძეების და სისაურების სალოცავი ყოფილა. დეკანოზებიც, თურმე, მათი გვარის წარმომადგენლები იყვნენ.

ხალხური მეხსიერების თანახმად, იქ, დიდხანს ინახებოდა ვერცხლის თასები და სხვადასხვა წარწერებიანი ჯვრები.

იუხო

როსტიანთ ნამოსახლარის ზემოთ, გზა გაივაკებს და მთებით შემოჯარული მინდორი გამოჩნდება. იქიდან, მაღალი მთის კალთაზე მდებარე სახლებით და „მათ ზემოთ ატყორცნილი კოშკით“ – თითქოს, მოულოდნელად ჩნდება სოფ. იუხო – ზეგანის განაპირას, შონჩოს

გადასასვლელის ქვემოთ.

1774 წლის აღწერით, იქ, ქვიცურების – 6, ძველურების – 3, ილიაურების – 2, გომურის – 1 და სვანაიძეების – 1 კომლი აღირიცხა.

1781 წელს – მძევლურ-მძევალურების 2; ილიაურ-ირიაულების – 1 და ქვიცურების – 6 კომლი.

1926 წელს – 11 კომლი დარეგისტრირდა: 38 მამაკაცი და 39 ქალი, სულ 77 სული; ძირითადი გვარი – სისაური იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სისაურები, ადრე, ქვიცურის გვარს ატარებდნენ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით, იუხოს ცენტრში მდგარი ორი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ვ. მძევლურის და დ. სისაურის საკუთრება) – XIX ს არქიტექტურული ნაგებობებია და მთიულური საცხოვრებლების გვიანდელ ნიმუშებს წარმოადგენენ.

სოფლის აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების, წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიის (7,8X4,8 მ.) ნანგრევებია. შემორჩენილი აქვს 2-2,5 მ. სიმაღლის კედლები. ნატეხი ქვით და ფიქალით ყოფილა ნაგები.

სოფლის განაპირა ფერდობზე მდგარი, ირიაულების შვიდსართულიანი კოშკი, ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე იყო. IX-X სს განეკუთვნება. ქვემოდან ზემოთ თანდათან ვიწროვდება და ბანით მთავრდება. დაზიანებული აქვს ბოლო სართული.

ს. მაკალათიას ცნობით, ირიაულების საგვარეულო ხატობა – ნინონმინდობაა, რომელსაც ყველიერის ნინა შაბათს აღნიშნავენ.

სალოცავი განთავსებულია მთიულური ტიპის მაღალ კოშკში, რომელიც ნინონმინდის სახელს ატარებს. ნიშის ქვის ჯვარზე მხედრული წარწერაა: – „მე, თედო გიორგის ძე გძე-ლურმა, ეს ჯვარი შევწირე წმინდა ნინოს – 1906 წ...“ იქვეა საბერო, სადაც ხატობის წინ დეკანოზები წმინდობენ.

*

იუხოს ახალ უბნად ითვლებოდა „გომურის“ დასახლება.

დაბლა ვაკეზე ყოფილა განთავსებული. 1926 წელს, იქ, სოფლის თანამოსახელე გვარის 2 კომლი სახლობდა. უფრო ადრე, სისაურებს უცხოვრიათ (გ. ხორნაული, მთები და სახელები, 1983 წ.).

ბეგოთკარი (ბეგონი) და ბენიანი

ერთმანეთის მიყოლებით განთავსებული სოფლებია, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე – ზ.დ. 1680 მ-ზე.

ბეგოთკარში, 1774 წელს, ყარაულების (ძირად ზაქაიძეების) 6 კომლი და 4 კომლი ბეგოიძე სახლობდა.

1781 წელს, ბეგოთკარელი ყარაულები, მამის სახელების შესაბამისად, ყარაის შვილებად და ნიკოლას შვილებად არიან ჩანერილები; 3 კომლი ბეგოიძე კი – ბეგოიძედ.

1926 წლის აღწერით, ამავე სოფელში, 10 კომლი აღირიცხა, 34 მამაკაცი და 32 ქალი, სულ 66 სული; ძირითადი გვარი ბეგოიძე იყო.

გვარის უხუცესების ცნობით, ბეგოიძენი ამ სოფლის პირველმოსახლენი არიან. საბუთად მის სახელწოდებას იმონებენ და იმასაც, რომ „შინასალოცავი ხატი“ – „ბეგოთ“ ეკუთვნით; დეკანოზობა ამ გვარის უხუცესებს „მოუდით“ და „ბეგოთ ხატობაში ზაქანი სტუმრად მოდიან“.

„ბეგოთ“ სალოცავი, „სამღვთო მაღალი“ – მთის მწვერვალზე მდებარეობს. ლომისობის მე-7-ე კვირის სწორზე მოდის მისი ხატობა. დეკანოზები მწვერვალზე ადიან, აიაზმას ასხურებენ, საკლავს დაკლავენ და ხატს, გვარის გაძლიერება-გამრავლებას ევედრებიან.

ლეგენდის თანახმად, სალოცავთან ახლოს, სამი ოქროს მატყლიანი ერკემალი ბინადრობს და მათი მონაძოვი ბალახს მიხედვით, დეკანოზები მომავალს წინასწარმეტყველებენ: – „თუ ბალახი დაკაფულია – სეტყვაა მოსალოდნელი;“ „ოქროსფერი – ომის მომასწავებელია“ და ა.შ.

*

ბენიანთ კარში, 1774 წელს, ბენიაიძეების 5 და წამალაიძის 1 კომლი სახლობდა.

1781 წელს ბენიაიძეების 4 კომლი.

1926 წლის აღწერით – 6 კომლი დარეგისტრირდა; 19 მამაკაცი და 25 ქალი, სულ 44 სული; ძირითადი გვარი – ბენიაიძე იყო.

*

ბეგოთკარს და ბენიანს შორის მდებარე მინდორზე, ხადას ხეობის სათემო სალოცავის, მთავარმონაშის („მთორმონაშის“, „მთორმენაშის“) კომპლექსია განთავსებული. მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, სამრეკლო და გალავანი.

ეკლესია დარბაზულია (8,5X8 მ.), ნაგებია ნატეხი ქვით. კარ-სარკმელთა საპირედ გამოყენებულია თლილი – ე.წ. საკობის ქვა. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიშენებული აქვს განიერი და მაღალი კონტრაფორსი. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ხის კანკელი თბილისელ მხატვარს, დ. გეგელიძეს, მოუხატავს.

აღმოსავლეთის კედელში თაღოვანი მოხაზულობის სარკმელია გაჭრილი. მის ზემოთ, ორივე მხარეს, ირმების საკმაოდ მოზრდილი რელიეფური გამოსახულებაა. მათ შორის წარმოჩენილია ჯვარცმული ქრისტე.

დასავლეთის კარის ტიმპანზე გამოსახულია წმინდა გიორგის მიერ გველეშაპის განგმირვა (გამოყენებულია – თეთრი, აგურისფერი და შაბიამნისფერი საღებავი). კარს ზემოთ, სარკმელია. უფრო მაღლა, ნალესობაშია გამოყვანილი ვერძის რელიეფური გამოსახულება. ფრონტონის კეხში ამოკვეთილია ჯვარი. ფასადები დეკორირებულია რელიეფებით.

გალავანიდან მხოლოდ მისი კვალია შემორჩენილი.

სამრეკლოს ქვაზე არსებული წარწერა გვამცნობს: – „1908 წელსა, შევიყარეთ ხადის ხეობის ხალხი, ავაშენეთ ჩვენის შრომითა ხადის მთორმენაშე“.

სალოცავში „ხადიჯრობის“ დღესასწაულობენ. დეკანოზობა ბენიაიძეთ მოუდით.

ეკლესიის სამხრეთით, მოზრდილი ზურგიანი კოშკის საძირკველი მოჩანს.

აღმოსავლეთით, სხვა კოშკის ნანგრევებია.

უფრო მოშორებით მდგარი ზურგიანი კოშკი – სამლოცველოდ არის გადაკეთებული.

მისი სახურავის წვერზე დადგმული ქვის ჯვარი – თედო გიორგის ძე მძევლურს შეუწირავს – 1901 წელს.

სუნტნი

სუნტიძეების პატარა (ორი-სამი კომლით დასახლებული) სოფელი იყო, საკმაოდ საინტერესო – მის ირგვლივ მდებარე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით.

ძველი ნამოსახლარის განაპირას მდგარი ზურგიანი კოშკი, ადრინდელი შუა საუკუნე-

ბით თარიღდება. ნაგებია რუხი ფერის, ერთმანეთზე კარგად მორგებული, მოგრძო ლოდების სწორხაზოვანი რიგებით. მხოლოდ ქვედა ყრუ ნაწილი აქვს შემორჩენილი (5,5 მ-ის სიმაღლეზე).

XVII-XVIII სს-ში, კოშკის თავი მოუსწორებიათ და მასზე, წვრილი ნატეხი ქვით ნაგები სამლოცველო (4,5X3,9 მ.) დაუდგამთ. მისი სამხრეთის ფასადის წინ, პატარა დაბალი კედლით, სამკუთხა მოხაზულობის ეზოა შექმნილი. სამლოცველოს იატაკის ქვეშ, ტიხრით გამიჯნული, ორი სამალავი იქნა აღმოჩენილი.

ნასოფლარის სიახლოვეს, მაღალი ქარაფის კიდეზე, კიდევე ერთი, საკმაოდ მომცრო, მაგრამ საღად შემორჩენილი სალოცავია, რომელსაც „მხედართა ხატს“ უწოდებენ. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. ადრე, გალავანი ჰქონია.

მინდვრის ბოლოს, ქუმსიაშვილების კარ-მიდამოსთან, ზურგიანი კოშკის საძირკველია შემორჩენილი.

აღნიშნულ ოჯახს, ბოსლის კარის არქიტრავად გამოყენებული ჰქონდა ასომთავრულ წარწერიანი, 2 მ. სიგრძის ქვა, რომელის შუაში ჩაკვეთილი ჯვარიც – წარწერას ორ ნაწილად ყოფს.

ჯ. გვასალიას ვარაუდით – „არტიფაქტი“ ზემოაღნიშნულ კოშკს ეკუთვნის.

კაიშაურები

1831 წლის 13 ივნისს, „თბილისიდან პეტერბურღს“ მიმავალი გრ. ორბელიანი შთამბეჭდავი ემოციით აღწერს კაიშაურების ველის (დიდველის) სილამაზეს:

„საღამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდენ თოვლიანთა მთათა ათასფრად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სურნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორს უფსკრულსა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად, ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანეთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდენ. ვიჯექ კლდესა ზედა, ჰფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და ვსჭვრეტდი მდინარეთა – მთათაგან გადმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა. განკვირვებით ვუმზერედი კაცისა სადგურთა, ზოგთა ღრმათა უფსკრულთა შინა აღშენებულთა, და ზოგთა მაღალთა მთათა ზედა, ცისა მეზობლად დადგინებულთა. აღმოსავლეთით, მარცხნივ ჩემსა აღმოდითა მთოვარე ბრწყინვალეებით; მაშინ ოდესცა მშვენიერი საღამოს ვარსკვლავი სიამით ჰფენდა ნათელსა ლომისა საყდარსა ზედა დასავლეთით. კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსანერლად დიდებულებითისა ბუნების მშვენიერებისა. ყოვლადშემძლეობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლისა ხილვითა განცვიფრდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა. ვიყავ მარტო, გული აღივსო კეთილმონივნებითა და უნებლეთ მუხლნი მოვიდრიკე, ხელნი განვართხნე და თვალნი მივმართე ცად მიმართ. ენა ჩემი ვერა წარმოჰსთქვამდა ვერცა ერთსა სიტყვასა, მარამა არაოდეს არ მილოცნიეს ესრედ გულმოდგინედ და ესრედ მხურვალეებით, ვითარ მას წამსა.“

*

დიდველზე მიმოფანტული სოფლებიდან არაფერი გვითქვამს კაიშაურების, ჯალმანთ-კარისა და სეთურების შესახებ.

საინტერესო ისტორია აქვს ამ სოფლებსაც.

იქაც არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია; მრავლადაა გაურკვეველი გეგმარების და დანიშნულების, სრულიად განადგურებული ნაგებობების ნაშთებიც.

1774 წლის აღწერით, კაიშაურებში, სოფლის თანამოსახელე გვარის 7 კომლი სახლობდა.
1781 წელს – 5.

1886 წელს 34 კომლი აღირიცხა: – კაიშაურების 17; სოკუროვების – 7; მურღულეების – 4; ქუმსიევეების – 3; არტაშანოვების, როკანოვების და კოტოევეების 1-1; 28 ქართული კომლი იყო: – 87 მამაკაცი და 73 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1808).

1926 წელს, ამავე სოფელში, დარეგისტრირდა 10 კომლი, 25 მამაკაცი და 25 ქალი, სულ 50 სული; ძირითადი გვარი – კაიშაური იყო.

თავიანთ საგვარეულო სოფელში, დღეს, კაიშაურები აღარ ცხოვრობენ.

XX საუკუნის 30-იან წლებში აყრილან.

„მდიდრები იყვნენ და კოლექტივიზაციას, თურმე, ვერ შეეგუენ“.

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს, მათი წინაპრები შერვაშიძეები ყოფილან.

აფხაზეთიდან არიანო მოსულები.

ამ გვარის სამ ძმას, დიდველზე, ახალი შაურიანი უბოვია და უთქვამთ: – „კარგი შაური-ანიო“.

აქედან წარმომდგარა როგორც გვარის, ისე სოფლის სახელწოდება.

მათი საგვარეულო ხატობა – კვირაცხოვლობაა.

სოფლის ცენტრში მდგარი დარბაზული ეკლესია (16,4X7,2 მ.) ნაგებია ნატეხი და თლილი ქვით. ოთხფერდა სახურავის კეხზე, თუნუქის – ბოლქვისებრი დეკორატიული გუმბათი ადგას (დიამ. 1,3 მ. სიმაღ. 3,3 მ.). აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლთა შორის, ჯვრის გამოსახულება და ბრტყელი ნიში მოჩანს. დასავლეთის მხრიდან, შესასვლელის თავზე, შემორჩენილია ვინაშრო სამრეკლოს ნაწილი, რომლის ქვაზეც, ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგია ამოკვეთილი; მის ქვემოთ, ჯვრის გამოსახულება და სამშენებლო წარწერაა, რომელიც გვამცნობს:

„1899 წ. შეწვენითა ღვთისითა აღაშენდა ესე ტაძარი მეფობასა შინა იმპერატორ ნიკოლოზ 2 და ფლავიანე ეგზარხოსის დროს. ამა ტაძრის აღშენებაში დიდი შრომა მიუძღვით ადგილობრივ მღ. შ. კაიშაურსა და სოფ. კაიშაურის, ჯალუმთან, ზაქათ, სეთურთ, სოყურიანთ და ქუმლის ციხელებს. მათის შრომისათვის იყავი შემწე წმ. დიდო მთავარ მონამეო გიორგი ამიერიტგან უკუნისამდე აქა მოხსენებულთათვის“.

გვარის უხუცესების ცნობით, წარწერაში ხსენებულ მღვდელს, სოფელში – „შკოლაც გაუხსნია“ და ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა.

პატივისცემით მოიხსენიებენ მეორე შიოსაც – განათლებულ და შეძლებულ ვაჟკაცს, „მთაში ცხვრისა და ბარში ვენახების პატრონს“ – ალ ყაზბეგის მეგობარს.

ლეგენდის თანახმად, ხორასნიდან წამოსულ ლომა-ხარის ამაღას, „ერთიც, თურმე, სოფ. კაიშაურებთან შეუსვენია.“

ხოსრო კაიშაური მიგებებია ტყვედყოფილებს და მშვენიერი მასპინძლობა გაუმართავს.

ამბობენ, მეფე ერეკლეც ხშირად სტუმრობდაო კაიშაურებს. ამის დასტურად ხალხურ ლექსს იშველიებენ:

„შე ლომო კაიშაურო გაგაეთისა მტინეო,
შვიდჯერ მოგიხდა ხელმწიფე, მხარე შენ დაუჭირო.
აზნაურობა მიიღე მამული დაიმკვიდრეო.“

„აზნაურობის“ საფუძველად, ალბათ, ვახტანგ ბატონიშვილის მიერ, 1801 წელს გაცემულ წყალობის წიგნს მიიჩნევენ, რომლითაც – მთიულეთის გამგებლ უფლისწულს, გამახარე, ზარიბეგ და გივი კაიშაურებისათვის – აზატობა უბოძებია.

წარმოგიდგენთ სიგელის ტექსტს:

„წყალობითა ღვთისითა ჩვენ იესიან, დავითიან, პანკრატოანმან, ძემან საქართველოისა მეფის ირაკლი მეორისმან, მპყრობელმან არაგვისამან, ბატონიშვილმან, პატრონმან, ვახტანგ, ესე წყალობის წიგნი და სიგელი გბოძეთ შენ ჩვენსა ერთგულად მოსამსახურესა ყმასა ჩვენსა მთიულს კაიშაურს ზარიბეგსა და ძმათა შენთა გივისა და გამახარეს, ასე რომ მისი

უნმიდესობა აოსიანთ კათალიკოს პატრიარქი თავადი მხარგრძელი იოსებ, რუსეთიდან მობრძანდა და თქვენ იმისთვის თქვენის შეძლებისაებრ ჯეროვნად გემსახურათ და მათი სამსახური ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იყო, მათი უნმიდესობა შუა შემოვიდა და თქვენი სითარხნე გვთხოვა, ჩვენც ვისმინეთ მოხსენება თქვენი და იმათის პატივის ცემისათვის გიბოძეთ სითარხნე და აზატობა, ასე რომ არა გეთხოვებოდეს რა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ყალბანი არა სამასპინძლო არა პური და არა საკლავი ერთის ლაშქარ ნადირის მეტი და ხატის მამული რომ გიჭირავსთ ისიც თქვენ უნდა გეჭიროთ და რაც იმის მამულს ხატის დებულება აქვს ის კი უკლებრად უნდა აძლიოთ, რომ ხატს თავისი სამსახური არ მოეშალოს. გიბრძანებ კარისა ჩვენისა მოხელენო და მთიულეთის მოურაო ბრძანება ესე ჩვენი თქვენცა ასე დაამტკიცეთ და ნუ ვინ მოუშლით თვინიერ შეწვევისა კიდე. აღინერა ხელითა კარისა ჩვენის მღვდლის ქონქაძისათა. თუესა მარტსა დ. ქრონიკონისა უპთ“.

*

„ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, კაიშაურთა გვარის მეომრები გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარხცენედ მიმსვლელ-მცემელთა და კახეთის სამეფო ლაშქრის შუაგულ-მეფისა აღმის მპყრობელთა სადროშოებში, თავად ბაგრატიონ მუხრან-ბატონთა და ალავერდელ ეპისკოპოსთა დროშების ქვეშ“ (ალ ნაზლაიძე).

მათი საგმირო საქმეების მონმე, მდ. ხადასწყლის და არაგვის ხეობებს შორის მდგარი ზურგიანი კოშკი, ე.წ. „დიდველის ციხე“ – XIII-XIV სს თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი აქვს ერთი სართული. ძალზე სქელი კედლები ჰქონია. ციხის საერთო ფართობი 30 კვ.მ-ია, შიგნითა სათავსის ფართი – 3 კვ.მ-ზე ოდნავ მეტი.

სოფელში მდგარი, ადრინდელი შუა საუკუნეების, ზურგიანი კოშკი – თლილი ქვების მოგრძო კვადრებით არის ნაგები. ზედა სართულები მონგრეული აქვს. სამხრეთის კედლის ერთ-ერთ ქვაზე მცირე ზომის ჯვარია ჩაკვეთილი.

სოფლის სასაფლაოზე მდგარი ღვთისმშობლის ეკლესია (9,3X4,3 მ.), გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. ფასადები სადა აქვს. სახურავის კენის აღმოსავლეთ კიდეში, ამავე სალოცავის პატარა მოდელია დადგმული. მოგვიანებით, ეკლესიისთვის სამრეკლო მიუშენებიათ – ქვის ოთხ სვეტზე დაყრდნობილი თალებით შექმნილი და პირამიდული სახურავით დასრულებული – ფანჩატური.

საფლავის ერთ ქვაზე – ღვთისმშობლის და ყრმის რელიეფური გამოსახულება აღმოჩნდა, მეორე მხარეს – ჯვარცმა. ღვთისმშობლის ფიგურის ქვემოთ, ნუსხა-ხუცური წარწერაა ამოკვეთილი, რომელიც, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, X ს-ით თარიღდება.

ჯალუმიანი (ჯალმიანი, ჯალმანთკარი)

ძველი ჯალმანთკარი სოფ. კაიშაურების ჩრდილოეთით მდებარე ნასოფლარია. დღევანდელ ჯალმიანს კი, როგორც გ. ხორნაული გვამცნობს, ადრე, კაიშაურები ერქვა და იქ, ამავე გვარის ხალხი ცხოვრობდა. მდიდრები ყოფილან, დუქნები და ლამის სათევები ჰქონიათ. რევოლუციის შემდეგ, სოფელში აღარ გაჩერებულან და ქალაქად წასულან. მოგვიანებით, მათ ნამოსახლარში, გაღმა ფერდობზე მცხოვრები ჯალმაიძეები გადმოსულან და ახალი სა-მოსახლოსთვის საკუთარი გვარის სახელი მიუნიჭებიათ („მთები და სახელები“, 1983 წ.).

1774 წლის ჯალმიანში – ჯალუმიძეების 5 კომლი სახლობდა.

1781 წელს მათ მამის სახელები ჰქონდათ გაგვარებული.

1926 წლის აღწერით 10 კომლი აღირიცხა, 36 მამაკაცი და 34 ქალი, სულ 70 სული;

ძირითადი გვარი – ჯალუმაიძე იყო.

ამავე სოფელში უცხოვრიათ ქუმსიაშვილებს, სუნტიძეებს, წამალაიძეებს და მურღულეებს.

ჯალუმაიძეთა წინაპარი, სახელად ჯალუმი, ერთი გადმოცემის მიხედვით, იმერეთიდან არის მოსული, მეორე ვერსიის თანახმად – ქსნის ხეობიდან.

რ. თოფჩიშვილის ცნობით: – ჯალუმაიძეთა გვარში სამ მამაშვილობას გამოყოფენ. მათგან, მხოლოდ ერთი, „შიოლანი“, არიან „ძირითადი ჯალუმაიძეები“. „საღრიანების“ ადრინდელი გვარი – საღირაშვილი ყოფილა. „მახარობლიანი“ კი – მოხვევები არიან.“

დროთა განმავლობაში, აღნიშნულ მამაშვილობებს კიდევ რამდენიმე კომობა გამოეყო:

შიოლანიდან მოდიან: – გაგიანები, გიგოლიანები, გიორგიანები, გარბატიანები და ლევანინები;

მახარობლიანიდან: – სვიმანიანები, ნანიანები და ივანიანები.

საღირაანიდან მოდიან – მათიანი.

„ჯალუმიანთ ციხე“ ნასოფლარის განაპირა ფერდობზე დგას, XVI-XVII სს თარიღდება. ოთხსართულიანია. ნაგებია მოზრდილი ზომის ტლანქად დამუშავებული ნატეხი ქვით. ქვედა კარის არქიტრავის ქვაზე ჩაკვეთილია თალი, რომლის შუა ნაწილში ჯვარია გამოსახული. თალის მარჯვნივ, ხელის მტევნის გამოსახულებაა.

კოშკის მოპირდაპირე სერზე მდგარი „ჯალუმიანთ ეკლესია“ (6,9X5,8 მ.) შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია მოზრდილი, ტლანქად დამუშავებული რუხი ფერის ქვით. მის სიახლოვეს, დიდი ციხე-სიმაგრის ნანგრევებია. ფიქსირდება ზურგიანი კოშკის გეგმა და საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის შემომსაზღვრელი გალავნის კედლები.

ნამაურთკარს ეძახიან ამ მიდამოს.

„მახარობლიანთ ციხე“ ერთ-ერთი კარგად შემორჩენილი ნაგებობაა ხადას ხეობაში. X ს-ით თარიღდება. ორგანულად არის შერწყმული რელიეფთან. მიახლოებისას, უკეთესად მოჩანს მისი დახვეწილი პროპორციები და წყობის სიმტკიცე. შვიდსართულიანია. ნაგებია ნატეხი ქვებით, რომელთა ზომა, კოშკის სიმაღლესთან ერთად, მცირდება. კუთხეებში და კარ-სარკმელთა საპირედ დიდი ზომის თლილი ქვებია გამოყენებული. სამხრეთის მხრიდან ნახევარწრიული ბაქანი ეკვრის. წინიდან – გალავნით შემოზღუდული ეზო.

*

წამალაიძეების და ჯალუმაიძეების გვარს, ძველთაგან, ახლობლობა მოსდგამს.

ლეგენდის თანახმად, ქოროლოში მცხოვრები წამალაიძეები მტერს ამოუნყვეტია. გადარჩენილა მათი ფეხმძიმე რძალი, რომელიც საღირაანთ კომობის ჯალუმაიძეს შეუკედლებია.

ამ ოჯახის რძალიც ორსულად ყოფილა, იმჟამად.

ჯალუმაიძეებს – ვაჟი შესძენიათ, წამალაიძეების რძალს – ქალი.

წამალაიძეთ გვარმოდენილობა რომ არ შემწყდარიყო, ჯალუმაიძეებმა მშობლებს – ქალ-ვაჟი გააცვლევინეს.

ჯალუმაიძედ დაბადებული და წამალაიძედ გაზრდილი ბიჭი რომ „მოღერდა“, იარაღასხმული ჯალუმაიძეები სოფ. ქოროლოსკენ დაიძრნენ და მის მოსისხლეებს შეუთვალეს:

– „გაგვეცალენით! წამალაიძე მოგვეყავსო!“.

„იმ ვაჟზე მოდიან ქოროლოში მცხოვრები წამალაიძეები.“

სეთურთკარი და სეთურიძეები

სოფელი დიდველზე მდებარეობს; მლეთის ხვეულების ზემოთ, იქ, სადაც საქართველოს სამხედრო გზა, ჯვრის უღელტეხილისკენ უხვევს.

ძველი სეთურთკარი გზიდან უფრო დაცილებული იყო. ზემოთ მდგარი ციხე-კოშკის სიახლოვეს მდებარეობდა.

1774 წელს, იქ, სეთურიძეების 15 კომლი აღირიცხა;

1781 წელს – 17.

1886 წლის აღწერით სეთურიძეების 21 და კუბრიაკოვების – 1 კომლი დარეგისტრირდა; სულ 63 მამაკაცი და 43 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1817).

1926 წელს სახლობდა 26 კომლი, 70 მამაკაცი და 90 ქალი, სულ 160 სული; ძირითადი გვარი – სეთურიძე იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ისინი ძირად არგანაშვილები არიან:

„ნალორევიდან სანადიროდ მოსულან, იქ, ამ გვარის სამი ძმანი. ერთს ჰქვივნებია სეთურა. შინ რო ჩასულა, მამისთვის უთქვამს იმასა – იქ მამულები მომეწონაო და მერე, სოყურიანთ პირდაპირ რომ არის ადგილი, ფილიანი, იქ დასახლებულა.“

„იმ სეთურაზე მოდიანო სეთურიძეები“.

ამავე სოფელში მეშველაიძეებიც ცხოვრობდნენ.

ისინი ქსნის ხეობაში გადასახლდნენ. 1781 წელს, სოფ. შველიეთში მოხსენიებულია – „ხიზანი ხადელი სეთურთკარელი მეშველაიძე დათუნა და გლახა“.

ზემო მლეთის აღმართი

დღეს მოქმედი საქართველოს სამხედრო გზის ყველაზე რთული მონაკვეთი, ზემო მლეთის აღმართი, არაგვს გაღმა, მისი მარცხენა ნაპირთან იწყება. იგი მრავალყულფადაა დაკეცილი და დაკლაკნილი. ძირს, მხარმარცხნივ, ნეფის-კალოს კალთებზე დაბადებული არაგვი მიიკლაკნება. მარჯვნივ, 1900-2000 მეტრის სიმაღლეზე, კაიშაურის ვაკის მიდამოებია – იელით დაფარული.

აღმართის სამშენებლო სამუშაოები, ინჟინერ სტატკოვსკის პროექტით, 1855 წელს დაიწყო და 1861 წელს დამთავრდა.

ამ ურთულეს რელიეფზე გზის გასაყვანად „საჭირო გახდა მუშების თოკით მიბმა და მათი უფსკრულის თავზე დაკიდება.“

აღნიშნული მშენებლობა, თავის დროზე, საგზაო-საინჟინრო ხელოვნების მიღწევად იქნა მიჩნეული. ამბობენ, რომ თანხა, რომელიც ტრასის მშენებლობას მოხმარდა, „მთელ მაგისტრალს ვერცხლის მანეთიანებით დაფარავდა“.

სპეციალისტების საერთო აზრით, მლეთა-კობის მიმართულება, დღესაც, საქართველოს სამხედრო გზის ოპტიმალურ ვარიანტად არის მიჩნეული. იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის – მასზე ტრანსპორტის ზამთარ-ზაფხულ უწყვეტი მოძრაობის შესაძლებლობა.

აკად. ნ. კეცხოველის ცნობით: -

„ქუმლის-ციხემდე, ადრე, ერთი პატარა მინდორი იყო, რომელზეც თითო-ოროლა ვერხვი და რამდენიმე არყის ხე იდგა. იქიდან კარგად მოჩანს ცხრაძმის ქედის ცხრა მწვერვალი, რომელთა შორის გამორჩეულია კანჯარივით თეთრზოლიანი – ნეფის-კალო. მისი ზოლები

ხრამებში და ღრანტეებში ჩარჩენილი თოვლია, რომელიც შუა ზაფხულამდე დადნობას ვერ ასწრებს...

გზა მალე აივაკებს, ასცდება დაკეცილ ყულფებს და გამოჩნდება შედარებით ვრცელი, სამხრეთ-დასავლეთით დაქანებული ვაკე. მის ზემოთ, მთის ფერდობზეა შეფენილი სოფელი ქუმლის-ციხე.

ამწვანებული ქვაბურის პირას მდებარე ამ სოფლიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მკაფიოდ მოჩანს, მთის წვერზე მდგარი, „ცეცხლის ჯვრის“ ამოლტილი კოშკი და მასზე მიხორცებული პატარა ეკლესია, რომლებიც ქვემოდან ამომავალ გზას და ღუდას ხეობას გასცქერიან...“ (ნ. კეცხოველი, მორბის არაგვი, არაგვიანი, 1971 წ.)

ყველაზე მაღლა სოფელი გუდაურია – ზღვის დონიდან 2157 მ-ზე.

მისგან სამხრეთით – „8 ვერსტის შემდეგ, იწყება მღეთის საოცარი დაღმართი, ე. წ. ბორიატინსკის გზატკეცილი, რომელიც ხუთი დიდი ზიგზაგით არაგვთან ჩამოდის, ქვის ორსართულიან მუშათა ყაზარმასთან საუცხოო ხიდზე გადადის, ჩაუვლის სოფელ ზემო მღეთის დუქანს, მშვენიერ ეკლესიას და ქვემოთ მიემართება“ (ა. ანდრეევი, ვლადიკავკაზიდან ტიფლისამდე, 1891 წ.).

„ყოველ ნაბიჯზე ნათელი ხდება, რომ ღრუბლიანი და ცივი ქვეყნიდან ნაყოფიერ ველზე ვეშვებით. თანდათან თბება, ირგვლივ არსებული სიმწვანე – თოვლისგან დაღლილ თვალებს ესაღბუნება. არაგვის კეთილზმოვანება ქვემოთ მიუყვება ტყისპირას აყვავებულ მინდვრებს. მთებზე ქართული სოფლებია მიმოფანტული; მოჩანან დანგრეული სამეთვალყურეო კოშკები. თავს იწონებენ უძველესი ეკლესიების გუმბათები“ (ძმები ესაძეები, საქართველოს სამხედრო გზა“, 1864 წ.).

საქართველოს სამხედრო გზას, სხვადასხვა პერიოდში, რამდენჯერმე ჩაუტარდა სერიოზული სარემონტო სამუშაოები და რეკონსტრუქცია. გაფართოვდა და გასწორდა თავბრუდამხვევი სერპანტინები, გაყვანილი და აღდგენილ იქნა ხიდები, გვირაბები; გზის სიგრძე 210-დან 196 კმ-მდე შემცირდა.

ზემო მღეთა და ნაზლაიძეები

ზემო მღეთა ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს – ქვემო მღეთიდან 1 კმ-ის დაშორებით.

1774 წელს, იქ, 24 კომლი სახლობდა: – ნაზლაიძეების – 12, ბუთხუზების – 9, ბურდულების – 1, გაგაძეების – 1 და ერთიც, ხიზანი.

ნაზლაიძე ჯანუყა ნაცვალად არის მოხსენიებული.

1926 წელს – 55 კომლი აღრიცხა, 128 მამაკაცი და 155 ქალი, სულ 283 სული; ძირითადი გვარები – ნაზლაიძე და ბუთხუზი იყო.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ნაზლაიძეების ძირი გვარი ნარიმანიძეა.

სონჩოდან მღეთაში მათი გადასახლების და გვარის შეცვლის მიზეზი – მესისხლეობა ყოფილა.

ზემო მღეთის ტერიტორიაზე მდებარე ციხე-გალავნის კომპლექსი, ე.წ. „ნაზლანთ ციხე“ – XVIII ს-ში, ხადელი ციხისთავების ადგილსამყოფელად მოიაზრება (ვახტანგ ითონიშვილი, „არაგვის ხეობა“ გვ. 33, 1986 წ.).

ხალხურ მესხიერებას შემორჩა, ცნობილი ციხისთავების, ნინია და ლევან ნაზლაიძეების სახელი. მღეთაში ამოსულ ერისთავს, ისინი თავიანთ ციხე-სახლში მასპინძლობდნენ.

ამ სახლში, 1756 წელს, მოკლეს არაგვის საუფლისწულოს დროებითი მმართველი – ჯიმ-შერ ჩოლოყაშვილი, რომელსაც არაგვის ერისთავად მოიხსენიებდნენ.

„ნაზღატი ციხე“, რომელიც, თავის დროზე, საკმაოდ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა, შუა სოფელში დგას. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით, XVII ს-ის II ნახევართან თარიღდება. გეგმით სწორკუთხაა (20X17,8 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. ორ ნაწილად: – აღმოსავლეთის და დასავლეთის ეზოდ იყო – კედლით გაყოფილი. ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის კუთხეებში – სწორკუთხა კოშკები მდგარა (დღეს, ერთის ადგილას, საცხოვრებელი სახლია). გამყოფ კედელში ჩართულ კოშკში, გაჭრილი იყო ეზოების დამაკავშირებელი გასასვლელი.

გალაენის დასავლეთის კედელი 6 მ. სიმაღლისაა. 4 მ-ის სიმაღლეზე აქვს – ორი საბრძოლო ხვრელი (საზარბაზნე და სათოფური). კომპლექსის საერთო ფართი 600 კვ.მ-ს აღწევს (ა. ქალდანი, გალაენიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, გვ. 58, 1986 წ.).

წარმოდგენილ კომპლექსს, გვარის უხუცესების ნაწილი, „შივიანთ ციხეს“ უწოდებს, ნაწილი – „ლევანთ ციხეს“.

ამ კუთხის მკვიდრის, ცნობილი ეთნოგრაფის, ალ. ნაზლაიძის განმარტებით, „შივიანები“ და „ლევანიანები“ – ზემო მღვთელი ნაზლაიძეების მამაშვილობებია.

1772 წლის გაცემული სიგელის თანახმად, „შივიანთ“ კომლის პატრონიმის, შიო ნაზლაიძისთვის, სხვა წყალობის გარდა, მეფე ერეკლეს – ჯამაგირიც „გაუჩენია“. როგორც გუჯარი გვამცნობს: -

„პატრონმა ერეკლემ ეს წყალობის ჯამაგირის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენს თავდადებით დიდად ერთგულსა და ნამსახურსა მთიულს ნაზლაიძეს შიოს. ასე რომ ერთგულად, დიახ ბევრჯერ კარგად გაისარჯე, გვემსახურე და გვაამე. ამდენის სამსახურისა და ერთგულების სანუფქოთ სხვას წყალობას გარდა მუდამ წელიწადს ორი თუმანი ჯამაგირი გაგვიჩენია“ (სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ად – 22252, 1772 მე-7 უ. მ.).

ზოგიერთი მკვლევარს (რ. ხარაძე, ა. რობაქიძე) მიხედვით, „შივიანთ“ კომობის წარმომადგენელია ლევან ნაზლაიძეც – „ლევანანთ“ კომობის ფუძემდებელი.

იგი მთიულეთის 1804 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე იყო.

დიდი ალბათობით, დაკრძალულია ზემო მღვთის კვირაცხოვლის ეკლესიის სამხრეთის კედელთან, საკურთხეველის მხარეს.

აღნიშნული სალოცავი (4,5X4,9 მ.) სოფლის ჩრდილოეთით მდებარე მთის ფერდობზეა განთავსებული. თარიღდება VIII-IX სს. ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით. სახურავი და ლავგარდანი შეცვლილი აქვს.

სოფლის სასაფლაოზე მდგარი ღვთისმშობლის ეკლესია (7,2X5,3 მ.) გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია ტლანქად, ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია.

ზემო მღვთის დასავლეთით მდგარი ზურგიანი კოშკი, XVI-XVII სს თარიღდება. სამსართულიანია (სიმ. 11 მ.). ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით. კედლის სისქე 1 მ-ია.

მის ირგვლივ ძველი ნასოფლარის არსებობა მოიაზრება.

ავთ. სილაგაძისა და ანზ. თოთაძის ცნობით, 1997 წელს საქართველოში სულ 591 ნაზლაიძე ცხოვრობდა: თბილისში – 257; ღუშეთში – 154; მცხეთაში – 27.

ლუდას ხეობა ბუთხუზები და გაგაძეები

ხეობა მღვთის ზემოთ, საქართველოს სამხედრო გზიდან ხელმარცხნივ მდებარეობს, თეთრი არაგვის სათავის მიმართულებით.

ღარიალის ძველი გზა, ადრე, არაგვის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა, გაივლიდა – გან-

ისს, მიქეთს, ხატისოფელს (იგივე ლუდას), ერეთოს, ნეფის კალოს და თრუსოს ხეობის სოფლების (აბანო, ოქროყანა, ნოგყაუ) გავლით, კობში ჩადიოდა.

ბევრი თქმულებაა შემორჩენილი, მთის ზღაპრული მბრძანებელის ლუდას შესახებ.

ერთი მათგანი მ. ლერმონტოვმა გამოიყენა თავის „დემონში.“

ხეობის თანამოსახელე მთის მწვერვალზე, „ლუდას ყოვლანმინდას“ ძველთაძველი ქართული სალოცავია. „ქვანულად მქცეველად“ მოიხსენიებენ. ლეგენდის თანახმად: – კალთაში გახვეული ქვა – მახვენარ ქალს სალოცავმა – „წულად“ (შვილად) უქცია.

ხატობას ლომისობის წინა ორშაბათს აღნიშნავენ და „შვილიერებას შესთხოვენ.“

XIV-XV სს მიჯნაზე შედგენილ დოკუმენტში („ძეგლი ერისთავთა“) – „ლუდაი“, მთიულეთის კიდევე რამდენიმე სოფელთან ერთად არის მოხსენიებული.

XVIII საუკუნით დათარიღებულ „დებულებაში“ იგი – ხადას, გარემემოს და ცხაოტის თემების გვერდით სახელდება. ანუ, ხადასგან – დამოუკიდებელი ტერიტორიული თემის სახით არის გამოყოფილი.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII ს-ის 30-იან წლებში, მთიულეთის მთელი მოსახლეობა – ქართული იყო.

შემდგომში, ლუდას ხევი ქართველებისგან, თანდათან დაიცალა.

ბუთხუზთა, გაგაძეთა, ნაზლაიძეთა და ბურდულთა კუთვნილი საცხოვრებელი – ოსებმა დაიკავეს.

მათი ინტენსიური დასახლება, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დამდეგს დაიწყო.

1770 წლის, ქართლ-კახეთის აღწერაში, ლუდა უკვე არაგვის ოსების სამოსახლო ადგილად არის წარმოდგენილი.

1772 წელს, თეთრი არაგვის სათავეები, ი. გულდენშტედტის ცნობით, ოსებით იყო დასახლებული.

1774 წლის არაგვის ხეობის აღწერაში, ლუდის ხევის სოფლები არ ჩანან.

ერთი ვერსიის თანახმად, ლუდა, ადრე, საბურდულო ყოფილა და ოსები, იქ, მათი ნებართვით დასახლდნენ.

მეორე ვერსიის მიხედვით, ლუდა ნაზლაიძეების გვარს ეკუთვნოდა. ოსები მათ უხდიდნენ კულუხს.

მესამე ვერსიით: – „ლუდას ყველანმინდის“ დეკანოზობა – ბუთხუზების გვარს „მოუდიოდა“.

მოგვიანებით გადასულა იგი ოსების ხელში.

ისინი ჯავადან – ჯაბან ბუთხუზს მოუყვანია და დაუსახლებია.

როგორც ვახტანგ ითონიშვილი გვამცნობს, ლუდის ხევზე ხელდების უფლებით, ბურდულები და ნაზლაიძეები, გარკვეულ პერიოდში, მართლაც სარგებლობდნენ, მაგრამ ამ ადგილების „პირველ მეპატრონეებს წარმოადგენდნენ არა აღნიშნული საგვარეულოები, არამედ ბუთხუზები და შესაძლოა გაგაძეებიც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ითქვას, რომ ლუდის ყველანმინდის დეკანოზობა ბუთხუზთა საგვარეულოს პრივილეგიას შეადგენდა, თანაც მთიულეთის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავის „პატრონობაში“, მათ არავინ არასოდეს შესცილებია. ეს გარემოება იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ბუთხუზები აღნიშნული პრივილეგიით სარგებლობის კვალობაზე, ნომინალურად მაინც ინარჩუნებდნენ ლუდის ხევის, ვითარცა ოდითგანვე მათი საგვარეულოს საკუთრებაში მყოფი ტერიტორიის ფლობის უფლებას“.

„ეჭვს არ ინვეს არც სოფელ ზემო მლეთაში ბუთხუზების პირველმოსახლეობის ფაქტი. მოგვიანებით იქ ნაზლაიძეები დასახლდნენ, ბოლოს კი გაგაძეები. ამასთან, ნაზლაიძეებს, თავდაპირველად, სოფელ შონჩოში უცხოვრიათ, საიდანაც ჯერ მექეთში (ლუდას ხევი) გადმოსულან, შემდეგ ზემო მლეთაში. გადმოცემის თანახმად, ნაზლაიძეების დასახლება არაგვის საერისთავოს არსებობის პერიოდში განხორციელებულა, როდესაც „ანანურის ბატონის“

სამსახურში გარჯილ ნაზღაიძეებს, მათი ნებართვით, ჯერ მექეთში, შემდგომში კი, ზემო მლეთაში დაუჭერიათ საცხოვრებელი ადგილები. ზემო მლეთა ძველთაგანვე წარმოადგენდა ბუთხუზების სოფელს. ნაზღაიძეები აქ გაცილებით გვიან (სავარაუდოდ, XVII საუკუნის მეორე ნახევარში) გადმოსახლდნენ“.

„ლუდას ხევთან – ბუთხუზებთან ერთად ცხოვრობდნენ გაგაძეები. მართალია, ეს უკანასკნელნი ზემო მლეთაში ნაზღაიძეებზე უფრო გვიან დასახლდნენ, მაგრამ მათი სამკვიდრო სოფელი გაგაძენი, რომელიც ტერიტორიალურად უფრო მეტად მაინც ლუდას ხევს ეკუთვნის, ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია მთელ მთიულეთში. იგი სოფელ მლეთასთან ერთად ფიგურირებს XIII საუკუნის ისტორიულ მოვლენათა აღწერისას. მაშესადამე, ბუთხუზები და გაგაძეები ლუდას ხევის პირველ მოსახლეებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლები აქტიურობა გამოიჩინეს ცენტრალური ხელისუფლების (თუ არაგვის ერისთავების) „ერთგულად სამსახურსა შინა“, ვიდრე ბურდულებმა და ნაზღაიძეებმა“ (ვახტანგ ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ. 1989 წ.).

ქვემო მლეთა და ბურდულები

სოფელი ალევის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირას – ზ.დ. 1480 მ-ზე.

„მილეთის ხალხი იყრიდა აქ თავს“ და ამიტომ მიიღო – მლეთის სახელწოდება.

XIX ს-ის ბოლო წლებში, საქართველოს სამხედრო გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადგურს წარმოადგენდა. მისი შენობა საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო. ერთ-ერთი მოგზაურის ცნობით, ღამეს იქ სასწრაფო საფოსტო ეკიპაჟები ათევდნენ და საერთო სასტუმრო ოთახებს გარდა, 11 ცალკე ნომერიც იყო მეორე სართულზე განთავსებული.

„მგზავრს შეუძლია სრული კომფორტით ისარგებლოს: – სუფთა ოთახი, ახალთ-ახალი თეთრეული, საკმაოდ კარგი საკვები, ელექტრონული ზარი, ვატერკლოზეტი, მშვენიერი სასადილო დარბაზი და ა.შ.“

განსაკუთრებული იყო „გენერლების ნომერი“, რომლითაც მაღალჩინოსნები სარგებლობდნენ.

მის გვერდით, სამეფო ოთახები იყო განთავსებული, დიდი აივანით – რომელიც არაგვის ხეობის საოცარ პანორამას გადაჰყურებდა (ა. ანდრეევი, ვლადიკავკაზიდან ტიფლისამდე, 1891 წ.).

ქვემო მლეთა ბურდულების საცხოვრისია.

მათი გვარის ფუძე მამაკაცის საკუთარი სახელიდან (სავარაუდოდ, ბურდა, ბურდუ, ბურდულადან) მოდის და ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, სამ სხვადასხვა წარმომავლობის შტოს აერთიანებს: – ხევსურ თავბერაულებს, დვალ ბერდიაულებს და მთიულ ველთაურებს.

ხევსურეთის ხუთი სოფელი იყო ბურდულებით დასახლებული: – ლელისვაკე, ლელე, ქმოსტი, ილღია და საბერნე.

საერთო ჯვარისყმობა აკავშირებდა აქაურ ბურდულებს – როშკელ ნიკლაურებთან.

ლელეში მცხოვრები ბურდულების სალოცავი – უნჯის ანგელოზი იყო; ლელისვაკელებისა – ადგილის დედა; ქმოსტელების – მინდვარის ჯვარი.

აღ. ნაზღაიძის ცნობით:

მათი გვარმოდენილობა ბუდე ხევსურეთის წყალსიქითის თემის – სოფელ ლელისვაკიდან მომდინარეობს.

ქმოსტელი ბურდულები „ხარით შეყრილები“ იყვნენ ახიელის თემთან – ჭირსა თუ ლხინში – მხარს უმაგრებდნენ ერთმანეთს.

მათი საერთო საგვარეულო ნიში, „დიდგორის ჯვარიც“ – ნასოფლარ ქმოსტთან ახლოს მდებარეობს.

ხევსურეთის მთავარი სალოცავის, „სახმთო გუდანის“ ჯვარის საბრძანისში, ბელლის კარიბჭის თავზე – იკითხება ვინმე ვასო ბურდულის მიერ ამოკანწრული სიტყვები: –

„მე ავაშენე და ხალხს დარჩეს“ (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ხევსურეთი, გვ. 8, 1982 წ.).

ქმოსტში უცხოვრიათ – ბურდულებთან შემოფიცული მთიული ველთაურების შთამომავლებსაც. ბურდულის გვარი მათ მიღებული აქვთ. მამაშვილობით – „ველთაურიანთები“ არიან.

ველთაური – მთიული ქავთარაძეების ერთ-ერთი კომობა იყო, რაც კარგად ახსოვდათ – ქმოსტში დასახლებულ ველთაურთ მამის ბურდულებს (ალ. ნაზლაიძე, ქავთარაძეთა გვარი, 2010 წ. გვ. 12).

1848 წელს, აღნიშნულ სოფელში მცხოვრები 23 კომლი, ქავთარაშვილად იყო ჩანერილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. VI, დოკ. 728).

ქმოსტიდან – თემზის ხევის სოფ. ცხვარიჭამიაში ჩასახლებული – ველთაურთ მამის ბურდულები (ძირად ქავთარაძენი) – ამჟამად, ქმოსტელის გვარს ატარებენ. ერწოს სოფ. ნადოკარში დასახლებულნი კი – ქავთარაძეებად ეწერებიან.

არსებობს ვერსია, რომლის თანახმად, საგინაშვილები – საგინა ბურდულის შთამომავლები არიან. მთაში მოსისხლეს გამორიდებიან, ბარში ჩამოსახლებულან და თბილისის შემოგარენში, გარე კახეთსა და ქვემო ქართლში დასახლებულან.

ისტორიულ წყაროებში ისინი XVI ს-დან ჩანან:

1536 წელს, იანქო საგინაშვილს – თავისი ქონება და მამული შეუწირავს თბილისის სიონისათვის.

1628 წლის 15 მარტს, სვიმონ ქართლის მეფეს – ცნობილი მწიგნობრის და მღვდელთმთავარის, ელისე საგინაშვილისთვის (ელისე თბილელი) „მიუცია“ – თბილისის სიონი.

იგივე ელისე – როსტომ ხანს სამუამდგომლოდ გაუგზავნია ლევან დადიანთან – მისი დის, მარიამის – ხელის სათხოვნელად.

ელისე – აზნაურის რანგში ამაღლდა.

მისი ერთ-ერთი შთამომავლისათვის, თავადობაც „უბოძებიათ“, მაგრამ – საგინაშვილების ბურდულებიდან წარმომავლობა, იოანე ბატონიშვილის „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერით“ – არ დასტურდება.

*

ბურდულების გვარს, ჯერ კიდევ ხევსურეთში გამოეყო რამდენიმე მამაშვილობა (უსაჯურნი, ტაუზანი, ტოლანი, საბუდარანი, საგინანი, ბაჩიკელანი, ყარდანაულნი და სხვ.).

ხევსურეთიდან დაიწყო მათი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსახლებაც:

ერთი შტო – უკანა ფშავში, ჭიჩოს თემში, გადასახლდა.

ისინი ჯერ ამანათად მიიღეს, მერე მამულები მისცეს და თავიანთი სალოცავების ყმებად აქციეს. მოგვიანებით, ფშაველი ბურდულები, ბარისკენ – ბაზალეთის და შირაქის მიმართულებით დაიძრნენ („ბაზალელი“ უნდილაშვილები და შირაქელი პარკაულები).

ხევსური ბურდულების ნაწილი, ერწო-თიანეთსა და გარე კახეთში გადასახლდა (ფოლოდაშვილები, პანკელაშვილები, ბურდულიშვილები...), ნაწილი – მთიულეთში, ხადას თემში დამკვიდრდა.

1774 წელს, ქვემო მლეთას, ბურდულების – 11 კომლი სახლობდა.

1886 წელს – 33; 121 მამაკაცი და 86 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1807).

1926 წლის აღწერით 35 კომლი დარეგისტრირდა, 149 მამაკაცი და 139 ქალი, სულ 288 სული; ძირითადი გვარი ბურდული იყო.

დროთა განმავლობაში, მღეთელ ბურდულებსაც გამოეყო რამდენიმე მამაშვილობა: – პოვლიანი, შიუკიანი, ჭაბუკიანი, ხოსრიანი, ვარდანიანი, ჭიჭოლიანი, ვაჟიკიანი, თადუღიანი, ლეგეანი, აფთიანი, მჭედლიანი, ბეჟანიანი, ქურთავლიანი, როდომიანი, ზალაანი, კოკოლიანი, ბურდუღიანი, ხუციანი და სხვ.

მათი ნაწილი, ქსნისა და არაგვის ხეობათა ბარში, ქართლის ველზე, თრიალეთში და სამცხეში გადასახლდა.

მთიული ბურდულების საგვარეულო სალოცავები – კვირაცხოველი და ადგილის დედაა. სათემო – დიდი ლომისის წმინდა გიორგი, რომლის დეკანოზობის უფლებაც საკუთარი სისხლის ფასად აქვთ მოპოვებული.

მათი აღზევება, 1726 წელს, „შავი“ ოსებს წინააღმდეგ გამართული ბრძოლიდან დაიწყო.

ს. მაკალათიას ცნობით, მალრან დვალეთში მოჯამაგირედ მყოფ ვინმე ნაზლაიძეს უცნობებია თანამოძმეთათვის: – „ოსები თქვენზე დასაცემად ემზადებიანო.“

ქუდზე კაცი შეყრილა კაიშაურის ველზე.

თათბირი გაუმართავთ.

თავდაცვის მიზნით, იქაური ბერიკაცის, გვარად კაიშაურის რჩევით, ველზე თხრილი გაუჭრიათ, ფიჩხი დაუფარებიათ და მინა დაუყრიათ...

შვიდი ათასი მაჰმადიანი ოსი მოჭრილა მთიულეთის ასაოხრებლად.

მათი ცხენოსნები, იმ თხრილში ჩაცვივდნენ და, როგორც ხალხური ლექსი გვამცნობს: – „შვიდი ათასი კაცისა – შვიდი გაგზავნეს შინაო“.

ბურდულებს განსაკუთრებით უსახელებიათ თავი.

მამინ მიუღიათ – „სუფრა უნეგარის და ქალი უთხოვარის“ პრივილეგია.

ამვე ბრძოლაში მოიპოვესო – ლომისის ხატის დეკანოზობის უფლებაც (მანამდე, ეს უპირატესობა ბუთხუზების გვარს ჰქონდა).

*

არსებობს ცნობები შვიდი ძმა ბურდულის შესახებ, რომლებმაც აზატ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინეს თავი.

*

ქვემო მღეთაში მდგარი ადგილის დედის პატარა ეკლესია, იმ ადგილის მფარველად ითვლება, რომელზეც სოფელია გაშენებული.

ის ბურდულების ადგილის დედაა.

მარიამობას აქ იყრიან თავს და, გვარის საერთო ხარჯით, სამღვთოს იხდიან.

სოფლის განაპირას, პატარა შემადლებაზე მდგარი, ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია (13,6X12 მ.), XIX ს-ის ბოლოს აუგიათ - მისი თანამოსახელე და მიმდებარე, გვიანდელი შუა საუკუნეების ეკლესიის (7,95X5,15 მ.) გვერდით.

ეკლესიის გუმბათის რვანახნაგა ყელში რვა თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთის კარის თავზე სწორკუთხა შეღრმავებაა, რომელშიც ჯვარია გამოსახული.

სალოცავის სიახლოვეს ორსართულიანი სამრეკლო დგას.

ეკლესიაში ინახება ვერცხლით მოჭედული საწინამძღვრო „ჯვარი ძლევისა“ – შემდეგი ნუსხა-ხუცური წარწერით:

„სახელითა ღვთისაითა, ესე ხატი ჩვენ შევაქმნევინეთ ბურდულმა მახარებელმა, სუხამ, ჭრელამ – ნუგზარ ერისთავის ომში გატეხილი ლომისის მთავარმონამე...“

გადმოცემის თანახმად, ჯიმშერ ჩოლოყაშვილის სისასტიკით განამებულმა მთიულეებმა, სწორედ ამ ჯვარით აღუთქვეს ყოველ წელს დამწყალობნება მას – „ვინც თავს დასდებდა და ჯიმშერს ცოცხალს არ გაუშვებდა“...

ხუცა ბურდულს მოუკლავს უკანასკნელი არაგვის ერისთავი.
როგორც ს. მაკალათია გვამცნობს, ქვემო მლეთის ლომისის ეკლესიის ხატები – ჯვრებია – ვერცხლით მოჭედილი და უბრალო ფერადი ქვებით შემკული.
ორ მათგანს, ხუცური (XVII ს-ის) წარწერა აქვს, სადაც ბურდულის გვარია მოხსენიებული. მესამე ხატი, ლომისის ძველი ხატის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს და უწარწეროა. ამავე სალოცავში მისი ბავრაცი და ალამი ინახება.
ბავრაცი – წითელ დროშითაა (ნაჭრებით) შემოსილი და ზანზალაკი ჰკიდია. ალამი – სამფეროვანია: წითელი (აბრეშუმის), თეთრი და ლურჯი (სატინის).
წვერზე – სალოცავის ალამს შუბიანი თითბირის ბურთი უკეთია, შემდეგი წარწერით:
„ალამი არაგვსა და ქსნის ლომისის წმინდა გიორგის სახელზედ შეენიოს, მათი სოცნის კამადერი ბაადურ კაზიბეგი 1859 წ. თიბათვის 6“.

*

ბურდულების გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი. სახელდებიან ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები, იურისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები.
ვიქტორ ბურდული – წლების განმავლობაში, დუშეთის რაიონის თავკაცი, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და პარტიის რაიკომის პირველი მდივნი იყო.
პროფესორი, ვოვა (ვლადიმერ) ბურდული – საქ. თეატრალური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის გამგე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.
ვახტანგ ბურდული – საქ. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
ნინო ბურდული – მხატვრობის ცნობილი რესტავრატორი.
მედიცინის დოქტორი, მერი ბურდული – 40 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ირაკლი ბურდული, წლების განმავლობაში იყო თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
გუჯა ბურდულს, 60-მდე როლი აქვს შესრულებული სხვადასხვა კინოსტუდიების ფილმებში. მიღებული აქვს დსთ-ს ქვეყნების კინოფესტივალის მთავარი პრიზი, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის („უძინართა მზე“, 1992 წ.); მოსკოვის კინოაკადემიის მთავარი პრიზი (1993 წ.); დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით (2000 წ.).
ლადო ბურდული – თბილისის დინამოს და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წარმატებული ნახევარმცველი იყო.

ლომისის ხატი და დიდი ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია

მდინარე არაგვის და ქსნის წყალგამყოფ ქედზე, ქვემო მლეთიდან 6-7 კმ-ის დაშორებით, მთიულეთის უდიდესი სალოცავი, დიდი ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიაა განთავსებული. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: – „მთის თხემსა არს ეკლესია წმინდის გიორგისა ნოდებულის ლომისა (და ამის გამო ეწოდებოდა მთასა ამას სახელი ესე), უგუნბათო. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი დახიზნულობით. უჭვრეტს სამხრით ქსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს.“ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის

მიხედვით, მის შემადგენლობაში შედის: – ეკლესია, სამრეკლო და რამდენიმე აკლდამა. განეკუთვნება IX–X საუკუნეებს.

ეკლესია დარბაზულია; ნაგებია ნატეხი ქვით. ამჟამად, ნახევრად მიწაში და ნანგრევებშია ჩამჯდარი. გადაკეთებულია მრავალჯერ. დარბაზის თავდაპირველი გადახურვა შეცვლილია ცილინდრული კამარით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. მისგან აღმოსავლეთით, ექვსი საფეხურით შემალბებული საკურთხეველია, რომელიც დარბაზისგან ფართო პილასტრებით და მასზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თალით არის გამოყოფილი.

სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან თანადროული მინაშენები ეკვრის (14,5X7,8 მ.).

ს. მაკალათიას მიხედვით, ეკლესიის კარი მუხისაა (1,53X74 მ.); რკინა აქვს გადაკრული, რომელზეც 19 სტრიქონიანი ხუცური წარწერაა. იკითხება სოხტაისძის, კიყური ლაზარეს, ლ(ა)ორიმ ბუთხუზის და კაილაისძე ვეფხიას შესახებ. ირკვევა, კარის შემქმედელის, ოსტატების და პურ-ღვინოს შემომწირველთა ვინაობა. წარწერა უთარილოა; იგი ბ-ნ, პავლე ინგოროყვას გაუშიფრავს და XVI-XVII სს-ს უნდა ეკუთვნოდეს.

კომპლექსის სამხრეთით მდებარე ორსართულიანი სამრეკლო, თითქმის, მთლიანად დანგრეულია.

აკლდამებიდან მხოლოდ მათი კვალია შემორჩენილი.

ლომისი – მთიულების ჯერ კიდევ წინაქრისტიანული, კერპთაყვანისმცემლური სალოცავი იყო. მისი სახელწოდება ხარს უკავშირდება.

ხარის კულტი საქართველოში მთვარის ღვთაებამ შეცვალა – რასაც, ამ ცხოველის საკულტო გამოსახულებებზე – ახალი მთვარის მოყვანილობის რქების გაჩენაც მოწმობს.

სალოცავის უდიდესი სინმინდის, ჯვრის ფორმის – ლომისის წმინდა გიორგის ხატს შესახებ – რამდენიმე ლეგენდა არსებობს:

ერთი მათგანის მიხედვით – ჯალალ-ედ-დინს (ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველს, XIII საუკუნე) არაგვის ხეობიდან უამრავი ტყვე „ნაუსხამს“.

მთიულებს თან გაუყოლებიათ თავიანთი მთავარი სინმინდე – გზოვანის წმინდა გიორგის ხატი, რომლის საბრძანისიც სოფ. ქავთარანის ზემოთ მდებარე, მაღალი მთის მწვერვალზე იყო.

ხატს – „ხორასნის ქვეყანა შეუკრავს. დედამიწას ნაყოფი აღარ მოუცია; ადამიანი და საქონელი გაბერნებულა – ქვეყანა დაღუპვის პირას დამდგარა“.

იკითხავებს უთქვამთ: – უბედურების მიზეზი გურჯისტანის ხატიან და ქვეყნის უზენაესი მბრძანებელის ვერდიქტით, იგი გახურებულ საკირემი ჩაუგდიათ. სასწაულმოქმედ ხატს, მხოლოდ ოდნავ შეტრუსვია ფრთები, უვნებლად ამოფრენილა იქიდან და მის დასახმარებლად მოვლენილი თეთრი ხარის – ლომას, რქაზე დაბრძანებულა.

ამ საოცრებით ქვეყნის მმართველმა, თურმე, ხატის ძალა ირწმუნა, ყველა ქართველი ტყვე, უკლებლივ გაათავისუფლა და ისინიც, ლომა-ხარის წინამძღოლობით, სამშობლოსკენ დაიძრნენ.

სადაც კი ლომამ შეისვენა, ტყვედყოფილებმა – ყველგან, შესაბამისი (ლომას, ლომისის) ნიმი ჩადგეს.

საბოლოოდ, ხარი – მღეთის თავზე მდებარე მთის წვერზე შეჩერდა.

„ხატიც იქ დაფრინდა“.

„ხალხი – არაგვამდე გაება და საყდრის მშენებლობას შეუდგა“.

მთიულეთის მთავარმა სალოცავმა, იმ დღიდან, ლომისის მთაზე გადაინაცვლა – ქავთურთკარიდან.

მეორე ლეგენდის მიხედვით, ხორასნელებმა (ხვარაზმელებმა) – ჯალალ-ედ-დინის სარდლობით, საქართველოდან 7000 ქართველი ტყვე „ნაასხეს“ და გზოვანის წმინდა გიორგის ხატიც მათ გაიტაცეს.

ლომა-ხარი, 7 000 ქართველთან ერთად, 7 წელიწადს იმყოფებოდა „თათრების“ ტყვეობაში.

ამ ხნის განმავლობაში, „იქ აღარც მოსავალი მოსულა, ველარც დედაკაცმა შობა.“

მოლას უთქვამს: –

ვიდრე მაგ ხარს და ხალხს არ გაათავისუფლებთ – არაფერი გვეშველებაო.

ყურად უღია რჩევა – ქვეყნის მბრძანებელს.

გზოვანის ხატი ლომა-ხარის რქაზე დაბრძანებულა და საქართველოსკენ მანამ არ დაძრულა, სანამ 7000 ტყვე – უკლებლივ არ შეკრებილა...

მესამე თქმულების თანახმად, ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია შერმადინების (ძირად ქავთარაძეებს) გვარს აუგია. მათ წინაპარს – თურქების მიერ დაკავებულ იმ ქართულ მიწა-წყალზე უცხოვრია, სადაც ქრისტიანობა სასტიკად იდევნებოდა. ღრმადმორწმუნე სესე შერმადინი, თურმე, გადანყვეტილებას ვერ იღებდა, სად წასულიყო და სად ეცხოვრა – ქრისტიანული რწმენის თავისუფლებით.

ბოლოს, დადარდინებულ მართლ-მორწმუნეს, ღმერთის მოციქული გამოეცხადა და უთხრა: – შენი სამი წლის ლომა-ხარი წინ გაიძლოლე და სადაც მიგანიშნებს, იქ დასახლდით.

დიდხნის მგზავრობის შემდეგ, ხარი ლომისის მთაზე შეჩერდა.

ორი დღე ადგილიდან ფეხი აღარ დაძრა და მესამე დღეს ნიშანი მისცა („თავი მორჩილად გადწია მიწაზე და მიანიშნა“) – აქ დამკალით და აქ დასახლდითო...

ასე იპოვეს, თურმე, შერმადინებმა თავისი საცხოვრისი.

სოფელ შერმადინსა და შველიეთში დასახლდნენ.

თქმულების მიხედვით, მათ ააგეს ლომისის ეკლესიაც.

*

დღეს, „აღარავინ იცის, ლომისის ამ სასწაულმოქმედი (ტყვეობაგამოვლილი და საკირეში შეტრუსული) ხატის საბრძანისი...“

შიშიანობის დროს, დეკანოზებს გადაუმალავთ და – ველარ უპოვიათ...“

ქვემო მღვთის ეკლესიაში მისი ასლიაო დაბრძანებული.

*

ლომისობა უდიდესი დღესასწაულია.

აღდგომის მე-7 კვირას, ოთხშაბათობით, იმართება.

მიღეთი ხალხი იყრის თავს.

ამ ერთადერთ ბედნიერ დღეს, ყველა მთიულს ახსენდება თავისი კუთხე.

ტრადიციულად, ბურდულები დეკანოზობენ:

– ქვემო მღვთის ეკლესიიდან – ლომისის ბავრაცს, ალამს და სამივე ხატს გამოასვენებენ, მერე, სიმღერა-გალობით – ქედზე მდებარე ძირითადი სალოცავისკენ მიემართებიან – სადაც მთავარი ხატობა იმართება.

იქ შემონახულია საყელურიანი რკინის დიდი ჯაჭვი, რომელიც, გადმოცემის თანახმად – კისრით ამოუტანია – დიდად ცოდვილ დადიანის ქალს...

მახვენარნი ჯაჭვს კისერზე იდებენ და საყდარს, ლოცვით – სამგზის გარშემო უვლიან...

დეკანოზები – სასამისებად ვერცხლის ფიალა-ჯამებს იყენებდნენ. დღეს, ისინი საქ. სახ. მუზეუმში ინახება. მათ შორისაა მეფე ერეკლეს რძლის – ქეთევანს, მიერ შეწირული კანდელი – მეტად საინტერესო ნაწარმით:

„ღვანლით შემოსილო უძლეველო დიდო მონამეო მხედარო უფლისაო გიორგი მე შენმა მსასოებელმან და მხვეალმან მუხრანის ბატონის კონსტანტინეს ასულმან და რძალმან მეფის ირაკლისამან ქეთევან შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი კანდელი ვერცხლისა ვითა მწვლილნი მდედრისანი ლომისას წმინდის გიორგის ეკლესიას და გულისა ჩემისა თხოვითა აღნთებულმან ესე უკუ... მაგალითად ვიქმენ აღსანთებულად რათა მოსცე მეფის ირაკლის ძეს

ბატონის შვილს ვახტანგს შვილიერება და მონაწილეობა და ასულნი ვითარ იგი სამარად-ისობს უკუ... ზესთა სასწაულნი და მეცა მხევალსა მომეც ნაწილი მადლთა შენთა სულთა ჩემთა საოხად (1789 წ.).

ცნობილია, რომ ბატონიშვილი ვახტანგ-კარგი, 1756 წელს, 20 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქეთევანი მასზე 3 წლით უმცროსი იყო. 1789 წელს 50 წლის იქნებოდა.

როგორც ჩანს – ლომისის ხატს იგი თავისი შვილობილის – ვახტანგ-ალმასხან ბატონიშვილის შვილიერებას შესთხოვს (იხ. „საარაგვო და არაგველები“, ნიგნი I, გვ. 42).

გარეშემოს თემი

მლეთას და ფასანაურს შორის საქართველოს სამხედრო გზა არაგვის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. შიშისმომგვრელი, გრანდიოზული ჯვრის უღელტეხილის შემდეგ, სხვა მშვენიერებათა სამყაროში ვხვდებით. „სხვა საქართველოში ვბრუნდებით!“ სრულიად განსხვავებული სილამაზეა. არე-მარეს თვალს ვერ სწყვეტ. რბილი, ხავერდოვანი ჰაერი ესაღბუნება ადამიანის გუნებ-განწყობას.

„მსგავს ხედებს ვერც იტალიაში – ვერც ტიროლსა და შვეიცარიაში ვერ ნახავთ“ (ა. ანდრეევი, ვლადიკავკაზიდან ტიფლისამდე, 1891 წ.).

„გარეშემოს“ (ანუ გარშემო) თემს ისტორიულად შეესაბამებოდა ის ტერიტორია, რომელიც, „არც ხადაში შედიოდა და არც ცხავატში“.

ცნობები მის შესახებ XVIII საუკუნის ბოლოდან ჩნდება.

1774 წელს, იქ, 8 სოფელი აღირიცხა: – არახვეთი (14 კომლი), რორო (იგივე ბედონი, 10 კომლი), ლაკათხევი (16 კომლი), ჟოჟონი (12 კომლი), სეფე (22 კომლი), ჩონჩო (20 კომლი), გვიდაქე (10 კომლი), დათვიანთკარი (12 კომლი).

არახვეთი

მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს, ქვემო მლეთას და ქვეშეთს შორის მდებარეობს – ზ. დ. 1520 მ-ზე.

ვახუშტი „არახვეთად“ მოიხსენიებს.

ადრე, ლომისის მთის ფერდობზე ყოფილა გამენებული.

„ნიაღვრს შეუწუხებია ხალხი და იქიდან აყრილან.“

„მაგარი სოფელი ყოფილა. ლეკები ყველგან მოდენილან, მაგრამ – აქ ვერა.“

„არახვეთი იმიტომა ჰქვია, რო შეხვედრია მათ ვილაც და უთქომს: – იქ არ ახვედითო!“

XIV ს-ის განმავლობაში ქსნის საერისთაოს შემადგენლობაში შედიოდა. XV ს-დან არაგვის ერისთავების მმართველობაში მოექცა.

თავდაპირველად, იქ, ბუქურებს უცხოვრიათ.

დღეს, ძირითადად, ბურდულები სახლობენ.

როგორც რ. თოფჩიშვილი გვამცნობს, ისინი, ადრე, ბუქურებს შეუკედლებიათ.

1774 წელს, ბურდულების 12 და ბუქურების 2 კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით 45 კომლი აღრიცხეს: – 106 მამაკაცი და 144 ქალი; ძირითადი გვარი

– ბურდული იყო.

დროთა განმავლობაში, მათი მამაშვილობა კიდევ რამდენიმე კომლად დაიყო: – ემანიანი,

ჩიტიანი, ნადირიანი, პაპიანი, ელოზიანი, ჯეჯიანი, ხახიანი, ბედნიანი, ბეჟანიანი, გივიანი, ლაზარიანი, მგლიანი, მოხელიანი...

სოფლის მიდამოები თავისებურ პანთეონად არის ქცეული.

მრავალმეტყველეს გვიანდელი ფეოდალური ხანის ციხე-სახლები.

დასახლების თავზე XIX ს-ის პატარა დარბაზული ეკლესია დგას.

აკად. ნ. კეცხოველი, თავის სტუდენტებთან (ახალგაზრდა მკვლევარებთან) ერთად, 1971 წელს იმყოფებოდა ამ სოფელში.

დავიხმარ მის მონათხრობს:

მოლაშქრებმა “არახვეთთან ჩამომდინარე პატარა ლელეს აუხვიეს, გასცდნენ სოფელს და ჩრდილოეთისაკენ გასწიეს. გაჰყვნენ მინდვრისა თუ ტყის ქვიან გზას... ცოტა ხნის შემდეგ, ლელის მარცხენა ნაპირს გაღმა გამოჩნდა ნასოფლარი, კედლები კიდეც იდგა. ჩანდა, სოფელი დიდი ხნის აყრილი არ იყო. მალე ტყეში შევიდნენ... და გაოცდნენ: პატარა ბორცვზე საყდარი იდგა, თითქოს ქართულად ნაგები, მაგრამ არც მთლიანად ბაზილიკას ჰგავდა. ჩრდილოეთიდან მიდგმული ჰქონდა სამრეკლო. დაბალი, განიერი, ჩვენი სამრეკლოებივით ტანწერწეტა არ იყო. ქვევით სოფელში მოჩანდა გუმბათიანი ტაძარი, მხოლოდ გუმბათი დაემოკლებინათ და სახურავად ექციათ. ტაძრის აღმოსავლეთით იდგა ერთადერთი ბზა, ტაძრის სიმაღლეზე გაზრდილი და ეს 1600-1700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ტაძრის ჩრდილო და დასავლეთ მხარეს უზარმაზარი იფნები იდგნენ. ერთი დაფუღუროვებულა, გადახრილა, ნაქცეულა, მაგრამ ყველაზე დიდი ტოტი ტაძრისთვის გადაუფარებია...”

სალოცავების ასეთი უჩვეულო არქიტექტურის მიზეზი – მალე გაარკვიეს:

„მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებში – მთიულეთის და საერთოდ, მთის სოფლების, კვლავ მართლმადიდებლობისაკენ მობრუნება დაიწყო. მობრუნება – რადგან მთა ისევ ძველ ადათებს მიჰყვებოდა. თავის ხევისბერებისა უფრო სწამდათ, ვიდრე ქრისტიანი მღვდლები-სა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რვაასიან წლებში, ახალმა მმართველობამ ქრისტიანი მღვდლით დადებული ფიცი გატეხა. რად ღირს თუნდაც თორმეტი ხევისბერის ჩამოხრჩობა ანანურში მთავარმართებლის ციციანოვის მიერ, რომელიც დაჰპირდა, ხელს არ გახლებთო.“

ამ პერიოდში, მისიონერები სასწრაფოდ აგებდნენ ტაძრებს და არქიტექტურაზე აღარ ფიქრობდნენ.

„ქედზე, უზარმაზარი ნაძვები დინჯად და გაუნძრევლად იდგნენ, თითქოს თავს არ უყადრებდნენ ახლო მდგომთ: – ისინი შორეული წარსულდან იმზირებოდნენ.“

„ნაძვის პატარა კორომს ზურგიდან, აღმოსავლეთისაკენ მიქცეულ ფერდოდან მისდგომოდა წიფლნარი ტყე. თითო-ოროლა ნაძვი ალაგ-ალაგ წიფლნარშიც იყო შერეული. ეს ნაძვნარი საინტერესოა იმით, რომ იგი აღმოსავლეთის უკიდურესი კორომია ნაძვნარისა – და საერთოდ, ნაძვის საზღვარს წარმოადგენს. აღმოსავლეთ კავკასიონზე ტიპიური ნაძვნარები მდინარე დიდი ლიახვის ხეობაზე მთავრდება. პატარა ლიახვის, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის ხეობაში ნაძვნარი, და საერთოდ ნაძვი, აღარ გვხვდება. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ფასან-აურსა და მლეთას შუა, წიფლნარ-რცხილნარებში კიდეც შერეულა თითო-ოროლა; არახვეთის თავზე კი შესანიშნავი კორომია. ამით მთავრდება კავკასიონზე აღმოსავლეთით მათი გავრცელების არე“ (ნ. კეცხოველი, მორბის არაგვი არაგვიანი, 1971 წ.).

*

არახვეთში შემორჩენილი კოშკური სახლების კომპლექსები XVII-XVIII სს განეკუთვნება. 3-4 სართულიანია; ერთნაირი ინტენსივობით გააჩნიათ როგორც საცხოვრებელი, ისე თავდაცვითი ელემენტები.

სოფლის ცენტრში მდგარი ასეთი კომპლექსის შემადგენლობაში – ციხე-სახლი, კოშკი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაა. კოშკი 5 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

„ნადირაანთ“ საცხოვრებელი კომპლექსი – ციხე-სახლის და კოშკისგან შედგება. განე-

კუთვნება გვიანდელ შუა საუკუნეებს. ციხე-სახლი სამსართულიანია (10,75X10 მ.). შემორჩენილი აქვს 7 მ. სიმაღლის კედლები. ფასადზე ადამიანის ხელის ანაბეჭდები მოჩანს. აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში და კარის თავზე – ჯვრებია გამოსახული. ოთხსართულიანი კოშკი – საცხოვრისის ჩრდილოეთ კედლზეა მიდგმული. შემორჩენილია 9 მ-ის სიმაღლეზე. პირველ სართულზე ქვევრის ნამტვრევები მოჩანს.

სოფლის აღმოსავლეთით მდგარი სამების ეკლესია – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. ორფერდა სახურავის კეხზე ქვისგან გამოკვეთილი ჯვრები ადგას. აღმოსავლეთის ჯვარი ორნამენტირებულია.

სოფლის დასავლეთით მდებარე დარბაზული (8,4X5,8 მ.) ეკლესია გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით. საკურთხეველში, ჩრდილოეთის კედლის საფეხურზე, სამსხვერპლო აქვს მონყობილი. სარკმლის წინ ტრაპეზი დგას.

სოფლის სამხრეთით კვირაცხოვლის უაფსიდო ეკლესია (5X3,2 მ.) მდებარეობს. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. ორფერდა სახურავის კეხზე – ქვის ჯვრები ადგას.

ქვეშეთი

მლეთის ქვეშეთი, საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს, თეთრი არაგვის მარჯვენა მხარეს.

„თავისი ადგილები არა აქვს. ქიმბარიანთ ადგილშია – დიდველის დაბლა, მის ქვეშ არი და იმიტომა ჰქვიან ქვეშეთი“ (გ. ხორნაული).

XIX ს-ის პირველ ნახევარში მეტად მნიშვნელოვანი საგზაო პუნქტი იყო. აქედან, ხადას ხეობის გავლით, ჯვრის უღელტეხილისკენ მიემართებოდა საქართველოს ძველი სამხედრო გზა, რომელიც შედარებით მოკლე, მაგრამ მეტად რთულ და მოუხერხებელ რელიეფზე გადიოდა.

ქვეშეთში იჯდა რუსეთის რწმუნებით აღჭურვილი მთიულეთის მმართველი-პრისტავი.

XIX ს-ის სამოციან წლებში, დარიალის გზამ მლეთის მიმართულებით გადაინაცვლა და ქვეშეთმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

გვიან შექმნილი სოფელია.

ადგილობრივი მოსახლეობა მოგვიანებით გაჩნდა.

1926 წელს მხოლოდ 7 კომლი სახლობდა, 11 მამაკაცი და 17 ქალი, სულ 28 სული; ძირითადი გვარი – ნადიბაიძე იყო. ხალხური მეხსიერების თანახმად, იქ, ბურღულები და მოხვეე ოდიშელებიც სახლობდნენ („წინილეთ“ კომობიდან).

XX-ს-ის II ნახევარში, მოხნიანსა და ქიმბარიანში მცხოვრებმა ბურჟუაზიებმა იწყეს თავიანთ მამულებში ჩამოსახლება. 1980 წელს, ქვეშეთში, უკვე მათი 70 კომლი სახლობდა (80-დან).

სეფე

ქვეშეთის ქვეშეთი, ყოფილი გარეშემოს თემის სოფლები, არაგვის ორივე მხარეზეა განთავსებული. მარცხნივ – სეფე, ლაკათხევი, ყოფილი უშარნი, ჟოჟონი და სონჩოა; მარჯვნივ – ქიმბარიანი და ნალვარევი.

გ. ხორნაულის ვარაუდით, სეფე – შესაძლებელია, „საუფლო, სამეფო, საბატონო ადგილი

ყოფილიყო“.

1774 წელს, იქ – 22 კომლი სახლობდა: – არგანაურების 6, ტატიანურების – 4, ებრელიძე-ებრელიძეების და მიყორაიძეების 3-3, კვიტიძეების და ქავთარაძეების 2-2, ბაძვიძეების და ბურუკურების – 1-1. გარეშემოს თემის ყველაზე დიდი სოფელი იყო.

1816 წელს მხოლოდ 6 კომლი დარეგისტრირდა: – ებრელიძეების 3; ნიკოლაშვილების, ქავთარაშვილებისა და ტატიშვილების თითო-თითო (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1886 წელს აღირიცხა 24 კომლი: – კვიტიძეების, არგანაიძეების, ტატიშვილების და აბრამიძეების 3-3; ქავთაროვებისა და ნარიმანიძეების 2-2; არგანაშვილების, მიკარიშვილების, ბურუკურების და სხვ. თითო-თითო – სულ 91 მამაკაცი და 72 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1817).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, კვიტიძეების ძირი გვარი – კობაიძეა.

მიყორაშვილები – არაგვის ერისთავთა შთამომავლები ყოფილან და ერთი კერძო შემთხვევის გამო დაენერნენ ამ გვარზე (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ წ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

სეფეში – საკმაოდ ორიგინალური (7 მ. სიმაღლის მასიურ სვეტზე მდგარი), ლოდებითა და ნატეხი ქვით ნაგები – წმ. მარინეს სახელობის, პატარა ეკლესიაა; თარიღდება – XVI-XVII სს.

სოფლის სასაფლაოზე მდგარი მაცხოვრის ეკლესია (8X5,2 მ.) – გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. დასავლეთიდან მიშენებული აქვს ერთსართულიანი სამრეკლო – ოთხ კვადრატულ ბურჯზე დაყრდნობილი და ნახევარწრიული თაღებით გახსნილი ფანჩატური.

სოფლის მიმდებარე „მოსახლევანთ ციხე“ – XVI ს-ით თარიღდება. ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით. თავდაცვითი და საცხოვრებელი დანიშნულების ყოფილა.

შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სართული.

ლაკათხევი და წყარუაშვილები

სეფედან – სოფლის შარა, უფრო ზემოთ, ხეობის სიღრმისკენ მიემართება და სულ მალე, ორად განშტოვდება: – მარჯვენა ლაკათხევისკენ მიდის; მარცხენა – უშარნის (ამჟამად ნასოფლარის), ყუყუნის და სონჩოს მიმართულებით.

ლაკათხევი – მთიულეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, ზ.დ. 1800 მ-ზე მდებარეობს.

1774 წელს, იქ – ქარჩაიძეების და საქიძეების 8-8 კომლი სახლობდა;

1873 წელს – საქიძეების და სვინტიძეების 2-2; წყარუაშვილების 5 და ქარჩაიძეების 6 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III დოკ. 235).

1926 წელს – 24 კომლი დარეგისტრირდა, 63 მამაკაცი და 75 ქალი; სულ 138 სული, ძირითადი გვარი – ზაქაიძე იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ლაკათხეველი საქიძეები ძირად პატაშურები არიან:

„პატაშურები ვართ ხევიდანა. იქ ერთი თავაღებული ჯეელი ყოფილა – სიმლა; შამო-უკრავ ბიძაშვილისთვისა და მოუკლავ. წამოსულა და გვარიც გამოუცვლია, საქიძედ დაწერ-ილა“ – გვამცნობს გ. ხორნაულის მთხრობელი.

ამავე სოფელში მცხოვრები ქარჩაიძეების ნაწილი – ხევსურული წარმომავლობისაა. მათი წინაპარი ამანათად მოსულა სოფ. გუროდან.

წყარუაშვილების თავდაპირველი გვარი, ხალხური მესხიერების თანახმად – ჯაუნარიძეა.

ლაკათხევის მაღლა გორაზეა ნასახლარები, სადაც „ჯაუნართ“ ცხრა ძმას უცხოვრია.

ციხის შენება განუზრახავთ მათ და დაუქადნიათ: – საღმთოს მთას უნდა ავუსწოროთო. ერთი შემოვლალა ჰკლებიათ და „მეხს დაუკრამს“ – დაუნგრევია ციხეც, ძმებიც ამოუხოცია და მათი ცოლებიც“.

„მხოლოდ ერთი რძალი ყოფილა ლაკათხევს წამოსული.“

„ეგ ამბავი რო მამხდარა, სოფლის წყაროსთან მისულა და იქ გასჩენია ბალლი, რომლისთვისაც „წყარუა“ დაურქმევიათ“.

იმ ბაღზე მოდიანო წყარუაშვილები.

*

1774 წლის აღწერის თანახმად, ლაკათხევში სახლობდა:

1. „საქიძე წყარუას შვილი ნადირა და ხოსრო“;

2. „საქიძე წყარუას შვილი გივი და იმედა“.

აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, რ. თოფჩიშვილი ვარაუდობს, რომ წყარუაშვილები – შესაძლებელია, საქიძეების განაყრები იყვნენ („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ წ. 1, 2003 წ. გვ. 122-126).

*

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მიხედვით, ლაკათხევის ჩრდილოეთით, 300-400 მ-ზე მდგარი ღვთისმშობლის ეკლესია (9X5,7 მ.) – საარქივო მონაცემების თანახმად, წმინდა თომა მოციქულის სახელობისაა. განეკუთვნება XVIII ს. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვით. სამხრეთის მხრიდან ნახევარწრიული თაღით დასრულებული შესავლელი აქვს; აღმოსავლეთით – ნახევარწრიული აფსიდი. აფსიდის ღერძზე და დარბაზის დასავლეთ კედელში თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი; ინტერიერი და ფასადები – შელესილი აქვს. სამხრეთის მხრიდან, მოგვიანებით, კარიბჭე მიუდგამთ – ორფერდა სახურავიანი – ოთხ სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი და ოთხივე მხარეს ღიობებით გახსნილი ფანჩატური. სალოცავის ირგვლივ გალავანის კვალია შემორჩენილი.

აღსანიშნავია, რომ, საარქივო დოკუმენტების თანახმად (იხ. დანართი № 17), ლაკათხევის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიაში, მღვდელთმსახურება – მთელი XIX ს-ის განმავლობაში აღესრულებოდა.

სოფლის ჩრდილოეთით – შემალლებულ ადგილას მდგარი, კვირიას სახელობის პატარა დარბაზული ეკლესია (3,6X3,5 მ.) – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. კედლები შელესილი აქვს. ჩრდილოეთის ფასადზე შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდანი.

წყარუაშვილების კარ-მიდამოში მდგარი ზურგიანი კოშკი – ისტორიული ხადას მეტად მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. ხუთსართულიანია. ნაგებია ნატეხი ქვით. განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დასავლეთის მხრიდან, მეორე სართულის კედელში გაჭრილია კარი, რომელიც კოშკზე მოგვიანებით მიშენებული, საცხოვრებელი ნაგებობის ბანზე გადაიოდა.

ჟოჟონი

მდ. ლაკათხევის ხეობაში, მალლა გორაზე მდებარეობს.

„ადრე აქ სოფელი არ ყოფილა, უცხოვრიათ მთაში – ლითბეს, მერე გადმოსულან შონჩოში; იქიდან დასახლებულა ჟოჟონი“ (გ. ხორნაული).

1774 წელს, იქ, მამულაიძეების – 6; ნარიმანიძეების – 2; უშარიულების – 3 და თეთრი-აულის – 1 კომლი სახლობდა.

1926 წელს 17 კომლი დარეგისტრირდა: – 58 მამაკაცი და 71 ქალი, სულ 129 სული; ძირითადი გვარი – მამულაიძე იყო.

მათ უბანს „მამულანს“ ეძახიან.

გადმოცემის თანახმად, ისინი ფშავიდან გადმოსული გოგოლაურის შთამომავლები არიან; მეორე ვერსიით – კახეთიდან არიან მოსულები.

თეთრაულები – მესისხლეობის გამო წამოსულან ხევის – ხევისურებით დასახლებულ სოფელ – ართხმოდან (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

*

სოფლის ზემოთ, ხადას და შონჩო-ყოჟონის გამყოფ ქედზე, ვილას წმინდა გიორგის ხატია, სადაც „ხადელი და შონჩოელი მეომრები იყრიდნინ თავს – იქიდან იძვროდნენ საომრად.“ „ქვევრებიც ყოფილა იქ ჩადგმული.“

სოფლის მიმდებარე მთის თხემზე მდგარი – კვირიას ეკლესია, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია (3,85X3 მ.); ნაგებია ტლანქად. ორფერდა სახურავის კეხზე ქვის მასიური ჯვარი ადგას. კედლები დასრულებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

ჩონჩო (სონჩო, შონჩო) და ნარიმანიძეები

მდ. ლაკათხევის ხეობაში – სულ ზემოთ, მთის ფერდობზე მდებარე სოფელია – ნარიმანიძეების პირველსაცხოვრისი.

1774 წელს – მათი 20 კომლი სახლობდა;

1860 წელს – 18 (სცსსა, ფ. 254, აღნ. II, დოკ. 227);

1886 წელს – 73 მამაკაცი და 53 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღნ. III, დოკ. 1829).

1926 წელს 19 კომლი დარეგისტრირდა: 61 მამაკაცი და 68 ქალი, სულ 129 სული; ძირითადი გვარი – ნარიმანიძე იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, „გოგოთურთ კომობის“ ნარიმანიძეები – გოგოთურ ალუდაურის შთამომავალნი არიან. ხევისურეთიდან გადმოსული მათი წინაპარი ნარიმანიძეთა გვარს შეფიცვია, მაგრამ სალოცავად აქაც ხანმატის ნიში მოუბრძანებია.

„ამავე შტოს ეკუთვნიან (ანუ, ძირად ალუდაურები არიან) ხევში მცხოვრები ნარიმანიძეებიც.“

ძირად ნარიმანიძენი არიან – მთიული როსტიაშვილები, ქსნისხვეველი ჩიტიშვილები და ღარიბაშვილები.

სონჩოდან – სოფელ როსტიაში გადასული ნარიმანიძეების ორი კომლი, 1774 წელს, როსტიაშვილად არის ჩანერილი. 1873 წელს კი, ნარიმანიძის გვარს იბრუნებენ.

ნარიმანიძეთა განშტოებას წარმოადგენს აგრეთვე ლაზვიაშვილების გვარი (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. I, 2003 წ. გვ. 152).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ნაზლაიძეები, ამირიძეები და ნარიმანიძეები – თავს ბიძაშვილებად მიიჩნევენ და შესაბამის ტრადიციას იცავენ.

განსხვავებული ვერსიით, ამირიძენი – ხმალზე შეფიცულნი არიან ნარიმანიძეებთან.

ლ. კაიშაურის ცნობით, ბუჩუკურებს და ნარიმანიძეებს ძმადნაფიცობა აკავშირებთ (მთიულური ტექსტები, 1987 წ. გვ. 74, 77).

„ზემო მღეთელი ნაზლაიძეების (ძირად ნარიმანიძეთა) სონჩოდან გადასახლების და გვარის შეცვლის მიზეზი – მესისხლეობა ყოფილა“ (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. 1, 2003 წ. გვ. 122-126).

*

სონჩოს აღმოსავლეთ ფერდობზე მდგარი კვირიკეს დარბაზული ეკლესია (4,9X3,1 მ.) – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქალით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აღმოსავლეთის კედელში ერთადერთი სარკმელია გაჭრილი, რომელიც შიგნით ფართოვდება და საფეხურებად დამუშავებული რაფა აქვს. სარკმლის ქვემოთ ქვის ტრაპეზი დგას. მის ორივე მხარეს, კედლის მთელ სიგრძეზე, წყობიდან შვერილი ქვების თაროა; ჩრდილო-დასავლეთის კუთხე, ეკლესიას შიგნით, მომრგვალებულია. ქვის ჯვარი, რომელიც ადრე სახურავის კეხზე იდგა, ახლა, ინტერიერში, დასავლეთის კედელთან დევს (გ. ბაგრატიონი, ბ. მაცაბერიძე, 2008 წ.).

*

სოფელის სალოცავში საკარგემო სამანი აქვს ჩადგმული საბჭოთა კავშირის პერიოდში გაკულაკებულ, გოგია ნარიმანიძეს. საკუთარი შრომით გამდიდრებულ ვაჟკაცს, რომელიც სხვის შრომასაც კაცურად აფასებდა – თანასოფლელების სიკეთეზეც ზრუნავდა და სათემო საქმეებსაც აკეთებდა.

ნარიმანიძეთა გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი: – გენერალ-მაიორი ილია ნარიმანიძე; პოლკოვნიკი ვაჟა ნარიმანიძე; პოეტი – სილოვან ნარიმანიძე...

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში, 1997 წელს, სულ 1832 ნარიმანიძე ცხოვრობდა: – თბილისში – 687; დუშეთში – 379; ასპინძაში – 139.

ნაღვარევი

ქვეშეთის ქვემოთ, არაგვის მარჯვენა მხარეს, ყოფილი გარეშემოს თემის ფარგლებში, კიდევ ორი სოფელია – ქიმბარიანი და ნაღვარევი.

ნაღვარევი სეფეს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს.

„ნამზღვლევი ხევი ჩამოუდის, რომელსაც ღვარი ჩამოსდის ხოლმე. ადრე სახლებიც დაუტანია მიწიან ღვარს“. სოფლის სახელწოდება ამ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული (გ. ხორნაული).

ძირითადად, არგანაშვილები და ბექიშვილები სახლობდნენ.

ზოგიერთ ალწერაში არგანაშვილები – არგანაიძედ არიან ჩანერილები. 1873 წელს, მათი 3 კომლი არგანაიძის გვარს ატარებდა, ერთი – არგანაშვილისას (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 275). ბარში გადასახლებული მათი ნაწილი, დღესაც, არგანაიძის გვარს ატარებს.

1774 – 1781 წ.წ. ალწერებში სოფ. ნაღვარევი მოხსენიებული არ არის.

1926 წელს, სეფე და ნაღვარევი ერთად აღწერეს: – დარეგისტრირდა 31 კომლი, 81 მამაკაცი და 93 ქალი, სულ 174 სული; ძირითადი გვარი – ბუჩუკური იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბექიშვილების წინაპარი, ფშავიდან, მესისხლეობის გამო არის წამოსული. XVIII ს-ში, მთიულეთში, მათ უკვე ცალკე სოფელი ჰქონდათ, ბექიანი (ბექიანთკარი) და – ბექიაურად ეწერებოდნენ (იხ. „ბექიანთკარი“). მათი მცირე ნაწილი, ძირად ანგურიძეა. დანარჩენი ანგურიძეები, დარბაზულიდან მესისხლეობის გამო, კახეთში

გადასახლდნენ. ნადიბაანში მოსახლე დარძულიძეების წინაპარი, ხევსურეთიდან მიგრირებული ჭინჭარაული ყოფილა (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ წ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

*

ნაღვარევის მიმდებარედ მდგარი ეკლესია – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია (7X4,8 მ.) – უაფსიდო. ნაგებია ნატეხი ქვით. გადახურულია ფიქლის ფილებით. მოგვიანებით, მასზე ორსართულიანი სამრეკლო მიუდგამთ.

ბუჩუკურები

გვარი წარმომდგარია მამაკაცის საკუთარი სახელიდან: – „ბუჩუკური“ („ბუჩუკურა“).

აღ. ნაზლაიძის ცნობით:

ბუჩი – ბალახია ერთგვარი.

ბუჩა – ძველი ქართული საკუთარი სახელი კაცისა; ხოლო ბუჩაი, ბუჩუა და ბუჩუკა – იგივე სახელი კნინობით თქმული, სხვადასხვა რიგად.

„ძველთაგან ხევსურეთს ბუდობდა რიცხვმრავალი გვარი ბუჩუკურთა“.

„ბუდე-ხევსურეთში, ჩირდილის ხევში, სოფელ ბუჩუკურთას, სიმურთგორზე, ბუჩუკურებს ციხე სდგომიან – მტერთაგან შეუვალი, ერთი რგოლი საქართველოს ჯაჭვის პერანგისა.“

„ეგრე უბნობენ, ზურაბ ერისთავი შურობდაო ბუჩუკურთ ციხეს. მრავალგზის დასცე-
მია კიდეც, მაგრამ არ ავად დახვედრიან მეციხოვნენი. ბოლოს, ღალატით გატეხილა ციხე.
ერისთავს უხოცავსო ბუჩუკურნი. გადარჩენილნი მთიულეთს სოფელ გვიდაქეს და ხევში –
სოფელ ახალციხეს გადასულან.“

„მასუკან ახლად მოშენებულა ბუჩუკურთ გვარი.“

ხევსური ბუჩუკურები

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბუჩუკურების გვარი გოგოჭურებიდან მოდის. მათი ძირძველი წინაპარი (ბუჩუკურა გოგოჭური) ჭორმეშავიდან გადასულა ჩირდილის ხევში. მის შთამომავლებს გაუგვარებიათ ბუჩუკურობა და ახლად მიღებული გვარის თანამოსახელე სოფელი დაუფუძნებიათ. იქიდან გადასულან (თუ გადაუსახლებიათ) ისინი – მთიულეთსა და ხევში (გვიდაქესა და ახალციხეში).

მეორე ვერსიის თანახმად, ახალციხელი (მოხვეე) ბუჩუკურები (ბულელიანები) იმ ბუჩუ-
კურა გოგოჭურიდან მოდიან, რომლის შთამომავლებიც თამარ მეფემ, ჭორმეშავიდან ხევში –
ხდეს ხეობის საყარაულოდ ჩაასახლა.

რასაკვირველია, გამორიცხული არც ის არის, რომ ზურაბ არაგვის ერისთავმა ერთი
მეამბოხე გოგოჭურთ-ბუჩუკური – მოგვიანებითაც გადაასახლა ხევში.

ბუჩუკურების დედასოფელი – ბუჩუკურთაა. ბარისახოდან ორ-ნახევარ კილომეტრზე
მდებარეობს, ჩირდილისწყლის ხეობაში, სოფ. უკენახოსა და ჩირდილს შორის მდებარე ფერ-
დობზე.

ხევსური ბუჩუკურების სალოცავი ღვთისმშობელი და მთავარანგელოზის ჯვარი იყო.
ორივე – სოფლის თავზე, ერთმანეთის გვერდით მდებარეობს.

ვ. ბარდაველიძის ცნობით: – უფრო მაღლობზე ღვთისმშობლის ჯვარია. ნაგებია მშრალად. ბრტყელი ფიქალით გადახურული ორფერდა სახურავი აქვს. დარბაზის შუაგულში კერის სამი ქვა დევს. ჭერში ხის სამი გრძივი კოჭია გადებული. სალოცავის უკან, ბებერი იფნების ძირას, ფიქალისგან მშრალად ნაგები საზარე კოშკი დგას – უზაროდ.

მთავარანგელოზის ჯვარს – შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კედლები ნაგებია ფიქალით. დარბაზის ცენტრში კერაა. ჭერის შუაში სიგანეზე გადებულია ხის ორი – მრგვალი კვეთის გრძივი კოჭი, რომლებზეც ნივნივები ეყრდნობა. სახურავი ორფერდაა. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან, მშრალად ნაგები საზარე კოშკი დგას, რომლის შუაგულშიც ჩამოკიდებულია რკინის ზარი, წარწერით: – „შამ გწირეთ ფუძის ანგელ-ს შინჯაშვილმა გივმა და ძმებმა ჩემმა ჩ. ყ. ნ. ზ“ (1857 წელი).

სალოცავის დასავლეთით, ამაღლებაზე, დიდი თელა დგას, სადაც დროშებს აბრძანებდნენ; მის გარშემო ლოდებია შემოვლებული. სასანთლე ნიში, სადაც, აქედან დროშები გადაჰქონდათ – საზარეს ჩრდილოეთით მდებარეობს. მის კედელში სასანთლე შუკუშია გამოჭრილი. „სასანთლის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს ჩამოქცეული დიდი კვრივი, უზარმაზარი, მასიური ქვებისგან აწყობილი და გალავნით შემოზღუდული“.

საყდრის მახლობლად მთავარანგელოზის კოშკი დგას, ფიქალით მშრალად ნაგები; მთელ ტერიტორიაზე უზარმაზარი იფნის, მსხლისა და ბებერი თელის ხეებია.

ბუჩუკურთას ჩრდილოეთით ე.წ. ადგილისდედის ჯვარია; „რამდენიმე შენობას მოიცავს. ცენტრში პატარა ნაგებობაა; აღმოსავლეთის კედელზე მიშენებული აქვს საზარე კოშკი. მის მახლობლად საქვაბეა – ყორით ნაგები, დაბალი, ბანიანი; „საქვაბეში დგას: ლათბა, ჭუჭყები, კედები, სალუდე ქვაბი. კედელში დატანებულია შუკუმები.“ ბანი მინის პირადაა; კედლებიც მინაშია მოქცეული... სალოცავის ტერიტორიაზე, ხის ძირთან, კიდევ რალაცის ნანგრევია; მეორე ხის ირგვლივ ქვებია შემონწყობილი, თითქოს, დასაჯდომად – ეგების... საფიხვნოს წარმოადგენს?“

ადგილისდედის ჯვარში ბუჩუკურთელები იხდიან გიორგობას, ათენგენას, ახვსებას, წელიწადს, ამაღლებას, მარიანობას... „სოფლისგან მას დაბალი ყორის გალავანი მიჯნავს. სამხრეთით, ხატის მინაზე, სოფლის სიპერდებიანი სასაფლაოა, სადაც მამიშვილობებს თავთავადი ადგილები სჭერიათ. რამდენიმე საფლავეზე კოშკი დგას, დანარჩენი სამარხები მოგრძო და ბრტყელი ფიქალით, ან წვრილი ქვებით არის დაფარული.“

სოფ. ბუჩუკურთას ხევისბერს, ჯურხას, 1974 წელს, ქ-ნ ვ. ბარდაველიძისთვის უთქვამს:

– „ჩვენ სამთო სალოცავი გვაქვს, წმინდა სანებას ვეძახით; იქ ერთი საზარე დგას; ათენგენობის ერთი კვირის სწორზე მოდის დღეობა. ჩვენი მამა-პაპა იქ დადიოდა. ჩვენ ჭორმეშავიდან ვართ; იმაზე წამოვსულვართ იქიდან, რომ მინა აღარ გვყოფნიდა. ჩვენი სალოცავია თავადი მთავარანგელოზის ჯვარი... ძველად აქ ბუჩუკურები მდგარან, მერე მთიულეთში გადასულან. ლაშქრობა ყოფილა; ლეკებს ულაშქრავ; ამაზე შენუხებულან და აქედან წასულან. მერე ეს ადგილები ჩვენ ხალხს დაუჭერია. ეხლაც მოდიან სოფელ გვიდაქედან მთიულეები აქ სალოცავად, მარიანობის ფუძის ანგელოზიდან, უკენახოში რომ არის; აქ გადმოდიან, თავისი ხუცესი არ მოყვებათ, მე ვხუცობ.“

მთხრობელის მიხედვით, ბუჩუკურთაში გოგოჭურები და ბუჩუკურები „მდგარან“; ბუჩუკურები წასულან, გოგოჭურები კი დარჩენილან.

დიდი ალბათობით, ბუჩუკურა გოგოჭურის შთამომავლები წავიდნენ; სხვა მამაშვილობის გოგოჭურები კი დარჩნენ, ან უფრო მოგვიანებით დასახლდნენ თავიანთი სახლიკაცების ნაფუძნარზე – მათ მიერ მიღებული გვარის თანამოსახელე სოფელში.

1886 წლის აღწერით, ბუჩუკურთაში – მხოლოდ გოგოჭურების 27 კომლი სახლობდა (სც-სსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1731)

*

მთიულეთსა და ხევში ბურჟუკურთა ჩასახლების შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს:

მიგრაციის მთავარ მიზეზად მიწების უკმარისობას ასახელებენ – ზოგიც მესისხლეობას.

ს. მაკალათიას ცნობით, ბურჟუკურებს კაცი მოუკლავთ და ხევსურეთიდან ამის შიშით გამობიზნულან („მთიულეთი“, გვ. 80); განსხვავებული ვერსიით, ისინი ლეკებს გამოირიებინან; უფრო დამკვიდრებული პოზიციით კი, აღნიშნული პროცესი, ხევსურეთში არაგვის ერისთავების ლაშქრობას უკავშირდება.

ანდრეზის თანახმად, 9 ძმა ბურჟუკურის მამაშვილობა აღზევებულა; მომძლავრებულან და მოსალოდნელი შიმშილის შიშით, ძალადობაზე გადასულან.

შ. არაბული მოიხსენიებს „ორი დიდი გვარის: ბურჟუკურების და ნიკლაურ-ბექაურების სისხლიან საქმეს,“ რომელსაც მთელი ხევსურეთი შეუძრავს.

„ნარჩევი ხევსურების“ ავტორს „წინაპართგან სმენია,“ თუ როგორ გადავიდნენ ძალადობაზე ბურჟუკურები, როგორ წაართვეს „უკენახოვლებს,“ „სალახორხისა“ და „შუაცხვირის“ მიწები, როგორ უხოციათ ბიძა-დისშვილებს ერთმანეთი და ბოლოს, როგორ დარევიან ერთმანეთს მთელი სოფლები.

დავის საგანს წისქვილთა ადგილები და სათიბი ფერდობები წარმოადგენდა.

ნიკლაურები, ხარხელაურები, ბექაურები და თლოშიაურები – მიწისა და წყლის გულისთვის, იარაღით დარევიან ბურჟუკურებს.

შეტაკება ისეთი მასშტაბის ყოფილა, მდინარე სისხლით შეღებილა; განგამის ზარს – გუდელამდე (ბარისახომდე) მიუღწევია.

„ხმით ნატირლებშიც“ არის შემონახული ეს შემზარავი ფაქტი (ქართული ხალხური პოეზია, V ტომი, გვ. 96):

„გუდელას მუშა აირივაო,
წყალი მოვიდა სისხლიანიო,
რა ვინ ქნა, რა ვის მოუვიდაო,
სად ვინ ჩახოცა ერთმანეთიო.
ბურჟუკურ – უკენახოვლებსაო,
ვაჟებს ერთმანეთ უხოცნიათო.
წინწინ დისწულსა დედიძმანიო
ერთმანეთ უნადირებიაო.
დისშვილს ბიძაი შამშჭრიაო,
იმიდ ვიყავ ბიძაისსო,
გავშჩვავა ფარიკაობასო,
ფარს ქვედა მუსრი შამამასწვერო.
ბიძაისსაო ნუ გასტყდიდიო,
ვაშკაცსა ბევრილ გადახკიდებისო,
დისწულს არ მახკვლენ დედიძმანიო,
თუ მაკლეს იქავ იტირებენო.
წაედი, დედას უამზიდიო,
ბიძა გავწირე სისხლიანიო.
დედაშვილობით გეხვეწებო:
„დედავ, შვილობას ნულარ მეტყვიო,
ერთი ბიძაიც შამამაკვდაო.“
აეგი გინდა უარეიო,
დაუჯეროსა დედისასაო.
არ იჯერებენ ბურჟუკურნიო,
გიგა არ გვინდა კაცებჩიგაო.

დედიძმათვე მიანევიდაო,
დისწულ ხო დედიძმათაიაო,
არყის ბოჯოლთა დაიმონმანო,
გიგაის წვერთა ჭალრიანთაო,
ჯიხვის რქათავით დაგრეხილთაო.
შენ რალა გექნას ბუჩუკურსაო,
ლორო, არ დაზდეგ ბუჩუკუროო,
ლორო ლორობა არ მაიშალეო,
ჯერ სალა-ხორხი გამამართვიო,
ახლა შუაცხვირს მეკიდებო...“

გადმოცემის თანახმად, მხოლოდ მეზობელი სოფლების ჩარევით მოხდა დაპირისპირებული დაშოშინება.

მერე, შეკრებილან მიმდებარე სოფლების ჭკუასაკითხავი კაცები და ბუჩუკურები „სჯულს კანონით“ გაუმტყუნებიათ.

გიგა გიგაურს, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ხევსურეთში და უკანაახოელი ქალის – ხადაანთ ბექაურის შვილი იყო – უთქვამს:

– ბუჩუკურებმა დაარღვიეს დადგენილი საზღვრები; როგორც იყო, ისე უნდა აღსდგეს და სადავო მიწები უკანაახოელებს დაუბრუნდესო.

ბუჩუკურები თანახმანი არ ყოფილან, მაგრამ შეუვალი გამოდგა გიგა გიგაურიც: – თუ გადაწყვეტილება არ მოგნონთ, მთელი ჩემი საგვარეულო უკანაახოელებს მიემხრობა და მაშინ, ხმალმა გადანყვიტოსო სიმართლე...
ბუჩუკურები მორიდებიან მტერმოურველ გიგაურებთან დაპირისპირებას.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბუჩუკურებსა და ნიკლაურ-ბექაურებს შორის მტრობა მალე შეწყდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ შეიფარებდნენ, ზურაბ ერისთავის მოკლულ, შარვე-ნეულთ ბექაურის ცოცხლად გადარჩენილ მეუღლეს და მცირეწლოვან ვაჟს – რისთვისაც, დღემდე ემადლიერებიან ბექაურები ბუჩუკურთა საგვარეულოს.

ანდრეზის მიხედვით: – შარვანეულთ ორი ბექაური ძმა (მიქა და შარვანა) ზურაბ ერისთავთან ბრძოლას შეეწირა. ერთი ძმის ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი, ბუჩუკურებმა შეიფარეს; მეორე ძმის ფეხმძიმე მეუღლე, დაღუპული ქმრის მოკვეთილი თავით, მშობლიურ გუდამაყარში დაბრუნდა და ასე გადაურჩა უეჭველ სიკვდილს.

*

უკანაახოელებსა და ბუჩუკურებს შორის მომხდარი ხოცვა-ჟლეტა, შესაძლებელია ბუჩუკურთა მიგრაციის მიზეზიც გამხდარიყო, მაგრამ ხალხურმა მესხიერებამ უფრო ჰეროიკული ვერსიაც შემოინახა:

ეს ამბავი ზურაბ (მეორე ვარსიით – ნუგზარ) არაგვის ერისთავს ხევსურეთში ლაშქრობას უკავშირდება: –

ბუჩუკურების შეუვალი ციხე მრისხანე ფეოდალმა ლალატით აიღო.

ექვს ძმას თავები დასჭრა, სამი – ვაჟკაცობისთვის დაინდო. ორი მათგანი ხევსურეთიდან აპყარა და ერთმანეთის მოშორებით – მთიულეთის გვიდაქესა და ხევის ახალციხეში გადაასახლა. მესამე ძმა – ერთი ვერსიით, ბუჩუკურთაში დატოვა; მეორე ვერსიით – ტონჩაში, დუშეთის რაიონში ჩაასახლა.

თქმულებაში „ბუჩუკურები და ზურაბ ერისთავი“ („ქართველ მთიელთა ხალხური პოეტური შემოქმედება,“ მ. ჩიქოვანის რედაქციით) – ვკითხულობთ:

„ცხრა ძმანი იყვნენ ხევსურები.“

ზურაბ ერისთავს ჰყავდა ჯარი.

დაიპყრო ყველა ხალხი, მაგრამ ეს ცხრა ძმა ვერ ჩაიგდო ხელში.

ციხე ჰქონდათ.

შემდეგში თქო იმან, მე ვინც ამ ხალხს ხელში შამიყრეინებს ფეხზე დავაყენებ და ოქრო-თი დავფარავო.

მემრე თქო იმათმა მამიდამა: – ეს ოქრო ბევრია... გავცემ ჩემ ძმისწულებსო და უთხრა ზურაბს: – შენ ცხენებს ნალები უკულმა დააკარიო.

– მერე უთხრა თავის ძმისწულებს: – ნავიდა ძალლი ზურაბიო, აღარ არი აქაო. გადით გაინიავდითო.

გამოვიდნენ თითო-ოროლა. ნახეს, არავინ არის. ნალებით ნახა ყველაყამ, რომ წასულა ძალლი ზურაბი. გაიხარეს, ზოგი ბანაობს, ზოგი წევს, ზოგმა იარალი აიყარა.

მემრე თქო, ი ძალღმა ბებერმა: – ეხლა დაანყვეს გულიო. გავიდა ზურაბთან: – ეხლა ისენი გარეთ არიან, დაატანე ხელიო.

დეეცნენ!

რალა უნდა ექნათ?!

მემრე, ექვსს მათქრეს თავი, სამი დააგდეს.

მოხარშეს ძმის ხორცი და იმ სამ ძმათ მიუტანეს. უთხრეს ხევსურთ: ხევსურნო, როგორია ძმი ხორციო?

ისე შენ დაიბერდი, როგორც ძმი ხორცი გემრიელიაო, უპასუხეს.

გამწარდა ზურაბი: – დააყრეინეთ თავებო!

მერმე თქო, მოიცა, ესენი მაგარი ჯიშისა არიან, გამოგვადგებიანო. ერთი აქ დადგა გვიდაქეს, ერთი ახალციხეს, ერთი ტონჩას. მერმე ნახა ზურაბმა: აა, ე ძალები, ზურგი ზურგს მოუფარებიათო, ისევ ერთ-ურთის იმედს არიანო.

ამ სამი ძმის მონაგარნი არიანო მთელი ბუჩუკურები...“

თქმულების ეს ვარიანტი თანხვდება ი. ახუაშვილის ეთნოგრაფიულ კვლევებს სოფ. ტონჩაში ერთ-ერთი შეწყალებული ძმის გადასახლებასთან დაკავშირებით.

რაც ეხება ნუგზარისა და ზურაბ ერისთავების „აღრევას“, ასეთი „ქრონოლოგიური ნახტომები“ გასაკვირი არ არის. „არაგვის საერისთაოს ხანგრძლივი ბრძოლა მთიელთა დასამორჩილებლად, სახალხო მთქმელებმა, დროთა განმავლობაში მხოლოდ ერთს, ყველაზე ძლიერსა და გამორჩეულს, ზურაბ ნუგზარის ძეს მიანერეს. მთქმელებმა მის პიროვნებაში აურიეს არა მხოლოდ „ძმანი მისნი,“ არამედ თორღვა ძაგანისძის პიროვნებაც“ (შ. არაბული).

*

სოფ. ბუჩუკურთას მცხოვრებთა მიგრაციის კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი გახდა, საბჭოთა კავშირის პერიოდში მკაცრად ტაბუდადებული, 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება – ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

„პირნიმინდად გადანვეს რუსმა ბოლშევიკებმა ბუჩუკურთა... არ დაინდეს ავადმყოფი და დავრდომილი თარხანათ გაგა (გაგა გოგოჭური), რომელიც ცოცხლად დანვეს საკუთარ სახლთან ერთად. არცერთ კომუნიზმის მომავალ მშენებელს არ გაუნია გულმა, მათ მიერ დანთებული კოცონიდან გამოეყვანა უმწეო ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ხედავდნენ და უსმენდნენ მას.“

ასეთი სისასტიკის შემდეგ, ბუჩუკურთას – ისევე როგორც ყველა ახლო-მახლო სოფლის და საერთოდ შიდა ხევსურეთის მოსახლეობამ – დედანწულიანად მიატოვა თავისი საცხოვრისი და მიუდგომელ ადგილებში გაიხიზნა.

„ბოლშევიკებს ამოქმედებდა პირველყოფილი ადამიანის შურისძიების ცხოველური წყურვილი სამაგიეროს მიზლისა, რადგან ბუჩუკურთა იყო ვაჟაით მამუკას (მამუკა გოგოჭურის), მეხარიათ აძიას (იგივე ლევან გოგოჭურის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების დროს, მთისა

და ბარის მეხიდურის) და სხვა „შეუდრეკელი ვაჟკაცების მშობელი სოფელი, რომლებიც ამ საუკუნის გარიჟრაჟამდე ებრძოდნენ საქართველოში რუსთა ბატონობას. არანაკლები სიმტკიცით იბრძოდნენ ამ ომში აქაური ვაჟკაცები: – მამა-შვილი აფშინა და დავითი, იმედა მამუკას ძე, თორელი ჯინჭარას ძე და სხვა გოგოჭურები... ამიტომ მისცეს ცეცხლს ასე უწყალოდ კომუნისტებმა საუკუნეთა მანძილზე ცოდვა-ჭირით ნაშენები სოფელი ბურჯუკურთა და არა მარტო ის. იგივე ბედი ენია მეზობელ სოფლებს უკანახოს, ლიფოდას და სხვებს“ (ი. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა, გვ. 120-121).

მთიული ბურჯუკურები

1774 წლის აღწერით ბურჯუკურების გვარი მთიულეთის სამ სოფელშია დარეგისტრირებული: დათვიანთკარში (10 კომლი), გვიდაქეში (10 კომლი), სეფეში (1 კომლი).

1781 წელს, არაგვის ხეობის ბარში, სოფ. იორში ჩანს ბოგანო, ბურჯუკური ივანე.

სეფელი ბურჯუკურები

1774 წელს, სეფეში, მოხსენიებულია: ბურჯუკური ბერის შვილი – ბერი და გივი.

1831 წელს – საეკლესიო გლეხი, 20 წლის ანდრეი ბურჯუკური და მისი 6 წლის ძმა, გლახა (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1860 წლის აღწერით, ანდრია ბურჯუკური 43 წლისაა; მისი შვილებიდან – ხოსრო 22 წლის; კაცია 16 წლის; ანდრიას ძმა, გლახა, 40 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 227).

1886 წელს სახელდებიან – ბურჯუკური კაცია ანდრიას ძე, 42 წლის და მისი შვილი ივანე – 1 თვის (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1817.).

საეკლესიო გლეხებად მათი მოხსენიება, კომლის უპირატეს სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს, მაგრამ შემდგომი ცნობები ძველი სეფელი ბურჯუკურების შესახებ – ხელმისაწვდომი აღარ არის.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, უფრო მოგვიანებით, გვიდაქედან სეფეში გადასახლდა, ბესარიონ ნინიას ძე ბურჯუკური და მისი ძმა, გიორგი (იხ. დანართი № 13-1, კომლი № 2, შიოლანი).

ქიმბარიანი და ქიმბარიანთკარელი ბურჯუკურები

სოფელი თეთრი არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, მთის ძირას, ქვეშეთის ცოტა ზემოთ. ადგილობრივ მოსახლეობას, ადრე აქ, კომპკურ სახლებში უცხოვრია. ამჟამად მხოლოდ ორი კომპკია შემორჩენილი:

ოთხსართულიანი (ზედა კომპკი), სოფლის დასავლეთით მდებარეობს. ნაგებია რიყის ქვით. გარედან სწორკუთხაა; შიგნით – ქვედა სართული, წრიული მოყვანილობის აქვს; ზედა სართულები – კუთხეებმომრგვალებული. IV სართულზე შემორჩენილია სალოდეების და სათოფურების კვალი. აღმოსავლეთის ფასადზე, შესასვლელის წყობის ორ ქვაზე, თითო პატარა ტოლმკლავა ჯვარია ამოკანწრული.

(ქვედა) სამსართულიანი კოშკი, უფრო სამხრეთით, მისგან დაახ. 100 მ-ზე, დგას. ნაგებია ნატეხი ქვით. სამხრეთის ფასადზე, კარის მარჯვენა მხარეს, ხელის მტევენის ანაბეჭდია გამოყვანილი.

ორივე კოშკი პირამიდული ფორმისაა.

განეკუთვნებიან XVII ს-ს.

ქიმბარიანთკარი მთიული ბურჯუკურების ერთ-ერთი ძირითადი საცხოვრისი იყო.

„გვიდაქედან გადმოსულან აქ ორი ძმანი – ქიმბარაი და ლაგაზაი. კახიცა მდგარა ვი-ლაცა. იმას არ უსვენებდნენ, თურმე, და უთქვია: – ცხენები დამინალეთ და მოგშორდებითო. დაუნალიათ და წასულან. დამრჩალან ის ორი ძმანი“ (გ. ხორნაული).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქიმბარაის შთამომავალთა სამოსახლო ადგილი, შემდგომში, სოფ. ქიმბარიანად იქცა; ლაგაზაისა – ლაგაზიანად. მათ მიმდებარედ მოიაზრება ადრინდელი მოხნიანი (თუ მახნიანი), ანუ, ბურჯუკურების მესამე საცხოვრისი. ბურჯუკურთა მეოთხე უბანი, „ქურციკიანი“ – ზემო და ქვემო დასახლებად იყო დაყოფილი.

XVIII ს-ის აღწერებში არც ერთი ზემოაღნიშნული პუნქტი არ ჩანს.

მოხნიანთკარი (შესაძლებელია მახნიანთკარი, ძნელად იკითხება) 1804 წლიდან ჩანდება. იქ, ბურჯუკურების 13 კომლის თავია მოხსენიებული, კერძოდ:

1. გრიგორ მახარეს ძე ბურჯუკური, 2. კაცია თადიას ძე ბურჯუკური; 3. იასე გიორგის ძე ბურჯუკური; 4. გოგია ხახუტელის ძე ბურჯუკური; 5. ღვთისია ხახიას ძე ბურჯუკური; 6. თადია ხიზანას ძე ბურჯუკური; 7. გოგია პატარკაცის ძე ბურჯუკური; 8. კიკო ელიზბარის ძე ბურჯუკური; 9. გოგია გელას ძე ბურჯუკური; 10. თადილა ივანეს ძე ბურჯუკური; 11. ადამ აკიმას ძე ბურჯუკური; 12. ხვთისია აკიმას ძე ბურჯუკური და 13. გრიგორ ოთარის ძე ბურჯუკური (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს მოხნიანთკარი და ქიმბარიანი ცალ-ცალკე სოფლებად აღწერეს. ისევ მხოლოდ კომლის თავები მოიხსენიეს – ამჟამად, მამისახელების გარეშე.

მოხნიანთკარში დაფიქსირდა: – 1. თადილა ბურჯუკური, 2. ნინია ბურჯუკური, 3. ოთარა ბურჯუკური, 4. ნიკოლოზ ბურჯუკური, 5. აბრამ ბურჯუკური, 6. შიო ქურციკაშვილი, 7. შიო ბურჯუკური და 8. მახარობელ ბურჯუკური.

ქიმბარიანთკარში აღრიცხეს: – 1. მახარე აკიმაშვილი, 2. ბერი ქიმბარიშვილი და 3. ბეჟან ქიმბარიშვილი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

აღსანიშნავია, რომ ქიმბარიშვილების ორივე კომლი, მომდევნო აღწერებში, ბურჯუკურის გვარზეა გადასული.

მივიჩნით, რომ ისინი ქიმბარიანთ ბურჯუკურების პატრონიმები არიან.

1831 წელს, მოხნიანში, დარეგისტრირდა ბურჯუკურების 17 კომლი – 67 მამაკაცი და 53 ქალი (იხ. დანართი № 3).

1860 წელს, ქიმბარიანში (მოხნიანთან ერთად), 26 კომლი აღწერეს (დანართი № 4).

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1831 წელს აღწერილი ბურჯუკურების 17 კომლი, 1860 წელს უკავშირდება მათსავე 24 კომლს.

ორ შემთხვევაში (№ 2, ნინია ივანეს ძე და № 14, მაკარ ადამის ძე) – კავშირი წყდება.

1831 წელს აღწერილი 6 კომლი (№ 5, ფადიაურ ღვთისიას ძე; № 7, გლახა ივანეს ძე; № 8, კიკო ელიზბარის ძე; № 11, შიო პატარკაცის ძე; № 12, მახარობელ ბურჯუკური და № 13, ოთარ გრიგოლის ძე) – 1860 წლის უკავშირდება ორ-ორ კომლს; № 17 კომლი კი (გამახარე ბურჯუკური) – 1860 წლის 4 კომლს (№ 1-ს, № 2-ს, № 3-ს და № 4-ს).

*

1873 წელს, ქიმბარიანში (მოხნიანთან ერთად), აღწერილი იქნა ბურჯუკურების 30 კომლი – 103 მამაკაცი და 96 ქალი (დანართი № 5).

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1860 წელს მოხსენიებული 26 კომლი, 1873

წელს უკავშირდება მათსავე 26-ს კომლს (30-დან).

4 შემთხვევაში (1860 წლის № 4 კომლი, დათუნა გრიგოლის ძე; № 8, ელიზბარ ბიჭიკოს ძე; № 19, შიო ღვთისიას ძე და № 26, აბრამ გლახას ძე) – შემდგომი კავშირი წყდება. ერთ შემთხვევაში (№ 24 კომლი, ელისბარ კიკოლას ძე) – გარდაცვალებასთან დაკავშირებით (იხ. დანართი № 5).

1860 წლის 2 კომლი (№ 5, ოთარ გრიგოლის ძე და № 10, ბაჟან ივანეს ძე) – 1873 წლის უკავშირდება ორ-ორ კომლს; № 9 (ადამ მახარობლის ძე) – სამს.

1873 წელს, ქიმბარიანსა და მოხნიანში ჩნდება 4 ახალი კომლი (№ 8, გრიგოლ მამუკას ძე; № 10, ივანე გრიგოლის ძე; № 25, სიმონ იოსების ძე და № 27, დიმიტრი აბრამის ძე), რომელთა დაკავშირებაც ვერ ხერხდება – ვერც ქიმბარიანთკარის და ვერც გვიდაქეს წინა აღწერების მოსახლეობასთან.

ამას ვერც აღმწერები ახერხებენ.

*

1886 წელს, ქიმბარიანში (მოხნიანთან ერთად), აღწერილი იქნა ბურჟუკურების 33 კომლი; 125 მამაკაცი და 96 ქალი (იხ. დანართი № 6).

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1873 წელს მოხსენიებული 30 კომლი 1886 წელს უკავშირდება მათსავე 31 კომლს (33-დან).

4 კომლი (№ 9, პავლე გრიგოლის ძე; № 12, გიორგი ოთარის ძე; № 14, გამახარე ხოსროს ძე და № 31, ანდრეი აბრამის ძე) – საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, მაგრამ არ იკითხება, სად.

დროთა განმავლობაში, ქურციკიან-ლაგაზიან-ქიმბარიანში მცხოვრები მთიული ბურჟუკურების საკმაოდ ხალხმრავალი შტო, რამდენიმე მამაშვილობად და მამაშვილობათა მამაშვილობებად დაიყო: – ანდრიანი, თადიანი, ქურციკიანი, ლაგაზიანი, მარტიან-გელიანი, წუნრიან-მიხელიანი-სვიმონიანი, შიოლიანი, ბასილიან-გიგოლიან-ჯემალიანი, მახრიანი, ადამან-აბრამიან-ხიზანიანი, გიორგანი, ოთარან-თეკლიან-გახუან-ბიანი, ღვთისიანი, საჩიან-გამხარდიან-წინიანი და ა.შ.

XX ს-ის II ნახევრიდან, ბურჟუკურებმა – ქვეშეთში, თავიანთ საკუთარ მამულებში დაიწყეს ინტენსიური ჩამოსახლება.

მათი ისტორიული სამოსახლო, თანდათან, დაცარიელდა.

საარქივო დოკუმენტების და ხალხური მეხსიერების საფუძველზე, 1831 წლიდან შესაძლებელი ხდება, მთიული ბურჟუკურების მამაშვილობათა ურთიერთდაკავშირება და მათი საგვარეულო ხის სქემატური გამოსახვა.

მივყვეთ, თანამიმდევრობით, დანართი № 7-ის შესაბამისად:

1831 წლის № 1 კომლი, თადია ბურჟუკური (თადიანთა მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 7 და № 20 კომლებს (ღვთისია გლახას ძეს და ფადიურ თანდილას ძეს; 1873 წელს – № 2 და № 13 კომლებს (ღვთისავარ გლახას ძეს და ფადიურ თანდილას ძეს); 1886 წელს – № 2 და № 17 კომლებს (სანდრო ღვთისავარის ძეს და მახარობელ ფადიურის ძეს).

ხალხური მეხსიერების თანახმად, თადიანთ გიორგის (იგივე იას) – სამი ვაჟი ყავდა:

ვასიკო მაგადანში დაიღუპა;

ალექსის ქალიშვილები თბილისში ცხოვრობენ.

ბიჭიკოს ოჯახი რუსთავშია გადასული.

*

1831 წლის № 2 კომლის – 40 წლის წინა ივანეს ძის კავშირი შემდგომ აღწერებთან – წყდება.

*

№ 3 კომლი, ბერი თადიას ძე (ანდრიანთა მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 13 კომლს (ანდრია ბერის ძეს); 1873 წელს – № 26-ს (ანდრეი ბერის ძეს); 1886 წელს – № 28-ს (ანდრეი ბერის ძეს).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ანდრიანთა შტო 6 ერთმანეთის განაყარი კომლისგან შედგება (იხ. დანართი № 7-1, კომლი № 3): –

1. ვანოსგან მოდის ვალიკო და მათე; მათესგან – თამაზი.
2. თედოსგან მოდის კობა და გოჩა; კობასგან – თორნიკე და გაბრიელი (ცხოვრობენ თბილისში); გოჩასგან მოდის გიორგი (ცხოვრობენ – ქვეშეთში);
3. ნინია – II მსოფლიო ომში დაიღუპა; დარჩა: – ზაური და რომიკო (რომელიც კრასნოდარში გარდაიცვალა); რომიკოსგან მოდის გიორგი; ზაურისგან ბიძინა – ცხოვრობს თბილისში;
4. ზაქარას დარჩა: – კოლა, გრიშა და თედო; მათი შტო ქალიშვილებით გრძელდება.
5. კოფიასგან მოდის გიორგი და ნიკალა; გიორგის შტო, ომის დროს, ასპინძაში (სოფ. ოთაში) გადასახლდა. მისგან მოდის ვალიკო და ნიკო; ნიკოს შტო რუსთავეში გადასახლდა.
6. ბაისგან (ბასილასგან) მოდის მათე; მათესგან ილია და კოლია (ცხოვრობენ ივანოვკაში).

*

1831 წლის № 4 კომლი, შიო ბურჟუკური (ქურციკიანთა მამაშვილობა) 1860 წელს უკავშირდება № 24 კომლს, კაცია შიოს ძეს; 1873 წელს – № 16-ს, კაცია შიოს ძეს; 1886 წელს – № 33-ს, კაცია შიოს ძეს (იხ. დანართი № 7-1).

ქურციკიანთ დასახლება, ადრე, ორ უბნად – ზემო და ქვემო ქურციკიანად იყოფოდა.

1816 წლის აღწერით, მოხნიანთკარში აღრიცხული შიო ქურციკაშვილი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436), 1831 წელს (№ 4 კომლში), უკვე ბურჟუკურის გვარით არის მოხსენიებული. იგი ქურციკიანთ ბურჟუკურების პატრონიმად უნდა მივიჩნიოთ.

გვარის უხუცესების ცნობით, ზემო ქურციკიანში მცხოვრები ბურჟუკურები, „კარგა ხნის წინათ“, სოფ. დგნალში გადასახლდნენ.

1873 წელს, იქ, მათი 6 კომლი სახლობდა:

1. ქიტესა შიოს ძე ბურჟუკური, 55 წლის, მისი შვილები: ალექსი, 17 წლის; გიგოლა, 11 წლის; მიხეილა, 7 წლის; აკოფა, 5 წლის.
2. გლახა ბერის ძე ბურჟუკური, 50 წლის; მისი შვილი, აკოფა, 5 წლის.
3. ავკსენტი გლახას ძე ბურჟუკური, 20 წლის.
4. გრიგორი ზურაბის ძე ბურჟუკური, 45 წლის; მისი შვილი ნასყიდა, 7 წლის.
5. მოსე სიხარულას ძე ბურჟუკური, 40 წლის; მისი შვილები: ნინიკა, 8 წლის; გიორგი, 5 წლის; მოსეს ძმა, შიო, 25 წლის.
6. ანდრია ბეჟანის ძე ბურჟუკური, 30 წლის; მისი ძმები: შალვა, 16 წლის; დავითა, 10 წლის; თევდორე, 8 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 230).

1886 წლის აღწერით, დგნალში, ბურჟუკურების 4 კომლი დარეგისტრირდა:

1. ბურჟუკური ალექსა ქიტესას ძე 30 წლის; მისი ძმები: გიგოლა 24 წლის; მიხეილი 20 წლის; აკოფა 18 წლის. ალექსის შვილი გიორგი 5 წლის; გიგოლას შვილი ფილიპი 3 წლის.
2. ბურჟუკური ავკსენტი გლახას ძე – გარდაცვლილია.
3. ბურჟუკური ნასყიდა გრიგორის ძე 20 წლის.
4. ბურჟუკური ნინია შიოს ძე 63 წლის; მისი შვილები: შიო 38 წლის; დიმიტრი 28 წლის;

გიორგი 21 წლის; დიმიტრის შვილები: სანდრო 8 წლის; ივანე 2 წლის (სცსსა, ფ. 254, აღნ. III, დოკ. 1800).

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1873 წლის აღწერასთან შედარებით, 1886 წელს, დგნალში, აღარ ჩანან:

- გლახა ბერის ძე ბუჩუკური (კომლი № 2);
- მოსე სიხარულას ძე ბუჩუკური (კომლი № 5);
- ანდრია ბეჟანის ძე ბუჩუკური (კომლი № 6);
- აკვსენტი გლახას ძე ბუჩუკური (კომლი № 3, გარდაცვლილია).

1873 წელს მოხსენიებული ქიტესა შიოს ძე (№ 1 კომლი, ქიტესაანი) და 1886 წელს აღწერილი ნინია შიოს ძე (№ 4 კომლი), დიდი ალბათობით, ძმები იყვნენ. სავარაუდოდ, ჯერ უმცროსი ძმა ჩამოსახლდა დგნალში, მერე – უფროსი.

ასაკით ისინი, 1831 წლის შემდგომ მოხნიანში აღწერილ ვერც ერთ კომლს ვერ უკავშირდებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ, ისინიც, 1816 წელს მოხსენიებული კომლის თავის – შიო ქურციკაშვილის, შთამომავლები არიან.

მათ ქიტესაანთ მამაშვილობად მოიხსენიებენ (იხ. დანართი №8).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქიტესას გიგოლაძან ოთხი ძმა მოდის: ფილიპა, დათა, ვასილაი და პოვლიაი. დათა, შირაქში გადასახლდა; ვასილაი – ფასანაურში; პოვლიაი და ფილიპაი – დგნალში დარჩნენ.

ქიტესას ალექსისგანაც ოთხი ძმა მოდის: – კოფია, სვიმონი, გიორგი და მათე. მათი ნაწილი ასპინძის რაიონში გადასახლდა.

დგნალში მცხოვრები ქურციკიანთ ბუჩუკურების (ქიტესაანის) კომლთა სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 8.

1831 წლის აღწერით მოხნიანში (ქვემო ქურციკიანში) მოხსენიებული შიო ბუჩუკურის (№ 4) კომლი (დგნალში არ ნასულა), მომდევნო აღწერებთანაც ამავე სოფელში რეგისტრირდება და მათი საგვარეულო ხე – დღეს, ქვეშეთში მცხოვრებ ქურციკიანებს ებმის (იხ. დანართი № 7-1, 1831 წლის № 4 კომლი).

*

1831 წლის № 5 კომლი, ფადიაურ ღვთისიას ძე (ლაგაზიანთა მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 23 და № 26 კომლებს (გიორგი ღვთისიას ძეს და აბრამ გლახას ძეს); 1873 წელს – № 17-ს, შიო გიორგის ძეს; 1886 წელს – № 18-ს, შიო გიორგის ძეს (იხ. დანართი № 7-2).

გამორიცხული არ არის, ლაგაზიანი სათავეს – 1774 წელს დათვიანთკარში აღწერილი № 2 კომლიდან (ფადიაურ ბერის ძედან) იღებდნენ, სადაც ბუჩუკური ბერის შვილებად დარეგისტრირებულია – კაცია, ფადიაური და ივანე.

არც შიოლანის და ლაგაზიანთ საერთო წარმომავლობაა გამორიცხული.

შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, გვიდაქელი შიოლანის ერთი ოჯახის (1873 წლის № 21 კომლიდან) – ლაგაზიანთ უბანში ჩამოსახლებაც.

გვარის უხუცესების ცნობით, ლაგაზიანთ კომლს სამი მამაშვილობა გამოეყო: – წუნრიანი, მიხელიანი და სვიმონიანი.

მათი უფრო ადრე განაყარები არიან მარტიან-გელიანი (იხ. დანართი № 7-3, კომლი № 9, ოთარ მარტიას ძე).

წუნრა-გიორგი, 1886 წელს, № 18 კომლში მოხსენიებული შიოდან მოდის.

გიორგიდან მოდის ვასილა, ვასილასგან ილიკო; ილიკოსგან – ანზორი და ვალერი.

შიოს განაყარი ძმის, № 18 კომლში მოხსენიებული, 47 წლის ივანედან მოდიან – კახელი წუნრიანი.

ხალხური მეხსიერების მიხედვით, წუნრიანთ გაბრიელის მამაშვილობა ქიმბარიანი-

დან ზემო მაჩხაანში გადასახლდა. მათი ორი კომლი, მოგვიანებით, ზემო ქედში გადავიდა საცხოვრებლად, ორი – ზემო მაჩხაანში დამკვიდრდა (იხ. დანართი № 7-2, 1831 წლის № 5, 1886 წლის № 18 კომლი და „შირაქელი ბუჩუკურები“).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მიხეილიანთა მამაშვილობა, სამი ძმიდან: – ქოთილს, ვასოს და ილიკოსგან (კამსასგან) მოდის.

ქოთილას ოთარი – ბალთაში ცხოვრობს, თამაზი – თბილისში.

ვასოს კობა და მისი ვასიკო – ქვეშეთში სახლობენ.

ილიკოსგან მოდის – გენადი და თენგიზი.

სვიმონიანთა მამაშვილობის პატრონიმი (დიდი) სიმონაა. მისგან 5 ვაჟი მოდის: – (პატარა) სიმონა, მოსია, გიგოლა, გიორგა და დათიკა.

დიდი სიმონას გიორგადან მოდის დიდი ვანო, დიდი ვანოსგან მოდიან – ჯუმიკო და ჯუმბერი; ჯუმიკოსგან – ვანო და ნოდარი. ჯუდე-ჯუმბერისგან – გიორგი.

დიდი სიმონასგან მოდის მამის თანამოსახელე (პატარა) სიმონი; მისგან – პატარა ვანო; პატარა ვანოსაგან – ანზორი და ზურა; ანზორისგან – დაჩი და ლუკა; ზურასგან – სოსო.

დიდი სიმონას გიგოლადან მოდის აკოფა; აკოფასგან (იაკობიდან): – სულიკო, მირიანი და ციალა;

სულიკო ყიზლარში დაილუბა;

მირიანისგან მოდის – ზურა და სულიკო, ცხოვრობენ ქვეშეთში.

*

1926 წელს – ლაგაზიანი და ქიმბარიანი, მღეთის თემში, ცალ-ცალკე დასახლებად აღწერეს. ლაგაზიანში დაფიქსირდა 10 კომლი, 29 მამაკაცი და 28 ქალი, სულ 57 სული. ქიმბარიანში – 18 კომლი, 36 მამაკაცი და 32 ქალი, სულ 68 სული. ორივე სოფელის ძირითადი გვარი – ბუჩუკური იყო.

*

1831 წლის № 6 კომლი, შიო ხახუტელის ძე (ქიმბარიანთკარელ შიოლანთ მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 14 კომლს (შიო ივანეს ძეს); 1873 წელს – № 22-ს (ივანე შიოს ძეს); 1886 წელს № 24-ს, ივანე შიოს ძეს (იხ. დანართი № 7-2).

გამორიცხული არ არის, ისინი, 1774 წელს, დათვიანთკარში აღწერილი № 3 კომლიდან მოდიოდნენ, სადაც ზაზას შვილებად მოხსენიებულნი არიან: – ბერა, ხახუტელი და შიო. ანუ, 1831 წლის გვიდაქეს № 2 და 1831 წლის ქიმბარიანის № 6 კომლი შესაძლებელია, რომ სათავეს, 1774 წელს დათვიანთკარში აღწერილ № 3 კომლში იღებდნენ.

აღნიშნულის მიხედვით, შიოდან – გვიდაქელი, ხოლო ხახუტელისგან – ქიმბარიანთკარელი შიოლანი მოდიან.

არ არის გამორიცხული, რომ შიოლანი და ლაგაზიანიც ადრე განაყრები იყვნენ.

გვარის უხუცესებს ქიმბარიანთკარელი შიოლანის ოთხი ძმა ახსოვთ: – იოსები, გიორგი, ვანო და გორია (იხ. დანართი № 7-2, 1831 წლის კომლი № 6).

შიოლანთ იაგორას შთამომავლები ვლადიკავკაზში გადასახლდნენ.

მარტიას შთამომავლები სართიჭალაში.

*

1831 წლის № 7 კომლი, გლახა ივანეს ძე, 1860 წელს უკავშირდება № 6-ს და № 25 კომლებს (ნინია გლახას ძეს და ივანე გლახას ძეს); 1873 წელს – № 1 და № 18-ს (ივანე გლახას ძეს და მეორე – ივანე გლახას ძეს); 1886 წელს – № 1 და № 19 კომლებს (ივანე გლახას ძეს და იოსებ ივანეს ძეს).

ამ კომლის შემდგომი ბედი უცნობია. ვერ დგინდება, რომელ მამაშვილობას ეკუთვნიან. მეკომურთა ასაკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ჩვენამდე აღწევდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ბუჩუკურთა რომელიმე შტონაყარ გვარს დაუდეს სათავე.

*

1831 წლის № 8 კომლი, კიკო ელიზბარის ძე (ბასილიანთ მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 12 და № 15 კომლებს (პეტრე ნინიას ძეს და აბრამ შიოს ძეს); 1873 წელს – № 19-ს და № 20-ს (გრიგოლ პეტრეს ძეს და აბრამ შიოს ძეს); 1886 წელს – № 20, № 21 და № 32 კომლებს: – გრიგოლ პეტრეს ძეს, აბრამ შიოს ძეს და ბუჩუკურ ღვთისაგარის ძეს (იხ. დანართი № 7-3, კომლი № 8).

გვარის უხუცესებს ამ მამაშვილობიდან ორი ძმა ახსოვთ: – ილუშა და მიშა.

მათი განაყრები არიან გიგოლანი.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ბასილიანთ მამაშვილობები სახლობენ ასპინძაში, ჭიათურასა და ჟინვალში.

*

1831 წლის № 9 კომლი, ოთარ მარტიას ძე (ლაგაზიან-მარტიან-გელიანი), 1860 წელს უკავშირდება № 11 კომლს, დავით ოთარის ძეს.

შემდგომი დოკუმენტალური ინფორმაცია მათ შესახებ წყდება.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ლაგაზიანთ ადრე განაყრები არიან და 1831 წელს აღწერილი 7 წლის ანდრეიდან უნდა მოდიოდნენ.

ამჟამად ცხოვრობენ თბილისში (იხ. დანართი № 7-3, კომლი № 9).

*

№ 10 კომლი, აბრამ გოგის ძე, 1860 წელს უკავშირდება № 16 კომლს, ღვთისია აბრამის ძეს; 1873 წელს – № 21-ს, აბრამ პეტრეს ძეს; 1886 წელს – № 22-ს და № 23-ს (შიო პეტრეს ძეს და აბრამ პეტრეს ძეს).

მათი შემდგომი ბედი – უცნობია. გამორიცხული არ არის, რომ ბუჩუკურთა რომელიმე შტონაყარ გვარს დაუდეს სათავე.

*

1831 წლის № 11 კომლი, შიო პატარკაცის ძე, 1860 წელს უკავშირდება № 21 და № 22 კომლებს (ბერი შიოს ძეს და იოსებ შიოს ძეს); 1873 წელს – № 28 და № 29-ს (ბერო შიოს ძეს და იოსებ შიოს ძეს); 1886 წელს – № 29-ს და № 30-ს: იასე ბეროს ძეს და მოსე იოსების ძეს (იხ. დანართი № 7-4, კომლი № 11).

ვერ დგინდება, ბუჩუკურთა რომელ მამაშვილობას ეკუთვნიან. გამორიცხული არ არის, 1774 წელს დათვიანთკარში აღწერილი № 9 კომლიდან იღებდნენ სათავეს. მეკომურთა ასაკის გათვალისწინებით, ჩვენამდე უნდა აღწევდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ბუჩუკურთა რომელიმე შტონაყარ გვარს დაუდეს სათავე.

*

1831 წლის № 12 კომლი, მახარობელ ბუჩუკური (მახარიანთა მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 9 და № 17 კომლებს (ადამ მახარობლის ძეს და გივი მახარობლის ძეს); 1873 წელს – № 5, № 6, № 7 და № 30 კომლებს (ადამ მახარას ძეს, გიორგი მახარეს ძეს, ხიზანა მახარეს ძეს და აბრამ მახარობლის ძეს); 1886 წელს – № 5-ს, № 6-ს, № 7-ს და № 31 კომლებს: – გიგოლა ადამის ძეს, გიორგი მახარეს ძეს, ხიზანა მახარეს ძეს და ანდრეი აბრამის ძეს.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მათ სამი მამაშვილობა გამოეყო: – ადამანი, აბრამიანი და ხიზანიანი (იხ. დანართი № 7-4, 1831 წლის კომლი № 12).

გვარის უხუცესებს აბრამიანთა კომლის ორი ძმა ახსოვთ – შიო და გიორგი.

შიოს 5 ვაჟი ყავდა: – ვანუშა, ვასია, ილიკო, ჟორა და ნესტორი.

გიორგი (გოგა) არხილოსკალოში გადასახლდა. მისგან სამი ვაჟი მოდის: – ვალიკო, გრიშა და ნოდარი (იხ. „შირაქელი ბუჩუკურები“).

აბრამიანების ერთი შტო, ხალხური მესხიერების თანახმად, მანგლისში წავიდა. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ვერ შევძელი. იქ აღარ სახლობენ.

მახარობლიანთ (მახარიანთ) ადამანი ორი განაყარი კომლიდან მოდიან. ორივეს თავკაცს ვანო ერქვა. ერთი უშვილო იყო. მეორესგან მოდის – ფიდო; ფიდოსგან – ავთო.

გვიდაქელი და ქიმბარიანთკარელი ადამანი (გვიდაქეს № 11 და ქიმბარიანის № 12 კომლი) – ბუჩუკურების ორი დამოუკიდებელი შტოა.

ხიზანიანთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მხოლოდ მათეს და მოსეს შთამომავლებზე გახდა შესაძლებელი (იხ. დანართი № 7-4, კომლი № 12).

*

1831 წლის № 13 კომლი, ოთარ გრიგოლის ძე (გრიგოლიანთ მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 5 და № 18 კომლებს (ოთარ გრიგორის ძეს და ბერი გიგოლას ძეს); 1873 წელს – № 23-ს, № 11-ს და № 14-ს (დავით ოთარის ძეს, ბერო ოთარის ძეს და ბერო გრიგოლის ძეს); 1886 წელს – № 25-ს, № 11-ს და № 12-ს: – დავით ოთარის ძეს, ბერო ოთარის ძეს და გიორგი ოთარის ძეს (იხ. დანართი № 7-5).

დროთა განმავლობაში, მათ ორი მამაშვილობა გამოეყო: – ოთარიანი და თეკლიანი.

გვარის უხუცესებს ოთარიანიდან ორი ძმა ახსოვთ: – გიორგი და ვანო.

გიორგიდან მოდიან: – მიხა, ილიკო და ვასიკო;

ვანოსგან: – გოგი, არსენა, ნიკალა და შოთა.

ოთარიანთ გიორგის და ვანოს ადრე განაყარია – შიო, რომელიც 1886 წლის № 25 კომლში მოხსენიებული მიხელიდან უნდა მოდიოდეს.

შიოსგან მოდის – ანდრია და მათია.

ანდრიას ოთხი ქალიშვილი დარჩა (ანიკა, ნინო, თამარა და ლიდა); მათიას – სამი (ევა, ლამარა და საშიკო).

ქიმბარიანთკარის 1886 წლის აღწერის № 12 კომლიდან წასული გიორგი ოთარის ძის შთამომავლობა, დგინდება, რომ საბოლოოდ, ჭოპორტში დამკვიდრდა (იხ. დანართი № 7, 1831 წლის კომლი № 13).

თეკლიანთ მამაშვილობის სახელწოდება – შიო (შია) ბუჩუკურის ცოლის, ლაკათხეველი თეკლე წყარუაშვილის სახელს უკავშირდება.

გვარის უხუცესების ცნობით, მათგან სამი ძმა მოდის: – ვანო, მიხა და ალექსი.

ვანოსგან მოდიან: – კოლა, გიორგი და ვასიკო;

ალექსისგან – გიორგი.

თეკლიანთ ადრე განაყარია – შეთეს და ხუსტას მამაშვილობა (გახუანი).

მათივე განაყრები არიან ბიანი.

გრიგოლიანთ მამაშვილობების სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 7-5 (1831 წლის კომლი № 13).

*

ჩემს ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში დახმარებისათვის, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო – თეკლიანთ მამაშვილობის ერთ-ერთი უხუცესი, საკუთარ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული

კაცი – ტარიელ ბურჟუკური. მისი თანადგომის გარეშე – საქმეს ამ დონემდე მოყვანასაც ვერ შევძლებდი.

*

1831 წლის № 14 კომლის (მაკარ ადამის ძის) შემდგომი ბედი უცნობია. აღწერების შესაბამისად, კავშირი წყდება.

*

1831 წლის № 15 კომლი, ბეჟან ბურჟუკური (ღვთისიანთა მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 8 კომლს (ელიზბარ ბიჭიკოს ძეს); 1873 წელს – № 3-ს და № 4-ს (გამიხარდი ბეჟანის ძეს და ივანე ბეჟანის ძეს); 1886 წელს – № 3-ს და № 4-ს – გამიხარდი ბეჟანის ძეს და ივანე ბეჟანის ძეს (იხ. დანართი № 7-6).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ღვთისიანთ კომლს სამი მამაშვილობა გამოეყო: – ნინიანი, საჩიანი და გამხარდიანი.

გვარის უხუცესების ცნობით, ნინიანი სამი ძმიდან: – აბრამისგან, ალექსისგან და თედოსგან მოდიან.

აბრამისგან მოდის: – მიშა, თამაზი და გურამი.

ალექსისგან – ავთო;

თედოსგან – ვლადიმერი (ვალოდია).

საჩი-ივანესგან მოდის დავითი; დავითისგან – ვანო და ალექსი.

ალექსი, ყვარელში გადასახლდა. მისგან მოდის მურადი.

ალექსის ძმის, ვანოსგან, მოდის ნიკალა.

გამიხარდიანთ ვასოსგან მოდის დათო; დათოსგან სოფო.

ღვთისიანის სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 7-6 (კომლი № 15).

*

1831 წლის ქიმბარიანის № 16 კომლი, ბეჟან ივანეს ძე, 1860 წელს უკავშირდება № 10 კომლს (ბეჟან ივანეს ძეს). მათი შემდგომი კავშირი, სავარაუდოდ – საერთოდ წყდება.

*

№ 17 კომლი, გამახარე ბურჟუკური, 1860 წელს უკავშირდება № 1, № 2, № 3 და № 4 კომლებს (ბერი გრიგორის ძეს, ხოსრო გრიგორის ძეს, ნინია გრიგორის ძეს და დათუნა გრიგორის ძის); 1873 წელს – № 9-ს, № 12-ს და № 15-ს (ბერი გრიგორის ძეს, გრიგოლ ხოსროს ძეს და გრიგოლ ნინიას ძეს).

დათუნა გრიგორის ძესთან შემდგომი კავშირი წყდება.

1886 წელს, 1831 წლის № 17 კომლი, უკავშირდება – № 10, № 13, № 14, № 15 და № 16 კომლებს: – ივანე ხოსროს ძეს, გრიგოლ ხოსროს ძეს, გამახარე ხოსროს ძეს, დავით ბურჟუკურს და გრიგოლ ნინიას ძეს (იხ. დანართი № 7-7).

ამ საკმაოდ ხალხმრავალი კომლის შემდგომი ბედი, ფაქტობრივად, უცნობია.

აღმწერებშიც ვერაფერზე მიგვითითებენ.

ვერც ის დგინდება, რომელ მამაშვილობას ეკუთვნიან.

მეკომურთა ასაკის გათვალისწინებით, ჩვენამდე უნდა აღწევდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ბურჟუკურთა რომელიმე შტონაყარ გვარს დაუდეს სათავე.

მათი ერთი შტო (გრიგოლი-გიორგი-ვასილ და იაკობ ბურჟუკურები), დიდი ალბათობით, ფასანაურში გადასახლდა.

*

საყურადღებო ფაქტია, რომ 1873 წლის აღწერით, ქიმბარიანში ჩნდება 5 ახალი კომლი (№ 8, გრიგოლ მამუკას ძე; № 10, ივანე გრიგოლის ძე; № 24, ელიზბარ კიკოლას ძე; № 25, სიმონ იოსების ძე; № 27, დიმიტრი აბრამის ძე), რომელთა დაკავშირებაც ვერ ხერხდება – ვერც წინა აღწერების მონაცემებთან, ვერც თანამედროვეობასთან.

1886 წლის აღწერის მონაცემებით, ბუჩუკურების კიდევ ოთხი კომლის ბედია გაურკვეველი (კომლი № 9, პავლე გრიგოლის ძე; № 12, გიორგი ოთარის ძე; № 14, გამახარე ხოსროს ძე და № 31, ანდრეი აბრამის ძე) – ისინი ქიმბარიანიდან საცხოვრებლად სხვაგან წავიდნენ, მაგრამ ვერ იკითხება – სად.

ვერ დგინდება, რამდენიმე საკმაოდ ხალხმრავალი კომლის ბედიც.

ალბათ, ასეთი მოცემულობა აძლევს პროფესიონალ ეთნოგრაფებს (ი. ახუაშვილი, რ. თოფჩიშვილი, ა. ნაზლაიძე) იმ დასკვნის საფუძველს, რომ ბუჩუკურებიდან მრავალი შტონაყარი გვარი წარმოსდგა.

გვიდაქეს და ქიმბარიანის აღწერები ასეთი ვარაუდის (თუ ფაქტის კონსტანტირების) შესაძლებლობას – ნამდვილად იძლევა.

როგორც მკვლევარები გვამცნობენ:

თეთრაულ-თეთრუაშვილებმა იციან, რომ ბუჩუკური მათი ადრინდელი გვარია და მათი წინაპარი, არაგვის ხეობის დაბლობში (არანისში), მთიულეთის სოფ. გვიდაქედან გადასახლდა.

თეთრუაშვილებიდან მოდიან სოფ. დილოში მცხოვრები თეთრადქეები და თეთრუაშვილები. ბუჩუკურობას ამბობენ:

- კახეთში, სოფ. იყალთოში მცხოვრები მრელაშვილები.
- მისაქციელში (მცხეთის რაიონი) მცხოვრები ლეკიშვილები.
- სოფ. ერნოში (თიანეთის რაიონი) მცხოვრები ბერელაშვილები, წინაკაშვილები და ხუზმიაშვილები.
- ტონჩაში (დუშეთის რაიონი) მცხოვრები როშნიაშვილები, ღარიბაშვილები, შალიკაშვილები, ლაგაზაშვილები, ჯანგირაშვილები და მითაიშვილები.
- სოფ. გრემისხევში (დუშეთის რაიონი) მცხოვრები ბუჩუნტელები.
- ქაისხევში (დუშეთის რაიონი) მცხოვრები ჯაბანაშვილები და ინაშვილები.
- წილკანში (მცხეთის რაიონი) მცხოვრები ამნიაშვილები...

გვიდაქე

მთიულეთის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს – ნაღვარევს გაღმა, მდ. გვიდაქეს ხეობაში, ზ.დ. 1360 მ-ზე.

1774 წელს ორ სოფლად, გვიდაქედ და დათვიანთკარად არის აღწერილი. ადგილობრივები წინა სოფლად და უკანა სოფლადაც მოიხსენიებდნენ. დღეს, ერთ დასახლებად, გვიდაქედ – მთიული ბუჩუკურების დედასოფელად მოიაზრება.

როგორც რ. თოფჩიშვილის მთხრობელი გვამცნობს: „ადრე გვიდაქეს ხეობაზე სხვა ხალხი მდგარა. რა გვარის ხალხი იყო, ამონყდნენ თუ გადასახლდნენ, არ ვიცი. თავისუფალი ყოფილა ეს ხეობა და (ბუჩუკურები) დასახლებულან. ქაშუიეთი ადრინდელი მოსახლეობის სალოცავი იყო და ჩემი წინაპრებიც ეყმნენ მას. მეზობელი სოფლიდან, ყველიანიდან, გაიგეს მათ, რომ ეს სალოცავი ქაშუეთია“.

მეორე გადმოცემის მიხედვით, ბუჩუკურებს „ხევსურეთიდანაც წამოუყვანიათ“ თავიანთი

სალოცავები – „კვირია“ და „მთავარანგელოზი“.

1774 წელს, დათვიანთკარში, აღირიცხა ქარჩაიძეების 2 და ბურჯუკურების 10 კომლი, კერძოდ:

1. ბურჯუკური ხიზანას შვილი ბერი, ხახილა, ნადირა და ხიზანა;
2. ბურჯუკური ბერის შვილი კაცია, ფადიაური და ივანე;
3. ბურჯუკური ზაზას შვილი ბერა, ხახუტელი და შიო.
4. ბურჯუკური ნიკოლას შვილი მარტია, მახარა, ელისბარ, გივი და ბურჯუკური;
5. ბურჯუკური ბერის შვილი ბეჟან, ხოსრო და ოთარა მსახური;
6. ბურჯუკური ქუმსის შვილი გიორგი;
7. ბურჯუკური ჯანუყოს შვილი ბეჟან, ივანე და ადამა;
8. ბურჯუკური ქუსლიას შვილი ბურჯუკური;
9. ბურჯუკური ბერის შვილი პატარკაცი და მახარა;
10. ბურჯუკური გელიას ობოლი ღვთისი;
11. ქარჩაიძე ლაზარეს შვილი დათუა და გიორგი;
12. ქარჩაიძე გიორგის შვილი ნასყიდა და ისე.

აღწერით მოხსენიებულ ბურჯუკურების კომლთა სქემატური გამოსახულებები წარმოდგენილია დანართზე № 1.

ამავე წელს, გვიდაქეში, ბურჯუკურების 10 კომლი დარეგისტრირდა:

1. ბურჯუკური გივის შვილი ადამ და იასე;
2. ბურჯუკური ზარიბეგის შვილი ვაჟიკა, ჯაბან, მარტია, ბეჟან და კაცია;
3. ბურჯუკური ზარიბეგის შვილი მგელა, ნიკოლა და პაპა;
4. ბურჯუკური ბეჟანის შვილი გივი, მათია და მამუკა;
5. ბურჯუკური გოჭის შვილი გოგია და ნიკოლა;
6. ბურჯუკური ფადიაურის შვილი ბაზიძე და დათუნა;
7. ბურჯუკური გიორგის შვილი ღვთისია;
8. ბურჯუკური პეტრეს შვილი გივი;
9. ბურჯუკური აბრამას შვილი დათვა და ნინია;
10. ბურჯუკური ამსაჯანას შვილი ბერი, ბურჯუკური, მახარა და ივანე.

მათი სქემატური გამოსახულებები წარმოდგენილია დანართზე № 2.

XIX ს-ის აღწერებში დათვიანთკარი აღარ ჩანს და ბურჯუკურების ორივე დასახლება გვიდაქედ მოიხსენიება.

1804 წელს, იქ, ბურჯუკურების 10 კომლის თავი აღრიცხეს:

1. შიო დათიას ძე ბურჯუკური 2. შიო კაციას ძე ბურჯუკური 3. გოგია ბურჯუკურის ძე ბურჯუკური 4. გოგია ხვთისოს ძე ბურჯუკური 5. ნანე პეტრეს ძე ბურჯუკური 6. პაპა შაგილას ძე ბურჯუკური 7. პაპა ბერას ძე ბურჯუკური 8. გივი შიოს ძე ბურჯუკური 9. გოგია მამუკას ძე ბურჯუკური და 10. საეკლესიო გლეხი, გიგოლა დავითის ძე ბურჯუკური (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1816 წელს, გვიდაქეში დარეგისტრირდა 12 კომლის თავი (მამისახელების გარეშე):

1. იოსებ ბურჯუკური 2. შიო ბურჯუკური 3. შიო დათვიანთკარი 4. შაშვია ბურჯუკური 5. ნინია ბურჯუკური 6. გოგია ბურჯუკური 7. შიო (II) ბურჯუკური 8. გოგია (II) ბურჯუკური 9. გივი ბურჯუკური 10. მახარობელ ბურჯუკური 11. ნინია (II) ბურჯუკური 12. ბერა ბურჯუკური (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

გვიდაქელი ბურჯუკურების მამამშვილობათა დიდი ნაწილი, ხსენიებული კომლის თავების საკუთარი სახელებიდან მოდის.

დათვიანთკარიდან (უკანა სოფლიდან, იგივე ქოჩიანიდან) მოდიან: – დათვიანი, შიოლიანი, ობოლანი, ქოჩიანი და შაშვიანი.

გვიდაქედან (წინა სოფლიდან) მოდიან – ქუშიანი, ოქვრიანი, ბერიანი, ბეჟანიანი-მამუკი-

ანი, უმცვრიანი, ბიჭუნაანი და ნადრიანი.

1774 წელს – ოქვრიანი და ქუშიანი, ალბათ, შეცდომით, დათვიანთკარელებად მოიხსენიებიან; შაშვიანი კი – გვიდაქელებად.

ხალხური მეხსიერების თანახმად, ერთმანეთის ადრე განაყრები არიან:

ქუშიანი და ოქვრიანი;

ბერიენი და მამუკიან-ბეჟანიანი;

დათვიანი და შაშვიანი;

უმცვრიანი, ბიჭუნაანი და ნადრიანი.

1831 წლის აღწერით, გვიდაქეში დარეგისტრირდა ბურჟუკურების 14 კომლი (იხ. დანართი № 9).

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, 1774 წელს, გვიდაქე-დათვიანთკარში აღწერილი ბურჟუკურების 20 კომლიდან – 1831 წელს (ანუ, 57 წლის შემდეგ), ორივე დასახლებაში ერთად – ბურჟუკურების მხოლოდ 14 კომლი აღირიცხა.

ამავე (1831) წელს, მოხნიან-ქიმბარაანში ერთად, ბურჟუკურების 17 კომლი სახლობდა.

გვიდაქეში კომლთა რაოდენობის კლება შეიმჩნევა – ქიმბარაანში მატება.

*

1831 წლამდე, გვიდაქელი ბურჟუკურების კომლთა ურთიერთდაკავშირება, სოფ. ლაკათხევის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის ჩანაწერების გათვალისწინებითაც კი (იხ. დანართი № 17) – საკმაოდ რთული, შრომატევადი და, უმეტეს შემთხვევაში, უპერსპექტივო გამოდგა.

1860 წლის აღწერით, „გვიდაქეს“, ბურჟუკურების 22 კომლი სახლობდა (იხ. დანართი № 10).

1873 წლის აღწერით – 21 კომლი, 78 მამაკაცი და 65 ქალი (იხ. დანართი № 11).

თვალშისაცემია, რომ 1873 წლის აღწერი, თავისი მონაცემების 1860 წლის მონაცემებთან დაკავშირებას (21-დან) მხოლოდ 10 შემთხვევაში ახერხებს: – № 3, № 4, № 10, № 11, № 12, № 13, № 15, № 16, № 20 და № 21 კომლები.

11 შემთხვევაში: – № 1, № 2, № 5, № 6, № 7, № 8, № 9, № 14, № 17, № 18 და № 19 კომლები – კავშირის დამყარება ვერ ხერხდება.

1873 წლის № 7 კომლს, ივანე ივანეს ძეს, შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს, სოფ. ლაკათხევის წმინდა თომა მოციქულის სახელობის საეკლესიო ჩანაწერებში, 1865 წელს, მოხსენიებულ – ივანე ივანეს ძე ბურჟუკურთან (იხ. დანართი № 17).

1886 წელს, გვიდაქეში აღწერილ იქნა ბურჟუკურების 24 კომლი, 89 მამაკაცი და 72 ქალი (იხ. დანართი № 12).

24 კომლი დარეგისტრირდა 1926 წელსაც – 68 მამაკაცი და 87 ქალი, სულ 155 სული.

*

წარმოდგენილი დოკუმენტების და ეთნოგრაფიული კვლევების საფუძველზე, 1831 წლიდან დღემდე, შესაძლებელი ხდება გვიდაქელი ბურჟუკურების კომლთა ურთიერთდაკავშირება და მათი საგვარეულო ხის სქემატური გამოსახვა.

მივყვეთ, თანამიმდევრობით, დანართი № 13-ის შესაბამისად:

1831 წლის № 1 კომლი, ნინია ადიას ძე (შაშვიანთა მამაშვილობა) მათი ობოლი ნათესავების (ანდრეის და დავითის) საშუალებით უკავშირდება 1860 წლის № 14 და № 15 კომლებს.

1860 წელს დგინდება, რომ ობლების მამის სახელი – კაციაა.

1886 წლის აღწერის მონაცემებით, ანდრიას შტო საცხოვრებლად ვლადიკავკაზის ოკ-

რუგში გადადის. დავითის შტო გვიდაქეში რჩება.

1831 წელს გვიდაქეს – № 1-ის, № 6-ის და № 13 კომლების შემადგენლობა საფუძველს იძლევა დავადგინოთ, რომ ისინი ერთმანეთის განაყრები არიან და მათი საერთო სახელწოდებაა – „შაშვიანი“.

*

1831 წლის № 2 კომლი (შიოლიან-ობოლან-ქოჩიანთა მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 1 (კაცია შიოს ძის) და № 17-ს (გიორგი ბერის ძეს) კომლებს; 1873 წელს № 21-ს (შიო კაციას ძეს, და № 1-ს, გლახა გიორგის ძეს); 1886 წლის № 1-ს, № 19-ს და № 20 კომლებს (გლახა გიორგის ძეს, შიო კაციას ძეს და თევდორე ნინიას ძეს). იხ. დანართი № 13-1, კომლი № 2.

გვიდაქელი და ქიმბარიანელი შიოლანი, როგორც უკვე აღვნიშნე, საერთო წინაპრიდან – 1774 წელს, დათვიანთკარში, აღწერილი № 3 კომლიდან უნდა მოდიოდნენ (სადაც ზაზა ბურჯუყურის შვილებად მოიხსენიებულია: – ბერა, ხახუტელი და შიო).

აღნიშნული თეზისით, შიოდან მოდიან გვიდაქელი, ხოლო ხახუტელისგან – ქიმბარიანთკარელი შიოლანი (იხ. დანართი № 7-2, კომლი № 6).

შიოლანი და ქიმბარიანთკარელი ლაგაზიანიც, დიდი ალბათობით, უფრო ადრე განაყრები არიან.

1873 წლის აღწერით (გვიდაქეს № 21 კომლში) მოხსენიებული შიოლანთ ივანე, გამორიცხული არ არის, რომ ქიმბარიანის ლაგაზიანთ უბანში, თავის სახლიკაცებთან გადასახლდა (იხ. დანართი № 7-2, ქიმბარიანის № 5 კომლი, ლაგაზიანთ მამაშვილობა).

შიოლანთ ახლო განაყრები არიან – ობოლანი. ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დაობლებული ნათესავეები, სწორედ, შიოლიანთ შეიკედლეს.

1860 წელს დგინდება, რომ ობოლანთ ბიძაშვილის, ბერის, მამის სახელი – გიორგია.

ხალხური მეხსიერების მიხედვით, ობოლანთ ერთი შტო, შირაქში, ზემო ქედში, გადავიდა საცხოვრებლად.

ისინი, გვიდაქეს 1886 წლის № 2 კომლში მოხსენიებული თევდორედან მოდიან. მათივე განაყარი უნდა იყოს ამავე სოფელში მცხოვრები ობოლანის მეორე მამაშვილობაც (იხ. „შირ-აქელი ბურჯუყურები“).

შიოლიანთ განაყარები არიან ქოჩიანიც. ისინი შიოს (შიოლიანთ პატრონიმის) ბიძაშვილ-დან, ნინიადან, მოდიან (იხ. დანართი № 13-1, 1860 წლის კომლი № 1).

ნინიას სამი ვაჟი ყავდა: ბესარიონი (ბერა), გიორგი და პავლე.

ქოჩიანთ ბურჯუყურების ამ შტოს, დედის მხრიდან, ახლო ნათესაობა აკავშირებს ქიმბარიანთკარელ თეკლიანთან.

ქოჩიანის ერთი შტო არხილოსკალოში სახლობს.

ძირითად საგვარეულო ხესთან მათ დასაკავშირებლად, სამწუხაროდ, საჭირო ინფორმაციის მოპოვება – ვერ შევძელი.

*

1831 წლის № 3 კომლი (გლახა ნინიას ძე), 1860 წელს უკავშირდება № 20 კომლს (გივი გლახას ძეს).

შემდგომში, ეს შტო მათი ნათესავეების (გამიხარდის, შიოს და ნინიას) მეშვეობით გრძელდება. 1873 წელს უკავშირდება № 17, ხოლო 1886 წელს № 15 (გამიხარდი ივანეს ძის) კომლებს.

1873 წლის აღწერის მიხედვით, მათი მამის სახელი ივანეა.

ვერ დგინდება, რომელ მამაშვილობას ეკუთვნიან. უცნობია მათი შემდგომი ბედიც.

*

1831 წლის № 4 კომლი, შიო დავითის ძე (დათვიანის მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 10 კომლს (ნინია შიოს ძეს); 1873 წელს № 2-ს (ივანე პეტრეს ძეს); 1886 წელს, ასევე, № 2-ს (ივანე პეტრეს ძეს).

მათი შთამომავლები, ამჟამად – ნალვარევში, დაბა ჟინვალში, თბილისსა და მაგადაში სახლობენ.

დათვიანის საგვარეულო ხის სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 13-2 (კომლი № 4).

*

1831 წლის № 5 კომლი, გოგია დავითის ძე, 1860 წლის უკავშირდება № 11 კომლს, გლახა დავითის ძეს.

1774 წელს გვიდაქეში აღწერილი № 9 კომლიდან უნდა მოდიოდნენ (სადაც ბუჩუკური აბრამას შვილებად მოხსენიებულია – დათვა და ნინია).

დიდი ალბათობით, დათვიანის განაყრები არიან.

XIX ს-ის მომდევნო აღწერების თანახმად, ბულაჩაურში არიან საცხოვრებლად გადასულები (იხ. „ბულაჩაურელი ბუჩუკურები“, კომლი № 2).

*

1831 წლის № 6 კომლი (შაშვიანთა მამაშვილობა), 1860 წლის უკავშირდება № 2-ს (ნინია გოგიას ძეს) და № 3-ს (შიო გოგიას ძის) კომლებს.

აღმწერი მას 1860 წლის № 19 კომლთანაც აკავშირებს (გიგოლა გლახას ძესთან), რაც საკმაოდ საეჭვოა:

1831 წელს, 8 წლის ასაკში მყოფ გლახას, რომელიც 1860 წელს 37 წლის იქნებოდა, ვერ ეყოლებოდა 44 წლის გიგოლა. № 19 კომლი, მეტი ალბათობით, ბერიენის უნდა იყოს.

1860 წლის № 2 კომლი (ნინია გოგიას ძე), წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, 1873 წლიდან, ბულაჩაურში გადადის საცხოვრებლად (იხ. „ბულაჩაურელი ბუჩუკურები“, კომლი № 3). იქიდან მათი კვალი იკარგება.

1860 წლის № 3 კომლი (შიო გოგიას ძე) გვიდაქეში რჩება. 1886 წლის შემდგომ, № 22 კომლიდან (ანდრეი-მანძულას შვილებიდან), მას გამოეყოფა შიოს და ივანეს შტო, რომელიც არხილოსკალოში გადადის საცხოვრებლად (იხ. შირაქელი ბუჩუკურები).

როგორც უკვე აღვნიშნე, 1831 წლის გვიდაქეს სამი კომლის: – № 1-ის, № 6-ის და № 13-ის შემადგენლობა, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთმანეთის ახლო განაყრები არიან და მათი საერთო სახელწოდებაა – „შაშვიანი“.

1831 წლის გვიდაქეს № 6 კომლის საგვარეულო ხის სავარაუდო სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 13-2.

*

1831 წლის № 7 კომლი, გლახა ბერის ძე (ბერიენის მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 12 კომლს, გიორგი ივანეს ძეს და № 19-ს, გიგოლა გლახას ძეს (რომელსაც აღმწერი შაშვიანის № 6 კომლთან აკავშირებს); 1873 წელს, № 7 კომლი უკავშირდება № 16-ს, გოგია გივის ძეს და № 20-ს, გიორგი ივანეს ძეს კომლებს.

1873 წლის აღწერით, აღნიშნულ კომლში, ორი – ერთი ასაკის, მაგრამ კომლთა განსხვავებული შემადგენლობის გიორგი ივანეს ძე ჩნდება (№ 19 და № 20). ვფიქრობ, მექანიკური შეცდომაა. № 20 (შებრუნებით) – ივანე გიორგის ძე უნდა იყოს, რაც სრულ თანხვედრაში

მოდის, მისგან მომდინარე, 1886 წელს № 24 კომლთან.

შესწორება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ბერიანთა საგვარეულო ხის შესადგენად, № 20 კომლში მოხსენიებული ივანე გიორგის ძე – საკვანძო ფიგურაა:

მას, საარქივო დოკუმენტების თანახმად, ორი ძმა ჰყავდა: – იაკობი და სვიმონი (სცსსა, აღწ. III, ფ. 254, დოკ. 1798). ხალხური მეხსიერების მიხედვით კი, ოთხი: – გიორგი, დავითი, ფილიპე და ნინია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ივანე გიორგის ძეს, 1886 წლის შემდეგ, კიდევ ოთხი ძმა შეეძინა (რაც გამორიცხული არ არის); ან, აღწერებით დაფიქსირებულ იაკობ-აკოფას და სიმონს, ორორი – საერო და საეკლესიო (ნათლობის და მოქმედი) სახელები ჰქონოდათ.

ანუ, არც ის არის გამორიცხული, რომ იაკობი და სიმონი, იგივე დავითი და ფილიპე, ან გიორგი და ნინია იყოს.

1873 წლის აღწერის თანახმად, 1831 წელს № 7 კომლში მოხსენიებულ გლახას ბიძაშვილს, გიორგის, ჰყავდა ძმა – გივი, ვისგანაც ბერიენის კიდევ რამდენიმე შტო მოდის. ერთი, მათ შორის, 1886 წლის № 17 კომლიდან (ლადოს ოჯახი) ვლადიკავკაზის ოკრუგში გადავიდა საცხოვრებლად, სვიმონი და შალიკო – გვიდაქეში დარჩნენ.

ბერიენის ერთი შტო, 1886 წლის № 16 კომლიდან (გივი გიგოს ძე) არხილოსკალოში გადასახლდა (იხ. „შირაქელი ბურჟუაზები“).

1831 წლის გვიდაქეს № 7 კომლის საგვარეულო ხის სავარაუდო სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 13-3.

*

1831 წლის № 8 კომლს, შიო ბიჭილას ძეს (ალბათ, ბიჭუნას ძეს, ბიჭუნაანის მამაშვილობას) აღმწერი, 1860 წელს, № 7 კომლთან, შიო ბეჟანის ძესთან, აკავშირებს. 1873 წელს, იგივე კომლი უკავშირდება № 10-ს, ბეჟან შიოს ძეს; 1886 წელს – № 9-ს, დათუნა გიორგის ძეს.

ასეთი მოცემულობით, ბიჭილა (ბიჭუნა) და ბეჟანი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს (ალბათ – საერო და ნათლობის სახელებით).

თვალშისაცემია აღწერის ხარვეზიც:

ბეჟანის და გიორგის ასაკები 1860 და 1873 წლებში – ერთი და იგივეა.

გვარის უხუცესების ცნობით, XX ს-ის 60-იან წლებში, დავით ბურჟუაზი გვიდაქედან ქიშპარიანში გადავიდა საცხოვრებლად; მათე – ფასანაურში.

1831 წლის გვიდაქეს № 8 კომლის საგვარეულო ხის სავარაუდო სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 13-4.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად: – ბიჭუნაანი, უმცვრიანი და ნადირანი ერთმანეთის ადრე განაყარები არიან.

*

1831 წლის № 9 კომლი, გოგია საჩილას ძე (ბეჟანიან-მამუკიანის მამაშვილობა), 1860 წელს უკავშირდება № 8 და № 9 კომლებს – გიორგი გოგიას ძეს და მამუკა გიგოს ძეს; 1873 წელს № 11-ს და № 15-ს – მამუკა გოგის ძეს და გლახა გიგოს ძეს; 1886 წელს № 10 და № 21 კომლებს – მამუკა გოგიას ძეს და გლახა გოგის ძეს.

აღნიშნული მამაშვილობა შესაძლებელია, 1774 წელს, გვიდაქეში აღწერილი № 4 კომლიდან მოდიოდეს, სადაც ბეჟან ბურჟუაზის შვილებად სახელდებიან: – გივი, მათია და მამუკა.

გვარის უხუცესების ცნობით, ბერიენი და ბეჟანიან-მამუკიანი – ერთმანეთის ადრე განაყარები არიან.

ლაკათხევის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის ჩანაწერებში, 1804 წელს, მოხსენიებულია გვიდაქელი – გოგია მამუკას ძე და პაპა ბერას ძე ბურჟუაზები (იხ. დანართი № 17).

1831 წლის გვიდაქეს № 9 კომლის საგვარეულო ხის სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 13-4.

გვიდაქელთა მეხსიერებას შემორჩა, გამორჩეული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე მთიელის, ალექსი ბურუკურის, სახელი. მისმა შვილიშვილმა, დედუღეთზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცმა, გიორგი გოგოლაძემ, დიდი დახმარება გამინია ჩემს ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში. გიოს თანადგომის გარეშე, საქმის ამ დონემდე მოყვანასაც – ვერ შევძლებდი.

*

1831 წლის № 10 (ოქვრიან-მახრიან-ქუშიანის) კომლიდან მოდის ორი (პაპიას და შიოს) მამაშვილობა (1860 წელს ირკვევა, რომ პაპიას ყავდა ძმა, მისი ვაჟის თანამოსახელე – შიო).

№ 10 კომლი, 1860 წელს, უკავშირდება სამ კომლს: № 4-ს (გლახა სიხარულის ძეს), № 5-ს (სიხარულა შიოს ძეს) და № 6-ს (ბეჟან მახარეს ძეს).

მათგან გვიდაქელი ბურუკურების სამი შტო მოდის:

№ 4 კომლიდან – პაპიას ძმის, შიოს (უფროსი სიხარულას შტო), ვისგანაც ქუშიენი მოდის: – 1860 წლის № 4 კომლი; 1831 წლის № 12 კომლიდან მომდინარე – ელიზბარიანი და ჩინთში წასული, მარტიას შვილები (იხ. დანართი № 14, ჩინთელი ქუშიეთ-ბურუკურები).

აღსანიშნავია, რომ, 1831 წელს, № 10 კომლში აღწერილი ოქვრიანთ ბიძაშვილებიდან, 1860 წლის № 4 კომლში – გლახა და დათა, ქუშიეთ უფროსი სიხარულას შვილებად მოიხსენიებიან.

1860 წლის № 5 კომლიდან – პაპიას შვილის, შიოს (უმცროსი სიხარულას) შტო მოდის. მისგან – ბულაჩაურში, აბანოსხევში, მისაქციელსა და ჭოპორტში წასული ოქვრიანი მოდის.

აღწერის მინაწერის თანახმად, უმცროსი სიხარულას კომლი (დავითი, ანდრია და გიორგი) სოფ. პავლეურში გადადის საცხოვრებლად. 1859 წლის აღწერით, ისინი პავლეურში მართლაც ჩანან (37 წლის შიო, 10 წლის გლახა, 6 წლის დავითი და 2 წლის ანდრია. სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 2124), მაგრამ, უფრო მოგვიანებით, ბულაჩაურში, ძაგნაკორასა და ჭოპორტში გადადიან საცხოვრებლად (იხ. „ბულაჩაურელი ბურუკურები“).

1860 წლის № 6 კომლიდან პაპიას მეორე ვაჟის, მახარობლის, შტო მოდის. მისგან გვიდაქეში დარჩენილი ოქვრიანი, მათი განაყრი მახრიანი და ქვეით ოქვრიანი მოდის, რომლებმაც, ქვეით ბერიენტან ერთად, გვიდაქეში, ახალი დასახლებები დააფუძნეს (იხ. დანართი № 16).

1804 წლის აღწერით მოხსენიებული პაპა შაგილას ძე ბურუკურის შთამომავლები, 1873 წლის № 13 კომლს (ბეჟან მახარეს ძე ბურუკურს, ანუ, მახრიანის მამაშვილობას) უკავშირდებიან.

შაგილას (ქვეით ოქვრიანის) განაყრების სქემატური გამოსახულება იხ. დანართზე №15.

ოქვრიანი და ქუშიანი გვიდაქეს ძირძველი მცხოვრებნი არიან, მაგრამ, აღწერათა მონაცემებით, თითქმის უტყუარად უკავშირდებიან, 1774 წელს, დათვიანთკარში აღწერილ № 4 კომლს, ნიკოლას შვილებს: – მარტიას, მახარას, ელიზბარს და გივის – რომლებიც, შემდგომში, ოქვრიან-ქუშიანის დამოუკიდებელ შტოებს ქმნიან.

აღბათ, აღმწერის შეცდომაა.

შაშვიანი – დათვიანთკარის ნაცვლად, გვიდაქელებად არიან მოხსენიებულნი.

ქუშიეთ კომლის სახელწოდება, როგორც გვარის უზუცესები გვამცნობენ, მათი პატრონიმის – ქუში (პირქუში) გამომეტყველების შესაბამისად მოდის.

გაურკვეველია ოქვრიანის სახელდების საფუძველი.

ამ სახელის მატარებელი პიროვნება არ ჩანს.

ოქვრიან-მახრიანის რამდენიმე კომლი შირაქში (არხილოსკალოში) სახლობს. მათი სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე №15.

*

1831 წლის № 11 კომლის (პირობითად, ადამანის) ძირითადი შტო 1886 წლამდე აღწევს. მათი შემდგომი ბედი უცნობია. მეკომურთა ასაკის გათვალისწინებით (ბერი, დავითი, გიორგი, მოსე) შესაძლებელია, რომ ჩვენამდე აღწევდნენ.

ქიმბარიანთკარელ ადამანთან – კავშირი არა აქვთ.
ბურჯუყურების ორი დამოუკიდებელი შტოა.

*

1831 წლის № 12 კომლი (ნინია ელიზბარის ძე), როგორც უკვე აღვნიშნე, ქუშიანთ განაყარია (იხ. დანართი № 14 და „ჩინთელი ბურჯუყურები“).

*

1831 წლის № 13 კომლი (შაშვია ბურჯუყური), ამავე წელს აღწერილი № 1 და № 6 კომლების ახლო განაყარია. მათი საერთო სახელწოდებაა – „შაშვიანი“.

*

1831 წლის № 14 კომლი, ყოფილი საეკლესიო გლეხები (უმცვრიან-ნადირანის მამაშვილობა) 1860 წელს უკავშირდება № 18 კომლს (გოგია გივის ძეს), № 21-ს (გლახა ბერის ძეს) და № 22-ს (დავით გივის ძეს). 1873 წელს – № 8-ს (გლახა ბერის ძეს), № 5-ს (გოგია დავითის ძეს), № 6-ს (გრიგოლ გივის ძეს) და № 18-ს (თევდორე გივის ძეს). 1886 წელს – № 7-ს (გოგია გლახას ძეს), № 5-ს (კიკოლა დავითის ძეს), № 6-ს (გრიგოლ გივის ძეს) და № 18-ს (თევდორე გივის ძეს).

1860 წელს დგინდება, რომ (უმცვრიანთ ბიძაშვილების) დათუნას (დავითის) და გივის მშობლები (გივი და კიკოლა – ნადრიანთ წინაპრები) – ძმები იყვნენ, ანუ, 1831 წელს აღწერილი (42 წლის) უმცვრიანთ ბერის მამის, გოგიას, ძმები.

მათი საგვარეულო ხის სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 13-6, კომლი № 14.

არხილოსკალოში მცხოვრები ნადრიანთ განაყურების ძირითად საგვარეულო ხესთან დასაკავშირებლად, საჭირო ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელი.

*

XIX ს-ის II ნახევარში, გვიდაქედან მოსახლეობის შესამჩნევი გადინება დაიწყო. გააქტიურდა მიგრაციული პროცესები.

1886 წელს ვლადიკავკაზში წავიდა 4 კომლი:

1. გაბრიელ ანდრიას ძე ბურჯუყური (იხ. 1831 წლის № 1 და 1886 წლის № 4 კომლი, შაშვიანი);
2. თევდორე ნინიას ძე ბურჯუყური (იხ. 1831 წლის № 2 და 1886 წლის № 20 კომლი, შიოლიანი);
3. გოგია გლახას ძე ბურჯუყური (იხ. 1831 წლის № 7 და 1886 წლის № 17 კომლი, ბერიენი);
4. ბურჯუყური ივანე ივანეს ძე და მისი შვილები: სოსია, ადამა და გლახა (იხ. 1886 წლის აღწერის № 8 კომლი).

ვლადიკავკაზში გადასახლდა ოქრიანთ მამაშვილობის ერთი შტოც.

ნადრიანთ კომობიდან ქიმბარიანში დასახლდა – ბურჯუყური ავთო.

ბერიანთ ალექსის შვილებიდან (1831 წლის აღწერის № 7 კომლი) – სიმონა არახვეთში გადასახლდა, შალიკო ქვეშეთში.

ობოლანთ ნინიას შვილებიდან (1831 წლის № 2 კომლი) – გიორგი, ქიმბარიანში ჩამოსახლდა, ვასიკო თბილისში, ლადოს შთამომავლობა – ნალვარევში.

ბიჭუნაანთ მამაშვილობიდან (1831 წლის აღწერის № 8 კომლი) – დავითი ქვეშეთში წავიდა, მათე – ფასანაურში.

არახვეთში დასახლდა ქოჩიანთ განაყარი, კოლა და მისი შვილი ჯიმშერი (1831 წლის გვიდაქეს № 2 კომლი).

სერიოზული მიგრაცია მოხდა შირაქში, ჟინვალში, ჩინთში, ბულაჩაურში (ძაგნაკორასა და აბანისხევში), ჭოპორტში, ფასანაურში – უფრო მოგვიანებით კი, თბილისსა და რუსთავში.

თბილისში ბურჟუაზიების, თითქმის, ყველა მამაშვილობის წარმომადგენლები სახლობენ. 1998 წლის სატელეფონო ცნობარით, სრულიად ბურჟუაზიების ასამდე აბონენტია დარეგისტრირებული.

რუსთავში სახლობენ: – ნადრიანი, შაშვიანი, ხიზანიანი, თადიანი, გელიანი, ქურციკიანი-ქიტესაანი და სხვ.

შირაქელი ბურჟუაზიები

მთიული ბურჟუაზიების ერთ-ერთი სერიოზული მიგრაცია შირაქში (არხილოსკალოსა და ზემო ქედში) მოხდა. არხილოსკალოში დასახლდნენ:


- ქიმბარიანთკარელი აბრამიანი;
- გვიდაქელი: – შაშვიანი, ბერიანი, ოქვრიანი, ნადრიანი და ქოჩიანი.

1886 წლის გვიდაქეს № 22 კომლიდან, შირაქში, ანდრეი-მანძულას შვილები წავიდნენ – შიო და ივანე (იხ. დანართი № 13-2, 1831 წლის № 6 კომლი, შაშვიანი). დღევანდელი მონაცემებით არხილოსკალოელი შაშვიანის საგვარეულო ხემ – ასეთი სახე მიიღო:



შირაქელი ბერიანი, სავარაუდოდ, 1886 წელს გვიდაქეში აღწერილი № 16 კომლიდან, გივი გოგის ძედან, მოდიან (იხ. დანართი № 13-3, 1831 წლის № 7 კომლი). ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, არხილოსკალოში იობას მამაშვილობა დასახლდა. 7 წლის ყოფილა იგი, როცა მშობლებს, 1917 წელს, არხილოსკალოში ჩაუყვანიათ.

დღევანდელი მონაცემებით, მათი საგვარეულო ხე ასეთ სახედს იღებს:




ზემოაღნიშნული კომლის განაყარი უნდა იყოს, ამავე სოფელში მცხოვრები ბერიანის მეორე მამაშვილობაც (ალექსი, შოთა, ზურა).

შირაქელი ოქრიან-მახრიანი 1886 წელს გვიდაქეში აღწერილი №13 კომლიდან, პაპი მახარობლის ძის ნათესავიდან, სვიმონიდან, მოდიან (იხ. დანართები №13-5 და №15).

არხილოსკალოში წასული დანარჩენი ბუჩუკურების (ოქვრიანთ ნაწილის, ნადრიანის და ქოჩიანის) ძირითად საგვარეულო ხესთან დასაკავშირებლად, საჭირო ინფორმაციის მოპოვება – ვერ შევძელი.

ქიმბარიანის 1886 წლის № 6 კომლიდან შირაქში აბრამიანთ გიორგი წასულა (იხ. დანართი № 7-4, 1831 წლის № 12 კომლი, მახარიან-აბრამიანი).


მათი საგვარეულო ხე დღევანდელი მდგომარეობით ასეთ სახეს იღებს:



ზემო ქედში სახლობენ: – გვიდაქელი ობოლანი, ზემო მაჩხაანიდან გადმოსახლებული (ძირად ქიმბარიანთკარელი) წუნრიანი და დგნალიდან მისული ქიტესაანი (ანუ, ძირად ქიმბარიანთკარელი ქურციკიანი).

ობოლანი, 1886 წელს გვიდაქეს № 1 კომლში მოხსენიებული თევდორედან მოდიან (იხ. დანართი № 13-1, 1831 წლის № 2 კომლი, შიოლიანი და ობოლანი).

მათი საგვარეულო ხე, დღევანდელი მდგომარეობით, ასეთია:




ზემოაღნიშნული კომლის განაყარი უნდა იყოს, ამავე სოფელში მცხოვრები ობოლანის მეორე მამაშვილობაც.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქიმბარიანთკარელი წუნრიანის ერთი შტო, ზემო მაჩხაანში გადავიდა საცხოვრებლად. კომლის თავს ერქვა გაბრიელი. მოგვიანებით, მათი ორი კომლი ზემო ქედში გადასახლდა, ორი – ზემო მაჩხაანში დარჩა.

გაბრიელი, 1831 წელს, ქიმბარიანში აღწერილი № 5 კომლიდან, წუნრიანთ განაყარი – ბერის შვილი ივანედან უნდა მოდიოდეს (იხ. დანართი № 7-2, 1831 წლის № 5 და 1886 წელს № 18 კომლი).

ზემომაჩხაანელი და ზემოქედელი წუნრიანის საგვარეულო ხე დღევანდელი მონაცემებით ასეთია:



ზემო ქედში სახლობენ აგრეთვე დგნალიდან მისული ქურციკიანთ ბურჟუკურები-ქიტე-საანთ დათას მამაშვილობა (იხ. დანართი № 7-1, 1831 წლის ქიმბარიანის № 4 კომლი და დანართი № 8).

ძველი ჟინვალელი ბურჟუკურები

1804 წლის აღწერით ჟინვალში მოხსენიებულია გოგია ივანეს ძე ბურჟუკური (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77).

1821 წელს გოგია ივანეს შვილი ბურჟუკური; მისი ვაჟი, ივანე; გოგიას ძმები – გრიგოლი და ხოსრო (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 689).

1831 წელს, აღნიშნულ დასახლებაში, დარეგისტრირებულია 3 კომლი:

ივანე გოგიას ძე ბურჟუკური, 25 წლის; მისი შვილი, დიმიტრი, 3 წლის.

გრიგოლ ბურჟუკურის ქვრივი, მარინე, 40 წლის, ორი ქალიშვილით. ამავე კომლშია აღწერილი ხოსრო ბურჟუკურის ქვრივი, 35 წლის მარინე და მათი 6 წლის გლახა.

75 წლის ასაკში გარდაცვლილი ჯარია ივანეს ძე ბურჟუკურის შვილი, 17 წლის გიორგი (სცსსა ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 1250).

1843 წლის აღწერით მოხსენიებულია 18 წლის გლახა ხოსროს შვილი ბურჟუკური (სცსსა ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 2126).

ამის შემდგომ ძველი ჟინვალელი ბურჟუკურების კვალი იკარგება.

1873 და 1886 წ.წ. აღწერების თანახმად, ბურჟუკურების არც ერთი კომლი იქ აღარ ცხოვრობს.

ჩინთელი ბურჟუკურები (ქუშიენი)

1831 წლის გვიდაქეს აღწერით № 12 კომლში (ელისბარიანი) მოხსენიებულია ნინია ელიზბარის ძე ბურჟუკური და მისი 27 წლის ძმა – ბეჟანი; ნინიას შვილები: – გიორგი, 6 წლის; იასე

– 3 წლის.

აღნიშნული კომლი (№12) დგინდება, რომ ამავე აღწერის № 10 კომლის (ქუშიან-ოქვრიანის) განაყარია.

ამავე წელს, სოფ. ჩინთში, აღრიცხულია ელიზბარ ბუჩუკურის ქვრივი, 55 წლის ხორეშანი და მისი შვილები: – ივანე 30 წლის; იასე 25 წლის, ქიტესა 23 წლის. ივანეს შვილი – ელიზბარი 6 წლის; იასეს – შიო 5 წლის, რამაზი 1 წლის. მითითებულია, რომ გვიდაქედან არიან მოსულები (სცსსა, ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 1250).

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდში, ელიზბარ ბუჩუკურის ორი ვაჟი (ნინია და ბეჟანი) გვიდაქეში ცხოვრობს; სამი (ივანე, იასე და ქიტესა) – ჩინთში. ასეთ ფაქტს ხალხური მეხსიერებაც ადასტურებს. როგორც გვარის უხუცესები გვამცნობენ: – გვიდაქედან ჩინთში მისულა 3 ძმა. ისინი ჯერ „ჩაკირულებში“ დასახლებულან, მერე, მოგვიანებით, გადასულან არაგვის პირას.

1860 წელს, ჩინთში, ბუჩუკურების 4 კომლია აღრიცხული (სცსსა ფ. 254, აღწ. მეორე, დოკ. 236 და 1859 წლის აღწერის 2124):

1. შიო იასეს ძე ბუჩუკური, 35 წლის; მისი შვილები: სვიმონი 10 წლის; იოსები 2 წლის. შიოს ძმა რამაზა 30 წლის; მისი შვილი იოსები 3 წლის. შიოს მეორე ძმა მალხაზა (მელიქა) 26 წლის; მისი შვილი სოლომონი 2 წლის.
2. ელიზბარ ივანეს ძე ბუჩუკური 32 წლის; მისი შვილები: სვიმონი 8 წლის. ივანე 6 წლის.
3. დავით მარტიას ძე ბუჩუკური 28 წლის; მისი შვილი ალექსანდრე 2 წლის.
4. გაბრიელ მარტიას ძე ბუჩუკური 6 წლის.

წარმოდგენილი კომლებიდან – ორი: შიო იასეს ძე და ელიზბარ ივანეს ძე – გვიდაქეში 1831 წელს აღწერილი № 12 კომლის, ელისბარიანის, განაყარია. მომდევნო ორი კი (დავით მარტიას ძე და გაბრიელ მარტიას ძე), 1774 წელს დათვიანთკარში აღწერილი № 4 კომლის მარტიადან მოდის და ისინიც ელიზბარიანთა განაყრები არიან.

1831 წლიდან მარტიას შტო გვიდაქე-დათვიანთკარში აღარ ჩანს.

ჩინთში – 1860 წლიდან ჩნდება.

გამორიცხული არ არის, რომ ისინი, ჩინთში, თავიანთ სახლიკაცებზე გვიან მივიდნენ.

1886 წელს, აღნიშნულ სოფელში, ბუჩუკურების 6 კომლია დარეგისტრირებული (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1826): –

1. ბუჩუკური შიო იასეს ძე 61 წლის; მისი შვილიშვილი მიხა 6 წლის.
2. ბუჩუკური რამაზ იასეს ძე 56 წლის; მისი შვილები: იოსები 28 წლის; ზაქარია 25 წლის.
3. ბუჩუკური მიხეილ იასეს ძე 56 წლის; მისი შვილები: სოლომონი 28 წლის; ივანე 16 წლის; იოსები 8 წლის.
4. ბუჩუკური სიმონ ელიზბარის ძე 34 წლის; მისი ძმა ისაკი 20 წლის; სიმონის ნათესავი მოსე 8 წლის; სვიმონის შვილი ღვთისო 5 წლის.
5. ბუჩუკური ალექსანდრე დავითის ძე 28 წლის; მისი ძმები: იობი 20 წლის; ბესარიონი 16 წლის.
6. ბუჩუკური გაბრიელ მარტიას ძე 30 წლის; მისი შვილი მარტია 3 წლის.

მათი საგვარეულო ხის სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 14.

ბულაჩაურელი (დაგნაკორელი და აბანოსხვეელი) ბურჟუკურები

დღევანდელი ლაფანანთკარის თემის საკრებულოს სოფლები – მალრანი, მნითურები, ქერიანთკარი, ზემოუბანი და სხვ. – ისტორიული დაგნაკორას ტერიტორიაზე მდებარეობენ.

აღნიშნულ გეოგრაფიულ პუნქტს მემატინე, 1292-1310 წ.წ-ში მოიხსენიებს – როცა მეფე დავით VI, ქსნის ერისთავ შალვას, სხვა მამულებთან ერთად, უმტკიცებს ადგილ „დაღნაკორანანს“.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის სააქტო ჩანაწერების თანახმად, XV ს-ის დასაწყისში, ალექსანდრე I-ის ვაჟი, ვახტანგი, ვინმე ურდოველს და მის შვილს, ვირშელს – მათი გვარის სხვა კუთვნილებებთან ერთად – სიგელით დაგნაკორასაც უსაკუთრებს.

აღნიშნულ დასახლებას ვახუშტი ბატონიშვილი თიანეთის სოფლების ჩამონათვალში მოიხსენიებს.

პლ. იოსელიანის ცნობით: – XIX ს-ის 70-იან წლებში უკვე დანგრეული და დაცარიელებული – დაგნაკორას მალალ მთაზე მდებარე სოფლიდან, მოგონებებია შემორჩენილი, დავით აღმაშენებლის პერიოდში (1089-1125 წ.წ.) მოღვაწე – დაგნაკორელი პოეტის შესახებ.

XIX ს-ის აღწერებში, დაგნაკორა და ბულაჩაური, ზოგჯერ, ერთმანეთთან არის გაიგივებული. შესაბამისად, იქ მცხოვრები ბურჟუკურებიც ხან ბულაჩაურში სახელდებიან, ხან – დაგნაკორაში.

1831 წლის აღწერით, ბულაჩაურში მოხსენიებულნი არიან იოსებ ბურჟუკურის ქვრივის, დარეჯანის, შვილები: – ტეტია 20 წლის; კარენა (10 წლის ასაკში გარდაცვლილი); სიმონი 7 წლის; ნიკოლოზი 4 წლის.

მითითებულია, რომ სტეფანწმინდიდან (ალბათ, უფრო ხვეის ახალციხიდან!) არიან მოსულები (სცსსა ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 1250).

აღნიშნული კომლიდან, 1843 წლის მონაცემებით, ტეტია და ნიკოლოზი უკვე გარდაცვლილები არიან; სიმონი, 1845 წელს, ციმბირში გადაუსახლებიათ.

XIX ს-ის II ნახევარში, ქერიანთკარში, მოხსენიებული ბურჟუკურებიც ხევიდან არიან მიგრირებულები. უფრო ადრე, იქ, ქერაშვილებს (მოხვეე ბურჟუკურებს) უცხოვრიათ.

ამაზე სოფლის სახელწოდებაც მიუთითებს.

XVIII-ს-ის პირველ მეოთხედში, ქერიანთკარში, აღწერილია ქერაშვილი მასურა – რამაზის ყმა (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I. 1967 წ. გვ. 53). მომდევნო პერიოდში, ბულაჩაურში უკვე გვიდაქელი ბურჟუკურები ჩანან.

1873 წელს მათი 5 კომლია დაფიქსირებული (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 227):

1. ნიკალა იოსების ძე ბურჟუკური – საცხოვრებლად სხვაგან გადასულა, მაგრამ მითითებული არ არის სად.
2. იასე ნინიას ძე ბურჟუკური, 40 წლის; მისი შვილები: კურდღელა 11 წლის; ალექსი 9 წლის; გიორგი 4 წლის. აღწერის რიგითი № 50. 1831 წელს გვიდაქეში დარეგისტრირებული № 5 კომლიდან, გოგია დავითის ძედან მოდიან. კომლის მამაშვილობა ვერ დგინდება (სავარაუდოდ, დათვიენის განაყრები უნდა იყვნენ).
3. გიორგი აბრამის ძე ბურჟუკური, 60 წლის; მისი შვილები: ივანე 30 წლის; მათე 20 წლის; ივანეს შვილი ანდრეი 4 წლის; აღწერის რიგითი № 52. 1831 წელს გვიდაქეში დარეგისტრირებული № 6 კომლიდან (შაშვიანი) მოდიან. მათი შემდგომი ბედი უცნობია.
4. სიხარულა შიოს ძე ბურჟუკური, 65 წლის; მისი შვილები: გლახა 30 წლის; დავითი 20 წლის; მახარობელი 11 წლის. აღწერის რიგითი № 53; გვიდაქეში 1831 წელს დარეგისტრირებული № 10 კომლიდან (ოქვრიანი) მოდიან.

5. გიგლა შიოს ძე ბუჩუკური, 40 წლის; მისი შვილები: იოსები 20 წლის; მახარე 14 წლის; მიხეილი 7 წლის; ძმისწული შაგილა 9 წლის. აღწერის რიგითი № 54.

1886 წლის აღწერით, ბულაჩაურში, მხოლოდ ნიკოლოზ იოსების ძე ბუჩუკურია მოხსენიებული (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1792). იგივე პიროვნება, რომელიც, წინა (1873 წლის) აღწერის მინაწერის თანახმად, საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

აღნიშნული ფაქტი, ალბათ, ბულაჩაურის და დაგნაკორას აღრევასთან არის დაკავშირებული. 1873 წელს მოხსენიებული დანარჩენი ბუჩუკურები, 1886 წლის აღწერით – დაგნაკორაში სახელდებიან, კერძოდ:

1. ბუჩუკური გიორგი აბრამის ძე, 72 წლის; მისი შვილები: ივანე, 42 წლის; მათე, 32 წლის. ივანეს შვილი, ანდრეი, 16 წლის; მათეს შვილები: ივანე, 4 წლის; ზაქარია, 1 წლის.
2. ბუჩუკური სიხარულა შიოს ძე, 77 წლის; მისი შვილები: გლახა, 42 წლის; დავითი, 32 წლის; მახარობელი, 23 წლის. დავითის შვილი, ანდრეი, 6 წლის; გლახას და მახარობელს, ჯერჯერობით, მხოლოდ ქალიშვილები ყავთ.
3. ბუჩუკური მახარე გრიგორის (გიგლას) ძე, 26 წლის; მისი ძმა, მიხეილი, 19 წლის; „შალვას (?) ქვრივი, მახარეს რძალი, ქალთამზე“.
4. ბუჩუკური კურდღელა იასეს ძე, 22 წლის; მისი ძმები: ალექსი, 21 წლის; გიორგი, 14 წლის. კურდღელას შვილი, გრიგორი, 2 წლის; ალექსის შვილები: ივანე, 2 წლის; დიმიტრი, 1 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1792).

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1831 წელს, გვიდაქეში, მოხსენიებული № 10 კომლიდან მოდის, 1860 წლის № 5 კომლი – პაპიას შვილის, შიოს (უმცროსი სიხარულას) შტო, ვისგანაც – ბულაჩაურში, აბანოსხევეში, მისაქციელსა და ჭოპორტში წასული ოქვრიანი მოდიან.

1873 წლის აღწერის თანახმად, უმცროსი სიხარულას შვილები (დავითი, ანდრია და გიორგი) სოფ. პავლეურში გადადიან საცხოვრებლად, რეალურად კი, ისინი, შემდგომში – ბულაჩაურში, დაგნაკორასა და ჭოპორტში ჩანან.

უმცროსი სიხარულას (სიხას) ძმიდან, გიგოლადან, მოდის, აბანოსხევესა და მისაქციელში მცხოვრები ბუჩუკურების ორი (თამაზის და შოთას) კომლი. მათი პაპები: – დავითი და იოსები, გვარის უხუცესების ცნობით, ძმები ყოფილან; პაპას „რქმევია“ მიხეილი, რომლის ძმაც, მახარე – ადრე გარდაცვლილა და მისი შვილებიც მიხეილის ოჯახში გაზრდილან.

ხსენებულ მახარესთან დაკავშირებით, გვიდაქელი ოქვრიანების ეს შტო, თავს „მახრიანად“ – მახარეს მამაშვილობად მიიჩნევს.

აბანოსხეველი და მისაქციელელი ოქვრიანთ ბუჩუკურების კომლთა სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 15.

ჭოპორტელი ბუჩუკურები

1831 წლის აღწერით, ჭოპორტში, მოხსენიებულია გლახა ელიზბარის ძე ბუჩუკურის ქალიშვილი, ნინო (სცსსა ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 1250).

1843 წელს, გარდაცვლილებად სახელდებიან ბუჩუკური ძმები: 30 წლის გიორგი და 40 წლის ქაიხოსრო; უფროს ძმას რჩება შვილი – 10 წლის იოსები (სცსსა ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 2126).

როგორც უკვე აღვნიშნე, 1831 წელს, გვიდაქეს № 10 კომლში აღწერილი და იქიდან მიგრირებული, ოქვრიანთ უმცროსი სიხარულას შვილები: – დავითი, ანდრია და გიორგი, შემდგომში, ბულაჩაურში (დაგნაკორა-ქვრიანთკარში) სახლდებიან.

1873 წელს ბულაჩაურში აღწერილ სიხარულა შიოს ძეს – 3 ვაჟი ყავს: გლახა, დავითი და მახარობელი.

1886 წლის აღწერის მიხედვით, დავით სიხარულას ძე – 6 წლის ანდრეის მამაა (იხ. 1886 წელს ძაგნაკორაში აღწერილი № 2 კომლი).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დავით სიხას ძის შვილიშვილი (ანდრეის შვილი) – გიორგი, მოგვიანებით ჭოპორტში დასახლდა.

მათი კომლის სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია დანართზე № 15.

გვარის უხუცესების ცნობით, ქიმბარიანიდან ნოჯაში, იქიდან კი, ჭოპორტში ჩამოსახლდა, ოთარანთ ბუჩუკურების ერთი კომლი, რომელიც, 1886 წელს, ქიმბარიანთკარში აღწერილი № 12 კომლიდან, გიორგი ოთარის ძედან უნდა მოდიოდეს (იხ. დანართი № 7-5, ქიმბარიანის 1831 წლის № 13 და 1886 წლის აღწერის № 12 კომლი).

ფასანაურელი ბუჩუკურები

ბუჩუკურთა ერთ-ერთი საცხოვრისი დაბა ფასანაურია.

იქაურ უხუცესებს ახსოვთ, ვინმე, იაგორკა ბუჩუკური; მოიხსენიებენ მიხა და ვლადიმერ ბუჩუკურების ოჯახებს, მაგრამ რომელი მამაშვილობის წარმომადგენლები იყვნენ ისინი – არ ახსოვთ.

ამჟამად, დაბაში სახლობენ გვიდაქელი ბიჭუნაანი (1831 წლის № 8 კომლიდან), ნადრიანი (1886 წლის № 5 კომლიდან), შიოლანი (1886 წლის № 19 კომლიდან) და სხვ.

ქიმბარიანის 1831 წლის № 17 (გამახარე ბუჩუკურის) კომლიდან უნდა იყოს ფასანაურში მისული, გრიგოლ-ვასილ და იაკობ ბუჩუკურების შტო.

გვარის უხუცესების ცნობით, მათი დიდი პაპის სახელი (რომელიც, ფასანაურში ქიმბარიანთკარიდან მისულა) – გრიგოლი იყო. მისგან მოდის გიორგი; გიორგიდან – ვასილი და იაკობი; ვასილიდან – დავითი; იაკობიდან ვახტანგი.

დუშელ ქერაშვილებთან, როგორც ძირად ბუჩუკურებთან, განსაკუთრებით ახლობდნენ, ფასანაურში მცხოვრები, ქურციკიანთ ბუჩუკურების განაყრები, ქიტესაანთ ვასილის მეუღლე, ქ-ნი ნინა და მისი ქალიშვილები: – ზინა და ელიკო.

ზინა – ხშირად სტუმრობდა ჩვენთან.

დიდი სითბოთი ვხვდებოდით ერთმანეთს.

ტირძნისელი ბუჩუკურები

იოანე ბატონიშვილი ტირძნისს, რატომღაც, საარაგვოს სოფელთა შორის მოიხსენიებს.

1782 წლის ერთი წყალობის წიგნის მიხედვით, ოთანაშვილი შიო „ტირძნისს მყოფი არაგვის საერისო აზნაურშვილი“ ყოფილა.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, XVIII ს-ის დასასრულს, ტირძნისში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ჩამოსახლდა სამი ძმა, გოგოას შვილები: – ნინია, გაბრიელ და გიგო ბუჩუკურები.

„გამორჩეული მეომრები ყოფილან და სულხანიშვილებს თავიანთ მამულებში დაუსახლებიათ.“

1774-1781 წ.წ. „მორიგე ჯარში“ გამსვლელთა (მოლაშქრე აზნაურთა, მთიელ-მოხელეთა, აზაგ-თარხანთა, მსახურ-მოლაშქრეთა და სხვ.) სიებში, გვიდაქე-დათვიანთკარში მცხოვრები

ბუჩუკურების 20 კომლიდან მხოლოდ ბუჩუკური ბერის შვილებია მოხსენიებული: – „ბეჟან, ხოსრო და – ოთარა მსახური“ (იხ. დათვიანთკარის № 5 კომლი).

მსახური, იმ დროს, სამეფო ჯარის სამსახურში მყოფ მოხელეებს ჰყავდა.

გამორიცხული არ არის, რომ ტირძნისში ჩამოსახლებული მთიელი მეომრები ბუჩუკურების ამ შტოდან მოდიოდნენ.

დღეს, ტირძნისში, ბუჩუკურების 40-მდე კომლი სახლობს.

მათი არასრული საგვარეულო ხე, რომელიც დიდი გულისხმიერებით მომანოდა ამ სოფლის მკვიდრმა, ბ-მა ნუგზარ ბუჩუკურმა, წარმოდგენილია დანართზე № 16.

გოგოჭურები და მოხვეე ბუჩუკურები

გოგოჭური ხევსურთა ერთ-ერთი თავდაპირველი „საკარგემო“ გვარია. მისგან ოცდახუთზე მეტი შტონაყარი გვარი წარმოსდგა. ყველა შვილობილმა საგვარეულომ იცის, რომელი წინაპრისგან წარმოიშვა მათი განშტოება. ასახელებენ: – ბუჩუკას, რაზიკას, ლუდუშას, სულიკას, გონგელას, ქერას და ა. შ. მტკიცებულება იმისა, თუ რომელ კუთხეში გაჩნდა პირველად რომელიმე მათი შტონაყარი გვარი, არ არსებობს. ყველა ეს განშტოება დღემდე ერთმანეთის „მამიძმებად“ ითვლებიან და მათი უმეტესობა თავს „სამამიძმო ხატის ყმებად“ მიიჩნევს (დ. გოგოჭური).

მათ შორის არიან მოხვეე (ახალციხელი) ბუჩუკურები და ქერაშვილები.

ერთი ვერსიის თანახმად, ბუჩუკურების ძირძველი წინაპარი, ბუჩუკურა გოგოჭური, ჭორმეშავიდან წასულა ჩირდილის ხეობაში. მის შთამომავლებს ბუჩუკურობა გაუგვარებიათ, ახალი გვარის თანამოსახელე სოფელი დაუფუძნებიათ და, ამის შემდგომ, მოგვიანებით, გადასულან (თუ, გადაუსახლებიათ) მთიულეთსა და ხევში (გვიდაქესა და ახალციხეში).

მას შემდეგ, რაც ბუჩუკურა გოგოჭურის შთამომავლები წავიდნენ (თუ, გადაასახლეს) – ბუჩუკურთაში სხვა მამაშვილობის გოგოჭურები დარჩნენ (ან, სულაც, მოგვიანებით დასახლდნენ) თავიანთი სახლიკაცების ნაფუძნარზე – მათ მიერ მიღებული გვარის თანამოსახელე სოფელში.

კოშკასყელიდან ზემო ბულაჩაურში ჩამოსახლებული გოგოჭურების ნაწილი (ბენინას მამაშვილობა, ე.წ. ქულიანი) – დღესაც, ბუჩუკურის გვარს ატარებს – ნაწილი გოგოჭურისას.

განსხვავებული ვერსიის თანახმად, მოხვეე ბუჩუკურები (ბულელიანები) იმ ბუჩუკურა გოგოჭურიდან მოდიან, რომელიც, სხვა თანასოფლელებთან ერთად, თამარ მეფემ ჭორმეშავიდან ხევში, ხდეს ხეობის საყარაულოდ ჩაასახლა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მდინარე ქისტურას („კისტინკას“) ვიწრო ხეობაში მდგარა დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ციხე, რომელიც ამ ხეობას იცავდა.

ხევში ხევსურები XII საუკუნეში ჩნდებიან. გადმოცემა ამ პროცესს თამარის იმ გადანყვეტილებას უკავშირებს, როცა დედა ხელმწიფემ „სტეფანწმინდლები“ ხდეს ხეობის ყარაულობიდან გაათავისუფლა და „ამ საქმისთვის“, დავითის ციხეში, ხევსური მეციხოვნეები ჩააყენა.

მეომართა ეს კასტა გოგოჭას „სახლიდანაც“ მოდიოდა. მათი მოდგმა საბოლოოდ ხევში დამკვიდრდა და თითქმის 700 წელი უდარაჯა საქართველოს საზღვრის ამ ურთულეს მონაკვეთს.

„ხდეს ხეობის ყარაულობიდან ისინი რუსებმა გაყარეს, ხდეზე და ლარსზე საქართველოს დროშები მოხსნეს და ორივე ხეობა გ. ყაზბეგს ჩააბარეს“ (ს. მაკალათია).

როდის ან სად გამოეყო მოხვეე ბუჩუკურების გვარი გოგოჭურებს (ან ქერაშვილების გვარი ბუჩუკურებს) ძნელი სათქმელია.

დიდი ალბათობით – ახალციხეში.

ეს ალბათობა, რასაკვირველია, იმის შესაძლებლობას არ გამოორიცხავს, რომ, უფრო მოგვიანებით, ზურაბ (ან ნუგზარ) არაგვის ერისთავმაც გადმოასახლა ხევში ბურჯუკურის გვარის ერთი მემბოხე. მით უმეტეს, რომ, დაახლოებით ამ პერიოდში, ქერაშვილების პირველი თაობა სახადით ამოწყდა, ახალციხე დაცარიელდა და მათი ერთადერთი გადარჩენილი წინაპარი მოგვიანებით დაუბრუნდა თავის საცხოვრისს (იხ. „ხევი და მოხევეები“ გვ. 241).

მოხევე ბურჯუკურების დიდი ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბულელიანები და ქერაშვილები ერთი წარმომავლობის არიან და ხდეს ხეობის მეციხოვნე გოგოჭურებში იღებენ სათავეს.

განსხვავებული აზრით, ქერაშვილები უშუალოდ გოგოჭურებიდან მოდიან და ბურჯუკურებთან კავშირი არა აქვთ.

მესამე ვერსიით, არც გოგოჭურ-ბურჯუკურებს და არც ქერაშვილ-ბურჯუკურებს შორის – არავითარი გენეტიკური კავშირი არ არსებობს.

შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ არაგვის ერისთავის სიცოცხლის პერიოდში (1630 წლამდე), ხევში, ქერაშვილების უკვე რამდენიმე თაობის არსებობა დასტურდება (ქერა, ქერბელელა, ქერბელელას ძე). მეცნიერებაში დადგენილი წესის მიხედვით, თაობათა შორის დისტანციას თუ 35 წელს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ქერაშვილების გვარი ახალციხეში, უფრო ადრე თუ არა, ზურაბ არაგვის ერისთავამდე ერთი საუკუნის წინ მაინც უნდა დასახლებულიყო.

ზურაბის პერიოდში ისინი უკვე იმდენად აღზევებულნი იყვნენ, რომ შიოლა ლუდუშაურთან დაპირისპირებას ბედავდნენ და საბოლოოდ, დაუმოყვრდნენ კიდეც მას.

ახალმოსახლისგან (მით უმეტეს ზურაბის შერისხულისგან) ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. ერისთავების მრისხანე მოურავი არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა ცოლად საკუთარ დას ზურაბისგან – თავისი ბატონისგან შერისხულს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქერაშვილების პატრონიმი ზურაბ არაგვის ერისთავამდე არის ხევში დასახლებული.

ხევის ახალციხის მცხოვრებთა შესახებ პირველი წერილობითი ცნობა გერგეტის „სულთა მატყანეში“ ჩნდება (1439 წელს):

„შევიყარენით ხევი ხევობით კობით და გუ – ლეთამდი მზევლები მოგეცით თქ-ნ გერგეტელთა საყდრი(შვილებს)... კურაის ძალთათით: ლუდუშაური: შალვა: ახალციხით დათყური: შალვა: და ქარქაშე ართხმოით...“

როგორც ჩანს, გერგეტელ საყდრისშვილთა მძევლებად ახალციხიდან ერთი კაცი „გამოუყვანიათ“ – დათყური შალვა, რომელიც, გამოორიცხული არ არის, ძირად ასევე გოგოჭური ყოფილიყო, რადგან დამაფიქრებელი ფონეტიკური მსგავსება აქვს გოგოჭურთა სხვა შტონაყარ გვარებთან (მაგ. ბაჩაყაური-დათყური და ა.შ.).

დღეს, ასეთი გვარი ხევსურეთსა და ხევში აღარ გვხვდება.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ქერაშვილები და ბურჯუკურები „ერთი წინაპრის შთამომავალნი არიან. უფრო სწორად, ქერაშვილები ბურჯუკურებიდან მომდინარეობენ. 1774 წლის აღწერის დავთარში ერთი კომლი „ქერაინიშვილი“ და 4 კომლი „ქერაი“ („შვილი“ სუფიქსის გარეშე) არის დასახლებული. XIX საუკუნეშიც ყველა მათგანი ქერაშვილად იყო ჩანერილი (1831 წ. – 7 კომლი, 1860 წ. – 17 კომლი, 1873 წ. – 18 კომლი, 1886 წ. – 22 კომლი). არცერთი მათგანი ბურჯუკურის გვარს არ ატარებდა. ჩანს, რომ მხოლოდ გვიან, XIX-XX სს. მიჯნაზე ქერაშვილების ნაწილი კვლავ დაუბრუნდა წინაპართა გვარს, ბურჯუკურს.“

„ხევში ბურჯუკურ-ქერაშვილთა წინაპარი ხევსურეთიდან გადმოსახლებულა. ბურჯუკურები ხევში თავიანთ გადმოსახლებას ნუგზარ არაგვის ერისთავის ხევსურეთში ლაშქრობას უკავშირებენ, რომელთა ერთი ძმაც მთიულეთის სოფ. გვიდაქეში დასახლებულა“ (რ. თოფჩიშვილი, მოხეური გვარ-სახელები, 1998 წ. გვ. 30).

ამავე წყაროს იმონებებს და როგორც ჩანს, იზიარებს კიდევ ამ მოსაზრებას აკად. იაკ. ახუაშვილიც („ქართული გვარსახელები“, ტ. V, გვ. 1039-1040).

ტონჩელი ბუჩუკურები

ერთ-ერთი ანდრეზის თანახმად, ზურაბ არაგვის ერისთავმა, მის მიერ ცოცხლად დატოვებული სამი მემბოხე ბუჩუკური ძმიდან, ერთი ტონჩაში ჩაასახლა.

ტონჩა-გრემისხევის სახასოში, ანუ, დღევანდელი დუშეთის რაიონის ერთ-ერთ უძველეს გეოგრაფიულ პუნქტში, 1781 წლის აღწერით – 37 კომლი დაფიქსირდა:

ტოტიკას შვილი ბერი; 2. ტოტიკას შვილი სტეფანა; 3. ციგროს შვილი გოდერძი, ქიტესა, ზურაბა; 4. ბოგანო ხევსურის შვილი ნადირა; 5. გამხუას შვილი ხიზანა, იასე და ნადირა; 6. ბეკურის შვილი ბერი; 7. ტონჩელი გაგელიძე პაპილაშვილი გიორგი; 8. ტონჩელი გამხუას შვილი იასე; 9. ტონჩელი ბერის შვილი გოგია; 10. ტონჩელი დავითის შვილი ტეტია; 11. აზნაურშვილი ტერის შვილი ზაალ; მისი ყმები: 12. **ბუჩუკურის სვიმონის ობოლი გიორგი და შოშიტა**; 13. მიშელას შვილი ივანე; 14. მწერლის შვილი ივანე; 15. საღირას შვილი ბერი, საბრალო; 16. მიშელას შვილი დათუნა; 17. ბეჟიტას შვილი ოქრუა; 18. მანძულაშვილი საკარული გოგია; 19. საკარული ბერის შვილი ქიტესა, თევდორე; 20. საკარული მამუკას შვილი გიორგი და გოგია; 21. მიშელას შვილის თათარას შვილი ბერუა, ბანანუნი, გოგია, ნინია; 22. **ლაგაზას შვილი რუხია, გიორგი, გოგია**; 23. **როშნიაშვილი პაპია**; 24. ბეჟიტას შვილი გიორგი, თევდორე; 25. ბეჟიტას შვილი გრიგოლა; 26. სისოური კიკოლა; 27. მწერლის შვილი გიორგი; 28. **როშნიაშვილი იაკობ, გრიგოლ**; 29. გურას შვილი გოგია; 30. თათარას შვილი შიო; 31. ლაფაური ბერი და პატარკაცი; 32. ბეჟიტას შვილი თევდორე; 33. მერაბას შვილის სიძე დემეტრე; 34. აზნაურშვილი მიქელის შვილი მერაბ; მისი ყმები: 35. პაპუკას შვილი ბერი, ივანე; 36. პაპუკას შვილი გიორგი და დემეტრე; 37. **როშნიაშვილი გიორგი შეუძლებელი**.

1804 წელს, ტონჩაში, მოხსენიებულია გოგია შიოს ძე ბუჩუკური (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 77); ღარიბაშვილების 1, შალიკაშვილების 1 და როშნიაშვილების 5 კომლი (მათ შორის გიორგი ბუჩუკურას ძე როშნიაშვილი).

1830 წელს, ამავე სოფელში, დარეგისტრირდა ლაგაზაშვილების 3 დაროშნიაშვილების 4 კომლი. მათ შორის გიორგი ბუჩუკურას ძე როშნიაშვილის ქვრივი და 40 წლის ასაკში გარდაცვლილი, ბუჩუკური სიმონ შიოს ძე; მისი შვილებიდან: დავითი 8 წლისაა; შიო 5 წლის; სიმონის ნათესავი, ხარებას შვილი გიორგი, 20 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 1247).

1831 წელს აღწერილ იქნა: – ღარიბაშვილების 5; კაკელიძეების, შალიკაშვილების და ბუჩუკურების თითო-თითო კომლი. მათ შორის: – 50 წლის ბუჩუკური ივანე მათეს ძე; მისი შვილი გიორგი, 13 წლის; ივანეს ძმა, გლახა, 25 წლის; გლახას შვილი, ზაქარია – 2 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 1250).

1843 წლის აღწერით, ტონჩაში, მოხსენიებულია 62 წლის ივანე მათეს ძე ბუჩუკური; მისი შვილი გიორგი 15 წლის; ივანეს ძმა გლახა – 37 წლის; მისი შვილები: ზაქარია 14 წლის; მათე 5 წლის; ანდრეი 2 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. პირველი, დოკ. 2126).

1860 წელს, ამავე სოფელში, დარეგისტრირდა ღარიბაშვილების 8; ლაგაზაშვილების 5; შალიკაშვილების, როშნიაშვილების და ბუჩუკურების 4-4 კომლი; მათ შორის:

1. ბუჩუკური გლახა მათეს ძე 60 წლის; მისიშვილები (9 ვაჟი): ზაქარია 25 წლის; მათე 23 წლის; დათვა 21 წლის; ანდრეი 19 წლის; იასე 17 წლის; სოსიკა 15 წლის; სოლომონი 13 წლის; გაბრიელი 11 წლის; პავლე 9 წლის; გლახას ნათესავი: ნინიას შვილი გიორგი, 25 წლის; გიორგის შვილები: ივანე 10 წლის; გიგოლა 7 წლის; სიმონი 4 წლის. ზაქარიას შვილი – თევდორე – 1 წლის.

2. ბერუა გიორგის ძე ბურუკური 64 წლის; მისი ნათესავები: ივანეს შვილი გიორგი, 34 წლის; მთვარელას შვილები: თომა 14 წლის; ავრელი 4 წლის.

3. საბა სიმონის ძე ბურუკური 18 წლის; მისი ძმა ავრელი 12 წლის.

4. გიორგი ბურუკურის ძე ბურუკური 36 წლის; მისი ძმა იოსები 34 წლის; გიორგის შვილი ? (არ იკითხება, 2 წლის); გიორგის ძმები: ლომუა 16 წლის; გაბრიელი 15 წლის.

1886 წლის აღწერის თანახმად, ტონჩაში ცხოვრობდა ღარიბაშვილების – 15; ლაგაზაშვილების – 10; შალიკაშვილების – 8; ბურუკურების – 6; გაგელიძეების და როშნიაშვილების 4-4 კომლი; ამავე სოფელში სახლობდნენ: კასიშვილები, სისაურები და თათარაშვილები; სულ 50 კომლი; 192 მამაკაცი და 145 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1819).

ბურუკურის გვარით მოხსენიებული არიან:

1. ბურუკური გიორგი ნინიას ძე 38 წლის; მისი შვილები: ივანე 26 წლის; გიგლა 18 წლის; სვიმონი 16 წლის.

2. ბურუკური დათიკო გლახას ძე, 35 წლის; მისი შვილები: გიორგი 10 წლის; სტეფანე 4 წლის; ილიკო 1 წლის; დათიკოს ძმა სოსიკო 25 წლის; მისი შვილი სანდრო 1 წლის.

3. ბურუკური იასე გლახას ძე 48 წლის; მისი შვილი სანდრო 1 წლის; იასეს ძმა პავლე 30 წლის; მათი ნათესავები, ზაქარიას შვილები: თედო 23 წლის; რამაზი 20 წლის; ალექსი 18 წლის. მათეს შვილი კიდო 15 წლის.

4. ბურუკური გიორგი ბურუკურის ძე 63 წლის; მისი შვილები: ბურუკურა 25 წლის; მიხეილი 15 წლის; ყარამანი 10 წლის. გიორგის ძმები: ლომუა 50 წლის; გაბრიელი 41 წლის. ლომუას შვილები: შიო 15 წლის; დიმიტრი 3 წლის. გაბრიელის შვილი ზაქარია 13 წლის.

5. ბურუკური საბა სვიმონის ძე 45 წლის; მისი შვილები: დავითი 5 წლის; სიმონი 1 წლის.

6. ბურუკური თომა თორელას ძე 42 წლის; მისი შვილები: მათე 7 წლის; მიხეილი 1 წლის. თომას ძმა სიმონი 40 წლის.

დღევანდელი მონაცემებით, ტონჩაში, მხოლოდ ბურუკურების 2 კომლი სახლობს:

1. დავით ბურუკურის შვილები: იოსები და ალექსი; იოსების შვილი, შალვა; ალექსის შვილები: ოთარი, ილო, გოგია და ამირანი; ოთარის შვილი დათო; ილოს შვილი, ზურა; ამირანის შვილები: ზვიადი, ბექა და ლექსო.

2. შიო ბურუკურის შვილი, გიორგი; გიორგის შვილები: ნოდარი, რეზო და ნუგზარი; ნუგზარის შვილი, დათო.

ტონჩაში მცხოვრები ღარიბაშვილების ადრინდელი გვარი – ბურუკურია. გვიდაქედან არიან მისულები.

„ბურუკურობას ამბობენ“ აქაური ლაგაზაშვილები და შალიკაშვილებიც.

გადმოცემის თანახმად, არაგვის ერისთავების დროს, მათ საერთო წინაპარს – ქორწილში კაცი შემოკვდომია. სამი ძმანი ყოფილან და ტონჩაში წამოსულან: – ღარიბას შვილები ღარიბაშვილებად დაწერილან, ლაგაზას შვილები – ლაგაზაშვილებად, შალიკასი – შალიკაშვილებად“.

მესისხლეობის გამო, არც ერთი ეს გვარი წინაპართა სალოცავში არ დადიოდა.

მესისხლეობა ყოფილა გვარის შეცვლის მიზეზიც.

გვიდაქედან გადმოსული ბურუკურები არიან ტონჩელი მათიაშვილებიც.

ისინი, აქ, შედარებით გვიან მოსულან.

გვარის პატრონიმს „მათია რქმევია და მის ნაშენსაც მათიაშვილობა მიუღია“.

1873 წლის აღწერისას, ისინი ჯერ კიდევ ატარებდნან ორ გვარს – მათიაშვილ-ბურუკურს. ძირად ბურუკურები არიან ტონჩელი როშნიაშვილებიც.

1781 წელს, იქ, მათი 3 კომლი სახლობდა.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში სახლობს:

1865 ბურუკური: თბილისში – 626; დუშეთში – 492; დედოფლისწყაროში – 173.

1844 ლარიბაშვილი: თბილისში – 595; გურჯაანში – 416; დუშეთში – 239;
831 შალიკაშვილი: თბილისში – 249; მცხეთაში – 144; დუშეთში – 79.
271 ლაგაზაშვილი: მცხეთაში – 83; თბილისში – 77; დუშეთში – 66.
90 როშნიაშვილი: თბილისში – 28; დუშეთში – 26; ახალგორში -3.

დანარჩენი ბუჩუკურები

1859 წელს, „შაშაბუროში“, აღირიცხა გიორგი თევდორეს ძე ბუჩუკური, 40 წლის, მისი შვილები: ზურაბა, 9 წლის, ზაქარია 3 წლის; გიორგის ძმა, სოსიკა, 36 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 2124).

XX საუკუნის დასასრულს, ამავე ტეროტორიაზე, ბაგას მიმდებარე პატარა დასახლებას, როგორც სოფლის უხუცესები გვამცნობენ, ბუჩუკურების უბანს ეძახდნენ. ბოლოს, იქ, მათი ორი კომლი ახსოვთ.

1873 წელს, სნოს საზოგადოების სოფ. მიღურეში აღწერილია:

1. გიორგი ბერის ძე ბუჩუკური, 58 წლის; მისი შვილი, იოსები – 23 წლის; იოსების შვილები: გლახა – 10 წლის; ივანე – 1 წლის;

2. პაპუა ბერის ძე ბუჩუკური, 43 წლის; მისი შვილები: გიორგი – 18 წლის; სიმონი – 11 წლის;

3. ივანე კახის ძე ბუჩუკური, 52 წლის (გარდაცვლილი), მისი შვილი ნიკოლოზი 1 წლის (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 236).

თეთრინყაროს რაიონის სოფ. დრეში ბუჩუკურების ორ კომლს მოიხსენიებენ. ამჟამად, აღარავინ ცხოვრობს (ევროპაში წასულან).

ხერთვისში ცხოვრობენ ქიმბარიანთკარელი ქურციკიანის განაყარი ბუჩუკურები - ქიტე-საანი (დგნალიდან წასულეები).

*

ბუჩუკურების გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი. უხუცესების მიერ სახელდებიან:

ბუჩუკური ალექსი, საქ. კპ ცკ სოფლის მეურნეობის განყოფილების ყოფილი გამგე, პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, მინსახკომის თავმჯდომარე, საქ. მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. საქ. ზოოვეტერინალური ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის გამგე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის ყოფილი გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იასონ ბუჩუკური;

ცნობილი დასტაქარი, მიხა (მიხეილ) ბუჩუკური, რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან სამხედრო ექიმის პოდპოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა (პროფ. ქაიხოსრო ზანდუკელთან და დავით ნამგალაურთან ერთად, იგი, დუშეთის რაიონიდან წარმომავლობის ერთ-ერთი პირველი დიპლომირებული ექიმი).

ბუჩუკურების გვარის დღევანდელი წინამძღოლი, უმაღლესი კატეგორიის მხატვარი-რესტავრატორი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის – რესტავრაციის, დაზღუერი და მონუმენტური ხატუნერის კათედრის გამგე – პროფესორი, მერაბ ბუჩუკური.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის, მეცხოველეობის მექანიზაციის კათედრის ყოფილი გამგე, 70 სამეცნიერო ნაშრომისა და 28

გამოგონების ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი – ვაჟა ბურჩუკური.

თბილისის მუსიკალური ხელოვნების ინსტიტუტის საფორტეპიანო კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, რიმა ბურჩუკური.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 10 საავტორო გამოგონების ავტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი – თამაზ (არსენა) ბურჩუკური.

ტექნიკური უნივერსიტეტის არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ნუნუ ბურჩუკური.

ამავე უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ციალა (ციცო) ბურჩუკური.

საქ. კპ დუშეთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში – კობა ბურჩუკური.

ვლადიმერ (ვალოდია) ბურჩუკური, წლების განმავლობაში მუშაობდა, საქართველოს რკინიგზის გადაზიდვების სამსახურის უფროსის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ლოჯისტიკის დარგში, ვალერი ბურჩუკური.

პოლკოვნიკი გურამ ბურჩუკური – იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექსტრადიციის სამსახურის ყოფილი უფროსი.

ვიცე-პოლკოვნიკი, კახაბერ ბურჩუკური, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო-სამოზილიზაციო დაგეგმვის განყოფილების უფროსი.

მრევლის თემი

ვახტანგ ითონიშვილის ცნობით, მრევლის თემს ჩამოყალიბებას და სახელწოდებას, „საფუძვლად დაედო ამ კუთხის ცალკეული სოფლების დაჯგუფება ერთი განსაზღვრული სალოცავის გარშემო.“ ანუ, აღნიშნული თემის მოსახლეობა წარმოადგენდა მთიულეთის რომელიღაც სალოცავის მრევლს.

ასეთი სალოცავი სოფ. ზამთარეულთან მდებარე ცეცხლისჯვარი იყო.

„ცხავატის თემის სოფლები: ყველაანთკარი, დარძულნი, ნადიბაიძიანთკარი, ნალვარევი, გოგნაური, სალაჯური, მანასეური, ხარხეთი და ჩოხელთკარი – ცეცხლისჯვრის გარშემო ერთ თემად იყვნენ თავმოყრილნი. ამ სალოცავის სახელზე არსებული მამულებით სარგებლობის სანაცვლოდ მათ ევალებოდა ყოველწლიურად საეკლესიო სადების (კულუხის) გადახდა, რაც საეკლესიო დღეობებს ხმარდებოდა. ამ დღეობებზე, როგორც წესი, ხსენებული სოფლების მკვიდრნი იყრიდნენ თავს. მათვე ეკისრებოდათ ცეცხლისჯვართან არსებული სათემო სახლის პატრონობა“ (ვახტ. ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ. 1989 წ.).

1774 წელს, მრევლის თემში აღირიცხა 8 სოფელი: ბექიანთკარი, ყველანთკარი, გოგნაური, სალაჯური, მანასეური, ნადიბაიძიანთკარი, ხარხეთი და ჩოქური (სადაც სოფლის თანამოსახლე გვარის 6 კომლი სახლობდა. მოგვიანებით, ისინი – ანანურში, უნდილანთკარსა და სასახლის დუშეთში გადასახლდნენ).

ბექიანთკარი

1774 წლის აღწერით, ბექიანთკარში, ბექიაურების 9 კომლი სახლობდა.

1886 წელს – ბექიშვილების 8 კომლი, 26 მამაკაცი და 20 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, ნ. II, დოკ. 1794).

გვარის უხუცესების ცნობით: – ნალორეველი ბექიშვილი, ბედოთელი ბედოიძე და უმართელი უმართიძე თავ-თავადი გვარებია. გამოყოფის დროინდელ წინაპართა (ბექას, ბედოს, უმარას) ძმობა სწამთ და ჭირსა თუ ლხინში ერთად არიან. „ქორნილში ძღვნითა და შესანიშნავით მონაწილეობენ, მკვდარზე წვერს იყენებენ.“

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ძირად გაბიდაურები ყოფილან.

ხოშარიდან გადმოსულა მათი დიდი პაპა.

ბექიანი – ცნობილი ქართველი პოეტის, თედო ბექიშვილის, სამშობლოა.

„ნაადრევად წაიქცა იგი. ველარ დაესწრო თავის საიუბილეო თარიღს... ახალგაზრდამ დაასრულა სიცოცხლე. ახლა იგი მშობლიური სოფლის მუდმივი ბინადარია და მის კალთა-უბეში განისვენებს, სადაც, ქალაქში წასულს, წლობით ელოდებოდა თავისი ტკბილი და „ბეჩავი დედაი“. განთქმული ჭართლელი დიდი ხევისბერის, სიმონ გიგაურის (ჩიტაურის) – „კაცთსაკითხი და დარბაისელი მთიელის – დაი“.

„ჰოდა, თედო ახლა დედასთანაა და მის თბილ კალთას აღარ ეშვება. მისი ლამაზი პოეზია კი, თავისი გულისშემძრავი სტრიქონებით, უმისოდ მიდი-მოდინ და ცოცხლობენ. თედოს სიცოცხლეც მისი პოეზიის სიცოცხლეში გრძელდება“ (ირ. გოგოლაური).

„შვიდი დავუკლათ კურატი, შვიდი შვიდი წლის ხარი.

შვიდჯერ ვევედროთ ლომისას, შვიდჯერ დავრეკოთ ზარი.

შეგვაძლებინოს მძლეველმა, ლალად გავშალოთ მხარი,

რომ მოყმე, შავეთს ჩასული – ცოცხალთ არ გვჯობდეს მკვდარი!“

ყველანთკარი (ყველანი)

მთიულეთის არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელია.

როგორც მთხრობელები გვამცნობენ:

„ერთი ობოლი ბიჭი მოჯამაგირედ მდგარა – ხან სად და ხან სად. რომ ეკითხებოდნენ, ვინ ხარ, ვისი შვილი ხარ, ვისი ძეო – რაკი ხალხი აჭმევდა პურსა, ყველაის ძე ვარო – პასუხობდა, ყველაის შვილიო.“

იმ ობოლ ბიჭზე მოდიან, თურმე, ყველაიძეები.

1774 წლის აღწერით, ყველანთკარში, ყველაიძეების – 3, ბოთიაურების და დარმულიძეების 2-2 კომლი სახლობდა.

1886 წელს ყველაიძეების 8 კომლი: 31 მამაკაცი და 20 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1805).

1926 წლის აღწერით 10 კომლი დარეგისტრირდა: 18 მამაკაცი და 32 ქალი, სულ 50 სული, ძირითადი გვარი – ყველაიძე იყო.

მთიული ყველაიძეები ბიძაშვილებად თვლიან, ქსნის ხეობის სოფ. მახიარეთში მცხოვრებ ყველაშვილებს:

„მათი წინაპარი მთიულეთიდან ნაუყვანია გერად დაქვრივებულ ქალს.“

ამ ვაჟის შთამომავლობა დაწერილა ყველაშვილის გვარზე.
ბოლო დრომდე, ისინი, „ცეცხლისჯვარში“ დადიოდნენ სალოცავად.
ყველაიძეების ნაწილს ფშავური წარმომავლობა აქვს. მათი ძირი გვარი – გაბიდაურია.
გაბიდაურადყოფილ ყველაიძეებს მთიულეთში შაბლიანებს ეძახიან (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. 1, 2003 წ. გვ. 122-126).
გადმოცემის თანახმად, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ისინი გაუკულაკებიათ და ამის შემდგომ დაწერილან ყველაიძის გვარზე.

გოგნაურთა და ოგბაიძეები

სოფელი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, მთიულეთის არაგვის მარცხენა მხარეს – ფასანაურიდან 5 კმ-ზე.

სახელწოდება მოდის მამაკაცის საკუთარი სახელიდან – გოგნა.

სოფლის მაღლა გორაზე მიტოვებული ციხე-სახლება შემორჩენილი. გადმოცემის თანახმად, მოსახლეობა იქიდან ჩამოსახლდა არაგვის სიახლოვეს.

აღბათ, ამ მიტოვებულ ნასოფლარს მოიხსენიებს ი. ა. გიულდენშტედტი (1771-1772 წ.წ-ში) – „ოგბანის“ სახელწოდებით.

აღნიშნული დასახლება 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული არ არის, რადგან იქაური ოგბაიძეები, ამ დროს უკვე შედარებით ქვემოთ მდებარე სოფლებში - გოგნაურთასა და სალაჯურში იყვნენ ჩამოსახლებულნი.

ოგბანი დაცარიელდა და ნასოფლარად იქცა.

გოგნაურთა – სუარიძეების, ოგბაიძეების და კედელაშვილების საცხოვრისია.

1774 წელს, იქ, სუვარიძეების – 9, ოგბაიძეების – 7 და კედელაშვილების 2 კომლი სახლობდა.

1816 წელს – სვარიძეების 7; პეტრეშვილის – 1; ოგბაიძეების – 6 და კედელაშვილების – 2 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, დოკ. 436).

1926 წლის აღწერით, ამავე სოფელში, 19 კომლი დარეგისტრირდა, 58 მამაკაცი და 72 ქალი, სულ 130 სული; ძირითადი გვარი – კედელაშვილი იყო.

კედელაურ-კედელაშვილების წინაპარი, გოგნაურთას, მესისხლეობის გამო გადმოსახლებულა, ხევსურეთის სოფ. ჩირდილიდან.

ზემო ხორხში მცხოვრები სუარიშვილები სოფ. გოგნაურთადან გადასახლებული სუარიძეები არიან.

როგორც რ. თოფჩიშვილის მთხრობელი გვამცნობს: – იქ მათი პაპის პაპა გადმოსახლებულა: – „ადრე სუარიძე ვყოფილვართ. წინ-წინ, უფრო თავიდან კი – ჭინჭარაულები“.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ძირად ოგბაიძეები არიან: – ოგბაიძეები, ოგბაძეები და გოგბაიძეები.

ხალხურმა მესხიერებამ შემოინახა გიორგი სააკაძის თანამებრძოლის, სახალხო გმირის, გივი გოგბაიძის სახელი, რომელმაც, 1625 წელს, თავი ისახელა მდ. ქსანთან გამართულ სამდღიან ბრძოლაში, სადაც ქართველებმა 12 ათასი სპარსელი მეომარი, თითქმის, მთლიანად ამოწყვიტეს (იხ. „ხევი და მოხვევები“, გვ. 95, „არშის ციხე“).

1770 წელს, ასპინძის ბრძოლაში გამოიჩინა თავი – გოგნაურთელმა სახალხო გმირმა, გიორგი ოგბაიძემ.

ალ. ყაზბეგის მიხედვით, „მამის მკვლელის“, მთავარი გმირი, იაგო გოგბაიძე - განთქმული და თავისუფალი გვარის შთამომავალი იყო.

*

ოგბაიძეები ცხავატის თემის საერთო სალოცავის – „ცეცხლიჯვრის“ ტრადიციული დეკანოზები ყოფილან.

მათი ეკლესია (7,3X5 მ.) – სოფ. ნადიბაანის ჩრდილო-დასავლეთით (ნალორევის მაღლა გორაზე), ზამთრეულად წოდებულ ადგილზეა – კლდის ვიწრო თხემზე განთავსებული. IX-X სს თარიღდება. ნაგებია ფიქალით და ნატეხი ქვით. ზემოთ თანდათან ვიწროვდება – კოშკს წააგავს. მისგან დასავლეთით, ნატეხი ქვით ნაგები, გვიანდელი შუა საუკუნეების, ძლიერ დაზიანებული კოშკი დგას. კოშკის სიახლოვეს, VIII-IX სს, დარბაზული ეკლესია (7,3X4,5 მ.) – რომელიც ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით არის ნაგები.

ძლიერ დაზიანებულია.

დასავლეთიდან ნანგრევებად ქცეული მოგრძო ნაგებობა ეკვრის.

სალოცავიდან 100-150 მ-ზე, კლდეში ჩადგმულია შირიმის კუბური ფორმის მოზრდილი ქვა (0,7X0,7 მ. სიმაღლე 0,65 მ.) – რომელსაც, ზედა ნახნაგში, ჯვრის ჩასადგმელი ღრმული აქვს.

სოფ. ზამთრეული – მრევლის „სათემო სახლი“, მთელი ცხავატის თემის შესაკრები და ღამის გასათევი ადგილი ყოფილა (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

ამჟამად, მიტოვებული ნასახლარებია შემორჩენილი.

გ. ხორნაულის ცნობით, 1969 წელს, იქ მხოლოდ ორი ხელმოკლე ქვრივის კომლი სახლობდა და ისინიც ჩამოსახლებას ლამობდნენ.

„ცეცხლიჯვრის“ სალოცავი, როგორც უკვე აღვნიშნე, ხადას თემშიც არის (შარუმთან ეკლესია).

იქ მხოლოდ ორი სოფელი – ციხიანი და შარუმიანი ლოცულობს.

ხატს ღამეს უთენებენ და ოჯახის ცეცხლისგან დაცვას ევედრებიან.

ცეცხლისჯვრის ამ ორ სალოცავს (ზამთარეულ-ნაღვარევ-ხარხეთის და შარუმთან ეკლესიას) – „რალაც იდუმალი კავშირი უნდა ჰქონდეს, იმ სასწაულმოქმედ ცეცხლისჯვართან, რომელიც მცხეთის ერთ ბორცვზე, ახლად მოქცეულ იბერიელებს ეჩვენა“.

გამორიცხული არ არის, რომ „ამ რეგიონში, ქრისტიანობის გავრცელებამდე, მოქმედებდა ცეცხლთაყვანისმცემლური (იგივე ზოროასტრული, მაზდეანური) სალოცავი (ნ. ჯავახიშვილი, თ. „ისტორიანი“, 2016 წ. № 12 (72)).

სალაჯური

მთიულეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, არაგვის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1280 მ-ზე.

1774 წელს ოგბაიძეების 3, კეკაურების 2 და ლუდუშაურების 1 კომლი სახლობდა.

1816 წელს – ოგბაიძეების და კეკიშვილების 3-3 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1926 წლის აღწერით 14 კომლი დარეგისტრირდა: 43 მამაკაცი და 47 ქალი, სულ 90 სული; ძირითადი გვარი – ოგბაიძე იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, კეკიშვილები ძირად ხევსურები არიან. მათი ადრინდელი გვარი ჭინჭარაულია. XVIII ს-ში ისინი კეკაურის და კეკიდის გვარს ატარებდნენ.

ლუდუშაურები ხევიდან არიან მიგრირებულები. XVIII ს-ში ისინი უკვე მთიულეთში მკვიდრობდნენ (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

სალაჯურის ჩრდილოეთით, მთის ფერდობზე მდგარი ეკლესია, ე.წ. „შუაძნის ხატი“ (5,6X4

მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით. დაშენებულია ზურგიანი კოშკის შემორჩენილ ნაწილზე. თაროსებრი ლავგარდანი და ფიქალის ორფერდა სახურავი აქვს. მის კიდეებში ქვის თითო ჯვარია ჩადგმული.

სოფლის სასაფლაოზე მდგარი გვიანდელ შუა საუკუნეებს ეკლესია (4,8X4,7 მ.) ძლიერ დაზიანებულია.

მანასული

ფასანაურის ზემოთ, არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე მთის ფერდობზეა გაშენებული. გ. ხორნაულის ცნობით, სახელწოდება მამაკაცის საკუთარი სახელიდან (მანასე) უნდა მოდიოდეს.

1774 წლის აღწერით – კეკიძეების 4, ჩოხელების – 5 და ნიკლაურების 2 კომლი სახლობდა.

1873 წელს – ჩოხელების – 5, კეკიშვილების – 4 და ნიკლაურების 1 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 236).

1816 წელს – ჩოხელების 11 და კეკიშვილების 2 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1926 წლის აღწერით – 16 კომლი დარეგისტრირდა, 47 მამაკაცი და 51 ქალი, სულ 98 სული; ძირითადი გვარი – ჩოხელი იყო.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), სოფლის ცენტრალურ ნაწილში, მთის ფერდობზე მდგარი არქიტექტურული ძეგლი – ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მ. კეკიშვილს საკუთრება იყო – XIX ს-ს განეკუთვნება.

ნადიბაანი და ნადიბაიძეები

სოფელი ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს – ზ.დ. 1500 მ-ზე.

1774 წელს ნადიბაიძეების 5 და დარძეულების 2 კომლი სახლობდა.

1886 წელს 16 კომლი, 42 მამაკაცი და 34 ქალი; მათ შორის 9 კომლი ნადიბაიძეების იყო (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, ნ. II, დოკ. 1814).

სოფ. კარაბეულში, ამავე წელს, ნადიბაიძეების 13 კომლი აღირიცხა: 57 მამაკაცი და 43 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1805).

1926 წლის აღწერით, ნადიბაანთ-კარში, 23 კომლია აღრიცხული; 69 მამაკაცი და 70 ქალი, სულ 129 სული; ძირითადი გვარი – ნადიბაიძე იყო.

სოფლის სახელწოდება გვარის მამას უკავშირდება.

ნადიბა გაბიდაურზე მოდიან ნადიბაიძეები.

გადმოცემის თანახმად, უკანა ფშავის გაბიდაურთ თემიდან, მესისხლეობის გამო, მთიულეთში წამოსულა სამი ძმა: – ნადიბა, ბედუა და უშარა. ნადიბას შთამომავლებს ნადიბაიძეები შერქმევიათ, ბედუასას – ბედოიძეები (სოფ. ბედონი, ძველი რორო), უშარასგან წარმომდგარან უშარაიძეები (სოფ. უშარნი).

მათი განაყრები არიან ხადას ხეობაში მცხოვრები სვიანაიძეებიც.

ოთხივე ეს გვარი, XVIII საუკუნის ბოლოს, უკვე მკვიდრად იყო დასახლებული მთიულეთში.

ძირად ნადიბაიძეები არიან ქაისხევეში მცხოვრები მთიულიშვილებიც.

მათი „ძირხატი“, ფშაველთა საერთო სალოცავი – „ლაშარის ჯვარია“. ნიში სოფ. ნადიბაანში აქვთ დაბრძანებული.

ოთხივე ზემოაღნიშნული გვარი ერთად აღნიშნავს – „კვირია ცხოვლობას“, გიორგობას, ცეცხლისჯვარს, საღმრთოს, საკურთხეველს, ამნის და ადგილის დედას.

როგორც საარაგვის მოსახლეობის 1803 წლის სიიდან ჩანს, მეფე ერეკლეს სიგელის წყალობით, ნადიბაიძეები გადასახადებისგან თავისუფლები იყვნენ.

აღნიშნულის გამო, მათ აზნაურებადაც მიიჩნევდნენ, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს.

დროთა განმავლობაში, ნადიბაიძეთა გვარს რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო (გუგულიანი, ხახვტელიანი, გიორგიანი, მახარიანი, ლომიანი, ზურაბიანი და სხვ.).

ნადიბაანთ სასაფლაოზე მდგარი ეკლესია (5,2X4,2 მ.) შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. აღმოსავლეთის კედელში ჩადგმულ პატარა, სწორკუთხა სარკმელს, საფეხურებად დამუშავებული რაფა აქვს.

ფიქალის ორფერდა სახურავით არის გადახურული.

ნადიბაიძეთა გვარი ბევრ ისტორიულ საბუთში ჩანს:

1732 წელს მთის კაცთა პირობის წიგნშია მოხსენიებული ნადიბაიძე გივი.

1743 წელს, არაგვის ერისთავების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების მეთაურებად სახელდებიან: – ლუდუშაური პაპა, ნადიბაიძე გივი, ნადიბაიძე ზარიბეგ, ტეტია-ნახიჩა-გელდამვილი და სხვა 15 გლეხი.

1774 წელს, ნადიბაიძე შიო – მოურავად სახელდება.

რამდენიმე ხალხური ლექსი მოიხსენიებს სახალხო გმირს, ივანე ნადიბაიძეს:

„არაგვის პირას ომია
გაუთენებლივ დილითა,
იქ არის ნადიბაიძე
შელესილია რკინითა,
ზოგნი კი დაუხოცნია,
ზოგნი წასულან ქირითა,
ქირითა როგორ ქირითა
სისხლს ამოჰყრიდნენ პირითა“.

ნადიბაიძეთა გვარის სხვა ბევრმა წარმომადგენელმაც დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი:

ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფილო ნადიბაიძე.

ფსიქოლოგიის დოქტორი, ნინო ნადიბაიძე.

გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრი 1993-1996 წ.წ-ში.

შალვა ნადიბაიძე – საბჭოთა კავშირის თევზის მრეწველობის ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკი იყო; III რანგის გენერალ-დირექტორი. მუშაობდა შორეული აღმოსავლეთის თევზის მრეწველობის სამმართველოს უფროსად. ხელმძღვანელობდა ისეთ გიგანტურ სამრეწველო გაერთიანებებს, როგორიც იყო „გლავრიბტრესტი“ და „დალნიკიტპრომტრესტი“ – თავის 15 მსხვილ სხვადასხვა გადამამუშავებელ საწარმოსთან ერთად, სადაც დასაქმებული იყო 158 000 მუშა-მოსამსახურე. 1963 წელს ქვეყანას მისცა 205 მილ. აშშ დოლარის ტოლფასი მოგება. მის განკარგულებაში იყო მრავალი თევზსაჭერი გემი, მათ შორის იაპონიაში აგებული 20 000 ტონიანი წყალწყვის გიგანტი. იყო რსფსრ VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის 1945-1949 წ.წ. რეპრესირებული და გადასახლებული ქართველების უკან უსაფრთხოდ დაბრუნებაში. 1964 წელს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ მის ნეკროლოგს ხელს აწერდა: ნ. კოსიგინი, ა. მიქოიანი, ა. შელეპინი და სხვ. მისი სახელი ეწოდა საბჭოთა კავშირის თევზჭერის ერთ-ერთ უდიდეს კომბინატს „ტაიფუნს“, 20 000 ტონიან წყალწყვის მცურავ თევზგადამამუშავებელს და ქ. ვლადივოსტოკის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას.

დარძულნი და დარძულიძეები

ნადიბა გაბიდაური და მისი ძმები როცა მთიულეთში მოვიდნენ, ხალხური მეხსიერების მიხედვით, დღევანდელი ნადიბაანის გაღმა, არაგვის მარცხენა მხარეს – დარძულიძეებს უცხოვრიათ. ძირად ხევსურები ყოფილან – ჭინჭარაულები (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ წ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

„მძლავრნი ყოფილან ძალიანა; უხნავთ მამული, საცა ნამჯა კარგი იქნებოდა. სადილი სად მოგიტანიათო, დედაკაცები რო ჰკითხავდნენ – საცა თეთრი ხარები დაინახოთ – იქაო..“ თურმე, თეთრი ხარებითა ხნავდიან.

„მერე უფრო ზემოთ წასულან, სოფელია მიყორანი, იქ მოსწონებიათ მამული და იქ უხნავთ“.

„ის ადგილი ქვრივი დედაკაცის ყოფილა.“

განაწყენებული ქალი – ხატს შევედრებია: – „ოლომც ეგენი მამაშორე და ყოველ წელს საღმთოს ვიქამო.“

„ამის მერე, ქვრივის კურატი მაჰხვედრია დარძულიანთ გუთანს, ნამაულია და კლდეზე რო უნდა გადაეჩეხა, ახლა, გუთნის დედა შახვედრებია ლომისას: – ოლომც ამან თავი გამანებოს და ჩემი გვარისა ამ მამულში აღარ გაივიღოს“...

იმ მამულს ბაშარას ეძახიან.

„დარძულნი, დღესაც, თავს არიდებენ იქ გავლას“...

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, დარძულიძეთა მეზობელი გვარი, ანგურიძეები, მესისხლეობის გამო გადასახლდა. „ოლაგის (ვალაგის) ყელში“, მათ დიდი მტრობა ჩამოვარდნით დარძულიძეებთან.

ბოლოს, ანგურიძეები „აყრილან და წასულან“.

დარძულიძეთა მეორე მეზობელი გვარი, ყორბეული, ჟამიანობის დროს ამონყვეტილა.

ამის შემდეგ, უმეზობლოდ დარჩენილ დარძულიძეებს, საკუთარი სურვილით, ნადიბაიძეები დაუსახლებიათ მეზობლად.

„მერე, თურმე, ნადიბას მოდგმა გამრავლდა და დარძულიძეთა სოფელს ნადიბაანი დაერქვა.“

დარძულები, ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, ფშავშიც სახლობენ, შარახევში. „ისინი და ჩვენ ერთები ვართ, აქედან არიან წასულები“ – გვამცნობს მათი მთიული მთხრობელი.

ხარხეთი

თეთრი არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, საქართველოს სამხედრო გზის თავზე. „ხევი რომ ჩამოდის, ჩოხელთ შემდეგ, იქა“ – ფასანაურიდან 12 კმ-ზე.

1774 წელს გვიანიძეების და მაჩურიძეების 3-3 კომლი სახლობდა.

მომდევნო აღწერებში ისინი გვიანიძეებად და მაჩურიძეებად არიან ჩანერილები.

1926 წლის აღწერით, ხარხეთში, 14 კომლი აღირიცხა, 34 მამაკაცი და 26 ქალი, სულ 60 სული; ძირითადი გვარი – გვიანიძეილი იყო.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, მგუანიძეილები (გვიანიძეილები) ძირად ნიკლაურები არიან.

„გუდამაყრიდან გადმოსულან სამნი ძმანი. ერთი მათგანი მგუანი (უკუღმართი) რამა ყოფილა.“

„იმაზე მოვდივართო გვიანიძეილები“.

ხარხეთის მკვიდრნი არიან მაჩურიძეილებიც.

1860 წლის აღწერით, იქ, მათი 5; გვიანიძეილების – 3 და გელიაშვილების 2 კომლი სახლობდა (სცსსა, ფ. 254, აღწ. II, დოკ. 227).

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2008 წ.), სოფლის ცენტრალურ ნაწილში მდგარი არქიტექტურული ძეგლი, ი. გვიანიძეილის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი – გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება.

გელიაშვილების ერთი კომლი დუშეთის ძველთაძველი მკვიდრია.

ადრე, იორში შეუძენიათ მამული და იქიდან წამოსულან დუშეთში.

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ფშავიდან, გოგოლაურთა თემიდან არიან მოსულეები. მათი სახლიკაცები თიანეთის და ახმეტის მხარეში წასულან და მგელიაშვილებად დაწერილან.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, 1997 წელს, საქართველოში სულ 1141 გელიაშვილი ცხოვრობდა: თბილისში – 322; მცხეთაში – 191; დუშეთში – 172.

ცხავატი და ცხაოტის თემი

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, ცხავატი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია აღმ. საქართველოში – დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით, სოფ. ქვეშეთამდე.

სიტყვა „ცხავატი“ – მთაგორიანი, ბარიდან მთისკენ გარდამავალი რელიეფის ზოგადი სახელი ყოფილა – მთიულეთში.

სხვადასხვა დროს, იგი სხვადასხვა ფარგლებში მოიაზრებოდა:

არაგვის მარჯვენა მხარეს, ფასანაურიდან მლეთამდე;

არაგვის ორივე მხარეს, ქვეშეთიდან ფასანაურამდე;

ნაღვარევს ქვემოთ, ხანდომდე;

ისტორიულ წყაროებში პირველად VII ს-ში ჩნდება.

ბულა თურქის ლაშქრობისას, 853 წელს, მტერს ცხავატამდე მიუღწევია.

თამარ მეფისგან განდგომილ ფხოველთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ცხავატელები ცენტრალური ხელისუფლების გვერდით იდგნენ.

ცხავატს, ხადასთან ერთად, XIV ს-ში, პოლიტიკური წინააღმდეგობა ჰქონდა ცხრაძმისხევთან.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს, 18 ცხავატელი ხევისბერი დაიღუპა.

XVIII ს-ის ბოლოს, მრევლის და გარეშემოს თემთა ჩამოყალიბების შემდეგ, „ცხავატის“ სახელწოდება, „ცხაოტის“ ფორმით (აღბათ, მხოლოდ ფონეტიკური სახეცვლილებით), მხოლოდ იმ ტერიტორიას შემორჩა, რომელიც, დღეს, ქავთარაანთკარსა და ჩირიკს შორის მდებარეობს.

1774 წლის აღწერით, აღნიშნულ თემში, 10 სოფელი აღირიცხა: ამირთკარი (16 კომლი),

ბატატიანთკარი (3 კომლი), კობიანთკარი (9 კომლი), ქავთურთკარი (17 კომლი), ჩადისციხე (4 კომლი), ჩირიკი (17 კომლი), ძმიანთკარი (3 კომლი), ნიფორი (6 კომლი), ჭიკანთკარი (15 კომლი), ხევშა (22 კომლი).

1989 წელს, სოფ. ჩოხელნსა და დაბა ფასანაურს შორის, ვახტანგ ითონიშვილმა შემდეგი სოფლების და ნასოფლარების არსებობა დააზუსტა: – ჩოხელნი, ზემო და ქვემო ჩირიკი, წინკობანი, ძმიანი, ჭიკანი, ბატატიანი, ხევშა პატაშურთან ერთად, ზემო და ქვემო ამირნი, ნიფორი ჟიჟიანთან ერთად, ჩადის ციხე, ქავთარანი, ქოჩორიანი, ჩაბარუხი და ფასანაური.

წარმოდგენილი ჩამონათვალიდან, მთიულეთის არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობენ: – ჩირიკი, ჭიკანი, ხევშა, წინკობანი და ნიფორი.

მივყვეთ თანამიმდევრობით – არაგვის დინების მიმართულებით.

ჩირიკი და კობაიძეები

სოფელი მთიულეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, თეთრი არაგვის მარცხენა მხარეს – ზ.დ. 1200 მ-ზე.

„ხევი ჩამოუდის გვერდზე – მის შესართავთან.“

სოფლის ორი უბანი – ჭალაზეა შეყოლებით განთავსებული.

1774 წელს, იქ, კობაიძეების – 14, ჩოხელების 2 და ბიბილაურების 1 კომლი სახლობდა.

1816 წელს – კობაიძეების 18; შიო მჭედელის – 1 და ხოსრო ტატიშვილის 1 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1886 წლის აღწერით, ქვემო ჩირიკში აღირიცხა კობაიძეების 23 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1807).

1926 წელს, ზემო ჩირიკში, 20 კომლი დარეგისტრირდა, 49 მამაკაცი და 57 ქალი, სულ 106 სული. ქვემო ჩირიკში 23 კომლი აღწერეს, 68 მამაკაცი და 77 ქალი, სულ 145 სული.

ორივე სოფელის ძირითადი გვარი – კობაიძე იყო.

როგორც ს. მაკალათია გვამცნობს, მათი წინაპარი ოსეთიდან არის მოსული.

ერთი მთხრობელის მიხედვით, კობაიძეები „ჩმიდანა (ჩმიდან, ჩრდ. ოსეთიდან) ვართ მოსულები. ქვრივი დედაკაცი ყოფილა, მაიაი, სამი ვაჟი ჰყოლია. გამოურეკია სამივე და აქ მოსულან. კობაი დამდგარა წინკობათს; ჯაბანაი – ზემო ხევზე; შუაზე – თვითონ მაიაი დამდგარა უმცროს შვილთანა“...

მეორე გადმოცემის თანახმად, როცა ვახტანგ გორგასალს „ოს-ბაყათარი დაუმარცხებია, ტყვეებში რეულა კობაიძეთა წინაპარი. მერე მას მთიული ქალი შეურთავს და კობათ-კარში დამკვიდრებულა“...

გვარის უხუცესების ცნობით, დროთა განმავლობაში, კობაიძეთა გვარი რამდენიმე მამაშვილობად დაიყო: – ბეჟანიანი, მგლიანი, მახარიანი, ლაბიანი...

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქსნის ხეობის სოფ. საძეგურში მცხოვრები კობაიძეები ძირად ჩირიკიდან გადასახლებული კობაიძეები არიან.

მათი მთიულეთიდან გადასახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა.

ძირად კობაიძეები არიან სოფ. კობიანთკარში მოსახლე გორზამაშვილებიც.

კობაიძეთა საგვარეულო ხატობა – მთანმინდობაა.

სოფლის დასავლეთით, მთის ფერდობზე მდგარი კენჭანის ეკლესია (6,1X5,4 მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია ნატეხი ქვით.

ძლიერ დაზიანებულია.

„აკვანაის კლდის“ გამოქვაბულებში, ჩირიკის მცხოვრებთ, „წინათ, ოთახები ჰქონიათ – შიგ აკვნები და ვარცლები ყოფილა დაკეთებული.“

„არწივები, თურმე, იქა სჭამდნენ.“

„მერე, გზა ჩამოშლილა და იქ – ველარავინ გადადის.“

*

ჩირიკს, სალაჯურს და მანასეურს გარესამყაროსთან ერთი გზა აკავშირებს. მიხვეულ- მოხვეული და რთული.

ადრე, სამივე სოფელში, ხალხმრავლობა იყო.

„დღეს, კაცი რომ მოკვდეს, მიწის გამთხრელი აღარ დარჩა“.

ჭიკანთკარი და ჭიკაიძეები

სოფელი მთიულეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, არაგვის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 1320 მ-ზე – ფასანაურიდან 6 კმ-ზე.

1774 წელს ჭიკაიძეების – 14 და კერვალიძეების 1 კომლი სახლობდა;

1781 წელს 13 კომლი (მამის სახელები ჰქონდათ გაგვარებული).

1926 წლის აღწერით 14 კომლი დარეგისტრირდა, 41 მამაკაცი და 49 ქალი, სულ 90 სული; ძირითადი გვარი ჭიკაიძე იყო.

გვარის სახელწოდება მამაკაცის საკუთარ სახელს – ჭიკას, უკავშირდება.

ჭიკი – მთიულურად თითისტარია; ჭიკვა – მოჭერა.

როგორც ერთი მთხრობელი გვამცნობს, „ხევსურების მოჰქონებიათ პური აქა. ერბოზე სცვლიდნენ. ერთხელ უთქომს აქაურს: – დაჭიკე კარგაო და იმაზე დაგვიძახესო – ჭიკანი“...

გადმოცემის თანახმად, ბუდე ხევსურეთის ლიქოკის ხევიდან არიან მოსულები. ძირად სისაურები ყოფილან – სამი ძმანი (ხაბაი, დათვიაი და ხუცესი). „რაღაც დაუშავებიათ იქა და მთიულეთში წამოსულან. მათი ახალი სამოსახლოს ადგილას, ადრე ტყე ყოფილა. გაუჩეხიათ – გაყრილან და სამ კომლად დასახლებულან.“

„სამად დაუნთიათ ცეცხლი – ვილაცამ ერთად არ დაგვხოცოსო“...

დღეს, მთიულეთის ერთ-ერთი ძლიერი გვარია.

დროთა განმავლობაში, მათ რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – ბადიანი, მწარიანი, პეტრიანი... მათი განაყრები არიან – ბარად ჩამოსული ჭიკაშვილებიც.

ხალხურ მესხიერებას შემორჩა ბადიანთ კომობის ერთი მღვდლის საგმირო საქმე, რომელიც მარტოდ-მარტო გაუმკლავდა ოს მარბიელთა რვაკაციან ჯგუფს.

ბურდულების და ჩოხელების საგვარეულოს, რომლებსაც, ტრადიციულად, „სიფრო უწევარი და ქალი უთხოვარი“ ერგებოდა – მხოლოდ ჭიკაიძეები არ ეპუებოდნენ: -

არც ქალს ათხოვებდნენ მათზე და არც თვითონ ქორწინდებოდნენ.

საგვარეულო სალოცავში, მთაწმინდის წმინდა გიორგის ხატზე ჰქონდათ – ამის შესახებ დაფიციბული...

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარი წმ. გიორგის ეკლესია – IX-X სს განეკუთვნება:

– გალავანშემოვლებულ მცირე ფართობის ბაქანზე – რიყის და ნატეხი ქვით ნაგები, ორსართულიანი შენობა დგას. ორივე სართულზე თითო სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიაა განთავსებული. ორივე ცილინდრული კამარით გადახურული. ფასადები შელესილი და შეთეთრებული აქვს. სახურავი – ორფერდა.

„ძმიანის“ ფერდობზე მდგარი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაა (6,3X3,9 მ.) გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ნაგებია რიყის და ქვიშაქვით.

ძლიერ დაზიანებულია.

ჭიკათ კარში ორი ციხე მდგარა:

ერთი სოფლის ბოლოს ყოფილა – სამსართულიანი.

„მისი ქვა ფერმის მშენებლობას მოხმარდა. ხვნის დროს, დღესაც, სულ ძვლები და რკინები ამოდის იმ ნაციხვართან“.

მეორე ციხე – სოფლის მალაა, მიუდგომელ ადგილას.

„იქ მალულა ხალხი. მტერი მიზდგომია ერთხელ და კალმახი გადმოუყრიათ. ვერ მიუვალთ და წასულან.“

ჭიკათკარის მცხოვრებმა, ივ. ჭიკაიძემ, 1959 წელს, საქ. სახ. მუზეუმს გადასცა საკუთარ ნაკვეთში, ხვნის დროს ნაპოვნი ნივთები. მისი სამოსახლოს მიმდებარე ტერიტორიის კვლევით აღმოჩენილი სამაროვანი, ძვ. წ. XIII-XII სს განეკუთვნება. გამოვლენილი ინვენტარი (თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს სატევარი, ხვია, რგოლები, კილიტები, აბზინდა, თავხვია საკინძი, მშვილდსაკინძები და სხვ) – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ჭიკაიძეების გვარის ბევრმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა ღირსეული არაგველის სახელი. გვარის უხუცესები ასახელებენ:

პროფესიით ისტორიკოსსა და იურისტს, მილიციის პოლკოვნიკ, გივი ჭიკაიძეს, რომელიც ქ. თბილისის გლდანის რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსად მსახურობდა.

პოლკოვნიკი, ალექსანდრე ჭიკაიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, 2013-2015 წ.წ-ში.

ხევშა და პატაშურები

ხევშა – პატაშურთა დედასოფელია, მათი საფიცარი ადგილი.

აქედან დაიწყო მთელ საქართველოში მათი განსახლება.

1774 წელს – ქავთარაძეების 11, კერვალიძეების 3, პატაშურების 7 და 1 კომლი ბიბილაური სახლობდა.

სოფლის თანამოსახელე მდინარის აყოლებაზე, ყველაზე ზემოთ, პატაშურების უბანია.

ზოგჯერ მას ცალკე სოფლად მოიხსენიებენ.

მთიულეთის ოთხ სოფელში, 1781 წელს, პატაშურების 13 კომლი აღირიცხა: ხევშას – 10; ნიფორს, ქავთურთკარს და სამაბუროს – თითო-თითო.

1816 წელს – ხევშა და პატაშურები ცალ-ცალკე აღწერეს.

ხევშას – ქავთარაშვილების 10 და აურიტიშვილის ერთი კომლი აღირიცხა; პატაშურებში – ორი კომლი ბარათაშვილი და 9 კომლი პატაშური (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1873 წელს, ამავე სოფელში, ბარათაშვილების 3 კომლი აღირიცხეს (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 264).

მათ სამოსახლოს „ბარათაანთ უბნად“ მოიხსენიებენ.

„მოსულები არიანო საითმე“.

ლეგენდის მიხედვით, ერთ-ერთი იმ ქართველის შთამომავლები არიან, რომელიც „ლომამ“ სათათრეთიდან დაიხსნა (რ. თოფჩიშვილი, „ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ წ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

1886 წელს, პატაშურებში, თანამოსახელე გვარის 12 კომლი აღირიცხა – 47 მამაკაცი და 48 ქალი (სცსსა, ფ. 254, აღწ. III, დოკ. 1815).

1926 წელს 19 კომლი აღწერეს – 67 მამაკაცი და 70 ქალი, სულ 137 სული; ძირითადი გვარი – ქავთარაძე იყო.

საისტორიო საბუთებში პატაშურები XVII ს-ის II ნახევრიდან ჩანან (სცსსა, ფ. 1448, დოკ.

5032).

მათი საგვარეულო სალოცავი – ხევშას მიქაელ მთავარანგელოზის ხატია. მისი დეკანოზობა რუხანთ კომობას მოუდის. ზეიმი ღამისთევით იცინა – ყოველი წლის ამალღება დღეს.

პატაშურები ხევშისხეველთა სხვა სალოცავებშიც (ყოლანმინდა, თორმენამე, კვირია, წმინდა გიორგი) ლოცულობენ და მთიულეთის მთავარი სალოცავის – დიდი ლომისის წმინდა გიორგის ყმები არიან.

ერთი გადმოცემის თანახმად, ლომისის ხატი, ადრე, თურმე, პატაშურებს ებარა. ბურღულეები მოგვიანებით გამხდარან მისი დეკანოზები (გაზ. დროება, 1885 წ. № 173).

დროთა განმავლობაში, პატაშურთა გვარს რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო (რუხანანი, ბეკვირანი, პოვლიანი, ათილიანი, მგელიანი, ბაჩუნაანი, ნადირაანი, გუგუანი, ხახაანი და თუშიანი).

სოფ. ლაკათხევეში მცხოვრები საქიძეები ძირად პატაშურები არიან:

„ერთი თავადებული ჯეელი ყოფილა ხევშაში – სიმლა; შამოუკრავ ბიძაშვილისთვინა და მოუკლავ. წამოსულა აქა და გვარი გამოუცვლია, საქიძედ დანერვილა...“

ხალხურ მესხიერებას შემორჩა ხევშელი კაი ყმის, პაატა პატაშურის სახელი. „მარბიელ ლეკებს გადაყრია“ იგი, მტერი დაუხოცავს და ტყვეები დაუხსნია:

„პაატამ პატაშურამა
შვიდნი დავისხნი წინაო,
მერვეს ვესროლე ტაბიკი,
ვეღარც ის მივა შინაო“...

ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, პატაშურები – ქართლის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე და მემარცხენე სადროშოებში გამოდიოდნენ – ამილახვართა და მუხრანბატონთა დროშებ ქვეშ (ალ. ნაზღაიძე).

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის მიხედვით, საქართველოში 812 პატაშური ცხოვრობს: თბილისში – 331; დუშეთში – 82; მცხეთაში – 201.

2013 წლის 17 თებერვალს, თბილისში, წმინდა სამების ტაძარში, სრულიად პატაშურების შეკრება შედგა. დაფუძნდა მათი საგვარეულო კავშირი. დაანერინეს თავიანთი ხატი, შექმნეს საკუთარი გერბი და დროშა. საფუძველი ჩაუყარეს საგვარეულო ფონდს.

გვარის წინამძღოლად აირჩიეს, ღირსეული არაგველი, ლადო გუდიაშვილის მიერ ქართული ფერწერის დიდოსტატად აღიარებული – საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, ილია პატაშური.

ძმიანთ კარი და წინკობანი

წინკობანი – ფასანაურიდან 10 კმ-ზე, არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე ფერდობზეა განთავსებული.

„ამ სოფლის უკან, გადაღმა ხეობაშიც კობაიძეები ცხოვრობენ. მათ მიმართ არიან ესენი წინკობანი – ანუ, წინა ფერდობზე მცხოვრები კობაიძეები“ (გ. ხორნაული).

ძმიანთ კარი – წინკობანის მიმდებარე სოფელია.

1774 წელს, იქ, ქავთარაძეების 3 კომლი სახლობდა.

1781 წელს – 6 კომლი.

ამავე წელს, კობიანთ კარში, კობაიძეების 8 კომლი და ერთი ძაგნაკორელი ხიზანი აღრიცხეს.

1816 წელს, კობათ კარში – კობაიძეების 8 და ძმიაშვილების 7 კომლი აღირიცხა (სცსსა, ფ. 254, აღნ. I, დოკ. 436).

ძმიან-წინკობანში ერთად, 1926 წლის აღწერით, 15 კომლი იქნა დაფიქსირებული, 53 მაკაცი და 63 ქალი, სულ 116 სული; ძირითადი გვარები – კობაიძე და ქავთარაძე იყო.

ხსენებულ დასახლებათა ჩრდილოეთით, მთის ფერდობზე შემორჩენილ ნასოფლარზე, გვიანდელი შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია და მასზე მიდგმული კოშკი მოჩანს.

ეკლესია დარბაზულია (5,2X4,9 მ.); რიყის ქვით ნაგები. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარი გადახურულია არქიტრავით. ინტერიერის აღმოსავლეთით, სწორკუთხა საკურთხეველია, რომელსაც ერთი სარკმელი ანათებს. მის წინ ტრაპეზის ქვა დევს. ჩრდილოეთის კედელში ორი სწორკუთხა ნიშია, სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კიდეში – ერთი. ეკლესიის ორფერდა სახურავის კეხზე – ქვისგან გამოკვეთილი ცხვრის ქანდაკება დგას.

კოშკი (სიმ. 7,2 მ.) – ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეზეა მიშენებული. მისი ქვედა ორი მესამედი მასიურია.

ორივე ნაგებობის ფასადი დასრულებულია ნატეხი ქვის თაროსებრი ლავგარდნით.

წიფორი

ფასანაურის ზემოთ, არაგვის მარცხენა მხარეს მდებარეობს – გორაზე.

სახელწოდება შესაძლოა მოდიოდეს ზანური სიტყვიდან – წიფური, წიფელი (გ. ხორნაული).

1774 წელს, იქ, ქავთარაძეების 5 და კედელაურის 1 კომლი სახლობდა.

1781 წელს – პატაშურის გვარი ჩნდება.

1816 წელს – ქავთარაძეების 5, კედელაშვილების 4, პატაშურების 3 და დოდიამ-ვილების 1 კომლი აღირიცხა (სცსსა, ფ. 254, აღნ. I, დოკ. 436).

წიფორ-ჟიჟიანში ერთად, 1926 წელს, 24 კომლი აღირიცხეს, 74 მამაკაცი და 68 ქალი, სულ 142 სული; ძირითადი გვარები – ქავთარაძე და ბენიაძე იყო.

აღნიშნულ დასახლებათა შორის, წიფლნარით დაფარულ გორაზე, წიფორის წმინდა გიორგის ეკლესიაა – მთიულეთის ერთ-ერთი ძლიერი სალოცავი.

გადმოცემის თანახმად, მას 12 დეკანოზი ემსახურებოდა:

„თავი დეკანოზი ხატის ხელისმკადრე იყო, დროშა სხვა დეკანოზს ეჭირა, განძი სხვას ებარა, ზარს სხვა დეკანოზი რეკდა...“

მის მშენებლობას თამარის პერიოდს მიაწერენ.

ცოცხალი ჯაჭვი გაუბამთ მეომრებს, ქვის ლოდები ხელიდან ხელში გადაუციათ და ისე აუშენებიათ ეს სალოცავი.

13 ვაჟკაცი დალუპულა მშენებლობის დროს.

მათი სულის უკვდავსაყოფად აკლდამა აუგიათ და „იქავ დაუმარხავთ“.

ს. მაკალათიას ცნობით: – სალოცავის ნიში სავსეა ხატის უღლებით, ზანზალაკებით და სხვა შარნებით. გარშემო ჩამწკვრივებულია გრძელი ჭოკები, რომლებზეც თეთრ-წითელი ქსოვილის ნაჭრები ფრიალებენ. ამ დროშებს – ხატს უცოლო ბიჭები სწირავენ. ტყეში ჭრიან წიფელის ან ნაძვის რაც შეიძლება გრძელ ჯოხებს, წვერზე მათ ფერად ნაჭრებს აბამენ და, აღდგომა დილას, ამ ჯოხებით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან. მერე მათ გალავანში ჩაასობენ და სალოცავს სწირავენ...

მლოცველთა რწმენით, დროშის შემწირველს – ხატი ცოლ-შვილის ღირსად გახდის.

სალოცავს, განსაკუთრებით, ვაჟიანობას შესთხოვენ და მიზნის მისაღწევად – ვერცხლის თასებს სწირავენ.

თუ არც ამან გასჭრა, უძეონი – დეკანოზს ხუთ წლის კურატს მიჰგვრიან, დაამწყალო-
ბინენენ, დაკლავენ და შეძენილ ვაჟს, ეკლესიის მსახურად გაზრდიან.

წიფორის წმინდა გიორგი – კედელაშვილების, ქავთარაძეების, ბიბილაშვილების და ჟი-
ჟიაშვილების საგვარეულო სალოცავია.

მისი ორნავიანი ბაზილიკის პირვანდელი სახე დაკარგულია.

არაერგზის არის რესტავრირებული.

უნიკალური ინტერიერი აქვს:

– მთავარი დარბაზი და გვერდითი ნავი ეფუძნება უზარმაზარ ქვის სვეტს, რომლის წინ
– ხის დიდი ჯვარია აღმართული.

საკურთხევლის ერთი მხარე – მომრგვალებული ქვით არის ნაგები, მეორე – ოთხ-
კუთხედით.

სალოცავის უძვირფასესი რელიქვია, ოქროს ჯვარი, რომელიც შუაზე იხსნება და
მაცხოვრის გამოსახულება აქვს ამოტვიფრული – არავინ იცის, აქ როდის, ან როგორ მოხვდა.

მრევლის ღრმა რწმენით, მასში უდიდესი სინამდვილე – წმინდა გიორგის გულის ფრაგმენ-
ტია მოთავსებული...

*

სოფ. წიფორი, სადაც ერთ დროს, სიცოცხლე დუღდა, დღეს, ნასოფლარად არის ქცეული.

„ორი სახლილა იმაგრებს თავზე ჭერს... დროის – არა, განწირულების სევდა დასტყობია
მის ოდინდელ ბალებს: ჭანჭურებიც კი დახავსებულან. ზოგან გამხმარან და ჩაჩეხილან, მა-
გრამ, სადაც განედლებულან, იქ თავგამეტებით მოუსხამთ, გახელებით დახუნძლულან. ნაყ-
ოფი სალი აქვთ. თითქოს ასეთი თავგამოდებით მთიელებს უხმობენ უკან: – დაბრუნდითო!“
(ხათუნა პატაშური, ნაწყვეტები ფოლკლორული ჩანაწერებიდან „მთიულეთი“, ჟ. არმაღანი
№ 1 (2), 2014 წ.).

ჩოხელნი

არაგვის მარჯვენა ნაპირას მდებარე ცხაოტის თემის პირველი სოფელია. საქართველოს
სამხედრო გზის თავზე მდებარეობს, ფასანაურიდან 10 კმ-ზე – ზ.დ. 1200 მ-ზე.

გუდამაყრიდან მოსული ჩოხელების საცხოვრისია.

„ორი ძმანი – გივი და ბერი“, გადმოცემის თანახმად, „პირველად გაღმა მანასეურში
დამდგარან, მაგრამ იმ მიზეზით, რომ, გარკვეული დროის შემდეგ, მათ დამხვდურთა გვარი
უნდა მიეღოთ – არ დარჩენილან. არაგვს გადასულან, სოფ. ამირთას და ნადიბაანს შორის,
„ტყეში მამული გამოუღიათ“ და იქ დასახლებულან.

„მთის კანონმდებლობით“: – „თუ ახო გაკაფე და იქ დასახლდი“ – საკუთარ გვარს შეინ-
არჩუნებ.

ასე დაფუძნდა მთიულეთში გუდამაყრელ ჩოხელთა საცხოვრისი.

1774 წელს, იქ, უკვე მათი ხუთი კომლი სახლობდა.

1926 წლის აღწერით, ამავე სოფელში, 67 სული დარეგისტრირდა – 28 მამაკაცი და 39
ქალი; ძირითადი გვარი – ჩოხელი იყო.

სოფლის ჩრდილოეთით, საქართველოს სამხედრო გზის პირას მდგარი „ჩირიკის ეკლე-
სია“, გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. დარბაზულია (6,4X5,5 მ.). ნაგებია ნატეხი
ქვით. შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს; ინტერიერი – განივი კედლით, ორ ტოლ ნაწილადაა
გაყოფილი. სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრალურ ნაწილში კუბური ტრაპეზი დგას. განივ

ფასადებზე შემორჩენილია თავდაპირველი თაროსებრი ლავგარდნის მცირე ნაწილი.

ამირნი და ამირიძეები

სოფელი მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ველ-ტყიან ფერდობზე.

ერთი მთხრობელის მიხედვით, „ამირნი იმიტომა ჰქვიონ, რო, ძველ დროს, თათრების შემოსევისას, ჩვენ მეფეს აქ ჩამოუყვანია – იქაური კაცი, ამირა, რომელიც აქ დარჩენილა.“ იმის ჩამომავალნი ვართო – ამირის ძე და – ამირიძე. „სუ ლველ-დიაკვნები ყოფილანო ჩვენები“.

ამირა მოხელეობაც იყო და კაცის საკუთარი სახელიც. იაკ. ახუაშვილის ცნობით, არაბთა ენაზე ითარგმნება – უფროსად, ვითარცა ამირ ეჯიბი, ამირ ბარი, ამირ სპასალარი.

ერთი ეთნოგრაფიული ვერსიის თანახმად, მთიული ამირიძენი დასავლეთ საქართველოდან არიან მოსულები; მეორე ვერსიით – გორიდან; მესამის მიხედვით – ძირად ხანდოელები არიან: -

„მათი სახლობა, იქ, ცხრა მღვდელ-დიაკონს ითვლიდა“.

დროთა განმავლობაში, ზომაზე მეტად აღზევებულან და თემს მათი ამონყვეტა განუზრახავს: -

დავხოცოთ და მოვიშროთო თავიდან.

ყველიერის დიდმარხვის დროს მიუციათ ცეცხლი მათი სახლსთვის.

„დაუდგნენ ირგვლივა და ჩაბუგეს.“

„ერთი ფეხმძიმე დედაკაცი გამოქცეულა ფეხშიშველად – თოვლში. იმავე ღამეს ჭიკათას (ჭიკაიძეებთან) მისულა – მამის სახლში.“

„ხანდოელებმა კვალი ნახეს და ჭიკათ მიადგნენ.“

„უნდა მოვკლათო!“

„შაიყარა სოფელი და არ მიაკვლევინა.“

იმ ორსულს შეეძინა ტყუპი ვაჟი. ერთს ქურციკი დაარქვეს, მეორეს ამირიძე.

„ორივე პაპამ დაზარდა. 7 წლამდე რო მოიყარნენ, წაასხა დიომბეგთანა და უთხრა: – ეს ბალები ამა და ამ ხალხისა არი და შენთვის ჩამიბარებიაო.“

„მერე, დიომბეგმა უპატრონა ობლებს: – საცა წავიდოდა, ყველგან თან დაჰყავდა, ერთს რო წინ გაიმძღვარებდა, მეორე უკან მიჰყვებოდა.“

დაიზარდნენ ბიჭები და მაგარი ვაჟკაცები დადგნენ. ხანდოელებზე ჯავრი იყარეს. მტერთან ბრძოლაშიც გამოიჩინეს თავი და ამირთკარის მამულები საკარგყმოდ მიიღეს:

„ჩოხელთ ხევიდან ბიბილაანთამდე წვდებოდა იმათი მიწები.“

„სამანები მსხდარა; გზა რო გაიყვანეს, მაშინ ამაიყარა, თურმე“.

*

1774 წლის აღწერით, ამირთ კარს – ამირიძეების 16 კომლი სახლობდა; 1781 წელს – 15; 1816 წელს – 11; 1831 წელს – 17.

1926 წელს 30 კომლი დარეგისტრირდა, 83 მამაკაცი და 100 ქალი, სულ 183 სული; ძირითადი გვარი – ამირიძე იყო.

მათი გვარი, შემდგომში, რამდენიმე მამაშვილობად დაიყო: – ხუტიანი, ვაჟიკიანი, სვიმონიანი, ყიდიანი, პაპიანი, გივიანი, ვაიძიანი, სამუკიანი, მჭედლიანი...

„ხმალზე ნაფიცრობა აქვნდათ ამირთკარელ ამირიძეთ, შონჩოელ ნარიმანიძეთ და მლეთელ ნაზლაიძეთ. ბიძაშვილობენ ისინი და ერთურთში ქალს არ ათხოვებდნენ მოაქჟამამდე“.

„ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის სადიდებლად ამირიძენი ქართლის სამეფო ლაშქრის მონინავე, მემარჯვენედ და მემარცხენედ მიმსვლელ-მცემელთა სადრო-

შობებში გამოდიოდნენ“ (ალ. ნაზლაიძე).

ამირიძეთა საგვარეულო ხატობა – მთავარანგელოზობაა.

სოფელში დღემდეა შემორჩენილი XVI ს-ის დარბაზული ეკლესია.

ისევ დგას XVI ს-ის ზურგიანი კოშკიც.

1732 წელს, არაგვის საერისთაოს მთიელ თავკაცთა პირობის წიგნში მოხსენიებულია ამირიძე ქურციკი.

1759 წელს, თეიმურაზ II-ს წყალობის სიგელი აქვს მიცემული ამირიძეთათვის.

1774 წლის აღწერაში მოხსენიებულია ნაცვალი – ამირიძე ხოსრო.

სამუკა ამირიძე – რუსთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული, 1804 წლის აჯანყების ერთ-ერთი თავკაცი იყო.

1820 წლის საბუთში იკითხება პროტოიერი ამირიძე გიორგი – ლუდა-თრუსოს ხეობების საბლალორინოს წინამძღვარი.

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის ცნობით, საქართველოში, 1997 წელს, სულ 659 ამირიძე ცხოვრობდა: თბილისში – 251; დუშეთში – 209; გორში – 100.

ჩადისციხე

არაგვის მარჯვენა მხარეს, ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, ფასანაურ-რიდან 5 კმ-ზე – ზ.დ. 1500 მ-ზე.

სახელწოდებასთან დაკავშირებით სამი განსხვავებული ვერსია არსებობს:

სოფელს ლეკები დასცემიან. ხალხი ციხეში გამაგრებულა და იქიდან, ისრის ზუსტი სროლით, ისე ანადგურებდნენ მომხდურთ – „გაღმა ციხეებიდან მომზირალი ხალხი კვირობდა: – შეხედეთ, რას ჩადის ციხეო“.

მეორე ვერსიის თანახმად, მტერს ცეცხლი შეუწთია ამ ციხისათვის. „ქვებმა როცა სკდომა დაიწყო, შიგ შეყუყუული ხალხი შეშფოთებულა და მაშინ უთქვამთ: – რას ჩადის ციხეო!“.

როცა, სიძველის გამო, ციხემ დაშლა და დადაბლება დაიწყო – ხალხი, თურმე, სინანულით შეჰყურებდა ამ პროცესს: – „ჩადის (დაბლდება) ციხეო“.

1774 წელს, ჩადისციხეს, ყურუშალაძეების და ქავთარაძეების 2-2 კომლი სახლობდა. მათ შორის მოხსენიებულია – ყურუშილაძე ბერის შვილი, აბულა.

რ. თოფჩიშვილი ვარაუდობს, რომ ჩადისციხეში მცხოვრები აბულაძეები შესაძლებელია, სწორედ ამ აბულა ყურუშალაძის შთამომავლები იყვნენ.

ხალხური მეხსიერების მიხედვით, აბულაძეები – იმერეთიდან ბატონის მკვლელობის გამო წამოსულან („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ ნ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

ალ. ნაზლაიძის ცნობით, ისინი – ამირიძეებმა დაასახლეს თავიანთ მამულებში.

1926 წლის აღწერით, ჩადისციხეში, 19 კომლი დარეგისტრირდა: – 51 მამაკაცი და 74 ქალი, სულ 125 სული; ძირითადი გვარი – აბულაძე იყო.

დღეს, იქაურობა ნასოფლარად არის ქცეული.

„სამხედრო გზის მალა, ფერდობზე, ძველებური სახლებია შემორჩენილი, ერთერთზე შეხორხლილი – სახლებს უკან ციხის ნაშალია“...

ყურუშალიძეები საერთოდ აღარ ჩანან მთიულეთში.

ქავთურთკარი და ქავთარაძენი

სოფელი მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს.

1774 წელს, იქ, ქავთარაძეების 15 და პატაშურების 2 კომლი სახლობდა.

1816 წელს – ქავთარაძეების 14; პატაშურების – 2 და ბიბილაშვილების – 3 კომლი (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 436).

1831 წლის აღწერით, ქავთარაძეების 16 და პატაშურის 1 კომლი დარეგისტრირდა (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 1245).

1860 წელს – ქავთარაძეების 17 კომლი აღწერეს (სცსსა, ფ. 254, აღწ. I, დოკ. 227).

1926 წელს 28 კომლი აღირიცხა, 77 მამაკაცი და 68 ქალი, სულ 144 სული; ძირითადი გვარი – ქავთარაძე იყო.

„ქავთარ – სპარსული ენიდან ქართულად აფთარს ნიშნავს“ (ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ? 1992 წ. გვ. 145).

ქავთარაძე – ქავთარას მოდგმას, ქავთარას შთამომავლობას.

მთიულეთის ერთ-ერთი ძირძველი გვარია.

მათი ძირითადი სამოსახლო იყო: – ქავთარანი, ნიფორი, ჩაბარუხი; XVIII ს-ში სახლობდნენ – ძმინთკარში, ჩადისციხესა და ბატატიანთკარში. უკანასკნელი 2-3 საუკუნის განმავლობაში, დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ საქართველოს ბარში.

დროთა განმავლობაში, მთიულ ქავთარაძეებს რამდენიმე მამაშვილობა გამოეყო: – ხიზანიანი, ათილიანი, დეგილიანი, ბეჟანიანი, ქოჩორიანი, გორძიანი, ვერთაულიანი, გოჭიანი, თადლიანი, სიხნიანი...

მათგან წარმოსდგა რამდენიმე შტონაყარი გვარი, რომლებიც ერთმანეთთან, დღემდე, ნათესაურ კავშირს არ წყვეტენ.

ქავთარაძეების განაყრები არიან – ქაისხეველი ველთაურები, მელთაურები და მელითაურები.

მათივე შტონაყარია – ქსნისხეველი შერმადინების გვარიც. ისინი მშველიეთსა და მოჭალიეთში სახლობენ.

ძირად ქავთარაძეები ყოფილან წილკანში მცხოვრები შავლიაშვილები, ოძისელი ტიტველაშვილები, ხორხში მცხოვრები ჟიჟიაშვილები და ბაზალეთელი დურგლიშვილები (რ თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, 2002 წ. გვ. 16-22).

თათარაშვილების წინაპარი ქავთარაძე, ი. მაისურაძის ცნობით, ტყვედ ყოფილა „თათრის ქვეყანაში“. იქიდან თავი დაუხსნია, მცხეთაში დასახლებულა და მის შთამომავლებს, შემდგომში, თათარაშვილობა გაუგვარებიათ (ქართული გვარსახელები, 1990 წ. გვ. 71).

ლისის ტბასთან, სოფ. თხინვალში, მცხოვრები მთიული ქავთარაძეების ნაწილი, ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, კავთისხევეში გადასახლდა. იქ მათ თხინვალელების გვარით მოიხსენიებენ.

ატენის ხეობაში (სოფ. ტუსრებში) მცხოვრები ხაბაშვილებიც, ძირად, მთიული ქავთარაძეები არიან.

მათი ნაწილი წინაპართა გვარს დაუბრუნდა.

მთიული ქავთარაძეების და მოხვეე ქავთარაშვილების საერთო წარმომავლობაზე მიგვითითებს რ. თოფჩიშვილი („ქართული გვარ-სახელების ისტორიიდან“ წ. I, 2003 წ. გვ. 122-126).

ამ ვერსიას ადასტურებს როგორც ხევში, ისე მთიულეთში ჩანერილი ეთნოგრაფიული ცნობები.

ბ. ხანგოშვილის ცნობით, ქავთარაშვილთა გვარსახელი ორ სხვადასხვა წარმომავლობის გვარმოდენილობას აერთიანებს: არიან მოხვეე ქავთარაშვილები – ოდესღაც, მთიულეთის

ცხავატის თემიდან სტეფანწმინდაში გადასული ქავთარაძის (იგივე ქავთარაძის) შთამომავალი და – პანკისელი ქავთარაშვილები – ქისტეთის მაისტის თემიდან – ღუისში გადმო-სახლებული ქისტი ქავთარას შთამომავლები („ქისტები“, 2005 წ. გვ. 281).

ვ. ბარდაველიძე – უფრო ადრე გვამცნობდა, რომ თუშეთში მცხოვრები ქავთარიძეები არანაირ კავშირში არ არიან მთიულ ქავთარაძეებთან (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები, ტ. II, 1985 წ. გვ. 22-24).

მაისტელი ქისტი ქავთარას შთამომავლები, რომლებიც პანკისის ხეობაში ცხოვრობენ – ზოგი ქავთარაშვილად ეწერება, ზოგი – ქავთარიშვილად. ისინი ერთმანეთთან ნათესაობენ და არაფერი აკავშირებთ ქავთარაძეებთან. პანკისელი ქავთარაშვილ-ქავთარიშვილები, მიუხედავად გვარ-სახელის დამთხვევისა, არ ენათესავებიან არც მოხვე და არც ქვემო ქართლელ ქავთარაშვილებს (ალ. ნაზლაიძე, „ქავთარაძეთა გვარი“, 2010 წ. გვ. 4).

ეთნოგრაფიული ცნობების თანახმად, ქვემო ქართლელი ქავთარაშვილები – თავადი ქავთარ ბარათაშვილის შთამომავლები არიან. საბარათიანოს დაშლის შემდეგ, იქ, „საქავთარიშვილო“, სათავადო ჩამოყალიბდა (დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955 წ. გვ. 133, 143).

1781 წელს, ანანურში სახლობდა ხიზანი აზნაურშვილი ქავთარაძე (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, 1967 წ. გვ. 122).

მისი წარმომავლობის დადგენა – შეუძლებელია.

ბევრ საისტორიო საბუთში ფიგურირებს მეგრელი ქავთარიძის გვარი.

მათი შთამომავლების დიდი ნაწილი, დღეს, სენაკის რაიონში ცხოვრობს და ქავთარაძის გვარს ატარებს (კ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, 2000 წ. გვ. 136).

*

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ქავთარაძეთა გვარში რამდენიმე დამოუკიდებელი გვარმოდენილობა ჩანს, რომელთა შორის კავშირები ვერ დგინდება.

ისინი, სხვადასხვა დროს და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვნენ – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „მათი რამდენიმე ბუდე იკვეთება... ზემო იმერეთში, ქვემო სამეგრელოში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, აჭარაში და მთიულეთში (ალ. ნაზლაიძე, „ქავთარაძეთა გვარი“, 2010 წ. გვ. 5-6).

როგორც ჩანს, მამაკაცის საკუთარი სახელი „ქავთარ“ – საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში.

*

მთიული ქავთარაძეების საგვარეულო სალოცავი – გზოვანის წმინდა გიორგი (წვერის ანგელოზი) და წიფორის წმინდა გიორგია.

გზონის, ანუ მგზოვანის წვერის ანგელოზის ნიში, ს. მაკალათიას ცნობით, ფასანაურის ერთ მაღალ მთის მწვერვალზეა აღმართული. ეს მთა არაგვს გაღმა, აღმოსავლეთის მხარეზეა და მუხნარ-წიფლნარით არის დაფარული. აქვეა მარნების და საბეროს ნანგრევები... ძველად, მთიულეთის უდიდესი სალოცავი ყოფილა. „დიდი მამულები კუთვნებია და დიდძალი შესაწირიც შესდიოდა. მის ხატობას, თურმე, ასი მარტო ცალთვალა ივანე ესწრებოდა.“

წვერის ანგელოზობას 29 ივნისს აღნიშნავენ. მლოცველები, „თავიანთი დეკანოზების მეთაურობით, გზოვანის წვერზე ადიან – საკლავით, არყით, პურით და ხატის ნიშთან ლოცულობენ (ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 164-165).

ჯალალ-ედ-დინის (ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველის) შემოსევის დროს, მაშინდელი მთიულეთის მთავარი სინმინდე – მგზოვანის წმინდა გიორგის ხატი, ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ხორასნელებმა გაიტაცეს. იქიდან დაბრუნების შემდეგ კი, ხატმა, თავის ახალ

საბრძანისად, ლომისის მთა შეარჩია.

მას შემდეგ, მთიულეთის მთავარი სალოცავი ლომისი გახდა (იხ. „ლომისის ხატი და დიდი ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია“).

ქავთურთკარის „წვერის ანგელოზის“ მახლობლად, ლომისის ნიშიც არის. ხალხის ღრმა რწმენით, „სპარსეთიდან წამოსულ ხარს, ლომას, ერთიც, თურმე, იქ, თავის ძველ საბრძანისთან, შეუსვენია“.

*

ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, მთიული ქავთარაძეები კომლზე კაცად გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მოწინავე, მემარცხენე და მემარჯვენე სადროშოებში (აღ. ნაზლაძე).

ავთ. სილაგაძის და ანზ. თოთაძის მიხედვით, დუშეთის რაიონში, 1997 წელს, 881 ქავთარაძე ცხოვრობდა.

ჩაბარუხი

ამბობენ, რომ სოფლის სახელწოდება (ჩაბარუხი), ჩანჩქერს ნიშნავს.

ამ ხეზე, სამხედრო გზიდან 3 კმ-ის დაშორებით – არის ასეთი წყალვარდნილი.

სოფელიც, ადრე – თანამოსახელე ხეობის სათავეში ყოფილა, საქართველოს სამხედრო გზიდან 500 მ-ზე.

1831 წელს, იქ, ქავთარაძეების 6 და პატაშურის 1 კომლი სახლობდა (სცსსა, ფ. 254, აღწ. I დოკ. 1245).

1926 წლის აღწერით, 5 კომლი დარეგისტრირდა, 21 მამაკაცი და 21 ქალი, სულ 42 სული; ძირითადი გვარი – ქავთარაძე იყო.

1961 წელს, მდინარე ჩაბარუხის მარჯვენა ნაპირზე, შემთხვევით იქნა ნაპოვნი, ბრინჯაოს განიერ სარტყელში მოთავსებული, ე.წ. „ჩაბარუხის განძი“, რომელიც ძვ. წ. VIII-VII სს განეკუთვნება; შეიცავს – სამლოცველოზე მიტანილ სხვადასხვა ნაკეთობებს – სულ 133 ნივთს, რომლებიც ადრინდელი რკინის ხანის მხატვრული ხელოსნობის ძალზე მნიშვნელოვანი ნიმუშებია.

ინახება საქ. სახ. მუზეუმში.

ფასანაური

მთიულეთის და გუდამაყრის არაგვების შესართავთან მდებარეობს, საქართველოს სამხედრო გზაზე – ზ.დ. 1050 მ-ზე.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკის თანახმად, დაახლოებით ამ ადგილას იდგა, ე.წ. ქისტურის ციხე, რომელიც თეთრი და შავი არაგვის ხეობებში შესასვლელს იცავდა.

XIX ს-ის I ნახევრამდე, გ. ხორნაულის ცნობით, ფასანაურთან არავითარი დასახლება არ იყო:

ეს ადგილი ყველაზე ვიწრო და მოზღუდულია მთიულეთის ხეობაზე. ირგვლივ ჩამოყუდებული მთების ფერდობები დამრეცია, არ არის სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები – გლეხი კაცისათვის საცხოვრებლად ყოვლად გამოუსადეგარია და ამიტომ, ხალხის დასახლება, იქ, შედარებით გვიან დაიწყო.

სამაგიეროდ, „ეს ადგილი“ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საგზაო კვანძს.

დარიალის ხეობასთან და ქსნის საერისთაოსთან დამაკავშირებელმა გზებმა – დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობის იქ განვითარებას.

ნ. კაზანცევის და დ. რაკოვიჩის ცნობით, ძველ სპარსულ ენაზე ფასანაური წმინდა მალ-ლობს ნიშნავს (საქართველოს სამხედრო გზა, 1913 წ.).

ს. მაკალათიას მიხედვით, დაბამ თავისი სახელწოდება „საფასე ადგილთან“ დაკავშირებით მიიღო:

ძველ დროში, იქ, თურმე, ტყვეებით ვაჭრობა ხდებოდა.

განსხვავებული ვერსიით, რუსეთთან მიმოსვლის გაცხოველების შემდეგ, XIX ს-ის I ნახევრიდან, დღევანდელი ფასანაურის ადგილას, ჩარჩ-ვაჭრებმა დუქნები და ღამის სათევები გახსნეს. მალე საბაჟოც გაიხსნა. გზით სარგებლობისათვის საფასურს ახდევინებდნენ და ამის გამო მიიღო დაბამ – ფასთან დაკავშირებული სახელდება.

როგორც ი. ბოგომოლოვი და გ. ხუციშვილი გვამცნობენ:

„მთიულეთის გეოგრაფიული ცენტრის, ფასანაურის, ისტორია სულ რაღაც 1,5 საუკუნეს ითვლის. მისი დაარსება დაკავშირებულია საქართველოს სამხედრო გზის „დისტანციური პუნქტისა“ და საგზაო გადასახდელის ამკრეფი სამსახურის შექმნასთან. აღნიშნული მიზნით აშენდა, დღემდე შემორჩენილი, ე.წ. „ზასტავის“ (კარიბჭის საგუშაგოს) ორსართულიანი შენობა“.

ლეონ ბატონიშვილისადმი მიმართული ცხავატელი მთიულების საჩივარში, ფასანაური, ჯერ კიდევ, 1776 წელს არის მოხსენიებული.

საინტერესოა გუჯარის ტექსტიც:

„ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ლეონის ჭირი მისცეს მთიულს ცხავატელთ.

ფასანაური ჩვენი სამკვიდრო ადგილი არის და ქავთარაშვილისათვის გიბოძებიათ. ამ ფასანაურზედ ასი კომლი კაცნი ვლაპარაკობთ, ჩვენი არის. ქავთარაშვილებს ჩვენზე მეტი არა აქვთ. ნახევარი იმათი – ნახევარი ჩვენია.

ამ წყალობას გვედრებით, რომ ჩვენი სამკვიდრო მამული არ წაგვერთვას. ღმერთი გაგიმარჯვებს.

მაისის დ. ქორონიკონის უიდ.“

დოკუმენტს – ბატონიშვილის მინაწერი ახლავს:

„გიბრძანებ ამ არზის მომრთმეო! მერე, ღმრთით, ამ ცოტას ხანში, ჩვენ არაგვზედ ამოვალთ და ამ შენს საჩივრის სამართალს მაშინ მოგცემთ. მაისის ე, ქორონიკონის უიდ“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. დ, დოკ. 9172; ქართული სამართლის ძეგლები – ი. დოლიძის რედაქციით, ტ. VII, გვ. 341, 1981 წ.).

როგორც წარმოადგენილი დოკუმენტიდან ჩანს, ის ადგილი, სადაც დაბა ფასანაურია განთავსებული, ლეონ ბატონიშვილს, ვინმე ქავთარაშვილსთვის (იგივე ქავთარაძესთვის) უბოძებია. მომჩივარი მთიულები მამულების ნახევარზე ადასტურებენ მის კუთვნილებას. დავობენ მეორე ნახევარზე, რომელიც სხვა ასი კომლის საერთო საკუთრება ყოფილა.

XVIII ს-ის საკომლო სიებში ფასანაური მოხსენიებული არ არის.

საოცარია, მაგრამ მას ვერც XIX ს-ის აღწერებში მივაკვლიე.

1926 წელს, იქ, 119 კომლი დარეგისტრირდა, 209 მამაკაცი და 220 ქალი, სულ 429 სული.

*

დაბის შემოგარენში საქართველოს ისტორიისა და კულტურის 30-ზე მეტი ძეგლია შემორჩენილი:

1963 წელს აღმოაჩნდა „ფასანაურის განძი“, რომელიც ძვ. წ. VII ს-ის მიწურულს და VI ს-ის დასაწყისს განეკუთვნება. შეიცავს 15 დასახელების 141 ნივთს: – იარაღს, გრავირებული სარტყელის ფრაგმენტებს, მშვილდსაკინძეებს, ბრტყელ ზოომორფულ ბალთას; სარიდონის

მძივებს, ძენკვებს, ირმის პატარა ქანდაკებას და სხვ. მოპოვებული ინვენტარი დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

დაბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ე.წ. ციხის ქედზე მდგარი ოთხსართულიანი ზურგიანი კოშკი (სიმაღლე 10 მ.) განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული ფასანაურის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიას და XIX ს-ში აგებულ ფოსტის შენობას.

I მსოფლიო ომის დროს, თეთრი და შავი არაგვის შესაყართან, ჰოსპიტალი აუშენებიათ. იმ ადგილს „ოშპიტალს“ ეძახიან.

ფასანაურის სადგური, XIX ს-ის მოგზაურთა საერთო აზრით, ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი ადგილი იყო საქართველოს სამხედრო გზაზე:

მთიულეთის არაგვის ნაპირას მდგარა, შავი არაგვის მიერთების სიახლოვეს. მწვანეში ყოფილა ჩაფლული, თელების და იფნების ჩრდილში.

ველური სურო ებმოდან – ალუბლის, პანტის, შინდისა და კუნელის ტოტებს.

იქვე მდგარა „ბიზანტიური სტილის პატარა მშვენიერი ეკლესია“ (ბორის და სიმონ ეს-ძეები, საქართველოს სამხედრო გზა, 1864 წ.).

XX ს-ის 10-იან წლებში, ადგილობრივმა მკვიდრმა, ალექსი მელიქიშვილმა, ფასანაურში ააშენა, ხუთნომრიანი სასტუმრო-რესტორანი, რომლსაც „ფრანცია“ დაარქვა. იგი არაერთხელ გადაკეთდა, სახელწოდებაც შეიცვალა და შეიძლება ითქვას, რომ, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ფასანაურის სავიზიტო ბარათს წარმოედგენდა. ლამაზ ყვავილოვან ბაღში მდებარე, თავშეყრის ეს მიმზიდველი ადგილი, უამრავი გამორჩეული ადამიანის სტუმრობის, არა ერთი დღესასწაულის და საიდუმლოს მოწმე იყო...

დაბის განაპირას, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალია აღმართული:

ქვით აგებულ ოვალურ თაღზე რკინის ჯაჭვი და ზარია დამაგრებული.

მის მიმდებარედ, სიმბოლური საფლავის ქვებზე, 300-მდე არაგველის გვარია ამოკვეთილი.

თაღქვეშ – უზარმაზარი ხმალი ასვენია.

ანთია მარადიული ცეცხლი...

*

უკვდავების ამ სიმბოლურ ძეგლთან დავასრულებ ჩემს სევდიან თხრობას საარაგვის და არაგველების შესახებ.

ბებერ გულს კბენს ლომგულების ამ ბუდეშობილი საბუდარის ხილვა: – გაუკაცურებული სოფლები, ნასახლარები, სახლის ლიბოზე გალაღებული ჭინჭარი, ჩავარდნილი ჭერი და თავხე...

უკვე საზარელ მიჯნამდე მივედით.

„მწუხრი დაინყო“?!


საალგეთისმგლე განწყობილების ნაცვლად, „დაისის“ ამ სულისშემძვრელი მელოდიის ფონზე რატომ ჩამესმის – მურმან ლებანიძის სიტყვები:

„ეს სოფლები:
ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა
ეს პარტახი საიგავო,
მეშინია,
ეს სამოთხე, ეს ნალკოტი
სხვა არავინ
მოვიდეს და დაიკავოს...“


ՔՆՆԵՐՈՇԻՆ

1774 წელს დათვიანთკარში მცხოვრები ბურჟუაზიების კომლთა
სქემატური გამოსახულებები


კომლი № 1, სიზანიენი:



კომლი № 2, ბერიენი (I):




კომლი № 3, ზაზანი:



კომლი № 4, ნიკოლანი:




კომლი № 5, ბერიენი (II):



კომლი № 6, ქუმსიენი:

ქუმსი → გიორგი


კომლი № 7, ჯანუყლანი:



კომლი № 8, ქუსლიენი:

ქუსლია → ბუჩუკური

კომლი № 9, ბერიენი (III):




კომლი № 10, გელიანი:


გელია → ღვთისია

1774 წელს გვიდაქეში მცხოვრები ბუჩუკურების
კომლთა სქემატური გამოსახულებები


კომლი № 1, გივიენი:




კომლი № 2, ზარიბეგანი (I):




კომლი № 3, ზარიბეგანი (II):




კომლი № 4, ბეჟანაანი:



კომლი № 5, გოჭიენი:



კომლი № 6, ფადიაურის ბუჩუკურები:




კომლი № 7, გიორგენი:

გიორგი → ღვთისია


კომლი № 8, პეტრიანი:

პეტრე → გივი

